

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

Faculty of Law and International Relations

სამეცნიერო ნაშრომთა კრებული

Collection of Scientific Papers

ემდგენება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

100 წლის იუბილეს

Dedicated to the 100th anniversary of Georgian Technical University

თბილისი 2022

სამეცნიერო ნაშრომთა კრებული ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს. მასში წარმოდგენილია როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-აკადემიური პერსონალის, ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტების მეცნიერთა ორიგინალური ნაშრომები და თარგმანები.

მთავარი რედაქტორები:

- **ირაკლი გაბისონია**, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი
- **მარიამ ჯიქია**, სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი

სარედაქციო კოლეგია:

- **ჯემალ გაბელია**, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
- **ციალა გლოველი**, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კერძო სამართლის დეპარტამენტის უფროსი
- **ავთანდილ კალმახელიძე**, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი
- **ჯემალ ჯანაშია**, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სისხლის სამართლის დეპარტამენტის უფროსი
- **სოფიო დემეტრაშვილი**, სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
- **ალექსანდრე ჩხიტაური**, სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ტექნიკური რედაქტორები:

- **თამარ ბარამია**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტი
- **დათა ხუფენია**, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

სარჩევი
Content

ლადო ჭანტურია. სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულებანი სიცოცხლის უფლების ხელყოფისას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად
Lado Chanturia. Procedural obligations of the State in Violation of the Right to Life by European Convention on Human Rights5

ირაკლი გაბისონია. საგადასახადო სანქციების და ადმინისტრაციული სახდელების დაკისრების სამართლებრივი, პოლიტიკური, კულტურული და მორალური ასპექტები
Irakli Gabisonia. Legal, Political, Cultural and Moral Aspects of Imposition of Tax Sanctions and Administrative Fines.....15

ქეთევან მარშავა, მარიამ ჯიქია. გიბრალტარი პოსტ-ბრექსიტულ პერიოდში - სამართლებრივი და ეკონომიკური გამოწვევები
Ketevan Marshava, Mariam Jikia. Gibraltar in Post-Brexit Period – Legal and Economic Challenges31

ირაკლი ბათიაშვილი. სოციალური კონტრაქტის ახლებული გაგება ჟან-ჟაკ რუსოსთან
Irakli Batiashvili. A New Understanding of Social Contract According to Jean-Jacques Rousseau42

Irene Victoria Massimino Kjarsgaard. The Crime of War - Analysis of Juan Bautista Alberdi's Contributions
ირენე ვიქტორია მასიმინო. ომის დანაშაული - ხუან ბაუტისტა ალბერდის კონტრიბუციის ანალიზი.....51

Héctor Carreón Perea. Mexico and the Office of the Prosecutor of the International Criminal Court – Cooperation and Main Challenges
ჰექტორ კარეონ პერეა. მექსიკა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისი - თანამშრომლობა და ძირითადი გამოწვევები62

ციალა გლოველი, ბესო ტეტელოშვილი. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების განვითარების ისტორია და არსი ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით
Tsiala Gloveli, Besik Teteloshvili. The History and Essence of the Development of the Personal Care Contract According to the Legislation of Georgia and Foreign Countries.....74

ჯემალ გაბელია, დათა ხუფენია. რუსეთის დესტრუქციული როლი აფხაზეთის კონფლიქტში
Jemal Gabelia, Data Khupenia. Russia's Destructive Role in Abkhazia Conflict95

სოფიო მიდელაშვილი, ქეთევან გუგუჩია. კოსოვოს კონფლიქტი: თვითგამორკვევა, სეცესია, აღიარება
Sophio Midelashvili, Ketevan Guguchia. Kosovo Conflict: Self-determination, Secession, Recognition.....110

თამარ კუპრეიშვილი, თორნიკე ოქროპილაშვილი. რუსეთი, როგორც საერთაშორისო წესრიგის საფრთხე: პოსტ-საბჭოთა სივრცე და სამომავლო პერსპექტივები
Tamar Kupreishvili, Tornike Okropilashvili. Russia - Threat to International Order: Post-Soviet Area and Future Prospects121

მანანა დარჩაშვილი. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა მდგრადი განვითარების მიზნების კონტექსტში

<i>Manana Darchashvili.</i> Higher Education System of Georgia in the Context of Sustainable Development	127
<i>ნატო სონდულაშვილი. პროექტები განათლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში (1918-1921)</i>	
<i>Nato Songulashvili.</i> Educational Projects in the Republic of Georgia (1918-1921)	135
<i>ფრანკ პორტონი.</i> საზოგადოებას აქვს უფლება იცოდეს (ინგლისურიდან თარგმნა სოფიო დემეტრაშვილმა).....	
	146

სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულებანი სიცოცხლის უფლების ხელყოფისას
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად

Procedural Obligations of the State in Violation of the Right to Life by European Convention on Human Rights

რეზიუმე

სამეცნიერო სტატიაში ავტორის მიერ განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული უფლების, სიცოცხლის უფლების დარღვევის შემთხვევაში ხელმომწერი სახელმწიფოს ვალდებულებები, კერძოდ კი ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების ჩატარების საპროცესო ვალდებულება. თეორიული მასალისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე ავტორი განიხილავს აღნიშნულ საკითხს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომელიც ხშირად იჩენს თავს პრაქტიკაში. ნაშრომში დეტალურად არის გაანალიზებული ეფექტიანი გამოძიების სტანდარტის დარღვევა კონკრეტულ საქმეებთან მიმართებით, რომლებიც განხილული იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, რის საფუძველზეც ავტორი აკეთებს მისეულ მიგნებებსა და დასკვნებს.

Abstract

Presented scientific article concerns the obligations of the signatory state in case of violation of the right to life provided by Article 2 of the European Convention on Human Rights, in particular, the procedural obligation to conduct an effective official investigation. Based on the study of theory and judicial practice, the author discusses the mentioned issue and related problems, which often appear in practice. The article analyzes in detail the violation of the standard of effective investigation in relation to specific cases that were considered by the European Court of Human Rights, on the basis of which the author makes his findings and conclusions.

შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში კონვენცია) მე-2 მუხლი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ორ არსებით ვალდებულებას აკისრებს: პირველი, სიცოცხლის უფლება დაცული უნდა იყოს ეროვნული კანონით და, მეორე, აკრძალული უნდა იყოს სიცოცხლის განზრახ ხელყოფა ამ მუხლში ჩამოთვლილი გამონაკლისების გარდა.¹ სახელმწიფოს ასევე ეკისრება სიცოცხლის უფლების სავარაუდოდ დარღვევის ფაქტზე ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების² ჩატარების საპროცესო ვალდებულებას.³ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საფუძვლიანად არის გამოკვლეული ამ ვალდებულებების სამართლებრივი ბუნება და ხასიათი.⁴

* სამართლის დოქტორი, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე. Ph.D. in Law, Judge of European Court of Human Rights.

¹ საქმე *Boso v. Italy (dec.)*, no. 50490/99, 5 September 2002.

² ქართულ ლიტერატურაში გამოიყენება ასევე „ეფექტური გამოძიება“, თუმცა კონტექსტიდან გამომდინარე მართებულია „ეფექტიანი გამოძიება“.

³ საქმე *Armani Da Silva v. the United Kingdom (GC)*, no. 5878/08, 30 March 2016, § 229.

⁴ *გოცირიძე ევა*, კონსტიტუციის მე-15 მუხლის კომენტარი, წიგნში „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“ გამომცემლობა შპს

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (შემდგომში - სტრასბურგის სასამართლო ან სასამართლო) საქართველოს წინააღმდეგ რამდენიმე საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის როგორც არსებითი, ისე საპროცესო ნაწილების დარღვევა. ამ საქმეების განხილვა აჩვენებს სიცოცხლის უფლების ევროპულ სტანდარტს, ერთი მხრივ, და მასთან ქართული სამართლის შესაბამისობის პრობლემურ ასპექტებს, მეორე მხრივ. სასამართლო გადაწყვეტილებათა მოკლე ანალიზი აჩვენებს იმ გამოწვევებს. რომელთა წინაშეც დგას ეროვნული სამართალი სიცოცხლის უფლების ხელყოფისას ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულების შესრულების კონტექსტში.

1. ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულება

სიცოცხლის უფლების ხელყოფის შემთხვევაში სახელმწიფოს უპირველესი საპროცესო ვალდებულება არის **ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების ჩატარება** და სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებული ყველა გარემოების დამოუკიდებელი, ადეკვატური, სწრაფი და გონივრული დადგენა.⁵ სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულებანი პირველად განისაზღვრა სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან ლეტალური იარაღის გამოყენების შედეგად სიცოცხლის ხელყოფის სამართლებრივი შეფასების კონტექსტში.⁶ თუმცა მას შემდეგ ამ ვალდებულებამ საფუძვლიანი ევოლუცია განიცადა და სახელმწიფოს ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულებას აკისრებს საეჭვო გარემოებაში ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის ყოველი შემთხვევის არსებობისას.⁷ ეს ვალდებულება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სტრასბურგის სასამართლო მე-2 მუხლთან დაკავშირებული საჩივრების შემოწმებას სახელმწიფოს მიერ ამ საპროცესო ვალდებულების შესრულების შემოწმებით იწყებს. მხოლოდ ამის შემდეგ გადადის მე-2 მუხლის არსებითი დარღვევის შემოწმებაზე.

სიცოცხლის ხელყოფის ეფექტიანი გამოძიების ვალდებულება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მაშინ, როცა ამ ხელყოფაში სახელმწიფოს წარმომადგენლები მონაწილეობენ და მათი, როგორც კანონის უზენაესობის დამცველების, მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნების

„პეტიტი“, თბილისი, 2013. 71-86, *ბოხაშვილი ბესარიონ*, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები - პრეცედენტული სამართალით დადგენილი უახლესი სტანდარტები, კრებ. „ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები“, *კორკელია (რედ.)*, 2009, 62-87; *გეგენავა, ქანთარია, ცანავა, თევზაძე, მაჭარაძე, ჯავახიშვილი, ერქვანია, პაპაშვილი*, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, 2016, 375-395; *დემეტრაშვილი, კობახიძე*, საკონსტიტუციო სამართალი, 2011, 73-85, 98-103; *იზორია, კორკელია, კუბლაშვილი, ხუბუა*, კონსტიტუციის კომენტარი, მე-2 გამოც., 2005, 45-61; *კუბლაშვილი კონსტანტინე*, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, 2019, 111-121; *კუბლაშვილი*, სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, კრებ. „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“, *კორკელია (რედ.)*, 2006, 188-210 *პაპაშვილი*, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების ბუნება, კრებ. „ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები“, *კორკელია (რედ.)*, 2007, 127-139; *ცომაია*, სიცოცხლის უფლებისა და სხვა ძირითადი უფლების კოლიზია, *ჟურნ. „მართლმსაჯულება“*, 2007-2, 116-126; *ხეცურიანი ჯონი*, სიცოცხლის უფლება, *ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“*, 1/2003, 9-14.

⁵ საქმე *Armani Da Silva v. the United Kingdom* (GC), § 232, 243, 237.

⁶ საქმე *McCann and Others v. the United Kingdom*, 27 September 1995, Series A no. 324, § 161.

⁷ საქმე *Mustafa Tunç and Fecire Tunç v. Turkey* (GC), no. 24014/05, 14 April 2015, § 171.

და მათ მიერ ჩადენილი ძალადობის შეფასების აუცილებლობა სახელმწიფოს დაუყოვნებლივ პასუხს და რეაგირებას მოითხოვს.⁸

მე-2 მუხლით გათვალისწინებული ეფექტიანი გამოძიების სტანდარტი მოითხოვს, რომ გამოძიებამ სწრაფად და გონივრულად დაადგინოს სათანადო ფაქტები, გამოავლინოს და დასაჯოს პასუხისმგებელი პირები, დაიცვას შემთხვევასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, როგორცაა თვითმხილველთა ჩვენება, ექსპერტიზის შედეგები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას გარდაცვალების მიზეზზე.⁹

გამოძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა იყვნენ დამოუკიდებელი არა მხოლოდ იერარქიული ან ინსტიტუციური, არამედ პრაქტიკული და რეალური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით.¹⁰ ეფექტიანი გამოძიების სტანდარტი ასევე მოითხოვს, რომ გამოძიება მისაღები იყოს მსხვერპლის ოჯახისათვის და მათი ლეგიტიმური ინტერესების დაცვის აუცილებლობისათვის.¹¹

გამჭვირვალობა ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, თუმცა მისი მოცულობა ყოველ კონკრეტულ საქმეზე უნდა განისაზღვროს. იმავდროულად, გამოძიების ორგანო არ არის ვალდებული გამოძიების პროცესში დააკმაყოფილოს გარდაცვლილის ნათესავის ყველა მოთხოვნა, რომელიც კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას უკავშირდება.¹²

2. ეფექტიანი გამოძიების სტანდარტის დარღვევა ქართულ საქმეებში

ა. ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ

საქმეში *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ* სტრასბურგის სასამართლომ მე-2 მუხლის დარღვევა დაადგინა სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.¹³ დარღვევა გამოიხატა ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნის შეუსრულებლობაში, როგორცაა გამოძიების დამოუკიდებლობა (§ 87), ოჯახის წევრისთვის დაზარალებულის სტატუსით პროცესში ჩართვის შეუძლებლობა (§ 91), მტკიცებულებათა არასათანადო შეფასება, გამოძიების არასრულყოფილება და მიკერძოებულობა (§ 88), მართლმსაჯულების გაჭიანურება (§ 89), დაზარალებულის სიცოცხლის არასათანადო დაცვა (§ 90), გამოყენებული სასჯელის არაპროპორციულობა (§ 92).

დამოუკიდებელი გამოძიების მოთხოვნა დაირღვა იმით, რომ საპოლიციო ოპერაციის განხორციელების შემდეგ, რომელსაც მომჩივნების შვილის სიკვდილი მოჰყვა, თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის იგივე პოლიციელების მიერ, ვინც ოპერაციაში მონაწილეობდნენ. მათ მიერ

⁸ საქმე *Brecknell v. the United Kingdom*, no. 32457/04, 27 November 2007, § 65.

⁹ საქმე *Ramsahai and Others v. the Netherlands* (GC), no. 52391/99, ECHR 2007-II, § 324.

¹⁰ საქმე *Aliyev and Gadzhiyeva v. Russia*, no. 11059/12, 12 July 2016, § 96.

¹¹ საქმე *Hugh Jordan v. the United Kingdom*, no. 24746/94, 4 May 2001, § 109.

¹² საქმე *Velcea and Mazăre v. Romania*, no. 64301/01, 1 December 2009, § 113.

¹³ საქმე *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ*, საჩივარი 50375/07, 18 ივლისი 2019.

მოპოვებულ მტკიცებულებებს მოგვიანებით დაეყრდნო პროკურატურა პოლიციის მიერ ძალის გამოყენების პროპორციულობის საქმის გამოძიების პირველ ეტაპზე. სასამართლოს აზრით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ოფიცრების მიერ ჩატარებული უმთავრესი და გადამწყვეტი მნიშვნელობის საგამოძიებო მოქმედებები „აშკარად მოკლებული იყო დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას“. ასეთ საპროცესო ხარვეზს შეუძლებელი იყო არ გაემრუდებინა გამოძიების სათანადო მიმართულება (§87).¹⁴

წინასწარი გამოძიების ერთ-ერთი სერიოზული ხარვეზი, სასამართლოს შეფასებით, იყო თბილისის პროკურატურის მიერ მომჩივნების - საპოლიციო ოპერაციის დროს მოკლული პირის მშობლების - სრული იგნორირება და გამოძიებაში **დაზარალებულის სტატუსით** მათი ჩართვის უარყოფა, რითაც მათ წაერთვათ საქმის წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა (§88).

მტკიცებულებების არასათანადო შეფასება მორიგი ხარვეზია, რომელიც სასამართლომ დაადგინა. კერძოდ, პროკურატურამ უგულებელყო ორი დამოუკიდებელი მოწმის ჩვენება, რომლებმაც დაადასტურეს, რომ წითელ შუქნიშანზე გაჩერებული ავტომანქანის მგზავრებს, რომელთა შორის იმყოფებოდა ოპერაციის დროს მოკლული მომჩივნის შვილიც, არასდროს გამოუვლენიათ შეიარაღებული წინააღმდეგობა პოლიციის მიმართ. არადა, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის ფაქტის სათანადო შემოწმება აუცილებელი იყო პოლიციის მიერ ძალის გამოყენების პროპორციულობის საკითხის შეფასებისთვის. სასამართლოსთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა იმის დასადგენად, რომ ჩატარებული წინასწარი გამოძიება არ იყო სრულყოფილი, ობიექტური და მიუკერძოებელი (§ 88).

დაზარალებულის სტატუსის არასათანადოდ განსაზღვრა და დაცვა, სასამართლოს შეფასებით, არაეფექტიანი გამოძიების კიდევ ერთი გამოხატულება იყო ამ საქმეში. ჯერ ერთი, მომჩივნებს გამოძიების დასაწყისიდანვე ჩამოერთვათ წინასწარ გამოძიებაში ჩართვისა და საპროცესო გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა. მეორე, დაზარალებულის სტატუსის არქონის მიუხედავად, მოკლულის მამის მიერ თავისი ინიციატივით შეკრებილი მნიშვნელოვანი მტკიცებულებები გამოძიების განახლებისა და მკვლელობაში მონაწილე პირთა გასამართლების საფუძველი გახდა. სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ მამა მოგვიანებით შვილის საფლავზე მოწყობილი აფეთქების მსხვერპლი გახდა, განპირობებული იყო მისი ინტენსიური საზოგადოებრივი აქტივობით, რომ გამოეაშკარავებინა შვილის მკვლელობისათვის პასუხისმგებელი პოლიციელების ქმედებები. გამოძიების როლის საკუთარ თავზე აღებით, რაც, ჩვეულებრივ ხელისუფლების ვალდებულებას წარმოადგენს, პირველმა მომჩივანმა (მოკლულის მამამ) თავი ჩაიყენა შურისძიების აშკარა საფრთხეში. ამ საქმის ტრაგიკული გაგრძელება (მამის აფეთქება მოკლული შვილის საფლავზე), სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, იმის აშკარა მაგალითია, თუ როგორი თვალშისაცემად საზიანოა ხელისუფლების არასათანადო გულისხმიერება სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული

¹⁴ სტრასბურგის სასამართლომ დამოუკიდებელი გამოძიების მოთხოვნის დარღვევა საქართველოს წინააღმდეგ კიდევ რამდენიმე საქმეზე დაადგინა, მაგრამ ერთ-ერთი პირველი იყო *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ*, § 245-249.

დანაშაულის საქმეებზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადგილი აქვს პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადამეტებას (§ 90).

საქმის წარმოების გაჭიანურება ეფექტიანი გამოძიების მოთხოვნის დარღვევის კიდევ ერთი გამოხატულებაა. სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ „დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულებაზე უარის თქმას ნიშნავს“.¹⁵ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის შვილის მკვლელობაში მონაწილე პოლიციელები დანაშაულის ჩადენიდან 9 წლის შემდეგ გასამართლდნენ და სასჯელიც დაეკისრათ, სასამართლოს აზრით, გამოძიების საწყის ეტაპზე გამოვლენილმა ხარვეზებმა განაპირობეს მისი გაჭიანურება, რითაც დაირღვა გამოძიების სწრაფად და გონივრულად ჩატარების ვალდებულება (§ 89).

ბ. ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ

ეფექტიანი გამოძიების სტანდარტის და, შესაბამისად კონვენციის მე-2 მუხლის, ფართომასშტაბიანი დარღვევა ქართულ საქმეებში სტრასბურგის სასამართლომ პირველად დაადგინა საქმეში *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ*. სასამართლოს შეფასებით, ამ საქმეში ჩართული ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი „ერთად, ხმაშეწყობილად მოქმედებდა იმ მიზნისათვის, რომ ამ შემზარავი მკვლელობის საქმეზე როგორმე არ განხორციელებულიყო მართლმსაჯულება“ (§ 276).

გამოძიების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნა, სასამართლოს აზრით, გამოძიების პირველივე დღიდან იქნა დარღვეული. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების ჩართულობა გირგვლიანის მკვლელობაში თავიდანვე ცხადი იყო, ეს სამინისტრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კვლავ გამოძიების მწარმოებელ ორგანოდ რჩებოდა (§ 245-246). ამგვარ ინსტიტუციურ კავშირს და, უფრო მეტიც, იერარქიულ სუბორდინაციას შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებსა და საქმის მონაწილე გამოძიებლებს შორის, სასამართლომ გამოაგნებელი უწოდა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კაფეში შეკრებილი და მოკლულთან დაპირისპირებული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მოგვიანებით მკვლელობის გამოძიების ხელმძღვანელი გახდა. ეს აშკარა დარღვევა კიდევ უფრო დაამძიმა საზოგადოებისათვის ამ გარემოების დამალვის ფაქტმა (§ 247) და იმან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა დაუყოვნებლივ არ გადასცა საქმე სხვა უწყებას, „მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ამ საქმესთან გარკვეული კავშირი უნდა ჰქონოდათ მის ხელქვეითებსა და, შესაძლოა მის მეუღლესაც“ (§ 248).

სასამართლოს შეფასებით, **გამოძიების ობიექტურობისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნის** სერიოზული დარღვევა გამოიწვია პროკურატურის „ჯიუტმა უარმა“ მოკლულის მშობლებისათვის ნება დაერთო მონაწილეობა მიეღოთ მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებებში. უფრო მეტიც, მათ საგამოძიებო მოქმედებების შედეგების გაცნობის შესაძლებლობაც კი არ მიეცათ (§ 250). სასამართლოს აზრით, თბილისის პროკურატურამ საგამოძიებო მოქმედებები აშკარად არასწორი მიმართულებით წაიყვანა, რაც განსაკუთრებით გამოიხატა მოწმეთა ჩვენებების დამახინჯებაში, საქმისათვის მნიშვნელოვან პირთა დაკითხვის

¹⁵ საქმე *Lopatin and Medvedskiy v. Ukraine*, no. 2278/03 and 6222/03, 20 May 2010, § 75.

იგნორირებასა და იმაში, რომ პროკურატურამ არ გამოიკვლია გირგვლიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ჭრილობების გარემოებები (§ 253-256).

სასამართლოს აზრით, პროკურატურის მიდრეკილება დაემახინჯებინა ფაქტები შესაბამის ოქმებში და არ მიეცათ მოკლულის წარმომადგენლებისათვის საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა, გამოგნებლად გაგრძელდა საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე: სასამართლოების სისტემატური უარით განმცხადებლებს არ მიეცათ დრო და საშუალება საქმის მასალების შესასწავლად, განსაკუთრებით ძირითადი მტკიცებულებების გასაცნობად, რითაც აშკარად დაირღვა **შეჯიბრებითობისა და მიუკერძოებელი მოსამართლის პრინციპი**. სასამართლო გამოგნებლად მიიჩვევს იმ ფაქტს, რომ ასეთი რთული საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში მხოლოდ 9 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, რაც შეუძლებელს ხდიდა საქმის მასალების გაცნობას არა მხოლოდ დაზარალებულებისთვის, არამედ თვით მოსამართლეებისთვისაც კი (§ 259).

ეროვნული სასამართლოების მიერ საქმის განხილვამ, სასამართლოს შეფასებით, დაადასტურა ის ფაქტი, რომ „შიდა სახელმწიფო ორგანოებს აშკარად არ ჰქონდათ სურვილი დაედგინათ, ობიექტურად და დამაჯერებლად, სრული ჭეშმარიტება სანდრო გირგვლიანის გატაცებისა და სიკვდილის გარემოებების შესახებ“ (§ 267).

გ. საყვარელიძე საქართველოს წინააღმდეგ

სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულება ასევე ვრცელდება საგზაო ავარიების შედეგად გარდაცვალების გარემოებების ფაქტების გამოკვლევაზე.¹⁶ გამოძიების ჩატარების სისწრაფეს, გაჭიანურებისა და არაკეთილსინდისიერების ფაქტებს ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.¹⁷ დამნაშავის დადგენა და მისი ადეკვატური დასჯა არის ის მთავარი ვალდებულება, რომელიც სახელმწიფოს მე-2 მუხლიდან გამომდინარე ეკისრება.

საქმე *საყვარელიძე საქართველოს წინააღმდეგ*¹⁸ ეხება 2003 წლის 22 ნოემბერს თბილისში სახელმწიფოს წარმომადგენლის მართვის ქვეშე მყოფი სამხედრო ჯავშანტრანსპორტიორის მიერ ქუჩაზე მოძრავი ავტომანქანის დაჯახების შედეგად მანქანაში მსხდომი პირების დაღუპვის ფაქტის გამოძიებას. 2003 წლის 23 ნოემბერს დაწყებული გამოძიება 2017 წლის 1 მარტს, საგზაო შემთხვევიდან 16 წლის შემდეგ უშედეგოდ დასრულდა. სტრასბურგის სასამართლომ ამ საქმეზე სახელმწიფო ორგანოების მხრიდან **გამოძიების განზრახ გაჭიანურება დაადგინა**, რაც დანაშაულის ხანდაზმულობისა და ბრალეული პირის დასჯის შეუძლებლობის ერთადერთი მიზეზი გახდა (§ 54).

საყურადღებო ამ საქმეში, სასამართლოს აზრით, არის ის, რომ დაუყოვნებლივ დაწყებული გამოძიებისა და პირველი გადაუდებელი და მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებების

¹⁶ საქმეები *Al Fayed v. France* (dec.), no. 38501/02, 27 September 2007, §§ 73-78; *Railean v. Moldova*, no. 23401/04, 5 January 2010, §30.

¹⁷ საქმეები *Igor Shevchenko v. Ukraine*, no. 22737/04, 12 January 2012, §§ 57-62; *Prynda v. Ukraine*, no. 10904/05, 31 July 2012, §56.

¹⁸ საქმე *Sakvarelidze v. Georgia*, no. 40394/10, 6 February 2020.

შედეგად, რომელთაც შეეძლოთ ასევე სწრაფად და პოზიტიურად დაესრულებინათ შედარებით მარტივი საქმე, მოგვიანებით გამოძიება სასამართლოსათვის უცნობი მიზეზით მრავალჯერ შეჩერდა და განახლდა. გამოძიების შეჩერებისა და განახლების ეტაპებს შორის იყო უმოქმედობის ხანგრძლივი პერიოდები, რომლებმაც განაპირობეს გამოძიების არაეფექტიანობა და რომლის მიზეზების ახსნა მთავრობამ ვერ შეძლო (§ 54).

დ. კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულებების თვალსაზრისით ეს საქმე ეხება საპოლიციო ოპერაციის განხორციელებისას პოლიციის მიერ ლეტალური იარაღის გამოყენების შედეგად სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფ პირთა მკვლელობის გამოძიების შესაბამისობას კონვენციის მე-2 მუხლთან.

იმის გათვალისწინებით, რომ სამართალდაცვის ორგანოების მიერ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული გამოძიება დაიწყო სამი თვის დაგვიანებით იუსტიციის სამინისტროს იმავე დაწესებულების მიერ, რომელმაც გასცა ციხის ალების ბრძანება და რომელიც პირდაპირ ხელმძღვანელობდა სპეცდანიშნულების რაზმს, სასამართლოს აზრით, **დაირღვა გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებისა და მისი დამოუკიდებლობის მოთხოვნა** (§ 132). ეს დასკვნა უფრო გაამყარა იმ გარემოებამ, რომ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები საერთოდ უარს აცხადებდნენ ძალის არაპროპორციული გამოყენების ფაქტზე გამოძიების დაწყებაზე.

სასამართლოს აზრით, **გამოძიების არაეფექტიანობა** განაპირობა იმანაც, რომ გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებს არ მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი და მათ ვერ შეძლეს საპროცესო უფლებების გამოყენება, ასევე იმან, რომ გამოძიება არ მისულა რაიმე დასკვნამდე (§ 135).

ე. შავაძე საქართველოს წინააღმდეგ

საქმე შავაძე საქართველოს წინააღმდეგ ბოლო საქმეა საქართველოს წინააღმდეგ, რომელშიც სასამართლომ მე-2 მუხლიდან გამომდინარე დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიების ყველა მოთხოვნის დარღვევა დაადგინა, რომლებიც სხვა ქართულ საქმეებში უკვე მრავალჯერ იყო დადგენილი.

გამოძიების დამოუკიდებლობის მოთხოვნა დაირღვა იმით, რომ პირველი საგამომძიებო მოქმედებები ჩატარდა შსს-ს გამომძიებლების მიერ მაშინ, როცა მოქალაქე შავაძე მოკლული იყო სწორედ შსს-ს პოლიციის ოფიცრების მიერ, რითაც არა მხოლოდ კონვენციის სტანდარტი, არამედ ეროვნული საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიც უხეშად იქნა დარღვეული. მოგვიანებით პროკურატურა მთლიანად დაეყრდნო პოლიციის მიერ პირველადი საგამომძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ მასალებს. გარდა ამისა, მოკლულის ოჯახის წევრს არ მიენიჭა არანაირი სტატუსი, რომელიც მას საპროცესო უფლებების გამოყენების შესაძლებლობას მისცემდა (§ 35).

გამოძიების არაეფექტიანობას ადასტურებს ის, რომ 2008 წელს ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას 2020 წელსაც რაიმე კონკრეტული დასკვნა არ გაუკეთებია და ის რაიმე შედეგამდე არ

მისულა. შესაბამისად, სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვალდებულება (§§ 36-37).

3. მკვლელობაში მონაწილე საჯარო მოხელეთა მიმართ გამოტანილი სასჯელის არაპროპორციულობა

სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ გამოძიების ჩატარებით და ის საქმის სასამართლო განხილვასაც მოიცავს. მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის დაცვის სტანდარტი ეროვნული სასამართლოებისგან მოითხოვს, რომ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული არ დარჩეს დაუსჯელი. მართალია, სტრასბურგის სასამართლო სასჯელის შეფარდების საკითხს ეროვნული სასამართლოების პრეროგატივად აღიარებს, საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი მკვლელობის საქმეებზე ის მაინც აფასებს, ხომ არ არის გამოყენებული სასჯელი აშკარად არაპროპორციული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან მიმართებით.¹⁹

საქმეში ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლომ პოლიციელების მიერ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის დანიშნული 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაშინ როცა სასამართლოს შეეძლო ოცი წლით თავისუფლების აღკვეთის ან უვადო პატიმრობის მისჯა, აშკარად არაპროპორციულად მიიჩნია. ამ შეფასებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სასჯელის შეფარდების დროს საქმის განხილველი სასამართლოსთვის ცნობილი იყო, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით ეს სასჯელი ერთი მეოთხედით შემცირდებოდა. ამასთან, სასამართლომ გაიმეორა სხვა გადაწყვეტილებებში განვითარებული დებულება, რომ „როდესაც სახელმწიფო მოხელე, კერძოდ, სამართალდამცავი, ბრალდებულია დანაშაულში, რომელიც არღვევს კონვენციის მე-2 მუხლს, ამნისტიის ან შეწყალების გამოყენება არ უნდა იყოს დაშვებული“ (§ 92).²⁰

სტრასბურგის სასამართლო სახელმწიფოებისგან მოელის სამართალდამცველების მკაცრ დასჯას, როცა მათ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ ასეთ მძიმე დანაშაულში ედებათ ბრალი, რადგან ამ შემთხვევაში გადამწყვეტია არა დამნაშავის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ სახელმწიფოს ვალდებულება, ებრძოლოს დამნაშავის განწყობას, რომ თავისი სამსახურის წყალობით ის შეიძლება დაუსჯელი დარჩეს. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს სამართალდაცვის სისტემისადმი საზოგადოების ნდობასა და პატივისცემას (§ 92).²¹

სასამართლომ არაადეკვატურად მიიჩნია ასევე შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულში მსჯავრდებული პოლიციელებისათვის საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების

¹⁹ მაგალითად, *Armani Da Silva v. the United Kingdom* (GC), § 238. ასევე ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ, §242.

²⁰ შესაბამისი მითითებები სასამართლოს სამოსამართლო სამართალზე: *Nina Kutsenko v. Ukraine*, no. 25114/11, 18 July 2017, §149; *Ali and Ayse Duran v. Turkey*, no. 42942/02, 8 April 2008, §69.

²¹ ანალოგიური პოზიცია გამოხატა სასამართლომ უფრო ადრე საქმეში *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ*, §274.

არჩამორთმევა, რითაც მათ თორმეტწლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ უნარჩუნდებოდათ შესაძლებლობა კვლავაც დასაქმებულიყვნენ ძალოვან სტრუქტურებში (§ 93).

სტრასბურგის სასამართლო არ შემოიფარგლება მხოლოდ გამოყენებული სასჯელის ადეკვატურობის შემოწმებით და საჭიროების შემთხვევაში მისი შეფასების საგანი შეიძლება ამ სასჯელის აღსრულების პროცესიც გახდეს.

საქმეში *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ* სტრასბურგის სასამართლომ იმსჯელა არა მხოლოდ დანიშნული სასჯელის პროპორციულობაზე, არამედ შემდგომში ამ სასჯელის აღსრულების წესზეც (§ 269). ამ საქმეში სასამართლომ გამოყენებულ სასჯელთან ერთად მკაცრი შეფასება მისცა **ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის** საკითხსაც. კერძოდ, მისი აზრით საგამომიებო ორგანოებმა არ მოამზადეს, ხოლო სასამართლოებმა თავი არ შეიწუხეს და არ იმსჯელეს თავიანთ გადაწყვეტილებებში, თუ რა ხასიათის იყო დამნაშავეთა მიერ ჩადენილი ქმედებები, რომლებმაც პირის სიკვდილი გამოიწვია (§ 270). კონკრეტულად, ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადო შეფასება და სამართლებრივი კვალიფიკაცია არ მისცეს იმ ფაქტს, რომ „სანდრო გირგვლიანი გახდა განსაკუთრებით სასტიკი, სიცოცხლისათვის საშიში არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი“ და რომ „ბოროტმოქმედს (ბოროტმოქმედებს) რეალურად განზრახული ჰქონდათ მოეკლა (მოეკლათ) სანდრო გირგვლიანი“. სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ეს დამამძიმებელი გარემოებები და დამნაშავეებს სასჯელის სახით მხოლოდ 7-8 წელი განუსაზღვრეს (§ 272).

გამოყენებულ სასჯელზე უფრო საგანგაშოდ სასამართლომ მიიჩნია შემდგომში ამ სასჯელის აღსრულების წესი. სასამართლო გაოგნებული იყო იმ ფაქტით, რომ „საქართველოს პრეზიდენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია ესოდენ შემზარავ დანაშაულში მსჯავრდებული სახელმწიფო მოხელეების შეწყალება და მათთვის სასჯელის დარჩენილი ვადის განახევრება“ და რომ შეწყალების ამ უპრეცედენტო აქტის შემდეგ სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის რეკომენდაციით და შესაბამისი შიდა სასამართლოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულები პირობით ვადამდე გათავისუფლდნენ (§ 273). სასამართლოს აზრით, სამართლიანი იყო საზოგადოების პროტესტი, რომელმაც არასაკმარისად ჩათვალა სამი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხი მაღალი თანამდებობის პირისათვის, რომლებმაც სასტიკად, არაადამიანურად აწამეს და მოკლეს უდანაშაულო ადამიანი (იქვე).

სასამართლოს შეფასებით, ამგვარი არაგონივრული ღმობიერების გამო, ოთხი მოხელის მიმართ განხორციელებულ სისხლისსამართლებრივ დევნას დაეკარგა ყოველგვარი ეფექტურობა, რასაც მოითხოვს კონვენციის მე-2 მუხლი (§ 275).

დასკვნა

სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილულ საქმეთა უმრავლესობაში დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვალდებულების ყველა სტანდარტის დარღვევა, რაც ამ დარღვევათა სისტემურ ხასიათზე მეტყველებს. უფრო მეტიც, სასამართლომ რამდენიმე

საქმეზე ხაზი გაუსვა სახელმწიფო ორგანოების დაინტერესებას არ გამოეძიებინათ დანაშაული და არ დაესაჯათ დანაშაულის ჩამდენი პირები.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს მკვლელობის საქმეებზე სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების ადეკვატურობის საკითხი, რომელიც კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის დაცვის სტანდარტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია.

საგადასახადო სანქციების და ადმინისტრაციული სახდელების დაკისრების სამართლებრივი, პოლიტიკური, კულტურული და მორალური ასპექტები

Legal, Political, Cultural and Moral Aspects of Imposition of Tax Sanctions and Administrative Fines

რეზიუმე

სამართლის ნორმის განმარტება განაპირობებს მის სწორ გამოყენებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებული, საყოველთაოდ მიღებული ღირებულებების გათვალისწინებას. ამ მხრივ გამონაკლისი არც საგადასახადო კოდექსი და არც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი უნდა იყოს. საგადასახადო სანქციისა და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება სამართლებრივი, პოლიტიკური, კულტურული და მორალური ასპექტების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

საქართველოში დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი დახვეწასა და სრულყოფას საჭიროებს, რამეთუ ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ სამართლიან პროცესებს. ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველომ იკისრა ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციისა და აპროქსიმაციის ვალდებულება.

წინამდებარე ნაშრომში დეტალურად არის განხილული საგადასახადო სანქციებისა და ადმინისტრაციული სანქციების დაკისრების პროცესში არსებულ ხარვეზებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

Abstract

The interpretation of the legal norm determines its correct application, which, in turn, implies taking into account the generally accepted values in a given society. In this regard, neither the Tax Code nor the Code of Administrative Offenses should be an exception. Imposition of tax sanctions and administrative fines should be done considering legal, political, cultural and moral aspects.

The Code of Administrative Offenses needs to be improved, since it interferes with the fair processes guaranteed by the Constitution of Georgia. It should also be noted that by signing the Association Agreement the European Union, Georgia took the obligation to harmonize and approximate the national legislation with the regulations of the European Union.

The presented paper discusses in detail the problems in the process of imposing tax sanctions and administrative fines and the ways to solve them.

შესავალი

სამართალშეფარდების პროცესში პრობლემატურია სამართლის ნორმის განმარტების საკითხი. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია სხვადასხვა მიდგომა, თუმცა, მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ის სამართლის ნორმის სწორედ გამოყენების ძირითადი პირობაა, რადგან „კანონის ინტერპრეტაცია ნიშნავს კანონის სიტყვათა მნიშვნელობის გაგებას, მაშასადამე, იმ ფაქტობრივი,

* სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი. Doctor of Law, Professor, Dean of the Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University.

ღირებულებითი და ჯერარსული წარმოდგენების დადგენას, რასაც კანონის სიტყვები გამოხატავენ²² სამართლის მოთხოვნები უნდა იყოს მორალურად და პოლიტიკურად გამართული. ანუ სამართალი უნდა იზიარებდეს ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებულ საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებებსა და ღირებულებებს. ასეთი სამართლის არსებობას შეუძლია დაარწმუნოს ადამიანი, რომ მისი მოთხოვნები სწორია და ხალხის ინტერესებში შედის. საგადასახადო კოდექსი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად მნიშვნელოვანია საგადასახადო სანქციისა და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება განხორციელდეს სამართლებრივი, პოლიტიკური, კულტური და მორალური ასპექტების გათვალისწინებით. სწორედ ამ საკითხზე მსჯელობას ეთმობა წინამდებარე სტატია.

გასაკვირი არაა, რომ საგადასახადო სისტემისადმი უკმაყოფილება დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება. ექსპერტთა აზრით, განვითარებად ქვეყნებში საგადასახადო სისტემები „არაეფექტიანი“ და „არასამართლიანია.“

საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, რომელიც 2014 წელს გაფორმდა, რამდენიმე ვალდებულება იკისრა. უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის კანონმდებლობა უნდა დაუახლოვდეს ევროკავშირის დირექტივებსა და საერთაშორისო იურიდიულ ინსტრუმენტებს.²³ დახვეწა და სრულყოფა სჭირდება ასევე, ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, რომელიც რიგ შემთხვევებში არღვევს საქართველოს მოქალაქეების უფლებებს და ზიანს აყენებს ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციას, რადგან იგი მძიმე სახდელებს აწესებს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი პროცესის გარანტიების გვერდის ავლით.²⁴ სწორედ აღნიშნული საკითხების განხილვას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც საუბარი იქნება საკანონმდებლო ხარვეზებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე.

1. მართლზომიერი ქცევა და სამართალდარღვევა

მართლზომიერი ქცევა სამართლებრივი ქცევის ერთ-ერთი სახეობაა. იგი თავისი მასშტაბით ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივად სასარგებლო შეგნებული ქცევაა, რომელიც, შეესაბამება სამართლებრივ ნორმებს და მათი დაცვა გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ.²⁵

შესაბამისად, მართლზომიერი ქცევა-ეს არის სამართლის სუბიექტის გაცნობიერებული მოქმედება, რომელიც შეესაბამება სამართლებრივ დანაწესებს, არ ეწინააღმდეგება მათ და უზრუნველყოფილია იურიდიული საშუალებებით. ეს განმარტება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მართლზომიერი ქცევის შემდეგი ძირითადი ნიშნები:²⁶

- ქცევა მართლზომიერად ჩაითვლება, თუ შეესაბამება სამართლის ნორმის მოთხოვნებს ან არ ეწინააღმდეგება მას;

²² ციპელიუსი რ., იურიდიული მოძღვრება, ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006, 52

²³ საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში, ევროკავშირი საქართველოსთვის, თბილისი, 2017, 44-46

²⁴ როგორ შევწყვიტოთ საქართველოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არაკონსტიტუციური გამოყენება, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გამლიერების პროექტი, თბილისი, 2013, 2

²⁵ ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 2009, 394

²⁶ ავტორთა კოლექტივი, ქართული სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2000, 62

- მართლზომიერი ქცევა შეიძლება ჩაითვალოს ასეთად და გამოიწვიოს მოსალოდნელი იურიდიული შედეგები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ქცევა ჩადენილია შეგნებულად ქმედუნარიანი პირის მიერ;
- მართლზომიერი ქცევა დაცულია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ შესაბამისი იურიდიული საშუალებების გამოყენების გზით.

ამიტომაც, მართლზომიერი ქცევა - სამართლის სუბიექტის საქმიანობის გაცნობიერებული და ტიპიური ფორმაა, რომელიც შეესაბამება იურიდიული ნორმების მითითებებს. ის მითითებულია სახელმწიფოს მიერ, რამეთუ ის პასუხობს საზოგადოების ინტერესებს. არსებითად, მართლზომიერი ქცევა ნიშნავს პირის ინდივიდუალური ნების დაქვემდებარებას საერთო ნებაზე. სწორედ ამ დაქვემდებარებაში იძენს პირი ნამდვილ თავისუფლებას, რამეთუ ადამიანი ფიქრობს, რომ ის მოქმედებს თანაზომიერად და არა თვითნებურად, ამასობაში კი, სწორედ თვითნებობაშია ჩადებული მისი არათავისუფლების მიზეზი²⁷ ეს კი გამომდინარეობს იქიდან, რომ თავისუფლება შემეცნებული ან გაცნობიერებული აუცილებლობაა.²⁸

შესაბამისად, მართლზომიერი ქცევის მთავარი თავისებურებაა სამართლებრივი დანაწესების მკაცრი და განუყრელი შესრულება.²⁹ მართლზომიერი ქცევა, მისი მოტივაციის მიხედვით, იყოფა რამდენიმე სახეობად:³⁰

- ჩვეულებრივი მართლზომიერი ქცევა (არ არის დაკავშირებული ჩვეულებრივი საყოველღეო ხარჯების გადაჭარბებასთან);
- პასიური მართლზომიერი ქცევა (ვლინდება იმ შემთხვევებში, როდესაც მოქალაქენი განზრახ არ იყენებენ დაახლოებით თანაბარ უფლებებსა და თავისუფლებებს);
- აქტიური მართლზომიერი ქცევა (მოქალაქეთა თანამდებობრივ პირთა მიზანმიმართული, ინიციატივიანი, კანონიერი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია დროის, ენერჯის, მატერიალური საშუალებების დამატებით ხარჯებთან);
- კონფორმისტული ქცევა (შეესაბამება სოციალურ ჯგუფში მიღებულ სტილს), პიროვნების მიერ სამართლის ნორმების პასიური დაცვა;
- მარგინალური ქცევა (ვლინდება როგორც ადამიანთა გარეგნულად მართლზომიერი ქცევა, რომლებიც შინაგანად არ ეთანხმებიან სამართლის ნორმების მოთხოვნებს).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ, ობიექტური მხრივ, მართლზომიერი ქცევა გამოიხატება პირის აქტიური მოქმედებით ან/და უმოქმედობით, ხოლო, რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს, იგი გამოიხატება სამართლის ნორმისადმი პიროვნების დამოკიდებულებით. აღსანიშნავია, რომ მართლზომიერი ქცევის კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა ნიშნით, მათ შორის, გარეგანი გამოხატვის ფორმის, სუბიექტების, იურიდიული შედეგების მიხედვით და სხვ.³¹

²⁷ ჰეგელი, სამართლის ფილოსოფია, 1990, 81

²⁸ თეხელიშვილი ს., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2008, 643

²⁹ ალფაიძე თ., სამართალმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2015, 351

³⁰ ივანოვი ა.ა., დარბაიძე ნ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 2009, 142

³¹ ფაფიაშვილი შ., გაბისონია ი., გაბელია ჯ., სამართალმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2019, 142

ამგვარად, სამართლებრივი შეგნება, როგორც სამართალშემოქმედებისა და სამართალრეალიზებული საქმიანობის ორგანული შემადგენელი ნაწილი, ასრულებს სამართლებრივი ნორმების ფუნქციონირების ეფექტიანობის მექანიზმისა და პირობების როლს.³²

მართლწესრიგის დაცვა არის ნებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი ფუნქცია, რომელიც საზოგადოების მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს. დემოკრატიულ სახელმწიფოში პირველ პლანზე წამოწეულია მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რის გარეშეც ჭეშმარიტი მართლწესრიგი შეუძლებელია, ამიტომ, ეს ფუნქცია მოდიფიცირდება მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში.³³

პროფესორი ჰაიეკი, „მართლწესრიგის“ ერთ-ერთი გამოჩენილი თეორეტიკოსი, ამ ცნების ოთხ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას ითვალისწინებს, კერძოდ, პროფესორ ჰაიეკის მიხედვით, კანონის საყოველთაობა, თანასწორობა და განსაზღვრულობა, ასევე ადმინისტრაციული დისკრეციის ფაქტი იძულებისას (ანუ პიროვნების უფლების ან კერძო პირის საკუთრების ხელყოფისას) ყოველთვის უნდა განიხილებოდეს დამოუკიდებელი მოსამართლეების მიერ და „საქმის არსს, იმ გადაწყვეტ მიჯნას წარმოადგენდეს, რომელზეც არის დამოკიდებული, დამყარდება თუ არა მართლწესრიგი“.³⁴

როცა მიმოვიხილავთ, თუ რას გულისხმობს მართლწესრიგი ქცევა ისიც უნდა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს სამართალდარღვევა, იგივე არამართლწესრიგი ქცევა. თავის მხრივ, სამართალდარღვევა სამართლის თანმდევი მოვლენაა და ორგანულად დაკავშირებულია მასთან. სამართლის გარეშე სამართალდარღვევა არც არსებობდა და არც იარსებებს. სამართალდარღვევა პიროვნების მიერ სამართლის ნორმების უგულვებელყოფა, მისი მოთხოვნებისა და დანაწესების შეუსრულებლობაა.³⁵ სამართალდარღვევად მიიჩნევა მხოლოდ მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც იწვევს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ შედეგს, ზიანს აყენებს სუბიექტის ინტერესებს ან უქმნის მას რეალურ საფრთხეს.³⁶

უმჯობესია უფრო დეტალურად განვიხილოთ ზოგადად სამართალდარღვევის ცნება და სახეები. სამართალდარღვევა სხვა არა არის რა, თუ არა მოქმედი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობა, ანუ პირის მართლწესრიგის დარღვევა. მაგრამ ყველა მართლწესრიგის დარღვევა ქცევა კი არაა სამართალდარღვევად მიჩნეული, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის დროსაც მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწესრიგის დარღვევა ხასიათი, მოქმედებდა განზრახ ან გაუფრთხილებლად და შეეძლო

³²ამინოვი ი.ი., იურიდიული ფსიქოლოგია, თბილისი, 2008, 77

³³ლობჯანიძე გ., სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 2022, 112

³⁴ლეონი ბ., თავისუფლება და კანონი, თბილისი, 2015, 125-126

³⁵ალფაიძე თ., სამართალმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2015, 356

³⁶ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2009, 399

ანგარიში გაეწია თავისი ქმედებისათვის.³⁷ შესაბამისად, სამართალდარღვევა ისეთი ქცევაა, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმის დანაწესებს.³⁸

მართლსაწინააღმდეგო არის პირის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება მართლწესრიგს. მართლწინააღმდეგობის ცნება სამართლის ყველა სფეროში ერთმნიშვნელოვნად არის გაგებული. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები გამორიცხავენ ქმედების უმართლობას (ქმედების მართლწინააღმდეგობას) სამართლის ყველა დარგში.³⁹

განვმარტოთ ეს განსაზღვრება:

სამართალი არის იმ ქცევის ზოგადი წესების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს მისი მონაწილეების უფლებების აღიარებისა და მათი შესაბამისი მოვალეობების განსაზღვრის გზით და რომელთა განხორციელება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულების გამოყენების შესაძლებლობით. საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილის უფლება ნიშნავს იმას, რომ სამართლის ნორმის ფარგლებში მას აქვს თავისუფლება თვითონ იმოქმედოს ან მოსთხოვოს მოვალე პირს სამართლის ნორმით განსაზღვრული მოქმედების შესრულება.⁴⁰

რაც შეეხება სამართალდარღვევის შემადგენლობას -ეს არის ობიექტური და სუბიექტური ნიშან-თვისებების სავალდებულო ერთობლიობა, რომელიც აუცილებელი და საკმარისია მოცემული ქმედების სამართალდარღვევად აღიარებისათვის.⁴¹ ანუ იგი მოიცავს ოთხ ძირითად ელემენტს: სუბიექტს, ობიექტს, სუბიექტურ და ობიექტურ მხარეს.

სამართალდარღვევის ობიექტი - ეს არის სამართლით რეგულირებული და დაცული ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთაც სამართალდარღვევით მიაყენეს ნამდვილი ან შესაძლებელი ზარალი.

სამართალდარღვევის ობიექტური მხარე - ეს არის სამართალსაწინააღმდეგო ქმედების გარეგნული გამოვლენა, რაც გამოიხატება მოქმედებით ან უმოქმედობით, ანუ პირის პასიური ან აქტიური ქცევით.⁴²

სამართალდარღვევის შემადგენლობის მომდევნო ელემენტია სამართალდარღვევის სუბიექტი - სამართალქმედუნარიანი და დელიქტუნარიანი პირი, რომელმაც ჩაიდინა სამართალ-საწინააღმდეგო ქმედება-სამართალდარღვევა.

სამართალდარღვევის სუბიექტური მხარე-ეს არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი სამართალდარღვევისადმი, რაც გამოიხატება მისი გამოვლენის ბრალით და ფორმით.

³⁷ ფაფიაშვილი შ., შესავალი იურიდიულ სპეციალობაში, თბილისი, 2006, 232

³⁸ ალფაიძე თ., სამართალმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2015, 356

³⁹ იურიდიული განმარტებითი ლექსიკონი. იხ. <http://gil.mylaw.ge/ka/term/941.html> [10.12.2022]

⁴⁰ სავანელი ბ., სამართლის თეორია, თბილისი, 1993, 134

⁴¹ ივანოვი ა.ა., დარბაიძე ნ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 2009, 145

⁴² ფაფიაშვილი შ., გაბისონია ი., გაბელია ჯ., სამართალმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2019, 144

რაც შეეხება სამართალდარღვევის სუბიექტურ მხარეს იგი გამოხატავს სამართალდარღვევის ჩამდენი პირის (ფსიქიკურ) დამოკიდებულებას სამართალდარღვევის ობიექტური მხარის კონკრეტული ნიშნებისადმი. ფაქტობრივად, სუბიექტური მხარის ნიშნების სამართალდარღვევის შინაარს ასახავენ. თავის მხრივ, ამ ნიშნების განზრახვა, გაუფრთხილებლობა, მოტივი და მიზანი, რომელიც შეიძლება გააჩნდეს სამართალდარღვევის ჩამდენ პირს.⁴³

საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შესაბამისად განასხვავებენ სამართალდარღვევის ორ ძირითად სახეს: დანაშაულსა და გადაცდომას.⁴⁴

დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს სამართლის სუბიექტის კონსტიტუციით აღიარებულ უფლებრივ სტატუსს.⁴⁵ მოქმედება არის ქცევა, რომელიც დაკავშირებულია სუბიექტის გარკვეულ საქმიანობასთან, მოძრაობასთან.⁴⁶

გადაცდომას რას შეეხება, იგი არის ისეთი სამართალდარღვევა, რომელსაც ახასიათებს საზოგადოებრივი საშიშროების უფრო ნაკლები ხარისხი, ვიდრე დანაშაულს. გადაცდომა ხელყოფს საზოგადოებაში არსებული მართლწესრიგის ცალკეულ მხარეებს. მათ მიეკუთვნება დისციპლინური, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი გადაცდომა.⁴⁷

გარე სამყარო ერთმნიშვნელოვნად ზუსტად არ განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებას. მას შეუძლია ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სხვადასხვაგვარად იმოქმედოს ან საერთოდ თავი შეიკავოს მოქმედებისაგან. ადამიანი თავისუფლად მონებე არსებაა, მაგრამ იგი ცხოვრობს საზოგადოებაში, რომელშიც მოქმედებენ ასეთივე თავისუფალი ნების მქონე პირები, რის გამოც ერთის ბუნებრივად თავისუფალი მოქმედება შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მეორე პირის ბუნებრივად თავისუფალ მოქმედებასთან, უფრო მეტი, ზიანი მიაყენოს მის ბუნებრივ უფლებებს. სწორედ ამიტომ არსებობს სამართალი, რომელიც ადამიანის მოქმედებათა ერთ რიგს ნებადართულად აცხადებს, ხოლო მეორეს კრძალავს. უკანასკნელ შემთხვევაში, ე.ი. მაშინ, როდესაც სამართალი სამართალდარღვევად აცხადებს გარკვეულ მოქმედებას, იგი ემყარება ადამიანის უნარს იმოქმედოს მრავალგვარად, მათ შორის თავი შეიკავოს იმ მოქმედებისაგან, რომელიც ხელყოფს სხვის ინტერესს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართალდარღვევა შეიძლება შეერაცხოს იმ პირს, რომელსაც უნარი შესწევს გააცნობიეროს მიზეზობრივი კავშირი თავის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამრიგად, სამართალდარღვევას ასაბუთებს თავისუფლება.⁴⁸

⁴³ გაბისონია ი., ბარამია თ., საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2021, 295

⁴⁴ ალფაიძე თ., სამართალმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2015, 359

⁴⁵ ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2009, 402

⁴⁶ კუჭუხიძე ა., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 2007, 191

⁴⁷ ფაფიაშვილი შ., გაბისონია ი., გაბელია ჯ., სამართალმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2019, 145

⁴⁸ სავანელი ბ., სამართლის თეორია, თბილისი, 1993, 137

2. სამართლებრივი კულტურა, მორალი და ზნეობა

სამართალი არის მართლწესრიგისა და სამართლიანობის ხელოვნება“ ამ სიტყვებით იწყება იურისპრუდენციის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაშრომი ⁴⁹სამართალმა ისე უნდა მოაწესრიგოს ადამიანთა ქცევა, რომ მოგება და ზარალი სამართლიანად განაწილდეს, საპირისპირო ინტერესები სამართლიანად ურთიერთშეჯერდეს, დასჯადი ქმედება სამართლიანად დაისაჯოს, მოკლედ საზოგადოებაში წარმოშობილი სამართლებრივი პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს. შესაბამისად, ჩნდება სამართლიანი სოციალური წესრიგის ფუნდამენტური კითხვები, მაგალითად: რა სამართლებრივი მოდელით შეიძლება კომპრომისების მიღწევა, ერთი მხრივ, ინდივიდის თავისუფალი განვითარების მოთხოვნილებებს, კერძო ინიციატივის შეძლებისდაგვარად დაუბრკოლებლად განხორციელებასა და საკუთრების თავისუფლად განკარგვას, ხოლო მეორე მხრივ, სოციალურად დაუცველი ადამიანების ინტერესების დაცვასა და სიკეთეთა თანაზომიერ განაწილებას შორის?⁵⁰ აუცილებელია ამ კითხვებზე პასუხები მოიძებნოს, თუმცა ამისთვის უნდა განვიხილოთ მორალის, სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურის ასპექტები.

ყველა სამართლისთვის საერთოა მისი დამცავი ხასიათი და ის მინიმალური პროპორცია, რომელიც არსებობს სამართალსა და ზნეობას შორის. სამართალი მიეკუთვნება ზნეობას, როგორც ნაწილი მთელს. სამართალი არის დამცავი ელემენტი, რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება კულტურულად, მით უფრო ფართოა სამართლის კულტურული ბაზისი. სამართალი არის ეთიკური მინიმუმი, იურიდიული ნორმები მოითხოვენ თავისი რეალიზაციისთვის მინიმალურ ზნეობრივ საქმიანობას და ზნეობრივ დამაბულობას საზოგადოების წევრებისგან. იერინგი ამატებს, სამართალი ეგოიზმის რელიგიაა. ეთიკური ნორმები სხვადასხვა საზოგადოებაში იცვლება, ამიტომაცაა, რომ სხვადასხვა ქვეყნებს საკუთარი განსხვავებული ნორმები აქვთ. ყველა სამართლისთვის საერთოა მისი დამცავი ხასიათი და ის მინიმალური პროპორცია, რაც არსებობს სამართალსა და ზნეობას შორის. სამართალს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ეთიკურობის მინიმუმი, ზნეობის ბოლო საფეხური მაინც.⁵¹

მნიშვნელოვანია, რომ ადამიანთა სამართლებრივი ურთიერთობისაგან უნდა განვასხვაოთ მათი სამართლებრივი იდეები, შეხედულებები, რომლებიც ახასიათებენ ადამიანთა დამოკიდებულებას მოცემული საზოგადოების სამართალთან, აგრეთვე მათ წარმოდგენებს კანონიერისა და არაკანონიერის, სავალდებულოსა და არასავალდებულოს შესახებ ადამიანების, სახელმწიფოების, ერების მიმართ.⁵²

სამართლის არსებობა განპირობებულია ნაწილობრივ აუცილებლობით, ნაწილობრივ ადამიანის თავისუფალი ნებით. ის არ არის ადამიანური ბუნების უბრალო პროდუქტი. მისი არსებობა გარდაუვალია, აუცილებელია. თავისი წარმოშობის მომენტიდან სამართალი ხდება ფაქტი, იგი დამოუკიდებელია ცალკეული ადამიანის ნებისა და შეხედულებებისაგან. სამართალი არ

⁴⁹ დიგესტები, რომაული სამოქალაქო სამართლის კრებული.

⁵⁰ ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, 2016,12

⁵¹ გოგიაშვილი გ., მართლმსაჯულების ხელოვნება, მეტრ ფრანსუა რაბლესი, თბილისი, 2021, 85

⁵² აფანასიევი ვ.გ., ფილოსოფიური ცოდნის საფუძვლები, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების მსმენელთათვის, საბჭოთა საქართველო, 1968, 402

წყვეტს სამართლად არსებობას, მხოლოდ იმიტომ, რომ ცალკეული ინდივიდი არ აღიარებს მას. ის სავალდებულო ძალას იძენს უმაღლესი ავტორიტეტისაგან. ის შეიძლება იყოს მორალური ან სამართლებრივი, მაგრამ ორივე ეს მხარე შესაძლოა ემთხვეოდეს ერთმანეთს. ამ შემთხვევაში სამართალი ხდება ხელოვნების პროდუქტი.

სამართალი ასრულებს ორ ამოცანას: ერთს უკანანო მოქმედების ჩადენამდე, მეორეს უკანონო მოქმედების ჩადენის შემდეგ. პირველ შემთხვევაში მისი მოქმედება ძალიან ფართოა, უსასრულოც, რაც არანაირ სტატისტიკას არ ექვემდებარება, მეორე შემთხვევაში კი მისი სფერო სამართალურთიერთობის მხარეებამდე ვიწროვდება. რასაც მოწმობს ტაციტის ციტატა, რომ ყველაზე ცუდ სახელმწიფოში ყველაზე მეტი კანონები სადავოა, ადამიანის უკიდურესი წესიერებისასაც კი სამართალი საჭირო და აუცილებელია.⁵³

ადამიანთა ქცევასა და ურთიერთობას სამართალთან ერთად აწესრიგებს და წარმართავს ზნეობრივი და სხვა სოციალური ნორმები, რომელთა დაცვა და შესრულება სახელმწიფოებრივი იძულებით კი არ არის უზრუნველყოფილი, არამედ თვითონ ადამიანთა სინდისით და შინაგანი რწმენით, საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით.⁵⁴

უნდა დავასკვნათ რომ მორალი, ანუ ზნეობა არის საზოგადოებაში ადამიანთა ქცევის ნორმების, წესების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს მათ წარმოდგენებს სამართლიანობასა და უსამართლობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, პატიოსნებასა და უპატიოსნობაზე და ა.შ. სამართლებრივი ნორმებისაგან განსხვავებით მორალის ნორმები და წესები არ არიან ჩაწერილი კანონებში, არამედ საზოგადოებრივი აზრის, ჩვეულებების და აღზრდის ძალას, ადამიანის შინაგან მოტივებს ემყარებიან, ისინი განსაზღვრავენ ადამიანის დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი, სხვა ქვეყნების ხალხებისადმი, ოჯახებისადმი და სხვა ადამიანებისადმი. ამიტომაც, მორალი ჩამოყალიბდა ადამიანთა საზოგადოების წარმოშობასთან ერთად. საზოგადოება ხომ ყოველთვის უყენებს თავის წევრს გარკვეულ მოთხოვნებს, რომლებიც სწორედ მორალის ნორმებში გამოიხატებიან. ეს ნორმები მარადიული არ არის. ისინი იცვლებიან საზოგადოების განვითარების შესაბამისად. როგორც ზედნაშენის ერთ-ერთი ელემენტი, მორალი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეზე ახდენს ზემოქმედებას. შრომისა და საკუთრებისადმი ადამიანთა დამოკიდებულების გზით იგი გავლენას ახდენს ეკონომიკაზე.

⁵⁵

ზნეობა არის ხალხის, ადამიანთა ჯგუფების მიერ საუკუნეების მანძილზე შემუშავებული შეხედულებები და წარმოდგენები სულიერი ცხოვრების ისეთ ფაქტებსა და მოვლენებზე, როგორცაა: სიკეთე, ბოროტება, სამართლიანობა, უსამართლობა, ღირსება, ვერაგობა და ა.შ. ამ კატეგორიებს სამართალიც ხშირად მიმართავს და იყენებს სამართლებრივი ნორმების შექმნისა და განხორციელებისას.

⁵³ გოგიაშვილი გ., მართლმსაჯულების ხელოვნება, მეტრ ფრანსუა რაბლესი, თბილისი, 2021, 85

⁵⁴ უშანაშვილი ალ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, დამხმარე სახელმძღვანელო, ორიონი, თბილისი, 2000, 18

⁵⁵ აფანასიევი ვ.გ., ფილოსოფიური ცოდნის საფუძვლები, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების მსმენელთათვის, საბჭოთა საქართველო, 1968, 404

რაც უფრო ახლოა ან სულაც ემთხვევა სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების მოთხოვნები, მით უკეთესი პირობები იქმნება მართლზომიერი ქცევისათვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის. სახელმწიფოს მიერ დადგენილი იძულებითი ხასიათის ღონისძიება, რომელსაც ზნეობა, საზოგადოებრივი აზრი იწონებს ხელს სამართალდარღვევას, უფრო მეტად უწყობს ხელს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას, კანონის რიდითა და პატივისცემით ადამიანთა აღზრდას. თავის მხრივ, სამართალი, სამართლებრივი ნორმების განუხრელი დაცვა და განხორციელება ხელს უწყობს ზნეობრივი ნორმების განმტკიცებას, დრო მოჭმული შეხედულებებისა და დოგმების აღმოფხვრას.⁵⁶

სამართლის ფუნდამენტურ ფუნქციას, სამართლიანად გადაწყვიტოს პრობლემები შეესაბამება ის, რომ ინტერპრეტაციას კონკრეტული არგუმენტების არჩევანი და წონალობა სამართლიანობის საფუძველზე განხორციელდეს. მაშასადამე, იმ არგუმენტებს ენიჭებათ უპირატესობა, რომელთაც კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიან შედეგამდე მივყავართ.⁵⁷

რაც შეეხება მართლშეგნებას, იგი საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი და საფუძველია. იგი წარმოიშვა სახელმწიფოსა და სამართალთან ერთად და მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკასთან, მორალთან, ხელოვნებასთან, რელიგიასთან, ფილოსოფიასთან.⁵⁸ მართლშეგნება მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლებრივ კულტურასთან. ფართო თვალსაზრისით, კულტურის ქვეშ იგულისხმება ყველაფერი, რაც შექმნილია კაცობრიობის მიერ გონებრივი და ფიზიკური შრომის შედეგად. ვიწრო გაგებით, კულტურის ქვეშ იგულისხმება იდეურ-ზნეობრივი მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება იდეოლოგიაში, ყოფიერებაში, განათლებასა და აღზრდაში, მეცნიერების, ხელოვნების ლიტერატურის ნორმატიული რეგულირების მიღწევაში. საერთო საკაცობრიო კულტურის ნაწილს წარმოადგენს სამართლებრივი კულტურა, რომელიც მოიაზრება ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო აზრით, სამართლებრივ კულტურაში იგულისხმება ის, რაც შექმნილია კაცობრიობის მიერ სამართლის სფეროში: სამართალი, სამართლებრივი მეცნიერება. მართლშეგნება, იურიდიული პრაქტიკა. ვიწრო გაგებით, სამართლებრივი კულტურა - ეს არის ცოდნა სამართლის შესახებ, საზოგადოების წევრების პატივისცემლური დამოკიდებულება სამართლისადმი, იმის უნარი, რომ ისარგებლონ მოქმედი კანონმდებლობით. თუ მოქალაქეებს არა აქვთ სათანადო ცოდნა სამართლებრივ სისტემაზე, მათ არა აქვთ შესაძლებლობა, განხორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი, დაიცვან თავიანთი ინტერესები. განსაკუთრებული მოუთმენელია ის გარემოება, როდესაც იურიდიულად გაუნათლებელია პირი, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას, უჭირავს ხელმძღვანელი პოსტი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, ეწევა სამართალდაცვით საქმიანობას.⁵⁹

სამართლებრივი კულტურა და სამართლებრივი აღზრდა საზოგადოებრივი პროგრესის მნიშვნელოვანი გარანტიაა. რაც უფრო მაღალია სამართლებრივი კულტურის დონე, მით უფრო

⁵⁶ შუმანაშვილი ალ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძველები, დამხმარე სახელმძღვანელო, ორიონი, თბილისი, 2000, 18

⁵⁷ ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, 2016, 71

⁵⁸ ალფაიძე თ., სამართალმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2015, 259

⁵⁹ ალფაიძე თ., სამართალმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2015., 264-265

ჰარმონიულად ვითარდება საზოგადოება, უფრო მეტადაა დაცული მოქალაქეთა უფლებები. სამართლებრივი კულტურის ამაღლების საფუძველია სამართლებრივი აღზრდა, რაც ორგანულად არის დაკავშირებული სამართლებრივ სწავლებასთან.⁶⁰

რაც შეეხება სამართლებრივ კულტურას, იგი წარმოადგენს რთულ, მრავალმხრივ მოვლენას, რომელიც გულისხმობს მართლშეგნების განსაზღვრულ დონეს, ე.ი. სამართლებრივი სინამდვილის გააზრებულ აღქმას. იგი გულისხმობს:

- საერთო კულტურულ წინამძღვრებს, ცივილიზაციის დონეს, ეროვნულ ფესვებს, ისტორიულ მემკვიდრეობას, ჩვეულებებსა და ტრადიციებს;
- მოსახლეობის მიერ ნორმებისა და მისი ავტორიტეტისადმი პატივისცემის მაღალ დონეს;
- სამართალშემოქმედებისა და სამართლის რეალიზაციის მაღალ ხარისხს;
- სამართლებრივი საქმიანობის, საკანონმდებლო, სამართალდამცავი, მმართველობითი და სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ეფექტურ საშუალებებს;
- თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების კანონმორჩილებას.⁶¹

სამართლებრივი კულტურის მაღალი დონე კანონის უზენაესობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია. მოქალაქეთა საზოგადოებრივი აქტივობის დონე, მათი უშუალო მონაწილეობა სახელმწიფო საქმიანობაში, კონტროლი მის საქმიანობაზე, მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა სახელმწიფოში მოვლენებზე, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ჩამოყალიბება დამოკიდებულია სამართლებრივი კულტურის დონეზე.⁶²

სამართლებრივი კულტურის მაღალი დონე გულისხმობს ადამიანთა ფაქტიურ სამართლებრივ ქცევას, სამართალსა და სამართლებრივი მოვლენებისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას, სამართლისა და მართლწესრიგის სოციალური მნიშვნელობის გაცნობიერებას, მართლზომიერი ქცევის ჩვევად და სამოქალაქო-სამართლებრივ აქტივობას. საამისოდ გამოიყენება სხვადასხვა საშუალებანი: ლიტერატურა, ხელოვნება, ეკლესია, სკოლა, პრესა, რადიო ტელევიზია, სპეციალური იურიდიული სასწავლებლები.

სამართლებრივი კულტურის ანტიპოდს წარმოადგენს სამართლებრივი ნიჰილიზმი, ე.ი. სამართლისადმი, კანონისადმი, სამართლებრივი ფორმებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. სამართლებრივი ნიჰილიზმი შეიძლება გამოვლინდეს ორი სახესხვაობით: პირველი არის თეორიული, დასაბუთებული სამართლებრივი ნიჰილიზმი, როცა სწავლულები, ფილოსოფოსები, პოლიტოლოგები ამტკიცებენ, რომ საზოგადოებაში გაცილებით მნიშვნელოვანი ღირებულებანი, ვიდრე სამართალია. მეორე შემთხვევაში ხდება აღნიშნული შეხედულებათა რეალიზაცია პრაქტიკაში, რაც ხშირად ვლინდება სახელმწიფოს ტერორში საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ამის შედეგია მმართველი ელიტის გადაზრდა დანაშაულებრივ კლანებში.⁶³

⁶⁰ ფაფიაშვილი შ., გაბისონია ი., გაბელია ჯ., სამართალმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2019, 30

⁶¹ ალფაიძე თ., სამართალმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2015, 265

⁶² Nadira M., The role of legal culture in the development of modern society, Eurasian Journal of Humanities and Social Sciences, Volume 5 | February, 2022, 14

⁶³ ალფაიძე თ., სამართალმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2015., 267

სოციოლოგი პიტომირ სორკონი მიიჩნევდა, რომ სამართლებრივი კულტურა საერთო სისტემის შემადგენელი ნაწილია, რადგანაც სისტემაში შემავალი დარგები (რელიგია, მეცნიერება, პოლიტიკა, ეკონომიკა და ა.შ.) ავლენენ სპეციფიკურ კანონზომიერ კავშირს, რაც გულისხმობს სოციალური, სულიერი, პოლიტიკური და ეკონომიკური წყობით განპირობებული საზოგადოებრივი ცხოვრების თვისობრივ მდგომარეობას, რომელიც სამართლებრივი მიღწევების, იურიდიული აქტების, სამართლებრივი ცნობიერების და მთლიანად სუბიექტის ადამიანის, სხვადასხვა ჯგუფების, მთელი მოსახლეობის სამართლებრივი განვითარების მიღწევის, აგრეთვე, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიის დონით გამოიხატება.⁶⁴

სამართლებრივი კულტურა აღწერს სამართლის აქსიოლოგიურ მხარეს, მის ღირებულებას: კანონმდებლობის განვითარების დონეს, სამართლებრივი პრაქტიკის პროგრესულობას, ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის სამართლებრივი კომუნიკაციის კულტურას, ლეგიტიმურობის დონეს, გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების მდგომარეობას და ა.შ.

სამართლებრივი კულტურის შემდეგი ელემენტებია ქვეყანაში კანონის რეალური მდგომარეობა. სისხლის სამართლის მდგომარეობა კანონის უზენაესობის დამახასიათებელი ნიშანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთავარი სამართალდარღვევის მდგომარეობაა, როდესაც ჩადენილია დანაშაული და დამნაშავე ისჯება, კანონის უზენაესობა ჭარბობს და კანონის უზენაესობა აღდგება. მაგრამ თუ ვინმე უსამართლოდ ისჯება, ლეგიტიმაცია იკარგება, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, უდანაშაულო არ უნდა დაისაჯოს. სამართლებრივი კულტურის დასავლური მოდელი ხასიათდება იმით, რომ ძირითადი ღირებულება აღიარებულია, როგორც ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.⁶⁵

სამართლებრივი კულტურა - ეს არის საზოგადოების განვითარების ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სულიერი დონით განპირობებული ზოგადი კულტურის სახესხვაობა,⁶⁶ რომელიც კაცობრიობის მიერ დაგროვილი სამართლებრივი ფასეულობების ათვისებისა და გამოყენების საზომია, ამიტომაც იგი თაობიდან თაობას მემკვიდრეობის წესით გადაეცემა.⁶⁷

ამავე დროს, საგულისხმოა, რომ სამართლებრივი კულტურის აუცილებელი შემადგენელი ელემენტებია მართლშეგნება და სამართლებრივი იდეოლოგია. ეს უფრო ფართო ცნებაა, რომელიც, მათ გარდა, ასახავს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სამართლებრივი ცხოვრების ყველა მხარეს: სამართალშემოქმედებისა და კანონიერების დონეს, ნორმატიული აქტის რეალიზაციასა და ადამიანთა უფლებების დაცვას. ხოლო თვით პიროვნების, ცალკეული

⁶⁴ ამინოვი ი.ი., იურიდიული ფსიქოლოგია, თბილისი, 2008, 66

⁶⁵ Nadira M., The role of legal culture in the development of modern society, Eurasian Journal of Humanities and Social Sciences, Volume 5 | February, 2022, 15

⁶⁶ ამინოვი ი.ი., იურიდიული ფსიქოლოგია, თბილისი, 2008, 66

⁶⁷ ფაფიაშვილი შ., გაბისონია ი., გაბელია ჯ., სამართალმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2019, 31

მოქალაქის სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელია მის მიერ კანონების ცოდნა და მათი შესრულება.⁶⁸

ცალკე გამოყოფენ, საგადასახადო კულტურას, რომელიც საგადასახადო მორალისა და საგადასახადო დისციპლინის კომპონენტია და მიზნად ისახავს ურთიერთობების მაღალ სტანდარტს გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის.⁶⁹

3. საგადასახადო სანქცია და ადმინისტრაციული სახდელი

საგადასახადო სამართლის ნორმების დაცვა და შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების ღონისძიებებით. საგადასახადო პასუხისმგებლობა თავის გამოხატულებას სამართლის ნორმის შესაბამის ნაწილში პოულობს, რომელსაც სანქცია ეწოდება.⁷⁰

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის თანახმად: „საგადასახადო სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის“⁷¹. უნდა აღინიშნოს, ისიც რომ „ერთი და იმავე საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს არ შეიძლება დაეკისროს სხვადასხვა პასუხისმგებლობა ან განმეორებით დაეკისროს პასუხისმგებლობა“.⁷² ასევე, „რამდენიმე საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო სანქცია გამოიყენება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე. ამასთანავე, უფრო მკაცრი სანქცია არ შთანთქმავს ნაკლებად მკაცრ სანქციას“⁷³.

საგადასახადო სანქცია, როგორც საგადასახადო პასუხისმგებლობის ზომა, შეესაბამება იურიდიული სანქციის ნიშნებს, კერძოდ:

- საგადასახადო სანქცია საგადასახადო-სამართლებრივი ნორმის ელემენტია, ამიტომ ჯარიმა არსებობს საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის მიუხედავად;
- საგადასახადო სანქციის გამოყენებისათვის ერთადერთ კანონიერ საფუძველს პირის მიერ საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენა წარმოადგენს;
- საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში საგადასახადო სანქცია გამოიყენება უდავო წესით;
- საგადასახადო სანქციის გამოყენება არ ათავისუფლებს პირს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევამდე არსებული საგადასახადო ვალდებულების შესრულებისაგან;
- საგადასახადო სანქცია თავისი შინაარსით სამართალდამრღვევი პირის უფლებების აკრძალვაში და შეზღუდვაში გამოიხატება.⁷⁴

⁶⁸ ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2011, 65

⁶⁹Nerre B., Tax Culture: A Basic Concept for Tax Politics, ECONOMIC ANALYSIS & POLICY, VOL. 38 NO. 1, MARCH 2008, 154

⁷⁰ როგავა ზ., საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი მეორე, თბილისი, 2017, 150

⁷¹საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 17/09/2010, მუხლი 270, პირველი ნაწილი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=175> [29.11.2022]

⁷² იქვე: მუხლი 270, მესამე ნაწილი

⁷³ იქვე: მუხლი 270, მეოთხე ნაწილი

⁷⁴ როგავა ზ., საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო წიგნი მეორე, თბილისი, 2017, 151

ამასთან, საგადასახადო სანქცია გამოიყენება გაფრთხილების, საურავის, ფულადი ჯარიმის, სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის სახით, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში⁷⁵

რაც შეეხება ჯარიმას, როგორც საგადასახადო პასუხისმგებლობის ზომა, არის ფულადი გადასახდელი. საქართველოს საგადასახადო კოდექსით სპეციალური ნორმებით გათვალისწინებული ფულადი ჯარიმები განსხვავდება ერთმანეთისაგან გამოანგარიშების წესით. ცალკეულ შემთხვევებში საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს ფულადი ჯარიმის მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვარს. მაგალითად, საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევა იწვევს პირის დაჯარიმებას ამ დეკლარაციის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 5 პროცენტის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ სრულ ან არასრულ თვეზე, მაგრამ არა ნაკლებ 50 ლარისა და არა უმეტეს გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 30 პროცენტისა.⁷⁶ ჯარიმის იურიდიული ბუნება არის ის რომ განეკუთვნება სახელმწიფოს კუთვნილ თანხას და სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით მისთვის მინიჭებული იძულებითი გადახდევინების მეთოდებით ჯარიმის თანხის მობილიზებას ბიუჯეტში, როგორც გამოანგარიშებადი, ასევე მყარი ჯარიმის.⁷⁷

რაც შეეხება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ამ მხრივ, მხედველობაშია მისაღები ასკ-ის 23-ე მუხლი, რომელიც ადგენს ადმინისტრაციული სახდელის მიზნებს და რომლის თანახმად, იგი გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით. ამრიგად, სახდელის მიზანს წარმოადგენს სამართალდამრღვევის არა იმდენად დასჯა, არამედ, მისი აღზრდა, რესოციალიზაცია და ამ გზით სამართალდარღვევათა შემდგომი პრევენცია.⁷⁸

აღიარებულია, რომ სასჯელის ზომის კონკრეტიზაციისთვის და უსამართლობის ხარისხის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია იმ სამართლებრივი სიკეთის ღირებულება, რომელიც დაზიანდა ან რომელსაც საფრთხე შეექმნა. საყრდენი წერტილი, რასაც სასჯელის ზომის განსაზღვრა ეფუძნება, არის ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი, რომელიც სამართლებრივ სიკეთეზე ზემოქმედებაში გამოიხატება.⁷⁹ იგივე მოთხოვნები ვრცელდება სახდელის დაკისრების დროსაც.

საკონსტიტუციო სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ მიუთითებს „საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში დაინახავს პირის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებასთან ადმინისტრაციული სახდელის მიმართებას, თუ ეს უკანასკნელი კანონმდებლის მიზნის

⁷⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 17/09/2010, მუხლი 270, მეორე ნაწილი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=175> [29.11.2022]

⁷⁶ იქვე, მუხლი 274

⁷⁷ გაბისონია ი., ბარამია თ., საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2021, 297

⁷⁸ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 15/12/1984, 23-ე მუხლი. იხ. <https://matsne.gov.ge/document/view/28216?publication=511> [29.11.2022]

⁷⁹ ცქიტიშვილი თ., სასჯელი და მისი შეფარდება, თბილისი, 2019, 169

მიღწევისა და კონსტიტუციური უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის აშკარად არაგონივრულ და არაპროპორციულ ზომას წარმოადგენს.⁸⁰ შესაბამისად, შემდეგი საკითხი, რომელიც უნდა გაირკვეს, არის ის, თუ რამდენად წარმოადგენს ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება, კანონმდებლის მიზნის მიღწევისა და კონსტიტუციური უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის გონივრულ და პროპორციულ ზომას.

საყურადღებოა, თუ როგორ აფასებს საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სახდელის შერჩევას, რომელსაც ვრცელი განმარტება მიუძღვნა და მიუთითა, რომ: „კანონით გადაცდომისთვის დადგენილი სახდელი ალტერნატივის არსებობა სწორედ ასეთ დასაბუთებას საჭიროებს. სახდელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, ოჯახური მდგომარეობის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია, ამასთან, მხედველობაში მისაღება მანამდე არსებული პრაქტიკა, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.“⁸¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციის თანახმად, „მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული სახდელის ზომის, მოცულობისა და სიმძიმის დადგენისას კანონმდებელი ფართო შეხედულებით სარგებლობს, მისი დისკრეციული უფლებამოსილება არ არის უსაზღვრო. კონკრეტული სახის ადმინისტრაციული სახდელის განსაზღვრისას კანონმდებელი ვალდებულია, მოქმედებდეს პროპორციულობის პრინციპის დაცვით. კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი არ უნდა იყოს აშკარად არაგონივრული და არაპროპორციული საშუალება კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის მიღწევისა და, შესაბამისად, არ უნდა იწვევდეს პირის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას.⁸² მართალია, კანონმდებლის ძალისხმევა ყოველთვის მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ მან ადეკვატურად მიუსადაგოს თითოეული ადმინისტრაციული სახდელი იმ ქმედებას, რაც არღვევს სხვათა უფლებებს და ზიანს აყენებს საზოგადოებას, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის ზომა შეფასების საგანი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება გახდეს ... საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში დაინახავს პირის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებასთან ადმინისტრაციული სახდელის მიმართებას, თუ

⁸⁰ კონსტიტუციური სარჩელი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2018 წლის 12 იანვარი. იხ. <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1547> [29.11.2022]

⁸¹ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე. იხ. <https://gba.ge/pdf/5db1483210a1b.pdf/077.16%2025.06.18%20shechereba.pdf> [29.11.2022]

⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის №4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მომრავა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები - ზვიად მიმიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები - დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშყარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8

ეს უკანასკნელი კანონმდებლის მიზნის მიღწევისა და კონსტიტუციური უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის აშკარად არაგონივრულ და არაპროპორციულ ზომას წარმოადგენს“.⁸³

საინტერესოა ის გარემოებები თუ რა იწვევს ჯარიმების ზრდას, საკითხავია ეს დამოკიდებულია საზოგადოების სამართლებრივი კულტურის არქონასთან თუ სხვადასხვა პოლიტიკურ აქტორებთან. სანიმუშოდ უნდა განვიხილოთ სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ, ადმინისტრაციული ჯარიმებით 89 მილიონი შევიდა ბიუჯეტში 11% მეტი ვიდრე 2021 წლის ბიუჯეტში, ხოლო საგადასახადო სანქციებით: საურავითა და ჯარიმით 2022 წელს 7 თვის განმავლობაში 146 მილიონი შევიდა ბიუჯეტში, ხოლო 2021- წელს 111 მილიონი ლარი.⁸⁴ როგორც ვხედავთ, ჯარიმების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება და აღნიშნული ტენდენცია თვალშისაცემია.

დასკვნა

როგორც სტატიაში დავინახეთ, სამართლებრივი კულტურის ხარისხის დონე, მისი სრულყოფა ხელს უწყობს სამართლებრივი სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. სამართლებრივი კულტურის რეგულირება ხელს უწყობს საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტურობას, მიზნებისა და ამოცანების მიღწევას.

დასავლეთის გამოცდილების გათვალისწინებით, ევროკავშირთან შეთანხმების ფარგლებში საჭიროა საგადასახადო პოლიტიკის ჰარმონიზაცია. პირველ რიგში, საგადასახადო კულტურის განვითარებაა საჭირო, რაც საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რადგან ამის ბევრი ხელშემშლელი ფაქტორი არსებობს. მათ შორის პირველი ადგილი უკავია, მოსახლეობის უნდობლობას სახელმწიფო ორგანოებისა და მათი ფუნქციის მატარებელი თანამდებობის პირების მიმართ, რაც გასული საუკუნის 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ საქართველოში ხელისუფლების არასტაბილურობით იყო გამოწვეული და დღემდე გრძელდება.⁸⁵

მთავრობას შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც საგადასახადო სისტემისადმი და ზოგადად სამართალდარღვევების ჩადენისადმი საზოგადოების კულტურას შეცვლის.

ამ ნაბიჯებს შორის შეიძლება ჩამოვთვალოთ შემდეგი:

- **საზოგადოებისათვის იმის ჩვენება, თუ რაში გამოიყენება მათ მიერ გადახდილი გადასახადები;**
- **თავიდან იქნას აცილებული საგადასახადო აშინების ფაქტები, ვინაიდან გადასახადის გადამხდელებს აძლევს პროვოცირების საშუალებას სამომავლოდ არ გადაიხადონ გადასახადები.⁸⁶**

⁸³ .გაბისონია ი., ბარამია თ., აბაშიძე ა., სამართლიანობისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვა ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისას, ჟურნალი „თემიდა“, 14(16), 2022, 39

⁸⁴ საქართველოს სახელმწიფო ნაერთი ბიუჯეტი, 2021-2022წელი. იხ. <https://www.mof.ge/5355> [29.11.2022]

⁸⁵გაბისონია ი., საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, თბილისი, 2013, 7-8

⁸⁶ Alm J., Sjoquist D.L., Wallace S., Tax Collectibility and Tax Compliance in Georgia, FRC Report No. 133 September 2006, 14

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განხილვის დროს, მხარეების პოზიციები უნდა იყოს მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით და სრულიად მიუღებელია მხოლოდ პოლიციელის ჩვენების საფუძველზე კონკრეტული სახდელის დაკისრება;
- მნიშვნელოვანია რომ სახდელის დაკისრებისას იყოს დაცული ადამიანის უფლებები, მათ შორის საკუთრების უფლებაც;
- საგულისხმოა, რომ ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით, საგადასახადო კანონმდებლობით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ზოგადად აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობით გათვალისწინებული პრინციპები: საჯაროობა, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, თანასწორობა და სხვა პრინციპები უნდა ხორციელდებოდეს რეალურად და არ უნდა ატარებდეს ფორმალურ-დეკლარირებულ ხასიათს. ეს ტენდენცია 2004 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

ყველა ამ რეკომენდაციის გაზიარების შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და საგადასახადო კოდექსი გახდება ბევრად უფრო ჰუმანური და მორგებული ადამიანის უფლებების დაცვაზე.

გიბრალტარი პოსტ-ბრექსიტულ პერიოდში - სამართლებრივი და ეკონომიკური გამოწვევები

Gibraltar in Post-Brexit Period – Legal and Economic Challenges

რეზიუმე

2016 წლის 23 ივნისს გაერთიანებულ სამეფოში ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებმა სხვადასხვა გამოწვევებთან ერთად დღის წესრიგზე წამოწია გიბრალტართან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ გიბრალტარის სამართლებრივ სტატუსი, ეკონომიკური მდგომარეობა და მისი სუვერენიტეტთან არსებული სადაო საკითხები. რეფერენდუმის შედეგები გიბრალტარს ძალიან არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, რადგანაც ის იძულებულია ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩოში ახალი შეთანხმების შესახებ მოლაპარაკება დაიწყო. ავტორები დეტალურად და თანმიმდევრულად განიხილავენ იმ სამართლებრივ და ეკონომიკურ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დადგა გიბრალტარი. ნაშრომში გაანალიზებულია გიბრალტარის როგორც სამართლებრივი-პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ურთიერთობები გაერთიანებულ სამეფოსთან, ესპანეთთან და ევროკავშირთან, ასევე მოსალოდნელი ცვლილებები და ესპანეთისა და გაერთიანებული სამეფოს განსხვავებული პოზიციები საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით.

Abstract

The results of the referendum held in the United Kingdom on June 23, 2016 to leave the European Union, together with various challenges, highlighted issues related to Gibraltar, namely Gibraltar's legal status, economic situation and disputed issues related to its sovereignty. The results of the referendum put Gibraltar in a very disadvantageous position, as it is forced to negotiate a new agreement within the EU legal framework. The authors provide a detailed and coherent discussion of the legal and economic challenges facing Gibraltar. The paper analyzes both the legal, political and economic relations of Gibraltar with the United Kingdom, Spain and the European Union, as well as the expected changes and the different positions of Spain and the United Kingdom regarding the settlement of the issue.

შესავალი

გაერთიანებულ სამეფოსა და ესპანეთს შორის დავა გიბრალტარის ტერიტორიასთან დაკავშირებით საკმაოდ ხანგრძლივი დროისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია როგორც საერთაშორისო სამართალში, ასევე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. 2012-2016 წლების მწვავე კრიზისი, რომელმაც შეინარჩუნა დიდი ბრიტანეთისა და გიბრალტარისთვის აშკარად ხელსაყრელი სტატუს-კვო, მოულოდნელად შეიცვალა 2016 წლის 23 ივნისის რეფერენდუმის შემდეგ, რომელიც მხარს უჭერდა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას. ეს შედეგი მიუთითებს დავის არგუმენტების ცვლილებაზე, რადგან

* ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემირიტუს-პროფესორი. Doctor of Economic Sciences, Professor-Emeritus of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

* სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი. Ph.D. in Law, Professor of the Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University.

ის არღვევს კანონის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ საფუძველს, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენება გიბრალტარში 1973 წლიდან.⁸⁷

გაერთიანებულ სამეფოში 2016 წლის 23 ივნისს ჩატარდა რეფერენდუმი ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე, რომლის შედეგების თანახმად, გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობის 52%-მა მხარი დაუჭირა ევროკავშირიდან გასვლას. აღნიშნულ მოვლენას შეიძლება ჰქონდეს ისტორიული და ტრაგიკული შედეგი გიბრალტარისთვის, რადგან ის დაკავშირებულია როგორც გიბრალტარის სამართლებრივ სტატუსთან და მის ეკონომიკურ მაჩვენებლებთან, ასევე ტერიტორიაზე დავის გადაწყვეტის ესპანეთის პერსპექტივის ცვლილებასთან. ბრექსიტი არა მხოლოდ გზას უხსნის ახალ ევროპულ და საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოს, არამედ უქმნის შესაძლებლობას ესპანეთს ხელახლა განსაზღვროს თავისი ურთიერთობა გიბრალტართან, რაც ახალი მიდგომების შესაძლებლობას გულისხმობს. აღნიშნული გიბრალტარს ძალიან არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, რადგანაც იძულებულია ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩოში ახალი შეთანხმების შესახებ მოლაპარაკება დაიწყოს; უდავოა უდიდესი პრაქტიკული ყოველდღიური გამოყენების ჩარჩო, ორ სხვა საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოსთან ერთად, კერძოდ, უტრეხტის ხელშეკრულება და გაეროს „დოქტრინა“ გიბრალტარის დეკოლონიზაციის შესახებ.

გიბრალტარი ევროკავშირის შემადგენლობაში 1973 წლიდან შედიოდა, როგორც დიდი ბრიტანეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია. ევროკავშირის კანონმდებლობა კი ვრცელდება გიბრალტარზე, არა როგორც გაერთიანებული სამეფოს, როგორც წევრი სახელმწიფოს ტერიტორია, არამედ როგორც ევროპული ტერიტორია, რომლის საგარეო ურთიერთობებზე პასუხისმგებელია გაერთიანებული სამეფო.⁸⁸

გიბრალტარის სპეციფიკური პოზიცია ევროკავშირში 1972 წლის გაერთიანებული სამეფოს მიერთების ხელშეკრულებით იყო გამყარებული, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის სამართალი გამოიყენებოდა გიბრალტარში მნიშვნელოვანი თავისებურებებით, კერძოდ კი ევროკავშირის ხელშეკრულების გარკვეული ნაწილები გიბრალტარზე არ ვრცელდებოდა.⁸⁹ უფრო დეტალურად კი, გიბრალტარზე ზოგიერთი სფერო ევროკავშირის კანონმდებლობის იურისდიქციის მიღმა რჩებოდა:

- საბაჟო პოლიტიკა;
- საერთო კომერციული პოლიტიკა;
- საქონლის თავისუფალი გადაადგილების წესები;
- საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და მეთევზეობის საერთო პოლიტიკა;
- დღგ-ის დაკისრების ვალდებულება;
- შენგენის ზონის გავრცელება.⁹⁰

⁸⁷ Del Valle Galvez A., Gibraltar, the Brexit, the Symbolic Sovereignty and the Dispute, a Principality in the Straits? Cuadernos de Gibraltar, N1, issue N2, 2017, 69

⁸⁸ Treaty on European Union, Article 52.

⁸⁹ Valle Galvez A., Brexit Negotiations and Gibraltar: Time for a “Modus ViVendi”, Cuadernos de Gibraltar, N1, Issue N2, 2017, 19

⁹⁰ გიბრალტარის ტერიტორია არ იყო შენგენის ზონის ნაწილი, დიდი ბრიტანეთის შენგენის ხელშეკრულებებში არ მონაწილეობის გამო.

ამ გამონაკლისების გარდა, ევროკავშირის სამართალი სრულად გამოიყენებოდა გიბრალტარზე და მისი ეროვნული კანონმდებლობა სრულად უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში ევროკავშირის მოთხოვნებთან.

გიბრალტარის ევროპული სტატუსის გაუქმების, შეცვლის ან მოდიფიცირების უეცარი ვალდებულება არსებითად ცვლის თამაშის წესებს, რაც აშკარად ხელსაყრელ სიტუაციას ქმნის ესპანეთის ინტერესებისთვის როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში. 2016 წელი იყო „ნულოვანი წელი“ გიბრალტარისთვის⁹¹ და ამავდროულად, გარდამტეხი მომენტი გიბრალტარის ურთიერთობებში ესპანეთთან, დიდ ბრიტანეთთან და ევროკავშირთან.

1. უშედეგო მოლაპარაკებები 2013-2016 წლებში

მეზობელ ტერიტორიებს შორის კონფლიქტი წარმოიშვა 2013 წელს ხელოვნური რიფის კრიზისით და საზღვრის გამკაცრებული კონტროლით, რამაც გამოიწვია ევროკომისიის ჩარევა შუამავლობით და ევროკავშირის კანონის აღსრულებით.⁹²

ესპანეთის შეზღუდული სტრატეგიული ვარიანტების გათვალისწინებით, დავა სუვერენიტეტზე ჩიხში შევიდა, რაც განპირობებული იყოს სამართლებრივი პოზიციებისა და პოლიტიკური დიალოგის ერთმანეთთან შეუსაბამობით და გიბრალტარის მოსახლეობის უნდობლობით ესპანეთის მიმართ, რომელიც გაიზარდა 2006 წლის კორდობის შეთანხმებების გამო. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა გიბრალტარის აეროპორტის ხელშეკრულების გაუქმებას, 2014 წლიდან ევროპული ავიახაზების რეგულაციების შეჩერებასა და 2015 წელს გიბრალტარში სერვანტესის ინსტიტუტის დახურვას.⁹³ აღნიშნულმა მდგომარეობამ გაერთიანებული სამეფოს პოზიციები უფრო გაამყარა. გარდა ამისა, 2013 წლის კრიზისის შემდეგ, გაერთიანებულ სამეფოს უღირდა ესპანეთთან დავის გაგრძელება, რადგან შესაძლო ზიანი მისი სარგებლის პროპორციული იყო, კერძოდ, ის გიბრალტარის სრუტეში შეერთებული შტატების მხარდაჭერით აკონტროლებდა საზღვაო და საჰაერო ბაზებსა და სადაზვერვო ოპერაციებს.⁹⁴

2016 წლის ესპანეთის საყოველთაო არჩევნები გულისხმობდა ცვლილებებს ესპანეთის საგარეო პოლიტიკაში გიბრალტართან დაკავშირებით. 2016 წელი თავიდანვე მნიშვნელოვანი იყო ამ ისტორიული დავისთვის, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ესპანეთის საგარეო პოლიტიკაში 2015 წლის დეკემბრის და შემდეგ 2016 წლის ივნისის საყოველთაო არჩევნების გამო. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 22 დეკემბრამდე და 2016 წლის 26 ივნისის საყოველთაო არჩევნებზე პოლიტიკურმა პარტიებმა გიბრალტარის თემაზე განსხვავებული პოზიციები დაიკავა. ზოგიერთი პარტია მტკიცედ მიუბრუნდა აზნარ-ბლერის პერიოდში დაწყებული

⁹¹ Picardo F., Brexit would destroy Gibraltar – The Rock could finish itself excluded from the main trading bloc and at the mercy of Spain, Politico, 03/05/2015

⁹² Valle Galvez A., The Gibraltar crisis and the measures, options and strategies open to Spain, Cuadernos de Gibraltar, N1, 2015, 135-147

⁹³ Del Valle Galvez A., Spanish strategic options for Gibraltar, 300 years after the Treaty of Utrecht, Chapter in the Book “Britain, Spain and the Treaty of Utrecht 1713-2013”, ed. T.J. Dadson, J.H. Elliot, 8th Edition, Oxford, 2014, 115-128

⁹⁴ Del Valle Galvez A., Gibraltar, the Brexit, the Symbolic Sovereignty and the Dispute, a Principality in the Straits? Cuadernos de Gibraltar, N1, issue N2, 2017, 70

ერთობლივი სუვერენიტეტის შესახებ მოლაპარაკებების იდეას. მიუხედავად იმისა, რომ ამ კრიზისის პერიოდში დავაში ახალი ბანაკი ვერ ჩამოყალიბდა, გაჩნდა ახალი აქტორი, კერძოდ კამპო-დე გიბრალტარის ოლქი. ამ რეგიონს აქვს საკუთარი ინტერესები, რომელთაგან უპირველესი ლონდონში ან მადრიდში მიღებული საზიანო გადაწყვეტილებების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებაა.⁹⁵

2. გიბრალტარი და ბრექსიტი - ახალი საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს აუცილებლობა

ბრექსიტის შედეგად გამოწვეული მოლაპარაკებები და გაურკვევლობა ემსახურება გიბრალტარზე ესპანეთის პოზიციების განმტკიცებასა და გაერთიანებული სამეფოსა და გიბრალტარის პოზიციების შესუსტებას. დავის პარამეტრებმა რადიკალური ცვლილება განიცადა. გასათვალისწინებელია, რომ არსებობს დავის სამი ფუნდამენტური სამართლებრივი ჩარჩო:

- გაეროს დეკლარაციის დეკლარაცია;⁹⁶
- 1713 წლის უტრეხტის ორმხრივი ხელშეკრულება;⁹⁷
- ევროკავშირის სამართლებრივი ჩარჩო.

გაეროს პოზიცია რჩება უცვლელი, თუმცა, გიბრალტარის ერთადერთი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი, რომელიც აღიარებულია გაეროს და საერთაშორისო საზოგადოების მიერ, არის არათვითმმართველი ტერიტორია, რომელიც ელოდება დეკლარაციას. 1946 წელს გაერთიანებულმა სამეფომ დაარეგისტრირა გიბრალტარი როგორც „არათვითმმართველი ტერიტორია“. შემდეგ ეს ტერიტორია შეტანილი იქნა დეკლარაციის სპეციალური კომიტეტის (24-ე კომიტეტის) დეკლარაციის მომლოდინე ტერიტორიების სიაში. 1964 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად გაერო ამტკიცებს, რომ გიბრალტარი არის ტერიტორია, რომელიც ელოდება დეკლარაციას - პროცესი, რომელიც მოითხოვს ორმხრივ მოლაპარაკებებს დიდ ბრიტანეთსა და ესპანეთს შორის. ამ თვალსაზრისით, გაეროს მანდატი არის მოლაპარაკებების შენარჩუნება ესპანეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით. ამ კონტექსტში, გაეროს არასოდეს უღიარებია გიბრალტარის მოსახლეობა თვითგამორკვევის უფლების მქონე „ხალხად“.⁹⁸

უტრეხტის ორმხრივ ხელშეკრულებასთან მიმართებით, გიბრალტარის ერთადერთ საფრთხეს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან საბოლოო გასვლის შემდგომ, ესპანეთის მიერ საზღვრის ჩაკეტვა. უტრეხტის ხელშეკრულების მე-10 მუხლის თანახმად, „მიმდებარე ქვეყანასთან სახმელეთო კომუნიკაციის გარეშე“ საქონლის იმპორტი შეიძლება შეზღუდულ იქნას. აღნიშნული პუნქტი შეჩერებული იყო ევროკავშირის კანონმდებლობით, რომელიც ითვალისწინებს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას, თუმცა უტრეხტის ხელშეკრულების მე-10 პუნქტის ამოქმედება სრულიად ლეგიტიმურია ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის

⁹⁵ იქვე, 71-72

⁹⁶ Declaration on the Granting of independence to colonial countries and Peoples, 14/12/1960 იხ. <https://bit.ly/3c5fMsA> [25.07.2022]

⁹⁷ Treaty of Utrecht, 1713 იხ. <https://bit.ly/3wbBqSA> [25.07.2022]

⁹⁸ Santa Maria Paz A.S., Derecho de autodeterminacion del pueblo de Gibraltar? Chapter in the Book “Britain, Spain and the Treaty of Utrecht 1713-2013”, ed. T.J. Dadson, J.H. Elliot, 8th Edition, Oxford, 2014, 94.

შემდეგ, გარდა ამისა, ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლის ბოლო პუნქტი გაერთიანებული სამეფოს ინტერპრეტაციით ნიშნავს, რომ გიბრალტარი არ შეიძლება გახდეს დამოუკიდებელი ესპანეთის თანხმობის გარეშე, რაც ზღუდავს გიბრალტარის ვარიანტებს ევროკავშირთან ახალი ტიპის ურთიერთობების ძიებაში.⁹⁹

რაც შეეხება ევროკავშირის სამართლებრივ ჩარჩოს, გიბრალტარის ეკონომიკური, ინსტიტუციური და სამართლებრივი სტატუსის მთავარი სტრუქტურული ცვლილება გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლიდან გამომდინარეობს. სამართლებრივი თვალსაზრისით, ყველაფერი გრძელდება როგორც ევროკავშირიდან გასვლამდე, სანამ გიბრალტარის ახალი სტატუსი არ დადგინდება. თუმცა ამ გაურკვევლობამ საკანონმდებლო და ეკონომიკურ ცვლილებებთან ერთად შეიძლება დამანგრეველი გავლენა იქონიოს გიბრალტარის პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე; უფრო მეტიც, უკვე წამოიჭრა მრავალი პრობლემა ესპანელ მუშაკებსა და რეგიონის ეკონომიკასთან დაკავშირებით.¹⁰⁰

3. გიბრალტარი და ბრექსიტი - ეკონომიკური მდგრადობის ძირითადი გამოწვევები

დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლამ გამოიწვია მნიშვნელოვანი დებატები ევროკავშირის მომავალზე ყველა განზომილებაში. გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის ურთიერთობები არასოდეს ყოფილა მარტივი ევროპული გაერთიანებების დაწყებამდეც კი.¹⁰¹ ურთიერთობები განსაკუთრებით დაძაბული გახდა 1984 წლის ფონტენბლოს სამიტის შემდეგ, როდესაც მარგარეტ ტეტჩერმა განაცხადა მისი ცნობილი ფრაზა - „მე მინდა ჩემი ფული უკან“. სამიტი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ამ რთულ ურთიერთობებში, რადგან დაიწყო გრანტებისა და პრივილეგიების მინიჭება დიდი ბრიტანეთისთვის.

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას საკმაოდ დიდი გავლენა აქვს ადგილობრივ დონეზეც, უფრო კონკრეტულად იმ საზღვარზე, რომელიც ჰყოფს კამპო-დე-გიბრალტარს სხვა შვიდი მუნიციპალიტეტისგან. ამ რეგიონში 10000 საზღვრისპირა თანამშრომელია, რომელთა შემოსავალი გავლენას ახდენს მთელ ადგილობრივ ეკონომიკაზე და მისი არსებობა დამოკიდებულია საზღვარზე.¹⁰²

გიბრალტარისა და კამპო-დე-გიბრალტარის ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული. მათი გეოგრაფიული სიახლოვე შესაძლებელს ხდის მათ შორის წარმოების ფაქტორების გაცვლის დიდ მოცულობას: 2013 წელს რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 18,5% განპირობებული იყო ამ ორ ერთეულს შორის ურთიერთობით და ის ხასიათდება მზარდი მაჩვენებლით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.¹⁰³

⁹⁹ Del Valle Galvez A., Gibraltar, the Brexit, the Symbolic Sovereignty and the Dispute, a Principality in the Straits? Cuadernos de Gibraltar, N1, issue N2, 2017, 74

¹⁰⁰ Ministry of Foreign Affairs, Press Release 161, Interministerial Meeting on Gibraltar, 2016 ივ. <https://bit.ly/3T0XcCA> [15.07.2022]

¹⁰¹ De Miguel R., May y Carbon se imponen líneas rojas que alejan un consenso en torno al Brexit, 18.01.2019 ივ. <https://bit.ly/2Fy4vzc> [18.08.2022]

¹⁰² HM Government of Gibraltar, 2015 ივ. <https://bit.ly/3PxomOq> [18.08.2022]

¹⁰³ Fletcher J., Morakabati Y, Male K., An economic impact study and analysis of the economies of Gibraltar and the Campo de Gibraltar, 2015

ეკონომიკური ურთიერთობის ორი ტიპი გამოიკვეთა: საზღვრისპირა დასაქმება და საქონელბრუნვა. პირველი ეხება გიბრალტარში დასაქმებულ მუშახელს, რომლებიც ცხოვრობენ კამპოში, ხოლო მეორე ეხება ვაჭრობის მნიშვნელოვან მოცულობას (არა მხოლოდ საქონელს, არამედ მომსახურებას).¹⁰⁴

ტრანსსასაზღვრო დასაქმება წარმოადგენს კამპოს მთლიანი დასაქმების დაახლოებით 11%-ს და ის კონცენტრირებულია ძირითადად საბითუმო და საცალო სექტორებში, ასევე მშენებლობასა და სასტუმროს ინდუსტრიაში. რაც შეეხება საქონლის ტრანსსასაზღვრო გაცვლას, გიბრალტარის იმპორტი ესპანეთიდან კონცენტრირებულია სამშენებლო მასალებზე, საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე.¹⁰⁵

სექტორული ანალიზი გვიჩვენებს, რომ კამპოსა და გიბრალტარის ურთიერთობაში არსებობს სინერგია საზღვრისპირა დასაქმებასა და საქონლის გაცვლას შორის; სექტორებში, რომლებშიც ვაჭრობა უფრო დიდია, დასაქმებულია საზღვრისპირა მუშახელის მეტი რაოდენობა. ორივე ერთეულის ეკონომიკა ერთმანეთის განვითარებას უწყობს ხელს, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია აღნიშნული ნაკადის უზრუნველყოფა საზღვარზე დაბრკოლებების გარეშე.

ბრექსიტი ასევე იძლევა ეკონომიკური დოქტრინის გადახედვის შესაძლებლობას. ეკონომიკური თეორიების მიერ შესწავლილია სხვადასხვა ეკონომიკის დაახლოება, როგორც კუმულაციური და თანდათანობითი პროცესი, რომლებიც თანმიმდევრულად მოქმედებენ. ევროკავშირის შემთხვევაში, საწყისი წერტილი იყო საბაჟო კავშირი, რასაც მოჰყვა ერთიანი ბაზარი და საბოლოოდ ჯერ კიდევ არასრული მონეტარული და ეკონომიკური კავშირი.¹⁰⁶

ზოგადად, ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები იწყება „ნეგატიური“ ინტეგრაციით, რომელიც მოიცავს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის დაბრკოლებების აღმოფხვრას. აღნიშნული პროცესის პროგრესირება გამოიხატება „პოზიტიური“ ინტეგრაციით, რომელიც განისაზღვრება იმ ინსტიტუტების შექმნით, რომლებიც წარმართავენ პროცესს.¹⁰⁷ წარმატების მისაღწევად ორი პირობაა აუცილებელი: წევრი სახელმწიფოების მსგავსი საწყისი ეკონომიკური ვითარება და ინტეგრაციის დროს მიღებულ ფორმალურ კრიტერიუმებთან დაკავშირებით კონსენსუსის არსებობა.¹⁰⁸

ევროკავშირმა არ შეასრულა არც ერთი ამ ორი საწყისი პირობიდან, კერძოდ არ იყო საკმარისი ეკონომიკური სიმეტრია წევრ ქვეყნებს შორის, და ასევე არ იყო ერთიანი მიდგომა კრიტერიუმებთან დაკავშირებით. ფორმალურ კრიტერიუმებთან დაკავშირებულმა განსხვავებებმა შეანელა პროცესი, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში.¹⁰⁹ მიუხედავად ამ სირთულეებისა, ევროკავშირი გადამწყვეტად დაეხმარა წევრ ქვეყნებს

¹⁰⁴ HM Government of Gibraltar, 2015 იხ. <https://bit.ly/3QVB2j1> [18.08.2022]

¹⁰⁵ იქვე

¹⁰⁶ Bastarrica L.G., The economic Effects of Brexit in the “Campo de Gibraltar”: an economic approach, 2019 იხ. <https://bit.ly/3bZ1JEZ> [18.08.2022]

¹⁰⁷ Buitrago Esquinas E., Romero Landa L., Economía de la Unión Europea, Madrid, 2013

¹⁰⁸ Feas E., Brexit, Catluna y la teoría dela desintegración económica, 2017

¹⁰⁹ OECD, Organization for European Economic Co-operation, 2018

სიმდიდრის დონის ამაღლებაში, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა ინტეგრაციის პროცესის გარეშე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბრექსიტი მთლიანად ცვლის თამაშის წესებს, რაც გულისხმობს უკვე მოხსნილი ბარიერების აღდგენის ხარჯების ანალიზის საჭიროებას. ეკონომიკურ დოქტრინაში ამ ახალ სფეროს „ეკონომიკური დეზინტეგრაციის თეორია“ ეწოდა და ის მოიცავს გლობალური ღირებულების ჯაჭვების მზარდი ფრაგმენტაციის შესწავლას.¹¹⁰

ეკონომიკური დეზინტეგრაციის თეორიის თანახმად, ბრექსიტის პოლიტიკურმა იმპულსმა გამოიწვია არასასიამოვნო დებატები ევროპული პროექტის მომავალზე, თუ რამდენად არის ევროპული პროექტი თავსებადი წევრი სახელმწიფოების ეროვნულ სუვერენიტეტებთან. ეკონომიკური დეზინტეგრაციის თეორია არა მხოლოდ განსაზღვრავს ფასს, რომელიც დიდ ბრიტანეთს მოუწევს გადაიხადოს მისი გასვლისთვის, არამედ ასახავს იმ მიმართულებას, რომელიც თავად ევროპულმა პროექტმა უნდა მიიღოს.¹¹¹

წარმოდგენილი მოდელი განიხილავს და აანალიზებს ბრექსიტის ეკონომიკურ გავლენას კამპოდე-გიბრალტარში ორი ალტერნატიული სცენარის მიხედვით, რომლის შედარებაც ხდება საწყის მდგომარეობასთან, ანუ როცა დიდი ბრიტანეთი იყო ევროკავშირის წევრი (იხ. დიაგრამა N1). პირველი სცენარი („ოპტიმისტური სცენარი“) გულისხმობს გაერთიანებულ სამეფოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმებას, რომელიც საოცრად ამცირებს არასატარიფო ბარიერებს, მაგრამ ინარჩუნებს ევროპული სტანდარტების ვალდებულებას ექსპორტირებული პროდუქციისთვის, ევროკავშირს აქვს სრული სუვერენიტეტი მიგრაციის კონტროლსა და საზღვრებზე, გიბრალტარის საზღვარი ღიად რჩება, მაგრამ ბიუროკრატიული ხარჯები და არასატარიფო ბარიერები იზრდება. მეორე სცენარში („პესიმისტური სცენარი“) არ არსებობს შეთანხმება დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის და პირველი აწარმოებს თავის კომერციულ პოზიციას ევროპის ქვეყნებთან მიმართებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მეშვეობით. ეს გაზრდის შეზღუდვებს გიბრალტარსა და კამპოს შორის ხალხის, საქონლისა და მომსახურების გადაადგილებაზე, რაც გამოიწვევს ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვან შემცირებას.¹¹²

დიაგრამის ასაგებად გამოყენებულია შესაბამისი ცვლადები:

- შემოსავალი კამპოში ერთ მოსახლეზე;
- საზღვრისპირა მუშახელის რაოდენობა;
- დასაქმების დონე კამპოში;
- გიბრალტარის იმპორტი ესპანეთიდან;
- გიბრალტარის მშპ;
- შინამეურნეობის შემოსავალი კამპოში.

¹¹⁰ Busch B., Matthes J., Brexit – the Economic impact: a Meta-analysis, IW Report, 10/2016, 1-96

¹¹¹ Sampson T., Brexit: the economics of international disintegration, Journal of Economic Perspectives, vol. 31, N4, 2017, 163-184 ობ. <https://bit.ly/3dHA3Vi> [18.08.2022]

¹¹² Sentence A., Hawksworth J., Leaving the EU: implications for the UK economy, Price water house coopers LLP, London, 2016, 1-79 ობ. <https://pwc.to/3PG04SA> [18.08.2022]


ზემოაღნიშნულებიდან დამოუკიდებელი ცვლადია შემოსავალი ერთ მოსახლეზე, შინამეურნეობის შემოსავალი გამოყენებული იქნა როგორც საკონტროლო ცვლადი შედეგების ხარისხის გაზრდის მიზნით, მაგრამ არ აქვს როლი მოდელის ინტერპრეტაციაში. ამ მოდელში გამოყენებულია 2020 წლის მონაცემები, რომელიც იძლევა პროგნოზირების შესაძლებლობას „t+1“ პერიოდში, კერძოდ კი 2025 წელი.

დიაგრამის მიხედვით, ევროკავშირის ოთხი თავისუფლება გიბრალტარის ტერიტორიაზე აღარ მოქმედებს, დიდი ბრიტანეთი აღარ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, როგორც არ უნდა იყოს ბრექსიტის მოლაპარაკებები, უარყოფითი ეკონომიკური ეფექტი გარანტირებულია ერთიანი ბაზრის ოთხი თავისუფლების დაკარგვის გამო, თუმცა საბოლოო უფრო ზუსტ შედეგს 2022 წლის ბოლომდე მოლაპარაკებების დინამიკა განაპირობებს, განსაკუთრებით საზღვრებთან დაკავშირებულ შეთანხმებებში.

მოცემული დიაგრამიდან გამომდინარე, პროგნოზები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბრექსიტი საზიანოა გიბრალტარისთვის, მიუხედავად საბოლოო მოლაპარაკებების შედეგისა. ოპტიმისტურ სცენარში გიბრალტარი კარგავს მშპ-ს 2%-ს და მეტიც, ესპანეთიდან იმპორტის 11%-ს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საზიანოა ეკონომიკისთვის, რომელიც მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული.

დიაგრამა N1.¹¹³

Figure 1. Predictions by variable under alternative scenarios



რეფერენდუმის შედეგები ყველაზე ნეგატიურ გავლენას ტურიზმის სფეროზე ახდენს, რადგან აღნიშნული სფეროდან ყოველწლიური შემოსავალი 200 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენდა და 95% ტურისტებისა სწორედ სახმელეთო საზღვრით ხვდებოდა გიბრალტარის ტერიტორიაზე და მათი უმეტესობა ევროკავშირის მოქალაქეები იყვნენ.

ბრექსიტი ასევე ასუსტებს გიბრალტარის პორტის მუშაობას, როგორც ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთი წამყვანი ბუნკერული პორტისას, რომელიც მუშაობდა ევროკავშირის ტერიტორიაზე, მაგრამ ევროკავშირის მიერ დაწესებული დღგ-ის იურისდიქციის მიღმა, რაც მას იაფი მომსახურების საშუალებას აძლევდა. საწვავის მარაგების უმეტესობა ინახებოდა ესპანეთის

¹¹³ Bastarrica L.G., The economic Effects of Brexit in the “Campo de Gibraltar”: an economic approach, 2019 ob. <https://bit.ly/3bZ1JEZ> [18.08.2022]

მხარეზე (ალგესირაში), მაგრამ ის უნდა შეიცვალოს სასაზღვრო შეზღუდვების განხორციელების შემთხვევაში, რაც თავისთავად გულისხმობს გიბრალტარის პორტის მიმზიდველობის დაკარგვას. უფრო მეტიც, საზღვაო გზით მეტი საქონლის იმპორტის აუცილებლობა გამოიწვევს პორტის რეკონფიგურაციის ან თუნდაც რეკონსტრუქციის საჭიროებას.¹¹⁴

გაერთიანებული სამეფოს მიერ ევროკავშირიდან გასვლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგია გიბრალტარისთვის ევროპული ფულადი სახსრების გამოყოფის შეწყვეტა. 1990 წლიდან 2017 წლამდე გიბრალტარმა მიიღო თითქმის 60 მილიონი, რამაც უზრუნველყო კონკრეტული მიმართულებების განვითარება, რომელიც აღნიშნული ფინანსური სახსრების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამავდროულად გიბრალტარი იღებდა ფინანსურ რესურსების რეგიონული განვითარების ფონდიდან, ევროპის სოციალური ფონდიდან და სამხრეთ-დასავლეთ ევროპის ინტერ-რეგიონული პროგრამიდან.

უდავოა, რომ ევროკავშირის ერთიანი ბაზრიდან გიბრალტარის გათიშვა ნეგატიურ ეკონომიკურ და სოციალურ გავლენას მოახდენს ესპანეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე, ანდალუსიის რეგიონზე, რომლის მოსახლეობის ნაწილი დასაქმებულია გიბრალტარში. ასევე აღსანიშნავია სავაჭრო ურთიერთობები გიბრალტარსა და ანდალუსიის რეგიონს შორის, მაგ., გიბრალტარმა 2015 წელს შემოიტანა 381 მილიონი ფუნტი სტერლინგის საქონელი და მომსახურება, საიდანაც 73 მილიონი დახარჯა ანდალუსიაში.¹¹⁵

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში ბრექსიტის შედეგად წარმოშობილი პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობისა და ეკონომიკური მაჩვენებლების გაანალიზების საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- ბრექსიტი აძლევს ესპანეთს შესაძლებლობას გამოიყენოს ახალი სტრატეგიული მიდგომა, რომელიც გულისხმობს დამაჯერებელ ნარატივს გიბრალტარისთვის, კერძოდ გიბრალტართან ტრანსსასაზღვრო ურთიერთობების მოწესრიგების საკითხის გადაწყვეტასა და ესპანელ ერთან მათ ეტაპობრივ ინტეგრაციას.
- დროებითი „Modus Viendi“ გიბრალტართან ტრანსსასაზღვრო თანაარსებობისთვის შეიძლება იყოს დროებითი შეთანხმება იმ ასპექტების დასარეგულირებლად, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებს ყოველდღიურ ნორმალიზებას, როგორცაა საზღვრის კვეთა, ეკონომიკურ-ფინანსური თანამშრომლობა, ნავიგაციისა და იურისდიქციის საკითხები ყურის წყლებზე, აეროპორტის გამოყენება.
- „Modus Vivendi“ იქნება დროებითი ღონისძიება ახალი საერთაშორისო და ევროპული სტატუსის განსასაზღვრად. სუვერენიტეტის შესახებ მოლაპარაკებების დაწყების შეთანხმება, ისევე როგორც „Modus Vivendi“-ს შეთანხმება, შეიძლება დაერთოს გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლისა და შემდგომი ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულებას პროტოკოლის ან დეკლარაციის სახით. თითოეულ მათგანს

¹¹⁴ Toszek B.H., Brexit Referendum in Gibraltar. Result and Effect. Bialstockie Studia Prawnicze, vol 24, N1, 2019, 95-96

¹¹⁵ Fletcher J., Morakabati Y., Male K., An Economic impact study and analysis of the economies of Gibraltar and the Campo de Gibraltar, Gibraltar 2015, 26.

აქვს განსხვავებული სამართლებრივი და იურისდიქციული ეფექტი, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ საერთაშორისო ხელშეკრულების ნაწილს.

- ნაშრომში წარმოდგენილი ეკონომიკური მოდელი საშუალებას გვაძლევს რაოდენობრივად განვსაზღვროთ ბრექსიტის ეკონომიკური ეფექტი გიბრალტარის ეკონომიკაზე მოლაპარაკებების ამჟამინდელი მდგომარეობის, სამკსონის ეკონომიკური დეზინტეგრაციის თეორიისა და გიბრალტარსა და კამპოს შორის ურთიერთქმედების სპეციფიკის გათვალისწინებით. ეს ურთიერთქმედებები განაპირობებს რეგიონში წარმოქმნილ სიმდიდრეს გიბრალტართან გეოგრაფიული სიახლოვის გამო „დასაქმების“ და „ვაჭრობის“ ეფექტებით. ისინი ორივე დადებით ეფექტებს წარმოქმნიან ეკონომიკაში და ავსებენ ერთმანეთს. ორი ერთეულის ეკონომიკას შორის ორმხრივად მომგებიანი დამოკიდებულება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ბრექსიტი საზიანოა ორივე მხარისთვის: გაიზრდება საწარმოო ფაქტორების მობილურობის ხარჯები, განსაკუთრებით იმპორტში და ასევე, საზღვრისპირა და ადგილობრივ დასაქმებაში.
- ზემოაღნიშნული უარყოფითი ეკონომიკური ეფექტები მუდმივი იქნება, როგორც არ უნდა იყოს მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგი. თუმცა, ფაქტორების ტრანსსასაზღვრო მობილურობის უზრუნველსაყოფად ქმედითი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში ისინი შემცირდება. ცალმხრივი პროცედურები, როგორცაა საზღვრების დახურვა ან შეზღუდვების გაზრდა, საზიანოა ორივე მხარისთვის.

2020 წლის 1 თებერვალს გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლის შეთანხმება ოფიციალურად შევიდა ძალაში, ხოლო შეთანხმებით გათვალისწინებული გარდამავალი პერიოდი დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს. გარდამავალ პერიოდში ევროკავშირსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება ვაჭრობისა და თანამშრომლობის შეთანხმების თაობაზე, რომელიც ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვრიდან, თუმცა ის არ ვრცელდება გიბრალტარზე.¹¹⁶

გიბრალტარის ბედის გადასაწყვეტად ორივე სახელმწიფოს - ესპანეთისა და დიდი ბრიტანეთის - კონსენსუსი იყო საჭირო, ამიტომაც 2020 წლის 31 დეკემბერს ესპანეთმა აღნიშნული საკითხი განსახილველად წამოწია ევროკომისიაში, რომელმაც შეიმუშავა მოლაპარაკების სახელმძღვანელო.¹¹⁷

2021 წლის 6 სექტემბერს ევროკავშირსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის დაიწყო გიბრალტარის თაობაზე მოლაპარაკებები, რომლის მიზანია ევროკავშირსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ფართო და დაბალანსებული შეთანხმების მიღწევა გიბრალტართან მიმართებით მისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის, საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსისა და ესპანეთთან სპეციფიური ურთიერთობების გათვალისწინებით. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ევროკავშირის ოთხი თავისუფლების მაქსიმალურად გასავრცელებლად გიბრალტარის ტერიტორიაზე, მათ შორის:

¹¹⁶ Valasco S., The negotiations between the EU and the UK on the Gibraltar agreement have just started: Which are the main points of the envisaged agreement? Castaluz Lawyers ob. <https://bit.ly/3T7LUFS> [21.08.2022]

¹¹⁷ იქვე

- გიბრალტარსა და შენგენის ზონას შორის არსებული ფიზიკური ბარიერის მოხსნა ფიზიკურ პირთა გადაადგილებაზე, მათ შორის ინფრასტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული კონტროლის მოხსნა გიბრალტარსა და შენგენის ზონას შორის და გიბრალტარის რეზიდენტებისთვის უვიზო მიმოსვლის უფლების მინიჭება;
- გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეების (გარდა იმ მოქალაქეებისა, რომლებიც ლეგალურად არიან გიბრალტარის რეზიდენტები) როგორც ნებისმიერი მესამე ქვეყნის მოქალაქეების განხილვა;
- ესპანეთისათვის ექსკლუზიური უფლების მინიჭება გიბრალტარში მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის მოკლევადიანი ვიზებისა და ბინადრობის ნებართვის გაცემაზე;
- ევროკავშირის მოქალაქეებისათვის, რომლებიც არიან ესპანეთის რეზიდენტები, ასევე დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებისათვის, რომლებიც არიან გიბრალტარის რეზიდენტები, ლეგალურად მუშაობის უფლების მინიჭება გიბრალტარის ტერიტორიაზე გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეების მიმართ მოქმედი გიბრალტარის კანონმდებლობისა და ესპანელი მოქალაქეების მიმართ მოქმედი ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

მოლაპარაკებები დასრულებული არ არის, თუმცა ევროკომისიის განცხადებით, საბოლოო შეთანხმების პირობები 2022 წლის ბოლოს იქნება ცნობილი, რაც მისცემს გიბრალტარს საშუალებას ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში შეუერთდეს შენგენის სივრცეს, რაც მაქსიმალურად შეამცირებს იმ უარყოფით სამართლებრივ და ეკონომიკურ პროგნოზებს, რომელიც წინამდებარე ნაშრომში კონკრეტული ფაქტების გაანალიზების საფუძველზე გაკეთდა.

სოციალური კონტრაქტის ახლებური გაგება ჟან-ჟაკ რუსოსთან

A new understanding of the social contract according to Jean-Jacques Rousseau

რეზიუმე

მე განვიხილავ ჟან-ჟაკ რუსოს მოძღვრებას სოციალური კონტრაქტის თაობაზე და ვაჩვენებ თუ რა პრინციპული სიახლე შეიტანა დასავლური აზროვნების ისტორიაში დიდმა ფრანგმა მოაზროვნემ ამ კუთხით. თავისი ცნობილი ტრაქტატის - „საზოგადოებრივი შეთანხმება“ - დასაწყისში იგი აღნიშნავს შემდეგს: მე მსურს შევისწავლო, შესაძლებელია თუ არა საზოგადოებრივ წყობაში მმართველობის რაიმე კანონიერი და მყარი წესის არსებობა. აქვე მიუთითებს, რომ კარგი სახელმწიფოებრივი წყობა ისაა, რომელიც, ერთი მხრივ, დგას სამართლის პრინციპზე და მეორე მხრივ, აკმაყოფილებს ადამიანთა კერძო ინტერესებს და ე.ი. დგას სარგებლიანობის პრინციპზეც. იგი მიუთითებს, რომ უზარმაზარი განსხვავებაა მასების დამონებასა და საზოგადოების კანონიერ მართვას შორის. პირველ შემთხვევაში, ადგილი აქვს მიმართებას: ბატონი(ტირანი) და მონები; მეორე შემთხვევაში კი - მმართველი და ხალხი. ხოლო ნებისმიერი კანონიერი ძალაუფლება განეკუთვნება მხოლოდ ადამიანთა შორის შეთანხმებას. სოციალური კონტრაქტის მიზანია ადამიანთა ისეთი ასოციაციის აქტი და ისეთი მთლიანობის ფორმირება, რომელიც ერთიანი ძალით დაიცავს ყოველი პიროვნების სიცოცხლეს, ქონებას და თავისუფლებას.

მაგრამ რუსომ ძალზედ მნიშვნელოვანი სპეციფიკა შეიტანა სოციალური კონტრაქტის თეორიაში. ჯერ-ერთი, საზოგადოებრივ ხელშეკრულებას დებენ არა თანასწორი, არამედ უკვე ქონებრივი მდგომარეობით განსხვავებული ინდივიდები. მეორეც, ეს კონტრაქტი გულისხმობს, რომ თითოეული ჩვენგანი თავის პიროვნებას და მთელ ძალას გაიღებს საერთო-სახალხო ნების უზენაესი ხელმძღვანელობით და მის სასარგებლოდ. ხოლო ამ საერთო ნების და უზენაესი ძალაუფლების სუბიექტი ანუ სუვერენი არის ხალხი, ერი. ამიტომაც რუსოსათვის პრიორიტეტულია ამ საერთო-სახალხო ნების უზენაესობაზე დამყარებული სახელმწიფოებრივი სისტემის ტოტალობა. რაც შეეხება პიროვნებას, იგი ამ უკანასკნელის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს და მთლიანად უნდა ემორჩილებოდეს ტოტალობას.

ამგვარად, რუსოს მოძღვრება, რა თქმა უნდა, სამოქალაქო საზოგადოების პრინციპების ერთ-ერთი დამამკვიდრებელია და მან დიდი იმპულსი მისცა დემოკრატიის, რესპუბლიკანიზმის იდეების შემდგომ განვითარებას; მაგრამ იმავდროულად მისი თეორია თავის თავში შეიცავს ტოტალიტარიზმის ჩანასახებს და ამიტომაც აქ დემოკრატიასა და ტოტალიტარიზმს შორის ზღვარი ძალიან მცირეა.

Abstract

I consider the doctrine of Jean-Jacques Rousseau about a social contract and indicate what principal novelty brought from this point of view the great French philosopher into the history of a western thought. In the beginning of his famous treatise – “The social contract” – Rousseau notes: I want to explore, whether some legal and stable form of government is possible in a social formation or not. At that, he asserts: good state system is that, which on one hand stands on the principle of law, and on other hand gratifies the private interests of people.

Following some reasonings he concludes, that any legitimate power is related to the agreement between the humans. Though, not the equal individuals set this social contract, but the individuals, that already differ by their estate. Additionally, this contract means, that each of us gives away all his person and strength by the guidance of

* აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი. Affiliated Professor of East European University.

the folk's common will and in its favor. Therefore, by Rousseau, the totality of the state system, which is grounded on the nation's will, has a full priority and superiority upon a personality.

So, Rousseau's political doctrine, of course, gives a big impulse for the foundation and evolution of such principles, as republicanism, democracy and civil society, but at the same time his theory includes the germs of a totalitarian concept and the boundary between a democracy and a totalitarianism here is very fragile.

მე ახლა განვიხილავ ჟან-ჟაკ რუსოს პოლიტიკურ მოძღვრებას საზოგადოებრივი შეთანხმების თაობაზე. ჯერ მოკლედ შევეხები მის ბიოგრაფიას: იგი დაიბადა ჟენევაში 1712 წელს მესაათის ოჯახში და გარდაიცვალა 1778 წელს. ფრანკო-შვეიცარიელი რუსო ყოველთვის იმით ამყობდა, რომ მის ოჯახს ჰქონდა ხმის მიცემის უფლება და მთელი ცხოვრების განმავლობაში თავის წიგნებზე ასეთ წარწერას აკეთებდა: „ჟან-ჟაკ რუსო, ჟენევის მოქალაქე.“ დედამისი ავადმყოფობისგან გარდაიცვალა ჟან-ჟაკის დაბადებიდან ცხრა დღის შემდეგ. ამას მოგვიანებით რუსო აღწერდა, როგორც პირველს მის უბედურებათაგან. ცამეტი წლის ასაკში იგი მოწაფედ მიებარა ჯერ ნოტარიუსს და შემდეგ კი გრავიორს, რომელიც სხვათა შორის მას ხშირად სცემდა. მოგვიანებით სავოიას პროვინციის მახლობლად მან თავშესაფარი ჰპოვა ერთ-ერთ კათოლიკე მღვდელთან, რომელმაც იგი გააცნო მადამ ფრანსუაზა ლუიზა დე ვარენს. ეს უკანასკნელი ქმარ-განაშორები ქალბატონი იყო და მან ახალგაზრდა რუსოს მფარველობა იკისრა. მადამ დე ვარენმა და ზემოთ ხსენებულმა მღვდელმა გააგზავნეს თავიანთი პროტეჟე ტურიინში, რათა განხორციელებულიყო მისი რელიგიური ტრანსფორმაცია, კერძოდ, გადასვლა პროტესტანტიზმიდან კათოლიციზმში, რაც კიდევაც დროებით მოხდა. ერთი პერიოდი საკუთარი თავის ანაბარად დარჩენილი მომავალი დიდი ფილოსოფოსი მუშაობდა ხან ლაქიად, ხან მდივნად, ხან მასწავლებლად, მოგზაურობდა რა იტალიაში და საფრანგეთში...

მადამ დე ვარენმა უკვე ოცი წლის ასაკში მყოფი რუსო თავის საყვარლად გაიხადა. ეს ვითარება, ერთი მხრივ, გარკვეულ უხერხულობას და შინაგან დისკომფორტს უქმნიდა ახალგაზრდა კაცს; თუმცა, მეორე მხრივ, იგი ყოველთვის მიიჩნევდა ფრანსუაზა ლუიზას თავისი ცხოვრების ყველაზე დიდ სიყვარულად. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში იგი სერიოზულად იყო დაკავებული მუსიკის თეორიის საკითხებით.

პარიზში გადასვლის შემდგომ რუსო დაუახლოვდა გლუხის-ქალს ტერეზა ლევასიორს, რომლისგანაც მას ეყოლა ხუთი შვილი: ეს ბავშვები მან ჩააბარა აღსაზრდელთა სახლში, რაც უთუოდ მისი ბიოგრაფიის შავი ლაქაა. ამავე პერიოდში იგი დაუახლოვდა ენციკლოპედისტებს და განსაკუთრებით დენი დიდროს. მაგრამ მოგვიანებით რუსო დაუპირისპირდება ენციკლოპედისტებს მათი მატერიალიზმისა და ათეიზმის გამო და მასსა და დიდროს შორის სერიოზული განხეთქილება მოხდება; თუმცა ეს კონფლიქტი, როგორც ჩანს, უფრო პრივატულ ხასიათს ატარებდა. 1749 წელს დიჟონის აკადემიამ გამოაცხადა კონკურსი თემაზე: „ხელი შეუწყო თუ არა მეცნიერების და ხელოვნების განვითარებამ ადამიანური ზნეობის პროგრესს?“ რა თქმა უნდა, ეს ძალზედ სერიოზული საკითხია: ხელს უწყობს თუ არა მეცნიერების, კულტურის, ტექნიკის პროგრესი ადამიანის მორალურ, ზნეობრივ სრულყოფას?! ყველა სხვა განმანათლებელი იტყოდა „დიახ!“. მაგრამ ჟან-ჟაკ რუსომ დაწერა სტატია „მსჯელობა

მეცნიერების და ხელოვნების შესახებ”, რომელმაც მიიღო პირველი პრემია და რითაც გაითქვა ავტორმა სახელი. ამ სტატიაში მან კატეგორიულად უარყოფითი პასუხი გასცა დასმულ კითხვას. რუსოს აზრით მეცნიერების და ხელოვნების განვითარებამ არათუ ხელი შეუწყო, არამედ ხელი შეუშალა მორალურ სრულყოფას და უარყოფითი ზემოქმედებაც კი იქონია ადამიანურ ზნეობაზე. აზრთა ასეთი მსვლელობის შედეგად საბოლოო ჯამში ჩამოყალიბდა რუსოს მსოფლმხედველობრივი მოწოდება - „უკან ბუნებისაკენ!“, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია რომანტიზმზე. თუმცა, სამწუხაროდ, პოლპოტსაც ძალიან მოსწონდა რუსოს ეს ლოზუნგი; ამიტომ როდესაც იგი ჩავიდა კამბოჯაში და ძალაუფლება ხელში აიღო, დახოცა ოთხი მილიონი ადამიანი, ქალაქებიდან ხალხი გაასახლა, დაწვა ბიბლიოთეკები, დაშალა ოჯახები, დაანგრია ტაძრები და თავის გაგებაში ასე ახორციელებდა რუსოს და მარქსის იდეებს. ამიტომ ყველაფერს, როგორც მედალს, ორი მხარე აქვს და ასევე დიად იდეებსაც!

რუსო პარალელურად კვლავაც აგრძელებდა თავის მოღვაწეობას მუსიკის სფეროში, რაც დაგვირგვინდა ოპერის შექმნით - „სოფლის მკითხავი ქალი“. იგი შესრულდა 1752 წელს ლუდოვიკო მეთუთმეტისათვის და სხვათა შორის ეს უკანასკნელი ძალზედ მოხიბლული და ნასიამოვნები დარჩა ამ ოპერით. 1754 წელს ჟან-ჟაკ რუსო ჩავიდა ჟენევაში, კვლავ დაუბრუნდა კალვინიზმს და ამით დაიბრუნა ჟენევის მოქალაქეობა, თუმცა ორი წლის შემდგომ ისევ გაემგზავრა უკან პარიზში.

1761 წელს რუსო გამოსცემს თავის რომანს - „ახალ ელოიზას“, მომდევნო წელს - „ემილს“ და ძალზედ „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას“. იგი უკვე ძალზედ პოპულარულია და იმყოფება ამა ქვეყნისა ძლიერთა მფარველობის ქვეშ და მათ ფავორში. „ემილის“ გამოცემის გამო პარიზის პარლამენტმა გამოიტანა განაჩენი - წიგნის დაწვა და ავტორის დაპატიმრება. ჟან-ჟაკ რუსოს სასწრაფოდ საფრანგეთის დატოვება მოუწია. იგი თავს აფარებდა ხან პრუსიის სამფლობელოს, ხან შვეიცარიას და ბოლოს, ინგლისშიც გაემგზავრა დევიდ ჰიუმეს მიპატიჟებით. 1770 წელს იგი დაბრუნდა პარიზში, სადაც მან დაწერა თავისი ცნობილი წიგნი „აღსარება“.

ჟან-ჟაკ რუსო გარდაიცვალა 1778 წლის 2 ივლისს მარკიზ დე ჟირარდენის რეზიდენციაში - შატო დე ერმენონვალში. კონვენტის მმართველობის წლებში, კერძოდ, 1794 წლის 11 ოქტომბერს მისი ნეშტი გადაასვენეს პარიზის პანთეონში, სადაც იგი დაკრძალულია ვოლტერის გვერდით.

ახლა განვიხილოთ რუსოს ტრაქტატის - „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ - გარკვეული არსებითი ასპექტები. იგი ასე იწყებს: მე მსურს შევისწავლო, შესაძლებელია თუ არა საზოგადოებრივ წყობაში მმართველობის რაიმე კანონიერი და მყარი წესის არსებობა (ანუ რა არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის კანონიერი, მყარი და სამართლიანი ფორმა?). რუსო ამბობს, რომ ყოველივე ამას განიხილავს ისე, რომ ერთმანეთთან შესაბამისობაში იყოს სამართალი და სარგებელი - ეს ორი პრინციპი. მასმასადამე, კარგი სახელმწიფოებრივი წყობა არის ის, რომელიც, ერთი მხრივ, დგას სამართლის პრინციპზე და მეორე მხრივ, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანთა კერძო ინტერესებს და ე.ი. დგას სარგებლიანობის პრინციპზეც.

რუსოს თავის მსჯელობებში შევყავართ ისტორიული ფრაზით: „ადამიანი იბადება თავისუფლად, მაგრამ ყველგან იგი ბორკილებშია“. ალბათ, ეს მარად აქტუალური თემაა!

მართალია, დღესდღეობით უკვე უმეტესწილად მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დემოკრატიულია, მაგრამ თავისუფლების პრობლემა ხომ მაინც არსებობს. თავად დასავლური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენლები (ვოლტერ, ადორნო, მარკუზე, ფრომი) თვლიდნენ, რომ ეს პრობლემა სახეზეა კვლავაც მწვავედ, ოღონდ ის სულ სხვა ხასიათს ატარებს, ვიდრე ამას შეიძლება ადგილი ჰქონოდა წარსულში ან ჰქონდეს ტოტალიტარულ, თუ ავტორიტარულ ქვეყნებში. რუსო აღნიშნავს: თუ კი ამოვალთ ადამიანის ამ ფაქტობრივი გადაგვარებული მდგომარეობიდან ანუ მისი მონური ყოფნის წესიდან, მაშინ წესით და რიგით ვიტყვით, რომ ხალხი კარგად იქცევა, როდესაც იძულებულია მორჩილებდეს და კიდევ მორჩილებს. „მაგრამ იგი გაცილებით უფრო უკეთ იქცევა, როდესაც შესაძლებლობა ეძლევა ეს უღელი გადაიგდოს და ამას კიდევ იქმს. ვინაიდან ხალხი, რომელიც თავისუფლებას იმავე უფლებით იბრუნებს, რომლითაც იგი მას ჩამოერთვა, ყველანაირად უფლებამოსილია იგი დაიბრუნოს ანდა, სხვაგვარად თუ ვიტყვით, არავითარი საფუძველი არ არსებობდა მის წასართმევად. საზოგადოებრივი წყობა წმიდათა-წმიდა ნებაა, ყველა სხვა დანარჩენთა საფუძველია, მაგრამ არა ბუნების მიერ ბოძებული; მაშასადამე, ეს ნება ეფუძნება შეთანხმებებს.“¹¹⁸

რუსო წერს, რომ ძლიერი არ არის ისე ძლიერი, რომ მუდამ ბატონი იყოს. ამისთვის მან თავისი ძალა უფლებად უნდა გადააქციოს, ხოლო სხვისი მორჩილება - მოვალეობად. კერძოდ, ის საზოგადოებები, რომლებიც აგებულია კლასობრივ დისკრიმინაციაზე, სადაც ერთი არის ბატონი, ხოლო მეორე - ყმა, მსახური თუ მონა, ეფუძნება იმას, რომ ძლიერი ჩაგრავს სუსტს, საბოლოო ჯამში, მხოლოდ და მხოლოდ ძალის საფუძველზე. მაგრამ რუსოს აზრით შიშველი ძალა საკმარისი არ არის სტატუს-კვოს მყარად შესანარჩუნებლად: ასეთ საზოგადოებებში ძალა უნდა იქცეს უფლებად, ხოლო მორჩილება - მოვალეობად. მაგრამ განა შეიძლება ეს? ფრანგი ფილოსოფოსი აღნიშნავს რომ ეს შეუძლებელია. შესაბამისად, ადამიანიც არ არის ვალდებული მორჩილებდეს ძლიერს, არამედ უნდა მორჩილებდეს მხოლოდ კანონიერ მმართველობას. ხომ ხედავთ, როგორ ცვლის რუსო იმდროინდელ ფეოდალურ და წოდებრივ აზროვნებას. ეს ახლა გვეჩვენება ჩვეულებრივ დებულებებად, მაგრამ იმ დროისთვის კი რუსოს აზროვნება იყო სრულიად რევოლუციური. სახელდობრ, ადრე ადამიანებს სავსებით ბუნებრივად მიაჩნდათ წოდებრივი იერარქია: ვოლტერ, საქართველოში არსებობდნენ ცნობილი თავადები ამილახვრები და ცხადია, მათ სავსებით ბუნებრივად და ღვთისგან დადგენილად მიაჩნდათ, რომ ისინი უნდა ყოფილიყვნენ ზემდგომი ბატონები თავიანთ ყმებზე და ყმასაც ეგონა, რომ ასეთი მდგომარეობა ბუნებრივია, მაგრამ მე-17-ე, მე-18-ე საუკუნის ევროპაში იწყება დიდი ძვრები ადამიანურ ცნობიერებაში ამ მიმართულებით. რუსოს აზროვნებაც ამ დიდი ცვლილებების მაგალითია. მაშასადამე, იგი ასკვნის, რომ ნებისმიერ კანონიერი ძალაუფლება განეკუთვნება მხოლოდ ადამიანთა შორის შეთანხმებას: ჩვენ შევთანხმდით და ვიღაცას მივანიჭეთ ძალაუფლება, და არა ისე, რომ შენ მოხვედი, დამიმონე, დამაშინე და მე თითქოსდა ვალდებული ვარ, რომ გემსახურო. მე ვალდებული კი არა, უბრალოდ იძულებული ვარ! დიახ, მონობა არ შეიძლება იყოს სამართლებრივად გაფორმებული, დაკანონებული!

¹¹⁸ ჟან-ჟაკ რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1997, 11

გროციუსი იყო სერიოზული მოაზროვნე, რომელსაც რუსო აკრიტიკებს და რომელიც თვლიდა, რომ მონობის უფლება არსებობს: მოვიდა დამპყრობელი, გაიმარჯვა ომში და მას შეეძლო დამარცხებულები უბრალოდ დაეხოცა. მაგრამ მან ეს არ გააკეთა და სიცოცხლის საფასურად აქცია ისინი მონებად. მაშასადამე, მონობის საფუძველი არის სიცოცხლის მიღება თავისუფლების საფასურად - გროციუსის აზრით, აი, ამ გზით ხდებოდა მონობის დაკანონება. რუსო აჩვენებს ამგვარი მსჯელობის მცდარობას: შეიძლება ერთმა მეორეზე ომში გაიმარჯვოს, მაგრამ ეს არ აძლევს მას დამარცხებულის (ვთქვათ, ტყვეების), გაჟლეტვის უფლებას. შესაბამისად, არც იმის უფლება აქვს, რომ ვიღაცა მონად აქციოს. მონობის დაკანონება შეუძლებელია! მონობის უფლება სრული აბსურდია, ვინაიდან მონობა და უფლება სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგოა. რუსო წერს, რომ არის უზარმაზარი განსხვავება მასების დამონებასა და საზოგადოების კანონიერ მართვას შორის. პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს მიმართებას: ბატონი (ტირანი) და მონები; მეორე შემთხვევაში კი - მიმართებას: მმართველი და ხალხი.

ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს აქვთ მუდმივი საფრთხეები გარემოს მხრიდან, ერთმანეთის მხრიდან და როდესაც უკვე შეუძლებელი ხდება ცხოვრება ასეთ მდგომარეობაში, თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის მიდიან საზოგადოებრივ შეთანხმებამდე. ისინი მიდიან ამ საზოგადოებრივი შეთანხმების გზით ისეთი მთლიანობის შექმნისკენ, ისეთი ასოციაციის შექმნისკენ, რომელიც მათ ამ საფრთხეებს და წინააღმდეგობებს გადააღახინებს. საზოგადოებრივი კონტრაქტის მიზანია გამონახოს ასოციაციის ისეთი აქტი, რომელიც ერთიანი ძალით დაიცავს ყოველი პიროვნების სიცოცხლეს, ქონებას და თავისუფლებას.

რუსომ ძალზედ მნიშვნელოვანი სპეციფიკა შეიტანა საზოგადოებრივი კონტრაქტის მოძღვრებაში. რაში მდგომარეობს იგი? ჯერ ერთი, ჰობსის კონცეფციისგან განსხვავებით, საზოგადოებრივ ხელშეკრულებას დებენ არა თანასწორი, არამედ უკვე ქონებრივი მდგომარეობით განსხვავებული ინდივიდები; მეორეც, რუსოს აზრით, ეს კონტრაქტი გულისხმობს, რომ თითოეული ჩვენგანი თავის პიროვნებას და მთელ ძალას გაიღებს საერთო-სახალხო ნების უზენაესი ხელმძღვანელობით და მის სასარგებლოდ. ყოველი მოქალაქე, ყოველი ინდივიდი არის ამ მთელის, ასოციაციის განუყოფელი ნაწილი და სწორედ იგია უზენაესი ძალაუფლების მქონე. ამ გზით იქმნება სახელმწიფო, რომელმაც უნდა დაიცვას ამ ცალკეული ინდივიდის სიცოცხლე, ქონება, უფლებები: საზოგადოებრივი შეთანხმებით ადამიანი კარგავს ბუნებრივ თავისუფლებას, მაგრამ იძენს სამოქალაქო თავისუფლებას. დიახ, საზოგადოებრივ შეთანხმებაზე ლაპარაკობს ჰობსიც, ლოკიც, დიდროც, მაგრამ რუსოსთან ეს იღებს უკიდურესად გამძაფრებულ ხასიათს. ლოკი ლიბერალიზმის ფუძემდებელია: მისი შეხედულებით, ჩვენ საზოგადოებრივი შეთანხმების გზით კი ვიზღუდავთ ჩვენ უფლებებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ინდივიდი ხდება ჭანჭიკი სახელმწიფოსი, სისტემის. ლოკი უპირატესობას მაინც პიროვნებას ანიჭებს. მაგრამ რუსოსთან საქმის ვითარება უკვე ასე არ არის: იგი თვლის, რომ მთავარია მთელი, სისტემა, ხოლო პიროვნება მეორეხარისხოვანია; იგი სისტემის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს და პირველ რიგში ამ ტოტალობას უნდა ემსახურებოდეს. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ რუსოს მოძღვრება არის რესპუბლიკანიზმის და სამოქალაქო საზოგადოების პრინციპების ერთ-ერთი დამამკვიდრებელი, რომელმაც ამ მხრივ დიდი იმპულსი მისცა დემოკრატიის იდეების განვითარებასა და ხორცშესხმას, მეორე მხრივ მისი თეორია ძალიან ახლოა ტოტალიტარიზმთან. აქ არის მყიფე ზღვარი. სწორედ

ტოტალიტარიზმი გვეუბნება, რომ მთავარია სახელმწიფო, მთლიანობა, სისტემა და ინდივიდი მას უნდა ექვემდებარებოდეს და ემსახურებოდეს: ინდივიდი სისტემის ჭანჭიკი უნდა იყოს, ინდივიდი თავით ფეხებამდე უნდა ეკუთვნოდეს ტოტალობას და მისი ინტერესები სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს სისტემასთან.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე „სუვერენის“ და „სუვერენიტეტის“ ცნებებს რუსოს მიერ თვისობრივად ახალი საზრისი ენიჭებათ. კერძოდ, იგი ამბობს, რომ ასოციაციის ეს აქტი, ქმნის მორალურ და კოლექტიურ კორპუსს, რომელიც იძენს თავის ერთიანობას და თავის საზოგადო „მე“-ს, ცხოველმყოფელობას და ნებას. აი, ამ კორპუსს რუსო უწოდებს სუვერენს და მის უზენაეს ნებას (მისი უზენაესი ნების გამოვლინებას) - სუვერენიტეტს.

ყოველი ადამიანი არის „მე“ და მას აქვს თავისი ცალკეული პირადი ნება. მაგრამ როდესაც მოხდა საზოგადოებრივი შეთანხმება, ე.ი. ჩვენი ასოცირება, და ჩვენ ვთქვით, რომ გავიღებთ საკუთარ ძალას და გარკვეულ უფლებებს ამ მთლიანობისთვის, იმ მომენტიდან ამ საზოგადოებრივმა მთლიანობამ თავად დაიწყო არსებობა დამოუკიდებელ სუბიექტად, პერსონად, რომელსაც აქვს თავისი „მე“, თავისი ნება და თავისი ძალა _ აი, ეს არის სუვერენი, ანუ ეს არის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შედეგად შექმნილი ტოტალობა, როგორც უზენაესი ძალაუფლების მქონე სუბიექტი ანუ ნაცია, ხალხი. როდესაც დღეს ლაპარაკია ქვეყნის სუვერენიტეტზე. ეს ნიშნავს შემდეგს: გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ცალკეული ინდივიდები და მოქალაქეები _ ეკატერინე, ირაკლი, ლაშა და ა.შ. - არსებობს კიდევ ჩვენი საყოველთაო პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც აქვს საკუთარი ნების გამოვლინება და იგი უზენაეს ხასიათს ატარებს და არავის არ აქვს მისი შელახვის, დარღვევის, გათელვის უფლება. მაშასადამე, სუვერენიტეტის დარღვევა ნიშნავს ერის ერთიანი უზენაესი ნების დარღვევას და არა პეტრესი თუ ივანესი...

რუსის აზრით, არ შეიძლება სუვერენს ჰქონდეს რაიმე სხვა ინტერესი გარდა იმისა, რაც საერთოა ყველა მოქალაქისათვის. მისი ინტერესია, რათა ყველა მოქალაქე იყოს კეთილდღეობაში და მათი უსაფრთხოება, თავისუფლება, ქონება, სიცოცხლე იყოს დაცული. რაც შეეხება ჩემ კერძო ინტერესებს, ის შეიძლება წინააღმდეგობაში შევიდეს სუვერენის ინტერესებთან ანუ საერთო-საზოგადოებრივ ინტერესებთან: პიროვნება ხშირად უპირისპირდება საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებს. ამიტომ საზოგადოებრივი ხელშეკრულება ფუჭ ფორმალობად რომ არ იქცეს, იგი შეიცავს შეუვალ ვალდებულებებს თითოეული მოქალაქისთვის.

ჩვენ ვხედავთ, რომ რუსოსთან საზოგადოებრივს, სახელმწიფოებრივს აქვს აშკარა პრიორიტეტი და აღმატებულობა პიროვნულთან, ინდივიდუალურთან. აქ უკვე ჩანს რუსოს გადახრა ტოტალიტარიზმისაკენ. იგი საზოგადოებრივ საკუთრებას ანიჭებს უპირატესობას კერძო საკუთრებასთან მიმართებაში და საერთოდ თვლის, რომ ის, რაც კერძო საკუთრებაშია, საბოლოო ჯამში. მაინც სახელმწიფოს საკუთრებაა: ჩემი მიწა მთელი ქვეყნის, სახელმწიფოს საკუთრებაა და მე ეს უნდა კიდევაც მაწყობდეს, ვინაიდან მტრის შემოჭრის დროს ამ ტერიტორიის დაცვა მარტო მე კი არ მომიწევს, არამედ მთელ სახელმწიფოს.

რუსო მიუთითებს, რომ სახელმწიფო მაინც ექვემდებარება დროთა განმავლობაში კვდომის პროცესს, რაგინდ ეფექტურიც არ უნდა იყოს მმართველობის ფორმა და მთლიანი სისტემა. „თუ სპარტაც დაილუპა და რომიც, მაშ, რომელ სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს იმედი, რომ მარადჟამს იარსებებს? თუ მტკიცე სახელმწიფო ინსტიტუტის შექმნა გვსურს, მისი მარადიულობის უზრუნველყოფაზეც ნუ ვიოცნებებთ...

პოლიტიკური კორპუსი, ისევე როგორც ადამიანის სხეული, დაბადებისთანავე იწყებს კვდომას და საკუთარ თავში ატარებს ნგრევის მიზეზებს. ერთმაც და მეორემაც შესაძლოა, მეტ-ნაკლები ძლიერების წყალობით, ხანგრძლივად შეინარჩუნოს თავისი აღნაგობა. ადამიანის სხეული ბუნების ქმნილებაა, სახელმწიფოს წყობა - ხელოვნების ნიმუში. ადამიანებზე არ არის დამოკიდებული საკუთარი სიცოცხლის გახანგრძლივება, სამაგიეროდ მათზეა დამოკიდებული სახელმწიფოს არსებობის რაც შეიძლება მეტად გახანგრძლივება, მისთვის შეძლებისდაგვარად საუკეთესო წყობის მინიჭებით. ასეთი წყობის მქონე სახელმწიფოსაც აქვს თავისი დასასრული, მაგრამ ეს უფრო გვიან მოხდება, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში(ცხადია, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა დროზე ადრე არ დალუპავს მას).“¹¹⁹

რუსოს აზრით სუვერენიტეტი არის განუსხვისებელი, ე.ი. არ შეიძლება, რომ სუვერენის ნებას (ხალხის ნებას) გამოხატავდეს ვინმე, ხალხის გარდა (ვთქვათ, ავტორიტარული მმართველი, ტირანი, რომელიც მიითვისებს ამ ნებას და იტყვის, რომ მე ვარ სახელმწიფო!). ტირანის ფსიქოლოგია ასეთია: ის ცდილობს მიითვისოს საზოგადო ნება, ე.ი. მოახდინოს ძალაუფლების უზურპაცია, რის შედეგადაც ხდება სახელმწიფოს დეგრადაცია-გადაგვარება და ასეთი წყობა აღარ ეფუძნება საზოგადოებრივ შეთანხმებას.

ასევე რუსო ხაზს უსვამს, რომ სუვერენიტეტი არის განუყოფელი, ე.ი. უზენაეს ნებას გამოხატავს მთელი ხალხი და არა მისი ნაწილი. ამ ნების გამოხატულების შედეგი არის კანონი, რომელიც ყველასათვის საერთოა, საყოველთაოა. ე.ი. სუვერენი არის კანონმდებელი, ხოლო ცალკეულმა უფლებამოსილმა პირებმა (პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა...) შეიძლება მიიღონ სხვა ნორმატიული აქტები: დეკრეტები, ბრძანებულებები, განკარგულებები...

რუსო თვლის, რომ საერთო ნება არის ყოველთვის სწორი და ის ისწრაფვის საყოველთაო კეთილდღეობისაკენ; თუმცა იქვე მიუთითებს, რომ ეს ყოველთვის ასე არ არისო. დიახ, ეს აზრი, დებულება არის ძალზედ სათუო: ვერ ვიტყვით, რომ საყოველთაო ნება - ხალხის ნება არის ყოველთვის სწორი და სასიკეთო. მაგალითად, ხალხმა აირჩია ადოლფ ჰიტლერი. ჩინეთში მაო-ძე-დუნის მოსვლაც იყო პრინციპში საერთო-სახალხო ნების გამოხატულების შედეგი და რაც მოიტანა ამან ე.წ. კულტურული რევოლუციის და რეპრესიების ჩათვლით, კარგად ვიცით.

ფრანგი ფილოსოფოსის აზრით ამ პოლიტიკურ კორპუსს ანუ სუვერენს უნდა ჰქონდეს აბსოლუტური ძალაუფლება ცალკეულ მოქალაქეზე, წევრზე, ინდივიდზე: აი, ესაა უკვე, როგორც აღვნიშნეთ, ტოტალიტარიზმის ჩანასახები რუსოს აზროვნებაში! მაგრამ ყველა

¹¹⁹ ჟან-ჟაკ რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1997, 88

მოქალაქე არის თანასწორი კანონის წინაშე. ვთქვათ, არ შეიძლება ერთი პიროვნებისთვის სხვა საგადასახადო კანონი მოქმედებდეს, ხოლო მეორისთვის სხვა.

ძალზედ საინტერესოა ჟან-ჟაკ რუსოს განაზრებანი მმართველობის შესახებ, რაც მასთან აღმასრულებელ ხელისუფლებას ნიშნავს. იგი წერს, რომ პოლიტიკურ კორპუსში ანუ სახელმწიფოში „გამოყოფენ ძალას და ნებას. ეს მეორე **საკანონმდებლო ხელისუფლებად**, პირველი კი **აღმასრულებელ ხელისუფლებად** იწოდება. მათი დახმარების გარეშე არაფერი ხდება ან არ უნდა ხდებოდეს.

როგორც ვნახეთ, საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს და ეს ასეც უნდა იყოს. ზემოთ დადგენილ პრინციპთაგან ასევე გასაგებია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება შეუძლებელია ეკუთვნოდეს მთელ საზოგადოებას, როგორც კანონმდებელს ანუ სუვერენს, ვინაიდან ეს ხელისუფლება მხოლოდ კერძო აქტებში ვლინდება, რაც კანონები არ გახლავთ და მამასადამე, არც სუვერენის ქმედებათა სფეროს ეკუთვნიან; სუვერენის ნებისმიერი ქმედების აქტი მხოლოდ კანონია...

ამგვარად, სავსებით მართალია, ვინც ამტკიცებს, რომ აქტი, რომლის მეშვეობითაც ხალხი ემორჩილება გამგებლებს (les chefs), ხელშეკრულება არ გახლავთ. ეს სხვა არაფერია, თუ არა დავალება, საქმიანობა; ამ დავალების შესრულებით, სუვერენის რიგითი მოხელეები, სუვერენისავე სახელით ახორციელებენ იმ ძალაუფლებას, რომლის დამცველებადაც მან ისინი დანიშნა. სუვერენს შეუძლია, როცა მოესურვება, ეს ძალაუფლება შეზღუდოს, შეცვალოს და ჩამოართვას...¹²⁰ რა თქმა უნდა, რუსოს ამ დებულებებს ჰქონდათ რევოლუციური მნიშვნელობა თავისი ეპოქისათვის.

რუსოს მსჯელობა, რეფლექსია სუვერენის თაობაზე მაუწყებელია იმისა, რომ თავად ევროპელ ხალხებში, იგივე ფრანგებში იღვიძებდა სუვერენის თვითცნობიერება. კერძოდ, მასაში იღვიძებდა ცნობიერება იმისა, რომ ის იყო უზენაესი ნების მქონე ხალხი. დიახ, იღვიძებდა მასების აქტივობა. მაგრამ მეორე მხრივ, თავად რუსოს ამ მოძღვრებამ დააჩქარა ამ თვითცნობიერების გაღვიძება და საბოლოო ჯამში, დააჩქარა საფრანგეთის რევოლუცია. ეს უკანასკნელი ნამდვილად იყო სუვერენის ნების ამოხეთქვა, როდესაც ხალხმა საკუთარი ძალა იგრძნო. ჩვენთან, სამწუხაროდ, საქართველოში ეს პროცესი დაიწყო ორი საუკუნის შემდგომ, კერძოდ, XX საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს და ამ დროს დაიწყო დიდი საერთო-სახალხო გამოსვლები. მაშინ მიტინგები, მანიფესტაციები იყო სრულიად ახალი ხილი და ხალხი აღიქვამდა ამ აქციებს უზენაესი ნების გამოვლინებად.

რუსო დემოკრატიის აპოლოგეტია, მაგრამ იმავდროულად პარლამენტარიზმის მოწინააღმდეგე, ვინაიდან მიიჩნევს, რომ ხალხის ნების გამოვლინება და კანონმდებლობა (კანონების მიღება) უნდა ხორციელდებოდეს რეფერენდუმის გზით; ე.ი. რასაც აკეთებენ პარლამენტარები უნდა აკეთებდეს მთელი ხალხი. რუსოს აზრით, სწორედ სუვერენი არის საკანონმდებლო ხელისუფლება. ნებისმიერი საკანონმდებლო სისტემის მიზანი არის თავისუფლება და

¹²⁰ ჟან-ჟაკ რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1997, 58-59

თანასწორობა. მმართველობა კი არსებობს მხოლოდ სუვერენის წყალობით. რუსო ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოს ეს ორი ფუნქცია - საკანონმდებლო და აღმასრულებელი - ერთმანეთში არ უნდა აირიოს. როდესაც მმართველის ნება შედის წინააღმდეგობაში სუვერენის ნებასთან და როდესაც ის ცდილობს დათრგუნოს ხალხი, მაშინ უკვე სახელმწიფო იწყებს გადაგვარებას: საზოგადოებრივი შეთანხმება ირღვევა და უბრალოდ „ვიღაცა“ ძალის მემკვიდრით „თავზე აჯდება“ ყველას. ყოველივე ამის შედეგად კი ვიღებთ ტირანიას - გვეუბნება დიდი ფრანგი მოაზროვნე.

The Crime of War - An analysis of Juan Bautista Alberdi's¹²¹ Contributions

ომის დანაშაული - ხუან ბაუტისტა ალბერდის კონტრიბუციის ანალიზი

*“Pertenezco al suelo abusivo de la guerra, que es la América del Sud,
donde la necesidad de hombres es tan grande como la desesperación de ellos
por los horrores de la guerra inacabable”*

*(I belong to the abusive soil of war, which is South America,
where the need of men is as great as their desperation
by the horrors of endless war).¹²²*

Abstract

In this work author analyzes the “The Crime of War,” written by Juan Bautista Alberdi, intellectual author of the Argentine Constitution, in order to identify his contributions towards the construction of a lasting peace, written more than a century and a half ago. In the presented paper are mentioned the rules and laws created as a result of armed conflicts and their progress until the development of international humanitarian law and the prohibition of the use of force. In the conclusion author points out the main concepts that Alberdi developed, to conclude about their relevance and their incalculable value for his time.

რეზიუმე

წარმოდგენილ ნაშრომში ავტორი აანალიზებს არგენტინის კონსტიტუციის ავტორის, ხუან ბაუტისტა ალბერდის ნაშრომს "ომის დანაშაული", რათა დაადგინოს მისი წვლილი ხანგრძლივი მშვიდობის მშენებლობაში. ნაშრომი დაიწერა 150 წელზე მეტი ხნის წინ. წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებულია შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად შექმნილი რეგულაციები და მათი პროგრესი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარებამდე და ძალის გამოყენების აკრძალვამდე. დასკვნაში ავტორი მიუთითებს იმ ძირითად ცნებებზე, რომლებიც ალბერდიმ შეიმუშავა და ასაბუთებს მათ რელევანტურობას და თავისი დროისათვის მათი განუზომელ ღირებულებას.

* SJD Candidate at Indiana University Robert H. McKinney School of Law. ინდიანას უნივერსიტეტის, რობერტ მაკკინის სახელობის სამართლის სკოლის დოქტორანტი.

¹²¹ Juan Bautista Alberdi (San Miguel de Tucumán, United Provinces of the Río de La Plata, 1810 – Neuilly-sur-seine, France, 1884) was an Argentine politician, writer, jurist and economist, whose valuable contributions made him the intellectual author of the Argentine Constitution and one of the most influential Latin American thinkers of the 19th century. As a result of his work “The Crime of War” and his opposition to tyranny and war, it can also be affirmed that Alberdi was a precursor and intellectual of pacifism. Among his most important works stand out “*Bases y Puntos de Partida para la Organización Política de la República Argentina*” (Bases and Starting Points for the Political Organization of the Argentine Republic), “*Sistema económico y rentístico de la Confederación Argentina*” (Economic and Rentier System of the Argentine Confederation), “*El crimen de la guerra*” (The Crime of War), and “*La omnipotencia del estado es la negacion de la libertad individual*” (The omnipotence of the State is the negation of individual freedom).

¹²² Preface that Alberdi wrote for this essay, whose writing was prompted by his participation in the Contest organized in 1870 by the *Ligue Internationale et Permanente de la Paix*.

Introduction

The phrase affirming "war has been present since the origin of humanity" entails an essential historical truth, since conflicts constitute a founding element of modern states, including of those that make up South America, the place of birth of this great philosopher.¹²³

Armed conflicts have always been subject to certain rules, customs and, eventually, laws that limited and even prohibited certain behaviors. Initially, the regulations for conducts in war were made up of unwritten norms, based on humanitarian customs and practices derived from moral, religious, political, military and even economic imperatives.¹²⁴ These rules progressively gave rise to the principles of necessity, humanity, loyalty and a certain mutual respect, which in turn forged the creation of international humanitarian law, the principle of prohibition of the use of force embodied in the Charter of the United Nations, and the inclusion of war crimes under international criminal law.

However, war has not been considered a crime in itself, except in the circumstances that constitute the crime of aggression, finally regulated by the aforementioned international criminal law. That is why I consider the text of Juan Bautista Alberdi to be of great value, as he enlightens us on the legal and philosophical nature of war as a crime against civilization, introducing concepts that are still valid today despite having been written approximately a century and a half ago.

1. Brief history of the law relating to war

In international law there are two relevant aspects about war: one is related to the reasons why an armed conflict originates and the second one deals with how such conflicts are carried out.¹²⁵ Arguably, while essentially interrelated, these branches of law are independent. As a first step, then, it is convenient to briefly distinguish between *ius ad bellum* and *ius in bello*.

The *ius ad bellum* is the name given to the part of law that defines the prohibition of the use of force and the legitimate reasons why a State can participate in war, and focuses on certain criteria that make war just.¹²⁶ This principle of prohibition has its antecedent in the medieval one named *bellum iustum*, and its adaptation to modernity by the work of Francisco de Vitoria and Hugo Grotius, the latter widely cited by the author concerned in this work.¹²⁷ Precisely, the work of Hugo Grotius contains the entire doctrine of International Law that continues to be valid until today, both in positivism and in natural law, and in *Iure Belli ac Pacis* systematically and completely compiles the principles of the Law of Nations.¹²⁸

¹²³ Cruz Roja Española. *Orígenes y Desarrollo del Derecho Internacional Humanitario*. 26 June 2020. http://www.cruzroja.es/portal/page?_pageid=878,12647051&_dad=portal30&_schema=PORTAL30 [20.11.2022]

¹²⁴ Ibid

¹²⁵ Nabulsi K., *An ideology of war, not peace: jus in bello and the Grotian tradition of war*. Journal of Political Ideology, 4 (1), 1999 <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13569319908420787> [20.11.2022]

¹²⁶ Ibid

¹²⁷ Díez de Velasco M., *Las Organizaciones Internacionales*. Madrid: Anaya, 2007

¹²⁸ Gómez Robledo A., *Hugo Grocio, su vida y su obra*. Journal of Mexico Law School, Vol. 142-143-144, pp. 553-564, 1985

But the great changes in the understanding and conception of war occurred in the 20th century, especially after the First World War (1914/1918), whose Treaty of Versailles of 1919 instituted in its First Part, the Pact of the League of Nations, for the purposes of peacekeeping, while condemning wars of aggression throughout its articles. On the other hand, the Briand-Kellogg Pact or Pact of Paris of 1928¹²⁹, established the condemnation and renunciation of war by States as an instrument of national policy in their mutual relations, and the acceptance of seeking peaceful means for the settlement of disputes (arts. 1 and 2).

However, in 1945 -with the end of the Second World War (1939/1945)- arises the main modern legal source of *jus ad bellum*, derived from the Charter of the United Nations, whose article 2. 4. establishes the principle of Refrain from the threat and use of force: “All Members shall refrain in their international relations from the threat or use of force against the territorial integrity or political independence of any state, or in any other manner inconsistent with the Purposes of the United Nations”; and article 51 establishes the right to self-defense: “Nothing in the present Charter shall impair the inherent right of individual or collective self-defense if an armed attack occurs against a Member of the United Nations.”

Although as of 1945 the use of force is prohibited, except in the case of legitimate defense, this prohibition was not regulated as a crime but as a principle in the 1950 Principles and the sentences of the Court of Nuremberg.¹³⁰ Principle VI (a) established that an act committed against peace constituted a crime under international law and implied (i) “Planning, preparation, initiation or waging of a war of aggression or a war in violation of international treaties, agreements or assurances,” and participating in a common plan or conspiracy for the perpetration of any of the acts mentioned in subparagraph (1). In this way, war began to be understood, in certain circumstances, as a crime or offense of an international nature.

However, it was only after the Rome Statute, which gave rise to the International Criminal Court and codified International Criminal Law, that the crime of aggression emerged with binding force. Yet only in June 2010,¹³¹ the crime of aggression was properly and legally defined -approximately 150 years after Juan Bautista Alberdi stated that war is a crime.

Article 8 *bis* 2. of the Rome Statute, defines the act of aggression, constituting the crime, as: “the use of armed force by a State against the sovereignty, territorial integrity or political independence of another State, or in any other manner inconsistent with the Charter of the United Nations” and, likewise, it specifies that the invasion, attack, bombardment, blockade of ports, sending armed gangs, irregular groups and mercenaries, among other acts that it exhaustively lists, will be characterized as acts of aggression.

¹²⁹ Officially named the General Treaty for Renunciation of War as an Instrument of National Policy.

¹³⁰ Approved by the International Law Commission in 1950 and presented to the General Assembly in that same year.

¹³¹ The definition of the crime of aggression was established in art. 8 bis by Resolution RC/Res.6, annex I, of June 11, 2010.

On the other hand, there is the *ius in bello* that constitutes the set of laws that govern the development of the conflict once it has begun.¹³² Its purpose is to regulate how wars are fought, regardless of the reasons for how or why they started. As I explained earlier, this branch of law was governed over time by the constantly changing uses and customs of war. Progressively, bilateral treaties and regulations promulgated by States for the respective troops made their appearance.¹³³ However, the law applicable in armed conflicts was limited in time and space, since it was only valid for a given battle or conflict.¹³⁴

The creation of the now universally known International Committee of the Red Cross,¹³⁵ at the conference held in Geneva in 1863, was a relevant change, as it was from that moment that the international codification of the laws of war began, which, until then, were internal or customary.¹³⁶

The year 1864 is usually considered as the birth certificate of IHL because the Diplomatic Conference held in Switzerland concluded with the signing of the Geneva Convention on August 22, with the purpose “to improve the fate of the wounded soldiers of armies in the field”.¹³⁷ It is the first multilateral instrument of International Humanitarian Law promoted by representatives of sixteen countries and signed and ratified in the coming years by almost all existing States.¹³⁸

Since the creation of the ICRC and the abovementioned multilateral agreement, international humanitarian law has advanced with the aim of providing protection and assistance to the victims of armed conflicts. In this context, in 1868, the Saint Petersburg Declaration was approved. This declaration prohibited the use of certain projectiles in times of war and proclaimed the general prohibition of the use of weapons “that would uselessly aggravate the suffering of men”.¹³⁹ Subsequently, the Peace Conferences of 1899 and 1907 were held in The Hague; the latter revised and expanded the former and approved fourteen agreements on the matter. Moreover, the ICRC drafted the 1929 Geneva Convention relative to the treatment of prisoners of war.¹⁴⁰

As I mentioned, after the Second World War, the greatest concern was the prohibition, and even punishment, of war as a crime, but so was the regulation of armed conflicts, which was reflected in the signing of the four Conventions of Geneva on August 12, 1949.¹⁴¹ Subsequently, and due to the

¹³² Nabulsi K., *An ideology of war, not peace: jus in bello and the Grotian tradition of war*. Journal of Political Ideology, 4 (1), 1999 <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13569319908420787> [20.11.2022]

¹³³ Comité Internacional de la Cruz Roja. *Derecho Internacional Humanitario, respuestas a sus preguntas*. CICR: Ginebra, 2005

¹³⁴ Ibid

¹³⁵ Also officially called the International Committee of the Red Crescent with the Red Diamond as an exceptional identification.

¹³⁶ Comité Internacional de la Cruz Roja. *Nace el Movimiento Internacional de la Cruz Roja y de la Media Luna Roja*. 2013. <https://www.icrc.org/es/content/nace-el-movimiento-internacional-de-la-cruz-roja-y-de-la-media-luna-roja#.VMJpsUff-K8> [20.11.2022]

¹³⁷ Comité Internacional de la Cruz Roja. *Manual del Movimiento de la Cruz Roja y de la Media Luna Roja*, 13 Ed. 1994. <https://www.icrc.org/spa/resources/documents/treaty/treaty-1864-geneva-convention-1.htm> [20.11.2022]

¹³⁸ Ibid

¹³⁹ Cruz Roja Española. *Orígenes y Desarrollo del Derecho Internacional Humanitario*, 2008. http://www.cruzroja.es/portal/page?_pageid=878,12647051&_dad=portal30&_schema=PORTAL30 [20.11.2022]

¹⁴⁰ Ibid

¹⁴¹ Convention (I) for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field, Convention (II) for the Amelioration of the Condition of the Wounded, Sick, and Shipwrecked Members of Armed Forces at Sea,

continuation of armed conflicts, the General Assembly of the United Nations approved in 1968 Resolution 2444, which deals with respect for human rights in armed conflicts. Likewise, during the Diplomatic Conference held in Geneva, between 1974 and 1977, two Additional Protocols to the 1949 Geneva Conventions were approved, to which a third was added in 2005.¹⁴² Likewise, over the years, agreements have been approved regarding the prohibition of the development, production, storage and use of certain weapons that may be excessively harmful or may have indiscriminate effects on people and property.¹⁴³

Finally, it is also worth noting that both war as an international crime, as well as war crimes, are imprescriptible according to the regulations of the Rome Statute and, exclusively the latter, in light of the on the Convention on the Non-Applicability of Statutory Limitations to War Crimes and Crimes Against Humanity of 1968.

The foregoing brief historical evolution demonstrates the great development that International Law has had in relation to war, especially within the branches called International Humanitarian Law and International Criminal Law. Over the years and as a consequence of the atrocities committed during the two great wars of the first half of the 20th century, States formally recognized -because the opposite could be said in practice- the importance of maintaining peace and, otherwise, of protecting both combatants and civilians. Furthermore, in order to minimize the devastating effects of armed conflicts agreements were signed for the protection of cultural and historical assets and heritage.

Although war constitutes a crime in specific circumstances such understanding of armed conflicts was only enshrined with the force of law after the Second Postwar period and only at the end of the 20th century a specialized international court acquired jurisdiction for judgment of individuals accused of committing such crime.

This brief overview of armed conflicts, and their legal implications, regulations and consequences, will help to understand the importance of Juan Bautista Alberdi's thought, which emerges in advance to all international regulations that establish war and its human consequences as a crime that affects all humanity and that ultimately creates international criminal justice.

2. Alberdi's "War Crime" Essay: his contributions to a lasting peace

Convention (III) Relative to the Treatment of Prisoners of War, and Convention (IV) Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War, (ICRC), 1949.

¹⁴² Protocol Additional to the Geneva Conventions of 1949, and relating to the Protection of Victims of International Armed Conflicts (Protocol I), 1977. Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and relating to the Protection of Victims of Non-International Armed Conflicts (Protocol II), 1977. Protocol additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and relating to the Adoption of an Additional Distinctive Emblem (Protocol III), 2005.

¹⁴³ Convention on the Prohibition of the Development, Production and Stockpiling of Bacteriological (Biological) and Toxin Weapons and on their Destruction, 1972. Convention on Certain Conventional Weapons, 1980, and its additional protocols: Protocol on Non-Detectable Fragments (Protocol I), 1980; Protocol on Prohibitions or Restrictions on the Use of Mines, Booby-Traps and Other Devices (Protocol II), amended 1996; Protocol on Prohibitions or Restrictions on the use of Incendiary Weapons (Protocol III), 1980; Protocol on Blinding Laser Weapons (Protocol IV), 1995, and y Protocol on Explosive Remnant of War (Protocol V), 2003.

“La Guerra es la justicia que se hace cada uno a falta de una justicia del mundo. La justicia del mundo falta porque el mundo carece de unidad, y no forma todavía un cuerpo de sociedad internacional. Luego, el medio de abolir la guerra es ayudar a la consolidación del mundo en un Estado de Estados, sociedad de sociedades, nación de naciones, como una especie de entidad común, que haga la justicia que hoy se hace cada uno por la guerra” (War is the justice that each one does to himself in the absence of a justice in the world. The justice of the world is lacking because the world lacks unity, and does not yet form a body of international society. Then, the means to abolish war is to help consolidate the world into a State of States, a society of societies, a nation of nations, as a kind of common entity, that does the justice that each one does today for war).¹⁴⁴

I believe the quote above encompasses the central points of Alberdi's thoughts in his essay "The Crime of War," as well as it reflects the reasons that led him to write it. In consequence, I consider convenient to carry out a contextualization of the causes that originated the manuscripts converted into the posthumous book of the intellectual author of the Argentine Constitution.

The contest organized in Paris by the *Ligue Internationale et Permanente de la Paix* in 1870, shortly before the outbreak of the Franco-Prussian War, is the cause and origin of the book by Juan B. Alberdi, as he explained in the preface with which he begins the work.¹⁴⁵ (Alberdi, Ed. 1934). Unfortunately, "*El Crimen de la Guerra*" (The Crimes of War) was published posthumously in 1895 and it is evident that the text finally printed altered the temporal evolution of the Alberdian discourse, breaking with the continuity of certain themes.

In the note that he left to the preface, Alberdi explains the reasons for his participation in the contest, ruling out the desire to emerge victorious and highlighting the need to express his position in the face of the opprobrium of the war that afflicted his homeland (Argentina and South America) and so many other parts of the world. A phrase nucleates his thought of condemning all war, regardless of its reasons and its origin, its legitimacy or illegitimacy, when referring to the South American context: "Using war to remedy war, homeopathy in which I do not believe".¹⁴⁶

The reasons for his writing are clearly revealed in the content of his pages. And a book of such magnitude cannot but be the object of incessant and profound study for which this modest work would not suffice. That is why I have decided simply to emphasize those contributions that I consider of incalculable value, those reflections whose validity is as current as it was in the hard years of the Argentine civil war and those wars that all of South America suffered during the XIX century.

Pacifism as an emblem. Alberdi's main contribution consists of his criticism of war, the law of war and the conception that existed at the time of writing his work. He considers all wars to be a crime through the analysis of their legal nature. This masterpiece begins by affirming that the concept "crime of war" must surprise us, but even more so must the monstrous and incomprehensible expression "law of war,"

¹⁴⁴ Note written by Alberdi at the bottom of the fourth page of the brochure for the contest organized by the *Ligue Internationale et Permanente de la Paix*.

¹⁴⁵ Alberdi J. B., *El crimen de la guerra*. Tribute of the Honorable Deliberative Council on the fiftieth anniversary of the death of Juan Bautista Alberdi. Buenos Aires, 1934

¹⁴⁶ Unofficial translation of the author.

thus referring to the legitimization of homicide, robbery, destruction and devastation caused by armed conflicts.

The same criticism makes the expression “just war” since it implies a contradiction, an oxymoron, since war is equivalent to the absence of meaning where every act is unworthy, ugly or bad and, therefore, unfair. With this, Alberdi makes us understand the intrinsic contradiction of these concepts, making us conclude that, probably, the law of peace and not of war should be legislated.

In this same sense, the author affirms that the crime of war is justice exercised in a criminal way, or justice understood as a legitimizing element of the crime as the State is in charge of applying the law. Therefore, in a military conflict a State becomes party and judge at the same time forcing its interests to collide. Precisely, this is perhaps the most interesting and innovative element of Alberdi’s thought, that is, the idea of an international justice.

International justice. Alberdi places greatest emphasis on the importance of the need for international justice since for him the criminality of war does not lie solely in the use of violence but essentially in the fact that one of the parties to it is both judge and interested party in the conflict. In his book, he argues that the unjust nature of war can only be remedied by creating a “sovereign international court of justice”.¹⁴⁷ He even explains that within international criminal law there must be a proportional scale of penalties and crimes, just as there is in domestic criminal law.

In the context of analyzing the possibility of international justice, Alberdi draws a parallelism between the individual and the nation, between criminal law applied to individuals -whom he calls men- and the criminal law of war applied to nations. In this comparative logic, justice by one's own hands would be equivalent to the use of war in the hands of the attacked nation, for which it is necessary to expropriate the conflict so that it can be resolved by an international organization represented by the “most civilized States on earth.”¹⁴⁸

It is surprising, but true to the quality of the author’s ideas, that Juan Bautista Alberdi wrote about the need for an international criminal justice, more than one hundred years before the creation of the International Criminal Court.

And this allows me to affirm that Alberdi was a visionary, ahead of his time, despite the fact that his objectives regarding international justice have not yet been achieved, since the International Criminal Court has not had the desired persuasive effect -at a preventative level- nor has it been able to put an end to impunity -prosecuting perpetrators extensively-, since armed conflicts multiply and perpetuate themselves in time and space.

Although the International Court of Justice, created in 1945 within the scope of the United Nations as its primary jurisdictional body, has since occupied the role of arbitrator of international disputes, I consider that it does not fulfill the strict purposes Alberdi had in mind. On the contrary, the International

¹⁴⁷ Unofficial translation of the author.

¹⁴⁸ Unofficial translation of the author.

Criminal Court represents Alberdi's objectives which are to judge the real authors of the wars, the individuals who are part of governments or power groups and are, in his eyes, the only ones responsible. He opposes to judge the State in its entirety, also formed by the people, a people oblivious to the reasons for the conflict but which is inevitably the first and almost exclusive victim and object of wars' atrocious consequences.

The war of the government, of the sovereign and not of the people. Alberdi introduces here a very interesting point: understanding war as a conflict between States, not between peoples, and that war is waged by the government and not by the people. Today, as I mentioned earlier, we could include other active subjects -non-state actors- which, without being part of the government itself, hold sufficient power to become actors in a war conflict. With sarcasm and irony, Alberdi intertwines 'to be' with 'must be',¹⁴⁹ and thus argues that democratic peoples -sovereigns and masters of themselves- should do the reverse of what kings did in the past. In consequence, the peoples should send their governmental delegates to war and continue themselves with friendly and diplomatic exchanges.

Unfortunately, this continues to be the case today, since those who face the real consequences of wars, both at the humanitarian level but also from an economic point of view, are essentially the peoples. I will indicate in greater detail the war ravages that Alberdi mentions, but it is clear that, although certain armed conflicts do not occur in the territory of one or more of the intervening States and, in this way, their inhabitants do not directly suffer the direct violence of war, they do see the economic impact as a State defense budget comes from the taxes of its inhabitants.

1. რენტის, როგორც სამისდღეშიო რჩენის სამართალურთიერთობის, ჩამოყალიბების სათავეები

რენტის სამართალურთიერთობის სათავეები ძველი რომის იმპერიიდან მომდინარეობს. ამგვარი სამართალურთიერთობის წარმოშობა განპირობებული იყო იმ აუცილებლობით, რომ ერჩინათ „გამოსაკვები დაწესებულება“, რომელიც უზრუნველყოფდა ძველი რომის იმპერიის ღარიბ-ღატაკ მოსახლეობას „მუქთა“ პურით. რომის საიმპერიო ხელისუფლების მხრიდან ამგვარი „გამოსაკვები დაწესებულების“ შექმნის შედეგი იყო ის, რომ მან იტალიის ქვეყნის მოსახლეობა უცილობელ სიკვდილს გადაარჩინა და მათ რჩენის შესაძლებლობა მისცა.¹⁸⁷

ცნობილ ცივილისტს *ნ.ს. სუვოროვს* თავის კვლევაში მოჰყავს მუდმივი რენტის თვალსაჩინო მაგალითი. „პლინიუსის ცნობილი საალიმენტო დაწესებულების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ პლინიუსმა თემს თავისი მიწის ნაკვეთი შესწირა, ხოლო თემმა მას იგივე მიწის ნაკვეთი მემკვიდრეობით იჯარაში დაუბრუნა. ამ შემთხვევაში მიწათმოქმედის ასეთი მიწის ნაკვეთი განიხილებოდა, როგორც გირაოს უზრუნველყოფა. რამდენადაც ვალის დაფარვა თანხის

<<https://www.ris.bka.gv.at/GeltendeFassung.wxe?Abfrage=Bundesnormen&Gesetzesnummer=10001622>> [23.12.2021].

¹⁸¹ *Henssler M.*, Risiko als Vertragsgegenstand, Tübingen, 1994, 395.

¹⁸² *Sepp K.*, Der Leibrentenvertrag nach dem Bürgerlichen Gesetzbuch, München 1905, 38. აგრეთვე: უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გამოყენება იმისათვის, რომ დახმარებოდა ხანდაზმული ადამიანების მოთხოვნებს და გაზრდილიყო მათი ცხოვრების უზრუნველყოფი ადეკვატური საშუალებები, არ იყო უცხო კონცეფცია ევროპაში. სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებდა ისეთ ცნებებს, როგორცაა საცხოვრებლის იჯარა, რომელიც არსებობს სკ-ში მე-19 საუკუნიდან, *Reifner, Udo/Clerc-Renaud, Sebastien/Pérez-Carillo, Elena/Tiffe, Achim/Knobloch, Michael*, Equity Release Schemes in the EU, Norderstedt, 2010, 161.

¹⁸³ 21-ე საუკუნის გერმანელი მეცნიერ-იურისტი. გერმანული, ევროპული და საერთაშორისო საკორპორაციო სამართლის მკვლევარი <<https://www.uni-marburg.de/de/fb01/.../prof-dr-markus-roth>> [26.11.2021].

¹⁸⁴ *Roth M.*, Private Altersvorsorge: Betriebsrentenrecht und individuelle Vorsorge, Tübingen, 2009, 31.

¹⁸⁵ 21-ე საუკუნის გერმანელი მეცნიერ-იურისტი, კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორი, <<https://www.amazon.de/Immobilienverzehr.../3933812240>> [26.11.2021].

¹⁸⁶ *Arentz O.*, Immobilienverzehr – Möglichkeiten und Grenzen, Köln, 2010, 7.

¹⁸⁷ *Суворов Н.С.*, Об юридических лицах по римскому праву, М., 2000, 51.

გადახდით არ დაიშვებოდა, იგი საბოლოო ჯამში ვექტიგალური¹⁸⁸ ან ემფიტევტური¹⁸⁹ წესისაგან განსხვავებით იღებდა მუდმივი რენტის სახეს, რომლის დროსაც მისი გადახდა თვითონ მესაკუთრეს უწევდა.¹⁹⁰

დასავლეთ ევროპაში ქრისტიანული მრწამსის დამკვიდრებამ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განსაკუთრებით სამართალში რელიგიური დოგმატების გაძლიერებულმა შეჭრამ გამოიწვია ის, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში რენტამ თავისი საკანონმდებლო დამკვიდრება ვერ მოიპოვა, რამდენადაც ეკლესია სარგებლის მიმღები გარიგებების დადებას კრძალავდა.

2. რენტა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში

რენტის ხელშეკრულება, როგორც ასეთი, შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა. იურიდიულ ლიტერატურაში დასახელებულია ევროპულ კანონმდებლობაში რენტის ხელშეკრულების აღმოცენების ორი ძირითადი მიზეზი. ცნობილი ფრანგი ცივილისტის *ლ. ჟ. მორანდიერის*¹⁹¹ მოსაზრებით, ამ ორ ძირითად მიზეზთაგან ერთ-ერთს ნაღდი ფულის არასაკმარისობა წარმოადგენდა. ამ უკანასკნელმა გარემოებამ უძრავი ქონების რენტის წარმოშობა გამოიწვია. მეცნიერი წერდა, რომ მესაკუთრე, რომელსაც თავისი უძრავი ქონების გაყიდვა სურდა, გაცილებით ადვილად პოულობდა ისეთ მყიდველს, რომელიც თანახმა იქნებოდა გამყიდველისათვის მუდმივი რენტა გადაეხადა, ვიდრე ისეთს, რომელიც თანახმა იქნებოდა კაპიტალური თანხა გადაეხადა, რამეთუ არ იყო ნაღდი ფულის სიუხვე.¹⁹²

სინამდვილეში, ზოგადად ცნობილი ფაქტია, რომ შორეული შუა საუკუნეების ევროპაში ნატურალური მეურნეობა ბატონობდა, ხოლო ნაღდი ფულის დეფიციტი იმდენად დიდი იყო, რომ მე-10 საუკუნემდე მიმოქცევაში რომის იმპერიაში მოჭრილი ფულის ერთეული არსებობდა. რენტის წარმოშობის მეორე მიზეზად *მორანდიერმა* დაასახელა ის გარემოება, რომ ეკლესია, ისევე როგორც საერო კანონმდებლობა, კრძალავდა პროცენტთან სესხს, რომელიც დადღასმული იყო, როგორც მევახშეობა.¹⁹³ *თომას აკვინელი*¹⁹⁴ და ეკლესიის სხვა მამები

¹⁸⁸ ლათ.: *ius in agro vectigali*-დასავლეთ რომის იმპერიაში ჩვეულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გადაცემა ხდებოდა კერძო პირებზე იჯარის წესით განსაზღვრული გადასახადის (ლათ.: *vectigal*) შესაბამისად. ასეთი მიწები იღებდნენ ლათინურად *agri vectigales* სახელწოდებას. მემკვიდრეობითი გრძელვადიანი იჯარა სახელმწიფოს კუთვნილი მიწების წლიური გადასახადის სანაცვლოდ.

¹⁸⁹ ემფიტევტის ინსტიტუტი რომის სამართალში საბერძნეთიდან შემოვიდა. ემფიტევტის მიწით მოსარგებლეს შეეძლო დაემუშავებინა და გაემუშავებინა მიწის ნაკვეთი. შეეცვალა მისი დანიშნულება, მთლიანად მიეღო სარგებელი, მაგრამ ამ ნაკვეთის გაყიდვის უფლება მას არ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო მისი გადაცემა მემკვიდრეობით, მაგრამ თუ დაისმებოდა ნაკვეთის გაყიდვის საკითხი, პირველ რიგში, ყიდვის უპირატესი უფლება ჰქონდა მიწით მოსარგებლეს, რისთვისაც იგი ძალზე დაბალ თანხას იხდიდა, *მეტრეველი ვ.*, რომის სამართალი, საფუძვლები, 2009, 69.

¹⁹⁰ *Суворов Н.С.*, Об юридических лицах по римскому праву, М., 2000, 51.

¹⁹¹ მე-20 საუკუნის ფრანგი მეცნიერ-იურისტი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის საფრანგეთის სამოქალაქო სამართალი, თარგმანი რუს. ენაზე *ე.ა. ფლეიშიცის*, 3 ტომად, 1958-1961 წწ.

¹⁹² *Морандьер Л.Ж.*, Гражданское право Франции к.1. М., 1958, 253.

¹⁹³ იქვე, 254.

¹⁹⁴ *თომას აკვინელი (1225-1274)- მაღალი შუა საუკუნეების ყველაზე გავლენიანი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი. დომინიკელთა ორდენის წევრი. პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, თომიზმის ფუძემდებელი, რომელიც დღემდე კათოლიციზმის ცენტრალურ ფილოსოფიურ მოძღვრებად ითვლება. თომას აკვინელის მთავარ დამსახურებად ითვლება მკაცრი მეცნიერული - არისტოტელესეული - მეთოდის ქრისტიანულ ჭეშმარიტებათა დამტკიცების სამსახურში ჩაყენება. აკვინელის მოძღვრების ქვაკუთხედად შეიძლება ჩაითვალოს*

ასწავლიდნენ, რომ ხელშეკრულების მხარეებმა უნდა იტვირთონ თანაბარი ვალდებულებები, რადგან ცოდვას, რაღაც მოითხოვო პარტნიორისაგან და სანაცვლოდ „სამართლიანი საფასური“ (*“iustum pretium”*) არ შესთავაზო. აღნიშნული პრინციპი ბუნებითი სამართლის მომხრეებმაც გაიზიარეს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ვალდებულებათა უთანაბრობის ნებისმიერ მსგავს შემთხვევაში ერთ-ერთ მხარეს მისთვის „მეტისმეტი ზიანის“ (*“laesio enormis”*) მიყენების საფუძველზე ხელშეკრულების დარღვევა შეეძლო. რასაკვირველია, მათთვის ეს არა ქრისტიანული მცნება, არამედ ადამიანური გონების კარნახი იყო.¹⁹⁵

რენტის ხელშეკრულების წარმოშობის აღნიშნული კანონზომიერება, როგორც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაზე კანონიკური სამართლის ნორმის ზემოქმედების შედეგი, შენიშნა გ.გ. შერშენევიჩმა. თავის „სამოქალაქო სამართლის კურსში“ იგი წერდა: ეკლესიის ზემოქმედება ვალდებულებითი სამართლის სფეროში (ვიდრე სანივთო და საოჯახო სამართალში) იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ აქაც იგი ეკლესიის მხრიდან პროცენტების წინააღმდეგ დაულაღვი დევნის შედეგში გამოვლინდა. ბრუნვა, რომელიც უძველესი იყო გვერდი აევლო განვითარებისათვის ზრდის გარეშე, იძულებული ხდებოდა თავის დამკვრენის საშუალებებისათვის მიემართა, რათა ეკლესიის აკრძალვებისათვის დაეღწია თავი. აქედან მივიღეთ გარიგების არცთუ ცოტა ფორმა, რომელთა არსებობაც მარტოოდენ თითქოს იმ მიზნით აიხსნება, როგორც მაგ., ...*rente constitue, rente fonciere* (კაპიტალის რენტა და საადგილმამულო რენტა- ფრ.).¹⁹⁶

სამართლებრივი სახელმწიფოს ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეპოქაში დასახელებულმა მიზეზებმა სამართლის ნორმებით რეგულირებულ რენტის ურთიერთობებს ჩაუყარა საფუძველი. რენტის უფლების ქვეშ გაიგებოდა „გარკვეული პირის მხრიდან პერიოდულად, წლიდან წლამდე განსაზღვრული შემოსავლიდან გადასახადის მოთხოვნის უფლება.“¹⁹⁷ ეს უფლება მიეცემოდა განუსაზღვრელი ვადით, მუდმივად ან განსაზღვრული ვადით, სამისდღეშიოდ. აქედან გამომდინარე, რენტის ხელშეკრულება შეიძლება დავყოთ ორ სახედ: მუდმივი რენტის ხელშეკრულება (უწყვეტი, უვადო) და სამისდღეშიო რენტის ხელშეკრულება. მუდმივი რენტის ნაირსახეობას, თავის მხრივ, უძრავი მამულის რენტა ან საადგილმამულო რენტა და კაპიტალის რენტა წარმოადგენს.¹⁹⁸

პირველყოფილურმა მეურნეობამ და კრედიტის უკიდურესმა არაუზრუნველყოფამ შუა საუკუნეებში წარმოშვა ხელშეკრულებები მიწის რენტის თაობაზე. მამულებში რენტის სავალდებულო გადახდა მიწის ნაკვეთების უფლებრივი დატვირთვის სახით იყო გათვალისწინებული. ამასთან, რენტის გამოსყიდვა არ დაიშვებოდა, რის გამოც მამულის მფლობელი აღნიშნული ვალდებულებისაგან არ თავისუფლდებოდა, გარდა იმისა, რომ

რწმენისა და გონების ჰარმონიული თანხვედრა. მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებებია: „თეოლოგიის ჯამი“ (Summa theologiae), „ჯამი წარმართთა წინააღმდეგ“ (Summa contra gentiles) და „ჭეშმარიტების შესახებ“ (Questiones disputatae de veritate), <<http://ka.wikipedia.org/wiki>> [26.11.2021].

¹⁹⁵ ცვაიგერტი კ.,/კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. 2, 2001, 13.

¹⁹⁶ Шершеневич Г.Ф., Курс гражданского права, Тула, 2001, 33.

¹⁹⁷ Проект статей о пожизненном доходе (rente) и пожизненном содержании. С объяснительной запиской/сост. И.Е.Ильшенко, Б.М., 1890, 3.

¹⁹⁸ იქვე, 4.

მამულზე უარის თქმა ან მისი სხვა მფლობელზე გადაცემა შეეძლო.¹⁹⁹ შემდგომ პერიოდში საკუთრების უფლების მნიშვნელობისა და ფულადი კრედიტის გაძლიერებასთან დაკავშირებით, მოძრავი ნივთების საკუთრების უფლების მობილიზაციის მიზანმიმართულების გაჩენით და იპოთეკური სისტემის განვითარებით, მიწის რენტაზე მოთხოვნა გაქრა. ასეთი ხელშეკრულებები მხოლოდ ფრანგულ, იტალიურ და ნაწილობრივ საქსონიურ კანონმდებლობაში შემორჩა.²⁰⁰

3. სამისდღეშო რენტის ხელშეკრულება, როგორც რჩენის უზრუნველყოფის საფუძველი ფეოდალურ საზოგადოებაში

სამისდღეშო რენტამ შედარებით ფართო გავრცელება ფეოდალიზმის დროს ჰპოვა. ჯერ კიდევ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში წარმოიშვა ჩვეულება, რომლის მიხედვითაც კაპიტალი, სხვა მოძრავი, ასევე უძრავი ქონება პირის ან დაწესებულების (მაგ., ეკლესია, მონასტერი) მფლობელობაში არა პროცენტის გამო, არამედ პერიოდული რენტის მისაღებად გადაიცემოდა.²⁰¹ აქედან გამომდინარე, უძრავი ქონების გადაცემა მცირე მესაკუთრეების მხრიდან მსხვილ მესაკუთრეებზე იმ მიზნით ხდებოდა, რომ ძველი მესაკუთრის მფლობელობაში პრეკარული²⁰² ან სხვა დაქვემდებარებული უფლებით იქნებოდა გადაცემული. იმ შემთხვევაში, როცა მიწის ნაკვეთის რენტით დატვირთული კაპიტალი გადაეცემოდა, ხელშეკრულების ორივე მონაწილე მხარისათვის რენტა მემკვიდრეობით ხასიათს იძენდა. მე-13 საუკუნის დასაწყისიდან ეს ინსტიტუტი თანმიმდევრულად, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქებში განვითარდა. მე-17 საუკუნის ბოლოს და მე-18 საუკუნის დასაწყისში ინგლისში და საფრანგეთში გამოყენებული სამისდღეშო რენტა სახელმწიფო და მუნიციპალური სესხის სახით არსებობდა. სამისდღეშო რენტის უფრო რთულ ფორმას წარმოადგენდა ე.წ. ტონტინები,²⁰³ რომლის არსიც იმაში მდგომარეობდა, რომ სამისდღეშო რენტა შეიძინებოდა რამდენიმე პირის მიერ, რომლებიც კონკრეტულ ჯგუფში იმ მიზნით ერთიანდებოდნენ, რომ ამ ჯგუფის წევრების მიღებული მთელი შემოსავალი გაენაწილებინათ.²⁰⁴ მოგვიანებით, სამისდღეშო რენტის დადგენა სპეკულაციის საგანი გახდა. ამ მიზნით სააქციო და სხვა სახის საზოგადოებები იქმნებოდა, რამდენადაც იგი რენტის გამართულად გადახდაში კერძო დამსაქმებელთან შედარებით მეტ უზრუნველყოფას იძლეოდა.²⁰⁵ მათ თითქმის შეავიწროვეს კერძო პირთა შორის ხელშეკრულებით დადგენილი სამისდღეშო რენტის გამოყენების შესაძლებლობა.

¹⁹⁹ Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, книга 2-ая, Договоры о передаче имущества, М., 2000, 621.

²⁰⁰ Проект статей о пожизненном доходе (rente) и пожизненном содержании. С объяснительной запиской/сост. И.Е.Ильяшенко, Б.М., 1890, 4.

²⁰¹ Энциклопедический словарь/изд. Ф.А.Брокгауз и И.А.Ефрон, т.26 а. СПб,1899,167.

²⁰² პრეკარიუმი -(ლათინურიდან- precarium-თხოვნა), რომაულ და შუასაუკუნეობრივ სამართალში: იმ მიწით სარგებლობა, რომელსაც იძლეოდა მესაკუთრე წერილობითი თხოვნის საფუძველზე მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი ვადით. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო მიხეილ ჭაბაშვილმა, მე-3 შესწორებული და შევსებული გამოცემა, 1989, 404.

²⁰³ ლორენცო ტონტი (1602-1684 წწ.)- ქ. გაეტას (იტალია, ლატინას პროვინცია) გუბერნატორი. მას ზოგჯერ მიაწერენ სიცოცხლის დაზღვევის ტონტინის ფორმის გამოგონებას, თუმცა სინამდვილეში კი მისი მხრიდან მხოლოდ არსებულის მოდიფიცირება იყო შემოთავაზებული

²⁰⁴ Большая советская энциклопедия / гл.ред. Б.А.Введенский, т.33, М.,1955, 467.

²⁰⁵ Проект статей о пожизненном доходе (rente) и пожизненном содержании. С объяснительной запиской/сост. И.Е.Ильяшенко, Б.М.,1890,6.

ერთ-ერთი პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელმაც რენტის ხელშეკრულება დაარეგულირა, საფრანგეთის 1804 წლის სკ იყო. იგი ბურჟუაზიული საფრანგეთის სამოქალაქო ბრუნვას აწესრიგებდა. საფრანგეთის სკ ითვალისწინებს სამისდღეშიო რენტის ხელშეკრულების მარეგულირებელ თავს. აღნიშნული თავის ნორმებში ძირითადი ყურადღება ხელშეკრულების ნამდვილობის აღიარების პირობებზეა გამახვილებული, აგრეთვე იმაზე, რომელიც სკ-ში მოხსენიებულია როგორც „ხელშემკვრელი მხარეებისათვის შედეგი“,²⁰⁶ ანუ ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების შინაარსი და შესაბამისი უფლებების რეალიზაციაა გადმოცემული. პერიოდული სარჩოს მიწოდების პირობით ქონების გასხვისების ხელშეკრულებები ქონების ბრუნვის განვითარების შესაბამისად კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებში ფართოდ გავრცელდა და გერმანიის,²⁰⁷ შვეიცარიის²⁰⁸ და სხვა სახელმწიფოთა სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმატიულ აქტებში ჰპოვა ასახვა.

სამისდღეშიო რენტის ხელშეკრულება მხარეთა თავისუფალი შეთანხმებით კრედიტორის, მესამე პირის ან ნებისმიერი პირის სიცოცხლის მანძილზე იდებოდა, რომლის სასარგებლოდაც სარჩო გადაიხდებოდა. სარჩოს ოდენობა და გადასაცემი ქონების შემადგენლობა (ფული ან სხვა ნივთები, რომელთაც ფულადი ღირებულება გააჩნდათ²⁰⁹) და რენტის ოდენობა დამოკიდებული იყო მხოლოდ მხარეთა ნებაზე და მეტისმეტ, ზღვარგადასულ წესებს და მევახშეობის განვითარებას არ ექვემდებარებოდა,²¹⁰ შესაძლებელი იყო ჩუქების საშუალებით, ჩუქების ან ანდერძის წესების დაცვით. კაპიტალი, რომელიც რენტის საფუძველს შეადგენდა, მოვალის საკუთრებაში გადადიოდა და დაბრუნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარებოდა, როდესაც მისი მხრიდან კრედიტორის საზიანოდ რაიმე განზრახვა იქნებოდა და რენტის გადახდას შეუძლებელს გახდიდა.

4. სამისდღეშიო რენტის ხელშეკრულება ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით

ტერმინი „სამისდღეშიო“ ქართულ საისტორიო წყაროებში 1624 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში „მისთა დღეშიგ“ („მისთა დღეში“) და „სამიდღეჩოდ“ ფორმით გვხვდება:²¹¹ „ჩვენი სახლი და თქვენი სახლი მისთა დღეშიგ ერთი ყოფილიყო, და... სამიდღეჩოდ ერთნი ვყოფილვართ... ჩვენი სამკვიდრო თავა მისთა დღეში ჩვენი ყოფილიყო“. „რუსუდანიაში“ გამოყენებულია ტერმინები „სამიდღეშიოდ“ და „სამისდღეშიოდ“, რაც გულისხმობს-სამუდამოდ, სამარადჟამოდ, სამარადისოდ. „თუ გავაცხადოთ მტერობა, ვაითუ ვერ მოვერივნეთო, სამისდღეშიოდ ჩვენი სახელი დაიკარგებაო.“²¹²

თუ რა სახის იქნებოდა უზრუნველყოფა, მისი შერჩევა ვალდებულების წარმომშობ კონკრეტულ ვითარებაზე, ასევე მხარეთა ურთიერთობის ხასიათზე და შეთანხმების რაგვარობაზე იყო

²⁰⁶ Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, книга 2-ая, Договоры о передаче имущества, М., 2000, 621, 622.

²⁰⁷ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, გერმანულიდან თარგ. *ზურაბ ჭეჭელაშვილმა*, <<http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>> [24.11.2021].

²⁰⁸ შვეიცარიის 1911 წლის ვალდებულებითი კანონი (ძალაშია 1912 წლის 1 იანვრიდან), ცვლილებებით 2012 წლის 1 მარტის მდგომარეობით, <www.wipo.int/wipolex.ru/details.jsp?id=681> [20.11.2021].

²⁰⁹ Энциклопедический словарь / изд. Ф.А.Брокгауз и И.А.Ефрон, т.24. СПб, 1899, 168.

²¹⁰ იქვე, 168.

²¹¹ საქართველოს სიძველენი, *ე. თაყაიშვილის რედ.*, წ. 2, ტფ., 1909, 61.

²¹² რუსუდანიანი, *ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედ.*, 1957, 763.

დამოკიდებული. მაგ., საკვებით უზრუნველყოფის ვალდებულება წარმოიშობოდა სამართალდარღვევიდან. დავით ბატონიშვილის „სამართლის“ 73-ე მუხლის თანახმად, „უკეთუ შეემთხვასთ კაცთა წინააღურჩეველად მკულელობად“ და „დაუშთეს მკუდარსა მას ესევეთარი ვინმე გუამი, რომლისაცა ცხოვრება დამოკიდებულ იყოს სიცოცხლესა ზედა მისსა, მაშინ მცირედი რაიმე სარჩოცა მისცეს დაშთომილსა მას.“²¹³

სარჩო-საბადებელს და კვების პროდუქტებს, ძირითადად რითი უზრუნველყოფაც ურთიერთობის უმთავრეს შინაარსს ქმნიდა, როგორც წესი, გამოხატავდნენ ტერმინში „საზრდელი“, მის აღსანიშნავად ასევე სხვა ტერმინებიც- „საზრდო“ და „საღუაწი“ გამოიყენებოდა. „მშოდა და არა მეცით მე საზრდელი;“²¹⁴ „უბრძანა დაწერად და მიცემად ყოველი საღუაწი;“²¹⁵ „ადგილნი საზრდოდ ობოლთა და ქურივთა.“²¹⁶

ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი მიზანი, როგორც წესი, მეტად ზოგადად განისაზღვრებოდა- „ვინემ ცოცხალი ვარ, შემინახეთ“. 1602 წლით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით მარჩენალის ვალდებულება სარჩენის წინაშე ამგვარადაა ფორმულირებული: „მის სიცოცხლეში ნურას და(ა)კლებს და კარგა შეინახოს.“²¹⁷

სარჩენსა და მარჩენალს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე წარმოშობილი სამისდღეშიო რჩენის სამართალურთიერთობა შეყრილობის სახითაც ყალიბდებოდა.²¹⁸ ეს უკანასკნელი ვითარება კარგადაა ასახული დავით ბატონიშვილის „სამართლის“ 210-ე მუხლში. „...მოხუცებულობითა მოყვასი შეეყაროს მოყვასსა.“²¹⁹ შეყრილს თან მიაქვს თავისი „უმრავი, გინა მოძრავი ქონება, რათა კონტრაქტმა მას „ყური...უგდოს“ და ცხოვრების გასაძლისი პირობები შეუქმნას.

გამოკვების მდგომარეობის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა სიტყვა „გამოზრდა“, „ოდეს გიხილეთ შენ მშოერი და გამოგზარდეთ.“^{220,221} „გამომზრდელი“ კი გულისხმობდა გამომკვებავს, მარჩენალს, მზრუნველს. „დაივიწყეთ ღმერთი, გამომზრდელი თქუენი საუკუნოა; „მშოერთა გამომზრდელი.“^{222,223}

„რჩენა“ და „სარჩო“ გვხვდება აგრეთვე იურიდიული ხასიათის დოკუმენტების შედგენისას და სამართლის მთელ რიგ წიგნებში.²²⁴ „ჩვენ ქვრივსა და ობლებს ერთი სარჩო და ბინა

²¹³ სამართალი ბატონიშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, 1964, 47.

²¹⁴ აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), 1973, 357, 375.

²¹⁵ იმნაიშვილი ი., ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, აკ. შანიძის რედ., 1948-1949, 505.

²¹⁶ ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები (X-XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, წ. I, 1970, 459, 461.

²¹⁷ საქართველოს სიძველეები, ე. თაყაიშვილის რედ., წ. II, ტფ., 1909, 25.

²¹⁸ ფუტკარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, 1976, 190.

²¹⁹ სამართალი ბატონიშვილისა დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, 1964, 119.

²²⁰ იმნაიშვილი ი., ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, აკ. შანიძის რედ., 1948-1949, 71.

²²¹ აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), 1973, 41.

²²² ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები (X-XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, წ. I, 1970, 421.

²²³ აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), 1973, 43.

²²⁴ ბერძნული სამართლის ანალოგის 122 და ვახტანგ VI-ის კანონმდებლობის 110-ე და 138-ე მუხ.

გვიბოძეთო“,- ნათქვამია 1793 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში.²²⁵ ერეკლე II-ის ე.წ. „ანდერძის“ თანახმად, ქვრივმა ქალმა „თავისი სარჩო მართებულად სამართლით უნდა მიიღოს მებატონისაგან“ და ქვრივ-ობოლი „უნდა არჩინონ იმ წესით, როგორც არის განწესებული.“²²⁶

ბერ-მონაზონთა რჩენა-შენახვა შესაბამისი მონასტრის ვალდებულებას შეადგენდა. ამგვარ დანაწესს განამტკიცებს პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წესდების 28-ე თავი, რომლის სახელწოდებაცაა „მოუძღურებულთა და მოხუცებულთა ძმათათვის, თუ ვითარ ჯერ-არს განსუენებად და ფუფუნებად მათი.“ როგორც წესდების ტექსტიდან ირკვევა, მონასტრის წინამძღვარი ვალდებული იყო მატერიალურად დახმარებოდა მონასტრის ხანდაზმულ და დაუძღურებულ ბერებს: „თანა-აც წინამძღუარსა, რადთა ჯორცთათვის...ზრუნვიდეს“; „ჯერ-არს უმეტესად ღუწოლად და ფუფუნებად საზრდელითა და სასუმელითა“. ასეთი ზრუნვის ზნეობრივი საფუძველი არის ის, რომ, „ესე არს ნანდვლვე ნებად ღმრთისად, რომელ არს მოყუასთა მიმართ კეთილის ყოფად და სიყუარული მათი სიტკბოებისა ჩუენებად.“²²⁷

„რჩენის“ მნიშვნელობით გამოიყენებოდა სხვა ტერმინებიც. მაგ., მე-18 საუკუნის ერთ-ერთ საბუთში აღწერილია ასეთი ვითარება: „ოცდაათი წელიწადი გლახათ ვიჯე, ჩემის სახლისა არ მისვამს, არ მიჭამია, არ ჩამცმია და არ დამხურვია. ქვეყნის წყალობით მითხოვნია და ისე დავრჩომილვარ. შენ მომიარე და შემინახე.“²²⁸

რჩენა-შენახვის მოვალეობათა შესრულებისას, სარჩენისაგან მიღებული ქონება მარჩენალის საკუთრება ხდებოდა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მარჩენალი არ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს, ხელშეკრულება მოიშლებოდა და რჩენის საზღაურად გადაცემული ქონება სარჩენს უბრუნდებოდა.²²⁹

დანაწევრებული ფეოდალური საკუთრებისათვის დამახასიათებელ გარემოებაში მარჩენალისათვის კარგად იყო გაცნობიერებული, რომ მისი უფლებები რჩენის საპირწონედ მიღებულ მამულზე, თუკი მიწას მხოლოდ სარჩენის ნებით მიიღებდა, სათანადოდ მტკიცე და უზრუნველყოფილი ვერ იქნებოდა. „მას ჟამსა, ოდეს თუმინი თავისავე ნებითა მისი თავი თქუენტვის მოებარებინა,- ნათქვამია როსტომ მეფის 1642 წლის წყალობის წიგნში ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი,- თქუენცა მოგვიდექით კარსა თუმინისა მობარებისა და იმისი მამულის... წყალობას დაგვიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, თუმნიც თქვენ მოგაბარეთ და მისი მამული... შეგიწყალეთ და გიბოძეთ.“²³⁰

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მიხედვით მარჩენალის ძირითად მოვალეობასთან ერთად, რომ სარჩენი ცხოვრებისათვის აუცილებელი სარჩოს მიწოდებით და მომსახურების გაწევით უზრუნველყო, ხელშეკრულებაში გარდა ამისა, შეიძლებოდა სხვა ხასიათის

²²⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II-საერო საკანონმდებლო ძეგლები X-XIX სს. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, 1965, 530.

²²⁶ იქვე, 523-524.

²²⁷ ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია, აკ. შანიძე, 1971. 112-113.

²²⁸ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, XVI-XIX სს. წ. I, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, 1962, 226.

²²⁹ ფუტკარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, 1976, 195.

²³⁰ საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. I, ტფ. 1899, 483-484.

პირობებიც ყოფილიყო შეთანხმებული. სახელდობრ, ზოგიერთ დოკუმენტში სარჩენის დასაფლავების ვალდებულების თაობაზეა საუბარი: „მანამდინ ცოცხალი ვარ, მე უნდა შემინახოთ, როცა მოვკვდე, უნდა დამ(მ)არხოთ.“²³¹

საისტორიო წყაროებში²³²ასახულია, თუ რა იგულისხმება „შემღებისაებრ“, „კარგათ“, „წესისაებრ“ და „როგორც მართეველ იყოს, ისე“ დამარხვის მოთხოვნაში. მხარეთა შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ სარჩენის წესისამებრ დასაფლავების ვალდებულება ყოველთვის მარჩენალს ეკისრებოდა,- მიუხედავად იმისა, იყო თუ არა დასაფლავება და უკანასკნელი პატივის მიგება დაფიქსირებული უშუალოდ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები იქნებოდა შესრულებული, ეს უკანასკნელი გარემოება გარდაცვლილი სარჩენის ქონების საკუთრების უფლებით მიღების საფუძველს ქმნიდა. ეს ვითარება 1790 წლით დათარიღებულ დოკუმენტშია დადასტურებული: „უმეო და უმემკვდრეო იესე“ „მილახვარს ბაბანასთან შესულიყო.“ ბაბანას იგი „შეეწყნარებინა, შეენახა, საწყალისათვის რიგიანად მოეწყო, მომკუდარიყო- დაემარხა; იმის წილი მამული თვთან დაეჭირა.“²³³ ხოლო დავით ბატონიშვილის „სამართლის“ თანახმად, თუკი მარჩენალი, „მოხუცებულობით“ მასთან შეკედლებულ „მოყვასს“ „ყური არარადმე უგდოს და შეამჭირვოს და აჩვილოს სამართალსა შინა, მაშინ განიტანოს, რადცა უძრავი, გინა მოძრავი შეუტანიეს შეყრილსა, და პირობისაცა წიგნი ცუდ-იქმნას.“²³⁴

ზოგადად, თვისტომის უკანასკნელი პატივის მიგება ადამიანის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად ითვლებოდა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 248-ე მუხლიდან ირკვევა, რომ ამოვარდნილ ყმას „პატრონმა დამარხვითა და სულის საქმით კარგად უპატრონოს“. ავადმყოფი და ერთსახლად მცხოვრები გარდაცვლილი ძმის წილი ყმა-მამულის მიღების ერთ-ერთ წინაპირობას მისი დასაფლავება წარმოადგენდა. „რადგან დავით... ძმა არის და მისს სიმაღლესაც ის უმცროსი ძმა დავითთან გაუყვანია და ავათ ყოფნობაში დავითს მოუვლია და მკვდარიც ასევე დავითს დაუმარხავს, რა საკვირველია, რომ მისი წილი ყმა და მამული უცილებლად დავითს დარჩებოდა.“²³⁵

რჩენა-შენახვის თაობაზე ვალდებულების წარმოშობის საფუძველი შესაძლოა სრულიად სხვადასხვა ყოფილიყო. ამ საფუძველებიდან ყველაზე გავრცელებულ გარემოებას მხარეთა შეთანხმება წარმოადგენდა. რაღა თქმა უნდა, არ იყო გამორიცხული მისი წარმოშობა სხვაგვარი ურთიერთობის შედეგადაც. მთიულეთში 1960 წელს მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მაგ., მკვლელისათვის საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა „დაეკუთვნებინათ“ მოკლულის ქვრივის შენახვა, აგრეთვე ობლების მოვლა-პატრონობა, „სანამ ჭკვაში

²³¹ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), წ. I, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, 1962, 163.

²³² შანიძე აკ., ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ქართული რედაქცია, 1971, 86. ასევე იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები- X-XIX სს. 1970, 835, 859. ასევე იხ. სამოქალაქოს სჯულდება, II. ტექსტი, ლექსიკონი და საძიებლები გამოსცა დ. ფურცელაძემ, 1966, 79.

²³³ საქართველოს სსრ ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა საცავის ფონდები, ფ.1450, დავთ. 12, საბ. 64.

²³⁴ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, 1964, 119.

²³⁵ საქართველოს სსრ ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა საცავის ფონდები, ფ.1450, დავთ. 30, საბ.5.

ჩავარდებოდნენ.“ აქ საქმე გვაქვს რჩენა-შენახვის მოვალეობასთან, რომელიც წარმოიშვა სამართალდარღვევის საფუძველზე.²³⁶

რჩენის ვალდებულების წარმოშობის საფუძველი ზოგჯერ იყო მონობიდან გათავისუფლებული პირის ვალდებულება თავისი ყოფილი მეპატრონის მიმართ, თუკი ამ უკანასკნელის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდებოდა. ასეთ გარემოებას ვახტანგ VI-ის კანონმდებლობა, კერძოდ კი ბერძნული სამართლის ქართული ანალოგიის 170-ე მუხლი პირდაპირ აკანონებს: „უკეთუ ვინმე თავის ნასყიდს კაცს აზატი უყოს და მისი ბატონი გადარიბდეს, იმ აზატანაქნარმა ყმამ უნდა მსახუროს და თავისი ბატონი დაარჩინოს.“²³⁷

პატრონყმური დამოკიდებულებით განპირობებული რჩენა-შენახვის ურთიერთობა საჭიროების შემთხვევაში ყმასა და მის ოჯახზე ნივთიერ მზრუნველობასაც გულისხმობდა. მაგ., როდესაც კახა ჯავახიშვილი ვახტანგ VI-ის „სამსახურზედ ყანდარს მოკუდა“, მეფემ საგანგებოდ მიაქცია ყურადღება მის ოჯახს და ცოლს სამისდღემიო „სარჩოდ“ გლეხები მისცა.²³⁸

როგორც წესი, რჩენის საპირწონედ ყველაზე ხშირ შემთხვევაში ყმა-მამული გაიცემოდა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია იმ გარემოების თავისებურების აღნიშვნა, რომ სარჩენი მარჩენალის ადგილ-მამულებთან და სხვა ქონებასთან ერთად თავის თანამდებობასაც კი გადასცემდა ხოლმე. ამ უკანასკნელის თაობაზე მინიშნება გვხვდება დავით ბაგრატიონის 1801 წლის „სამართლისა და წყალობისა სიგელი და განჩინება“ კალაურის მოურავ ომარ ჯანდიერის შვილისადმი. როგორც წყაროდან ირკვევა, „უფროსი ძმა პაატა მდივანბეგაშვილი დიდი ზაზა უშვილო ყ[ო]ფილიყო, თავისი ყმა და მამული და სახელო იმათთან შეეტანა და წიგნიც მიეცა იმათ[ვ]ის, რომ [ვი]ნემ ცო[ცხალ ვარ, შე] მინახეთ, მერე ჩემი წილი მამული და სახელო თქვენი იყოსო.“²³⁹

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ნათელი ხდება, რომ სარჩენის უზრუნველყოფისათვის, მოვლა-პატრონობისათვის გარკვეული მატერიალური სახსრები იყო აუცილებელი. წყაროებში აღნიშნულის მნიშვნელობით გვხვდება „სარჩომის გაჩენა.“ „მისცა...და განუჩინა სარჩომი, რომელ არა აკლდეს...და ესრეთ განუენებით იყოფოდა და აღსრულდა.“²⁴⁰

ზოგადად, რჩენის სანაცვლოდ გადაცემული ქონებით სარგებლობას და მფლობელობას „სარჩომად ქონება“ ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი სამისდღემიო, ანუ სიკვდილამდე მფლობელობასა და სარგებლობას გულისხმობდა. ამგვარი მფლობელობა, თავისთავად, სხვა შინაარსის შემცველი იყო, ვიდრე მემკვიდრეობითი მფლობელობა, ანუ „მემამულეობით“ ქონება. ამ განსხვავების დასტურია 1434 წლით დათარიღებული დოკუმენტი: „ეს ციხე და

²³⁶ ფუტკარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, 1976, 186.

²³⁷ ვახტანგ VI სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოიკვლია და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ენუქიძემ, 1955, მუხ. 170.

²³⁸ საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. II, ტფ., 1909, 320.

²³⁹ ქართული სამართლის ძეგლები, - ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), 1965, 548-549.

²⁴⁰ ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959 წ. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 595.

მონასტერი...ჰქონდეს სარჩომად და მას აქათ მემამულობით არა საქმე უც და ვერ ოდეს ისარჩლონ.“²⁴¹

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ საბუთში „სარჩომი ქონება“ და „მემამულობითი“ როგორც ორი განსხვავებული ურთიერთობა, ერთიანი სახითაც არის დადასტურებული.²⁴²

ვისიმე რჩენაზე ვაღიარებ ვალდებულება შესაძლო იყო რომ საანდერძო დანაკისრის სახითაც ჩამოყალიბებულიყო: „ჩემი სულიცა და ჯორციცა ერასტისათვის მიმიციაო და თუ რამ ან ყმა, ან მამული მაქვსო, ისიცაო, ერთი საცოდავი ქალი მყავსო კახეთსაო, ისიც ერასტიმ უნდა მოიყვანოს და თავის შვილებთან გააძლებინოს, რომ იმისი ცოდვა საფლავში არ მაწუხებდესო.“²⁴³

ანალოგიურადაა დადასტურებული მზითევთან დაკავშირებული სამისდღემიო რჩენის შემთხვევა. „მე ქურქ(ჩ)ი ოჰანეზას ჯალაბი მარიამამ,-აღნიშნულია 1733 წლით დათარიღებულ საბუთის მინაწერში,- ჩემი ქმრისეული სახლ-კარი ჩემი ქალის იელისოასთვის ზითვათ მიმიცია. მანამდინ ცოცხალი ვარ, მე უნდა შემინახოთ.“²⁴⁴

იყო შემთხვევაც, როცა სამისდღემიო რჩენა ხორციელდებოდა არა ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების, არამედ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე განხორციელებული მიზარების ფორმითაც. მსგავს შინაარსს შეიცავს, მაგ., სვიმონ II-ის 1619 წლის წყალობის წიგნი: „აწყურის ციხის იარიში შალიკაშვილის მასტანას შვილი თამაზი მოკლეს და თქუენს მეტი პატრონი აღარა დარჩა და, ვითაც იმ მასტანას ქალი შენ, ტატიშვილს თამაზს გედგა, მისი საბრალოდ ოხერი მამაც და დედაც თქუენ გიბარებთ და, სხლითა, რაც იმათ ბოგანობეი იყო... თქუენ გიბოძეთ სამკუიდროდ და საბოლოოდ... ვინემდისი საწყალი მისი მამა და დედა ცოცხალ იყოს, ამსახურე და სამკუიდროდ და საბოლოოდ თქუენი არის და ვერავინ გეცილებს.“²⁴⁵ მიზარება და, მაშასადამე, სამისდღემიო რჩენაც, თავისთავად, წყალობის სახეს იღებს, ვინაიდან იგი მამულის ბოძებასთან არის კავშირში.

თავის მხრივ, რასაკვირველია, სარჩენის ინტერესებშიც შედიოდა, რომ მარჩენალთან მიღწეული სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივი დეტალები დიდ ხელისუფალს დაედასტურებინა. მისი უფლებები უკეთ იქნებოდა გარანტირებული, თუკი კათალიკოსი ანტონ I „უბრძანებდა მარჩენალს, რომ წესისამებრ შეენახა იგი „სმა-ჭამითა და ჩაცმითა.“²⁴⁶

²⁴¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი, თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, 1213 წლიდან 1700 წლამდე, ტფ., 1897, 241.

²⁴² ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები XI-XIX სს. 1970, 155.

²⁴³ საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. I, ტფ. 1899, 168.

²⁴⁴ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის XVI-XIX სს. შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, 1962, 163.

²⁴⁵ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (ბატონყმური ურთიერთობა), ნ. ბერძენიშვილის რედ.: I ნაწ., 1940, 18-19.

²⁴⁶ ქართული სამართლის ძეგლები,- ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს), 1970, 835.

5. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების რაობა საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით

საბჭოთა პერიოდში სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადგენა რამდენიმე სტადიაში განხორციელდა. 1964 წლამდე აღნიშნული ხელშეკრულება ე.წ. უსახელო ხელშეკრულებების კატეგორიას მიეკუთვნებოდა. 1922 წლის სსკ-ში სამისდღეშიო რჩენამ ოფიციალური აღიარება ვერ მოიპოვა. როგორც ჩანს, გამოთქმულია კანონმდებლობის პოლიტიკური მიმართულება. არ შეიძლებოდა პირადი საკუთრება სპეკულაციის მიზნით გამოყენებულიყო, დაუშვებელი იყო არაშრომითი შემოსავლის მიღება. ასევე იკრძალებოდა ყველანაირი მევახშეობა. საკუთრების გადაცემის სანაცვლოდ სარჩოს მიღება - არაშრომითი შემოსავალი იყო და ამიტომ კანონმდებელმა სახელობითი ხელშეკრულებების ნუსხაში მსგავსი მოდელის აღიარება არ გაითვალისწინა.

ვ.ი. ვოლფსონი ეხება რა კაბალური ხელშეკრულების ცნებას, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მაგალითი მოჰყავს, რომლის მიხედვითაც ყოველთვიური რჩენის სანაცვლოდ ხანდაზმულები მოსაჩვენებლად თავიანთ მეურნეობას გადასცემენ. ავტორი აღნიშნავს, რომ გარიგება თავისი შინაგანი აგებულებით წარმოადგენს კაბალურს და ამიტომაც სასამართლომ იგი სამართლიანად ჩათვალა ბათილად მისი დადების მომენტიდან.²⁴⁷

დ.ე. ერემევი, იკვლევდა რა სამისდღეშიო რჩენის საკითხს, ასევე აღნიშნავდა, რომ „სასამართლო პრაქტიკა სკ-ის მოქმედების პირველივე წლიდან ქალაქში და სოფლად კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციამდე ჩვეულებრივ თვლიდა მსგავს ხელშეკრულებას ბათილად მისი კაბალური ხასიათის გამო. „...ეს იყო უმეტეს შემთხვევაში გარიგება, რომლის დახმარებითაც ექსპლუატატორული ელემენტები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ იმ პირთა ქონება, რომლებიც ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო უძლურნი იყვნენ, გასძლოდნენ მეურნეობას და საკუთარი თავი საარსებო სახსრებით უზრუნველყოთ.“²⁴⁸ პირდაპირი მითითება ასეთი ხელშეკრულების დაუშვებლობაზე საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობაში არ ყოფილა.

ი. ლ. ბრაუდე თვლიდა, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ვალდებულებითი სამართლის ნორმებს და სოციალისტური საერთო ცხოვრების პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. მან შემდეგი ხასიათის დასკვნები გააკეთა. პირველ რიგში, ხელშეკრულებაში არაა მოცემული ფასი. უფრო სწორედ, წერდა იგი, ფასი არის, მაგრამ იმდენად არაა განსაზღვრული, რომ არანაირ აღრიცხვას არ ემორჩილება. მას (ფასს), მისი აზრით, სტიქიურ საბაზრო ურთიერთობებამდე მივყავართ, რაც სახალხო მეურნეობის გეგმური მოწყობის პირობებში ასე დაუშვებელია. მეორე რიგში, არაა განსაზღვრული ზუსტი პირობები, რომელთა დამოკიდებულებაშიც განისაზღვრება ფასი. „ამის გამო გარიგება შეიძენს სპეკულაციურ ხასიათს. თითოეული მისი მონაწილე თავისთვის ეძებს სარგებელს, გააკეთებს რა თავის ანგარიშებს, მყიდველს იმედი აქვს, რომ გამყიდველის უსასყიდლოდ რჩენა დიდხანს არ

²⁴⁷ *Вольфсон В.И.*, Гражданское право, изд. 2-е, М., 1929, 32.

²⁴⁸ *Еремеев Д.Ф.*, Право личной собственности в СССР, М., 1958, 60.

მოუწევს, ხოლო ეს უკანასკნელი თავისი უზრუნველი ცხოვრების მოწყობას დიდი ხნის განმავლობაში მყიდველის ხარჯზე იმედოვნებს.²⁴⁹

რაც შეეხება შრომისუუნარო პირისათვის მატერიალური სარჩოს მიღების მიზნით საკუთრების უფლების გადაცემას, ეს გარემოება, ავტორის მოსაზრებით, არანაირად არ ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მართლზომიერების საკითხზე ასეთივე პოზიცია დაიკავეს სხვა ავტორებმაც. მაგ., ა. შტაინბერგმა²⁵⁰ და ა. ა. ეროშენკომ²⁵¹ ხელშეკრულების ფასთან დაკავშირებით გ. ნ. ამფითეატროვი აღნიშნავდა, რომ ხდება სხვადასხვა ცნების აღრევა: ფასის განსაზღვრა და ფასზე შეთანხმების განსაზღვრა. ფასზე შეთანხმების განსაზღვრულობა კი თვითონ ნასყიდობის ფასის ოდენობის განსაზღვრას სავალდებულოს არ ხდის. საჭიროა მხოლოდ სიცხადე და განსაზღვრულობა საკითხში იმის თაობაზე, რაში გამოიხატება მოცემული გარიგების ანაზღაურების საწყისი.²⁵² მიუხედავად იმისა, რომ სამისდღეშიო რჩენის ხარჯების სრული მოცულობით წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია, მყიდველი ითვალისწინებს მის „კუთვნილ წონას მეურნეობაში“,²⁵³ რომელიც უფლებას აძლევს, შევიდეს გარიგებაში. ვ. ფ. მასლოვი ასევე განიხილავს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებას, როგორც სანაცვალგებო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც მყიდველის ვალდებულება გამოდის როგორც ხელშეკრულების ფასი, გამყიდველს სამისდღეშიოდ მიაწოდოს სარჩო და უზრუნველყოს იგი მოვლა-პატრონობით.

იმ ავტორთა მოსაზრების გათვალისწინებით, რომლებიც გამოდიოდნენ მოტივაციით, რომ 1964 წლის სსკ-ში ობიექტურად ჩამოყალიბებული მოთხოვნების გათვალისწინებით ჩართული ყოფილიყო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, დაშვებულ იქნა რენტის ურთიერთობების შესაძლებლობა, თუმცა სრულიად შეზღუდულ სფეროში. 1964 წლის საქართველოს სსკ-ის „ნასყიდობის ხელშეკრულების“ თავში გათვალისწინებული იქნა ორი მუხლი (253-254), რომელიც ითვალისწინებდა საცხოვრებელი სახლის ნასყიდობას გამყიდველის სამისდღეშიო რჩენის პირობით. „...საბჭოთა კანონმდებელი არ გამოსულა იდეოლოგიური პრინციპებით“²⁵⁴ და წყვეტდა ასეთ ურთიერთობებს მხოლოდ მოქალაქეთა შორის და ისიც შეზღუდული ფორმით. გამყიდველად შეიძლებოდა გამოსულიყო მხოლოდ ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით შრომისუუნარო მოქალაქე.

1964 წლის სსკ ასევე ითვალისწინებდა საკმაოდ მკაცრ საფუძველს ხელშეკრულების მოსაშლელად: გამყიდველის შრომისუუნარიანობის სრულად აღდგენის შემთხვევაში; გამყიდველის სიცოცხლეში მყიდველის გარდაცვალების შემთხვევაში; მყიდველის მატერიალური მდგომარეობის მისგან დამოუკიდებელი გარემოებებით ცვლილების შემთხვევაში, რის შედეგადაც იგი გახდა უუნარო, მიეცა გამყიდველისათვის შეპირებული სარჩო.

²⁴⁹ Брауде И.П., Право на строение и сделки по строению. М., 1950, 162.

²⁵⁰ Штейнберг А., Дарение/советская юстиция 1940, N1, 10-14.

²⁵¹ Ерошенко А.А., О договоре содержания /советское государство и право. 1955, 129-130.

²⁵² Амфитеатров Г.Н., О праве личной собственности//социалистическая законность, 1945 N8, 14.

²⁵³ იქვე, 14.

²⁵⁴ Ем В.С., Договор ренты, Законодательство, 1999 N5, 9.

მსგავსი დებულებები მე-20 საუკუნის 70-იან წლებში განაპირობებდნენ ამ ტიპის ხელშეკრულებების მივიწყებას. „მხოლოდ იმ კანონების მიღებით, რომელიც ნებას რთავდა მოქალაქეებს, ჰქონოდათ საკუთრების უფლება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში, დაედოთ ნასყიდობის ხელშეკრულება გამყიდველის სამისდღეშიო რჩენის პირობით, ხელახლა მიიღო ფართო გავრცელება,“²⁵⁵ მაგრამ მანამდე, ვიდრე ხელშეკრულება ფორმალურ აღიარებას მიიღებდა, 1964 წლის სსკ-ში ნასყიდობის ხელშეკრულების სახით გამყიდველის სამისდღეშიო რჩენის პირობებით, ცივილისტურ ლიტერატურაში ბევრი იყო დავა მოცემული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე. იურიდიულ ლიტერატურაში ხელშეკრულების რეგულირების ვარიანტს ნასყიდობის ჩარჩოში ჰყავდა თავისი მომხრეები. მაგ., ვ. ა. ტარხოვი,²⁵⁶ ვ. ფ. იაკოვლევა,²⁵⁷ ვ. ფ. მასლოვი არ უარყოფდნენ ამ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების მიკუთვნებას ნასყიდობის ხელშეკრულებაზე. ზოგიერთი ავტორი (ა. შტაინბერგი, გ. ბარუ) სამისდღეშიო რჩენას განიხილავდა როგორც ჩუქებას. ვ. ფ. მასლოვი არ დაეთანხმა მათ მოსაზრებას იმ საფუძვლით, რომ სამისდღეშიო რჩენის ვალდებულება წარმოადგენს თავისებურ მატერიალურ ანაზღაურებას საკუთრების უფლების დათმობისათვის და ხელშეკრულება, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც უსასყიდლო ხელშეკრულება. ის სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებას განმარტავდა, როგორც ორმხრივ და სასყიდლიან ხელშეკრულებას- ნასყიდობის ხელშეკრულების ნაირსახეობად. მაგრამ, მისი მოსაზრებით, კანონში უნდა ყოფილიყო დათქმა, რომ ხანდაზმული პირის ქონება უზრუნველყოფი პირის სრულ საკუთრებაში არ უნდა გადასულიყო, არამედ ხელშეკრულების მონაწილეთა ერთობლივ საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო.

ბევრი საბჭოთა მეცნიერი დარჩა იმ პოზიციასზე, რომ მხოლოდ სამისდღეშიო რჩენისათვის დამახასიათებელი ბევრი სამართლებრივი თავისებურების მიზეზით აუცილებელი იყო მოცემული ხელშეკრულების სრულიად დამოუკიდებელ მოდელში გამოყოფა. მაგ., ვ. ა. რიასანცევი გვთავაზობს, განვიხილოთ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება როგორც ხელშეკრულების დამოუკიდებელი სახე.²⁵⁸ ა. ეროშენკო სამისდღეშიო რჩენის შეთანხმებას დამოუკიდებელ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებად თვლიდა. ასეთ გარიგებაში ეკვივალენტად სხვადასხვა ნივთი ან მომსახურება გამოდიოდა, მაშინ როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებისას მისი ეკვივალენტი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ფული. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების თავისებურებად ა. ეროშენკო ასახელებდა იმას, რომ იგი მხარეთა პირად კავშირებს უკეთებდა რეგლამენტირებას.²⁵⁹ ო.ს. იოფე მიიჩნევდა, რომ „ნასყიდობის ხელშეკრულება მთელი თავისი მახასიათებლით, მიწოდების და კონტრაქტაციის, როგორც ქონების ფულად ეკვივალენტზე გაცვლის ხელშეკრულებებთან, მეტად დაახლოებულია, რასაც ვერ ვიტყვით სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც ანაზღაურება ერთი მხარისათვის ნიშნავს სარჩოს მიწოდებას საცხოვრებელი სადგომის, კვების, მოვლისა და დახმარების სახით. ამიტომ, სამისდღეშიო რჩენა... სინამდვილეში წარმოადგენს

²⁵⁵ *Леонова Г.Б.*, Договор пожизненного содержания с иждивением //законодательство, 1999 №8, 9.

²⁵⁶ *Тархов В.А.*, Советское гражданское право, Саратов, ч.2, 1979, 12.

²⁵⁷ Советское гражданское право под ред. *В.Т.Смирнова, Ю.К.Толстого, А.К.Юрченко*, ч.1, Л.,1982, 9.

²⁵⁸ *Рясанцев В.*, Договор об отчуждении имущества на условии пожизненного пользования/ социалистическая законность, 1945 №1-2, 25.

²⁵⁹ *Ерошенко А.*, Правовое регулирование отношений пожизненного содержания //советская юстиция 1970 №6, 8.

დამოუკიდებელ ხელშეკრულებას.²⁶⁰ *მ.ი. ბარუ* შენიშნავს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებასა და ნასყიდობის ხელშეკრულებას შორის განსხვავებას იმის მიხედვით, თუ რისკენაა მიმართული თითოეული ეს ხელშეკრულება. ერთ-ერთი მათგანისათვის ეს არის ქონების გადაცემა საკუთრებაში, ხოლო მეორისათვის - მატერიალური დახმარება მისივე კონტრაქტის მხრიდან. მეცნიერი აღნიშნავდა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება მთავრდება საკუთრების უფლების გადაცემით, ხოლო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ამით მხოლოდ იწყება.²⁶¹

6. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების არსი საქართველოს და საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით

სამისდღეშიო რენტის ხელშეკრულების კონსტრუქცია სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში შემავალი ამა თუ იმ სახით საზღვარგარეთის უმრავლესი ქვეყნების სამოქალაქო კოდექსში არსებობს. ასე, საფრანგეთის სკ, რომელიც ძალაშია 1804 წლის 21 მარტიდან²⁶² და ცნობილია ასევე როგორც ნაპოლეონის კოდექსი, ცალკე თავადაა გამოყოფილი „სამისდღეშიო რენტის ხელშეკრულების შესახებ“, 15 მუხლის შემადგენლობით. ფრანგული სკ-ის საფუძველზე სამოქალაქო კოდექსი ცენტრალური და ლათინური ამერიკის, ასევე ევროპის სახელმწიფოებში მიიღეს. მაგ., დომინიკების რესპუბლიკაში, ბოლივიაში, კოსტა-რიკაში, გვატემალაში, ნიკარაგუაში, პანამაში. ფრანგული სკ-ის სრულ ან ნაწილობრივ რეცეფციას ადგილი ჰქონდა ბელგიაში, ნიდერლანდებში, ლუქსემბურგში, იტალიაში, საბერძნეთში.

სამისდღეშიო რჩენის წარმოშობა საფრანგეთში (ისევე როგორც გერმანიაში) უზუფრუქტის თაობაზე დათქმით ან სამისდღეშიო რჩენის სახით რელიგიურად მოტივირებულ შეწირულობას წარმოადგენს. მე-13 საუკუნის ბოლოს ის ასევე გავრცელდა ფიზიკურ პირებს შორის.²⁶³ ეტიმოლოგიურად *“rente“* და *“viagère“* ძველფრანგული მიმდებარედან *“rendre“* და ძველფრანგული სიტყვიდან *“viage“* შეიძლება რომ გამომდინარეობდეს.²⁶⁴ სამისდღეშიო რჩენაში იგულისხმება რეგულარული პერიოდულობით გადახდილი ნაღდი ფული ან არაფულადი გადახდები, რომელსაც სარჩოს მოვალე (*“débirentier“*²⁶⁵) შესრულების საპირისპირო სახით (*“tete“*) აწვდის. შესაბამისად, სამისდღეშიო სარჩოს ვადა ჩვეულებრივ საპენსიო კრედიტორის (*“crédirentier“*²⁶⁶) სიცოცხლის ხანგრძლივობით განისაზღვრება.²⁶⁷ თუმცა სამისდღეშიო რჩენის

²⁶⁰ *Иоффе О.С.*, Обязательственное право, М., 1975, 294.

²⁶¹ Советское гражданское право//под общее редакцией *В.Ф.Маслова, А.А. Пушкина*, ч.2, 1978, 337-343.

²⁶² საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსი ინგლისურ ენაზე,

<https://www.napoleon-series.org/research/government/code/book3/c_title12.html#chapter1> [24.11.2021]

²⁶³ სამისდღეშიო რჩენა განვითარდა შუა საუკუნეებში როგორც არასტაბილური ინსტიტუტი, რომელიც შესაძლებელს ხდიდა მიწის ნაკვეთის ნაწილის ან ფულადი თანხების ეკლესიისა და მონასტრებისათვის გადაცემას სამისდღეშიო რჩენის სანაცვლოდ უზუფრუქტის ან სარჩოს სახით (...). ეკლესია კრძალავდა მევახშეობას და მხარს უჭერდა უპროცენტო სესხის გაცემას. ამ პირობებში სამისდღეშიო რჩენა ხდებოდა ნამდვილი საკრედიტო ინსტრუმენტი. მე-13 საუკუნის ბოლოდან მოთხოვნა სამისდღეშიო რჩენაზე იზრდებოდა. მე-16 საუკუნიდან სულ უფრო ხშირად გამოიყენებოდა სამისდღეშიო რჩენა კერძო პირებს შორის, *Artaz M.*, *Viagers, Régime juridique et fiscal*, Paris 2005, 9.

²⁶⁴ *Malaurie Ph./Aynès L./Gautier P-Y.*, Droit civil, Les contrats spéciaux, Paris 2011, 589.

²⁶⁵ იქვე, 589.

²⁶⁶ იქვე, 589.

²⁶⁷ იქვე, 589; J.-Cl. Not. Form./*Montoux*, Rente, 10, Nr. 1; *Zachariä*, Französisches Civilrecht II, § 388, 468. მის საპირისპიროდ ასახელებენ მხოლოდ ნაღდ ფულად გადახდებს: *Ferid/Sonnenberger*, Französisches Zivilrecht II, Rn. 2. M 130. 391; *Aubry/Raul Esmein/Ponsard/Dejean de la Bâtie*, Droit civil VI, Nr.88. 129.

ხელშეკრულება ასევე მესამე პირის სიცოცხლეზე, რამდენიმე პირის სიცოცხლეზე ან თვითონ სარჩოს მოვალის სიცოცხლეზე შეიძლება იყოს მიმართული.²⁶⁸ ცოლ-ქმრული წყვილი პრაქტიკაში ხშირად ერთობლივი საპენსიო კრედიტორის სახით გამოდის და საპენსიო მოვალესთან პენსიის მიღების თაობაზე პირველ რიგში გარდაცვლილი სარჩენის სასარგებლოდ თანხმდება.²⁶⁹ თუ პენსიის გადახდა ერთი ან რამდენიმე პირის სიცოცხლის განმავლობაში არ ხდება, იგი დროებით პენსიას (“rente viagère temporaire”) წარმოადგენს.²⁷⁰ სამისდღეშიო რჩენის ობიექტს არ წარმოადგენს: კვება და ბენეფიციარის მოვლა გარდაცვალებამდე (“loger, nourir et soigner une personne jusqu'à sa mort”²⁷¹)- მოცემულ შემთხვევაში საუბარია დავალების ხელშეკრულებაზე, რომლის მიმართაც ანალოგიის სახით სკ-ის სამისდღეშიო რჩენის დებულებები არ გამოიყენება.²⁷²

გერმანიაში რენტის ხელშეკრულებამ ფართო გავრცელება მე-19 საუკუნის ბოლოდან შეიძინა. 1900 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა გერმანიის სკ.²⁷³ იმის გამო, რომ გერმანიისა და შვეიცარიის სკ უფრო გვიან იქნა მიღებული, ვიდრე ფრანგული, მათ აღარ დარჩათ გავრცელების ისეთი არეალი, როგორც ფრანგულ სკ-ს ჰქონდა. მიუხედავად ამისა, შვეიცარიელების სკ-მა დიდი გავლენა მოახდინა ბრაზილიის (1916 წ.), თურქეთის (1926 წ.) და ჩინეთის (1929-31 წწ.) სკ-ზე. რაც შეეხება გერმანულ სკ-ს, იაპონელებმა იგი უმაღლეს გადაიღეს და უფრო ადრე აამოქმედეს (1898 წ.), ვიდრე ამას გერმანელები საკუთარ სამშობლოში გააკეთებდნენ. იაპონიის მეშვეობით იგი კორეაშიც დამკვიდრდა.²⁷⁴ რენტის თაობაზე ადრე ცნობილი დებულებები, სრულად შენარჩუნდა თანამედროვე BGB-ს ერთ-ერთ თავში, ტიტული XVIII „სამისდღეშიო რჩენა“, რომელიც სამი §§759-761-გან შედგება.²⁷⁵

გერმანიის სკ ტერმინ სამისდღეშიო რჩენას იყენებს §330 (განმარტების წესი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შემთხვევაში), §759 (სარჩოს ვადა და თანხა), §760 (წინასწარი გადახდა), §761 (სამისდღეშიო რჩენის შეპირების ფორმა) და §1073 (უზუფრუქტი სამისდღეშიო რჩენაზე). სამისდღეშიო რჩენის ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების მიხედვით სარჩოს მიწოდება სარჩენისათვის შეიძლება განხორციელდეს უსასყიდლოდ ან როცა ქონება სარჩენის მიერ მარჩენალისათვის გადაცემულია სარჩოს მნიშვნელობით - სასყიდლით. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება თავისი არსით განსხვავდება საპენსიო დაზღვევის

²⁶⁸ J.-Cl. Not. Form./Montoux, Rente, 10, Nr. 78-88. მესამე პირის სიცოცხლეზე დადებული სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებისათვის: Ferid/Sonnenberger, Französisches Zivilrecht II, Rn. 2. 392.

²⁶⁹ J.-Cl. Not. Form./Montoux, Rente, 10, Nr. 61 (“jouissance conjointe”); Nr. 62-76 (“réversion de la rente viagère”); Nr. 77 (მუდღეზე გადაცემა შესაძლებელია გაფორმებულ იქნეს როგორც სასყიდლიანი ასევე უსასყიდლო აქტით. უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებელია მისი ანულირება).

²⁷⁰ Malaurie Ph./Aynès L./Gautier P.-Y., Droit civil, Les contrats spéciaux, Paris 2011, 592.

²⁷¹ Sepp K., Der Leibrentenvertrag nach dem Bürgerlichen Gesetzbuch, München 1905, 12. შდრ. ასევე: J.-Cl. Not. Form./Montoux, Rente, 10, Nr. 3. Ferid/Sonnenberger, Französisches Zivilrecht II, Rn. 2. 394. შდრ. ასევე: Bénabent A., Droit civil, Les contrats spéciaux civils et commerciaux, Paris 2008, 655.

²⁷² J.-Cl. Not. Form./Montoux, Rente, 10, Nr. 5; Ferid/Sonnenberger, Französisches Zivilrecht II, Rn. 2 M 130, 394.

²⁷³ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, თარგ. ზ. ჭეჭელაშვილმა, <<http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>> [20.11.2021].

²⁷⁴ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში (დამხმარე სახელმძღვანელო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის), 1997, 30-31.

²⁷⁵ <<http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>> [20.11.2021].

ხელშეკრულებისაგან, რომლის მიხედვითაც სადაზღვევო კომპანია იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს პენსია, ხოლო დაზღვეული მხარე - სადაზღვევო პრემიას იხდის.²⁷⁶

მე-19 საუკუნეში, საკოდიფიკაციო მოძრაობის ცნობილ წლებში, შეთანხმება სარჩოს გადახდაზე, ცნობილი იყო როგორც პენსიის ფორმა. სამართლებრივი უფლებების წარმოშობის იურიდიული თვალსაზრისით, სახელშეკრულებო გაფორმება, პირველ რიგში შეიძლება დაკავშირებული იყოს ხელშეკრულებასთან,²⁷⁷ რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების ერთი მხარე გადასცემს მეორეს თავის ქონებას (ან მის ნაწილს) და ამის სანაცვლოდ ითხოვს სამისდღეშიო სარჩოს.²⁷⁸

ვერნერ ოგრისის მიერ 1961 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, შუა საუკუნეებში გავრცელებული რელიგიურად მოტივირებული ჩუქების ხელშეკრულებისაგან განსხვავებით სამისდღეშიო რჩენა განვითარდა და სრულიად განსხვავებული რეალობა შექმნა. მეორე მხრივ, სამისდღეშიო სარგებლიანობის შესახებ აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობა ახალი კანონმდებლობის მიხედვით სანივთო სამართლით²⁷⁹ ან პრეფერენციებით იყო განმტკიცებული. საეკლესიო დაწესებულებების შეწირულობები, რომელიც უვადო უზუფრუქტის საგანს შეადგენდა, სულის მარადიული ხსნისათვის და ამავდროულად შემომწირველის მოვლის უზრუნველსაყოფად იყო მიძღვნილი.²⁸⁰ ეს უკანასკნელი სამისდღეშიო რენტის შესახებ დათქმით, ანუ სამისდღეშიო საპენსიო გადახდების პირობით შეიცვალა.²⁸¹ მე-13 საუკუნეში ფულად-საკრედიტო ურთიერთობებზე გადასვლამ რეალური გარიგებების მეორე პლანზე გადატანა გამოიწვია: მხარეები დებდნენ ორმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებას, რომლის დროსაც რენტის მყიდველი ფულადი კაპიტალის გადაცემის სანაცვლოდ პენსიის გამყიდველისაგან იძენდა სამისდღეშიო სარჩოს მიწოდების შეპირებას - ანუ იღებოდა ე.წ. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, რომლის თავისებურება ნასყიდობის ხელშეკრულების იურიდიული სტატუსით განისაზღვრებოდა.²⁸² შუა საუკუნეებში გავრცელებულ საპენსიო ხელშეკრულებებთან ერთად, ისეთის როგორიცაა გირავნობის ხელშეკრულება (Verpfändungsvertrag), მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისის ავტორები განიხილავდნენ ე.წ. პენსიის შექმნის ხელშეკრულებას, როგორც

²⁷⁶ *Dus I./Maurer R.*, Finanzierung des Ruhestands, Leibrenten und/oder Entnahmepläne, Die Gestaltung der Altersversorgung in der kapitalgedeckten Altersversorgung, Köln 2007, 15; *Weber C.*, Evaluation von Rentenversicherungen und Fondsentnahmeplänen, Mannheim, Univ., Diss., 2005, 8, 13-15.

²⁷⁷ *Ogris W.*, Der mittelalterliche Leibrentenvertrag, Ein Beitrag zur Geschichte des deutschen Privatrechts, Wien 1961, 25. 66-83; *Welter R.*, Wiederkehrende Leistungen im Zivilrecht und im Steuerrecht, Frankfurt, Univ., Diss., Berlin 1984, 182.

²⁷⁸ *Roth M.*, Private Altersvorsorge: Betriebsrentenrecht und individuelle Vorsorge, Tübingen, 2009, 31.; *Ogris W.*, Der mittelalterliche Leibrentenvertrag, Ein Beitrag zur Geschichte des deutschen Privatrechts, Wien 1961, 71. 80-83.

²⁷⁹ „შესრულება donatio reservatio usufructu განზრახვით მდგომარეობდა სამისდღეშიოდ ნაყოფით სარგებლობის უფლების მინიჭებაში. ეს აქტი ანიჭებდა მსესხებელს რეალურ სანივთო უფლებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში. იგი ნათლად მიაკუთვნებს გარიგებას სანივთო სამართლის სფეროს“, *Ogris W.*, Der mittelalterliche Leibrentenvertrag, Ein Beitrag zur Geschichte des deutschen Privatrechts, Wien 1961, 41.

²⁸⁰ *Ogris W.*, Der mittelalterliche Leibrentenvertrag, Ein Beitrag zur Geschichte des deutschen Privatrechts, Wien 1961, 27, 30-33. აგრეთვე: *Welter R.*, Wiederkehrende Leistungen im Zivilrecht und im Steuerrecht, Frankfurt, Univ., Diss., Berlin 1984, 182.

²⁸¹ *Ogris W.*, Der mittelalterliche Leibrentenvertrag, Ein Beitrag zur Geschichte des deutschen Privatrechts, Wien 1961, 26, 50-61.

²⁸² *Ogris W.*, Der mittelalterliche Leibrentenvertrag, Ein Beitrag zur Geschichte des deutschen Privatrechts, Wien 1961, 61-65, 104, 110. შდრ. აგრეთვე: *Welter R.*, Wiederkehrende Leistungen im Zivilrecht und im Steuerrecht, Frankfurt, Univ., Diss., Berlin 1984, 183.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ერთ-ერთ საფუძველს.²⁸³ რენტის შექმნისას მიწის მფლობელი თავის მიწის ნაკვეთს უტოვებდა სხვა პირს „სამუდამოდ, მაგრამ იმგვარად, რომ მასზე საკუთრების უფლებას არ კარგავდა“²⁸⁴ და „მუდმივი ფულიდან“²⁸⁵ ან მუდმივი რენტიდან²⁸⁶ პროცენტის მიღების შესაძლებლობას ითვალისწინებდა. პენსია იყო გამართლებული, როგორც „census realis“,²⁸⁷ რეალური დატვირთვა, ანუ როგორც სანივთო უფლება. დროთა განმავლობაში, პირი, რომელიც მიწის ნაკვეთით სარგებლობდა, მესაკუთრედ ითვლებოდა, ხოლო მიწის ყოფილ მესაკუთრეს დამოუკიდებელი სარენტო უფლება ეძლეოდა.²⁸⁸ რენტის გადახდის მიხედვით პირადი ვალდებულებების საკუთარ თავზე აღებით რენტის მოვალე „census personalis“-ად გარდაიქმნა.²⁸⁹ სხვადასხვა მიდგომის მიუხედავად, ისტორიულ-სამართლებრივი მოსაზრებები იქითკენაა დაყვანილი, რომ შუა საუკუნეების სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება იურიდიულად ორმხრივად მავალდებულებელი რეალური უფლებებიდან გამომდინარე განვითარდა, შეიცავდა სავაჭრო სამართლის ელემენტებს და მისი დადების მიზანს რეგულარული რენტის მიღება შეადგენდა.

ავსტრიაში სამისდღეშიო რენტის ხელშეკრულება ავსტრიის 1811 წლის ზოგადი სკ-ით რეგულირდება.²⁹⁰ ავსტრიის 1811 წლის ზოგადი სკ არა მხოლოდ კერძო ავტონომიის იდეებით, არამედ ასევე განმანათლებლური სულით ხასიათდება, რაც ასევე ენაში თავისი „პატრიარქალურობით“ გამოიხატება.²⁹¹ ავსტრიის ზოგადი სკ-ის საფუძველია პირადი და ქონებრივი უფლებების გამიჯვნა ინსტიტუციური სისტემების შესაბამისად.²⁹² მასზე დიდი

²⁸³ *Drahota W.*, Die rechtliche Natur des Leibrentenrechts und insbesondere deren Wirkungen bei Verzug des Leibrentenschuldners, Diss., Univ., Jena 1906, 8-10; *Eccius M. E.*, Der Leibrentenvertrag des Bürgerlichen Gesetzbuchs, Gruchot 45 [1901], 11 (21); *Gierke O., von*, Deutsches Privatrecht, B. 3: Schuldrecht, München/Leipzig 1917, § 207, 797.; *Sepp K.*, Der Leibrentenvertrag nach dem Bürgerlichen Gesetzbuch, München 1905, 1-5.

²⁸⁴ *Sepp K.*, Der Leibrentenvertrag nach dem Bürgerlichen Gesetzbuch, München 1905, 4. შდრ. აგრეთვე: *Drahota W.*, Die rechtliche Natur des Leibrentenrechts und insbesondere deren Wirkungen bei Verzug des Leibrentenschuldners, Diss., Univ., Jena 1906, 9.

²⁸⁵ *Sepp K.*, Der Leibrentenvertrag nach dem Bürgerlichen Gesetzbuch, München 1905, 5. საპენსიო დაგროვების განვითარების შესახებ ახალი თვალსაზრისი, მაგ., *Maas W.*, Stammrecht und Einzelsprüche, Bonn, Univ., Diss., 1968, 43-46.

²⁸⁶ *Mendelsohn C.*, Die Leibrentenverträge, Marburg, Univ., Diss., Berlin 1909, 19.

²⁸⁷ *Drahota W.*, Die rechtliche Natur des Leibrentenrechts und insbesondere deren Wirkungen bei Verzug des Leibrentenschuldners, Diss., Univ., Jena 1906, 9; *Mendelsohn C.*, Die Leibrentenverträge, Marburg, Univ., Diss., Berlin 1909, 19. აგრეთვე: *Endemann Fr.*, Lehrbuch des Bürgerlichen Rechts, Erster B., Einleitung – Allgemeiner Theil – Recht der Schuldverhältnisse, 8. Aufl., Berlin 1903 §189, 1184; *Gierke O., von*, Deutsches Privatrecht, B. 3: Schuldrecht, München/Leipzig 1917, § 207, 797.

²⁸⁸ *Gierke O., von*, Deutsches Privatrecht, B. 3: Schuldrecht, München/Leipzig 1917, § 207, 5.

²⁸⁹ *Drahota W.*, Die rechtliche Natur des Leibrentenrechts und insbesondere deren Wirkungen bei Verzug des Leibrentenschuldners, Diss., Univ., Jena 1906, 9; *Mendelsohn C.*, Die Leibrentenverträge, Marburg, Univ., Diss., Berlin 1909, 20. აგრეთვე: *Endemann Fr.*, Lehrbuch des Bürgerlichen Rechts, Erster B., Einleitung – Allgemeiner Theil – Recht der Schuldverhältnisse, 8. Aufl., Berlin 1903 §189, 1184.; *Gierke O., von*, Deutsches Privatrecht, B.3: Schuldrecht, München/Leipzig 1917, § 207, 797.

²⁹⁰ ავსტრიის ზოგადი სკ, გერმანულ ენაზე, 1811 წ. 29-ე თავი „სარისკო ხელშეკრულებები“,

<<https://www.ris.bka.gv.at/GeltendeFassung.wxe?Abfrage=Bundesnormen&Gesetzesnummer=10001622>> [20.12.2021].

²⁹¹ ცვაიგერტი და კოტცი მიუთითებენ მაშინდელი სოციალური რეალობის ძირითადი განმანათლებლური მოსაზრების კონტრასტზე, ანალოგ., ცვაიგერტი კ./კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. 2, 2001, §12, 158. შდრ. ასევე: *Floßmann U.*, Österreichische Privatrechtsgeschichte, 6. Aufl., Wien 2008, 15.

²⁹² *Floßmann U.*, Österreichische Privatrechtsgeschichte, 6. Aufl., Wien 2008, 15.

გავლენა გერმანიის სკ და სამოქალაქო სამართლის მეცნიერებამ იქონია.²⁹³ გერმანულ სამართალზე მიმართვას მხარს უჭერდა ცნობილი ავსტრიელი მეცნიერი *უნგერი*, რომლის მიერ ინიცირებული გერმანული და ავსტრიული სამართლებრივი დოქტრინების ურთიერთქმედება დღემდე გრძელდება.²⁹⁴ ავსტრიაში მთელი რიგი სამართლებრივი ინსტიტუტები სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე იქმნებოდა და უმთავრესად იურისპრუდენციასთან თანამშრომლობით ვითარდებოდა.²⁹⁵

შვეიცარიის 1907 წლის 10 დეკემბერს მიღებული სამოქალაქო დანაწესით დეტალურადაა რეგულირებული რენტის ვალი. შვეიცარიის 1911 წლის 30 მარტის ვალდებულებით კანონში²⁹⁶ გამოყოფილია ხელშეკრულებები სამისდღეშო რენტის და ნატურალური პენსიის შესახებ. შვეიცარიის სამოქალაქო დანაწესის და შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის დებულებები სრულად გაიზიარა თურქეთმა და 1962 წელს შემოიღო სამოქმედოდ.²⁹⁷

დასკვნა

სამისდღეშო რენტა - ეს არის საშუალება დაუტოვო მემკვიდრეობა საკუთარ თავს ხანდაზმულობის წლებში. შეთანხმებას სამისდღეშო რენტის ხელშეკრულების დადებაზე, ახასიათებენ როგორც ფსონის დადებას სხვა პირის გარდაცვალებაზე.²⁹⁸ მიუხედავად ამისა, „ვინც ვერ რისკავს, ვერც იმარჯვებს“, ეს ხალხური სიბრძნე აღწერს მოგების შესაძლებლობის გაღრმავების ინტერესს. დასახელებული რისკების სპეციალურად გადანაწილების გამო ხელშეკრულება ატარებს პირობით ხასიათს: ძირითადად, ხელშეკრულების ხანგრძლივობა და შესაბამისად, სამისდღეშო რენტის ოდენობა დამოკიდებულია სარჩოს მიძღვის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

წინამდებარე სტატიაში შევეცადეთ, გვეჩვენებინა სამისდღეშო რენტის ხელშეკრულების წარმოშობისა და განვითარების ისტორია, გამოვკვეთეთ ამ ხელშეკრულების ერთიანი მიზანი: მარჩენალის მიერ სარჩენისათვის სამისდღეშო სარჩოს გადახდით მისი რჩენისა და ამავდროულად საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილება. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ მეცნიერ-იურისტები, სარჩოს ხელშეკრულებები წარმოადგენს „კერძო საპენსიო უზრუნველყოფის ბირთვს“. ერთ-ერთი პირველის საკანონმდებლო აქტი, რომელმაც რენტის ხელშეკრულება დაარეგულირა, იყო საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსი. საფრანგეთის შემდეგ, ქონების გასხვისების ხელშეკრულებები პერიოდული სარჩოს მიწოდების პირობით ფართოდ გავრცელდა გერმანიის, შვეიცარიის და სხვა სახელმწიფოთა სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმატიულ აქტებში. რენტის ინსტიტუტი დიდი ხანია არსებობს ბრიტანულ სახელშეკრულებო სამართალში. რენტა შეიძლება გამოვიდეს სხვადასხვა ფორმაში: ნასყიდობა,

²⁹³ *Coing H.*, (Hrsg.), *Ius commune*, B. VI, Frankfurt am Main 1977, *Dölemeyer B.*, Die Revision des ABGB durch die drei Teilnovellen von 1914, 1915, 1916, 274 (282).

²⁹⁴ *ცვაიგერტი/კოტცი*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. 2, 2001, §12, 159. ასევე: *Oetker H.*, Das Dauerschuldverhältnis und seine Beendigung, Tübingen, 1994, 8.

²⁹⁵ *Bydlinski F.*, Juristische Methodenlehre und Rechtsbegriff, Wien, 1982, 502.

²⁹⁶ შვეიცარიის 1911 წლის ვალდებულებითი კანონი (ძალაშია 1912 წლის 1 იანვრიდან), ცვლილებებით 2012 წლის 1 მარტის მდგომარეობით, <www.wipo.int/wipolex.ru/details.jsp?id=681> [20.11.2021].

²⁹⁷ Гражданское и торговое право капиталистических стран /отв. Ред. *Е.А. Васильев*, 2-е изд., перераб. и доп. М., 1992, 61.

²⁹⁸ *Drosso F.*, Les Annales de la recherche urbaine 2006, 115. dies., Droit et patrimoine 2002, 24-27.

ჩუქება, ანდერძი. დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობისგან განსხვავებით, ძველი ქართული სამართლის მიხედვით სამისდღეშო რჩენაში ზოგადად მოიაზრებოდა ფიზიკური პირის მუდმივი უზრუნველყოფა მოვლა-პატრონობით, ბინით, კვებით, მედიკამენტებით და ა.შ. სამისდღეშო რჩენა, თავისთავად, წყალობის სახეს ღებულობდა, ვინაიდან იგი მამულის ბოძებასთან იყო კავშირში. ვფიქრობ, რომ იგი ყველაზე მეტად ასახავდა სამისდღეშო რჩენის ხელშეკრულების სამართლებრივ მნიშვნელობას.

სამისდღეშო რჩენის ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი იურიდიული განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ის აღჭურვილია ალელატორული ნიშან-თვისებებით. რისკის ელემენტს იღებს თავის თავზე ხელშეკრულების ყოველი მხარე. უდავოს წარმოადგენს ის გარემოება, რომ განსახილველი ხელშეკრულება წარმოადგენს სასყიდლიანს, განგრძობადს და ატარებს ფიდუციარულ ხასიათს.

რუსეთის დესტრუქციული როლი აფხაზეთის კონფლიქტში

Russia's Destructive Role in Abkhazia Conflict

რეზიუმე

საქართველო ისტორიულად მდებარეობს ცივილიზაციებისა და იმპერიების გასაყარზე, აქედან გამომდინარე, ის ყოველთვის წარმოადგენდა დიდი ქვეყნებისთვის, რომლებიც ცდილობდნენ თავისი „კულტურული არეალის“ გაერთიანებას, გეოპოლიტიკურ ინტერესს. რუსეთის საერთაშორისო არენაზე გამოჩენამ და მისმა ექსპანსიურმა პოლიტიკამ მალევე ასახვა ჰპოვა საქართველოზე, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენდა ბოლო ნაბიჯს კონსტანტინეპოლზე გასასვლელად. დღევანდელი გადმოსახედიდან, უკვე ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთი დაარსებიდან დღემდე მისდევს „დაყავი და იბატონეს“ პრინციპს. იგი, როგორც მე-19 საუკუნეში, აგრეთვე დღეს ცდილობს საქართველო ძალადობრივად მიიერთოს, ან, როგორც მინიმუმ, იმ დონემდე დაასუსტოს (მისგან ზოგიერთი კუთხის ჩამოცილებით), რომ ახლო მომავალში მოახდინოს „გაერთიანება“ დაცვის, განვითარებისა და ძმობის ლოზუნგით.

აფხაზეთის ომი, რომლის დროსაც რუსეთის ძალებმა ფაქტობრივად კონტროლ ქვეშ აიყვანეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველო, არის კონფლიქტი, რომელიც მივიწყებულია დასავლეთში, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო „ახალი“ რუსეთის პირველი იმპერიალისტური აქტი, რომელიც უფრო აგრესიული და მასშტაბური ფორმით გამოერდა 2008 წლის აგვისტოში, ხოლო კულმინაციას მიაღწია 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში.

ავტორების მოსაზრებით, ეთნიკური დამაბულობა აფხაზეთსა და ქართველებს შორის მასშტაბიანი კონფლიქტისთვის არა საკმარისი მიზეზი იყო. დღეს უკვე მსოფლიო თანამეგობრობისთვის ნათელია, თუ რა გეგმებს ახორციელებდა საქართველოს წინააღმდეგ მოსკოვი. ისინი დაუფარავად ამარაგებდნენ სეპარატისტებს თანამედროვე იარაღით, ცოცხალი ძალითა და ფინანსებით, რამაც საბოლოო ჯამში, საქართველოს ტერიტორიების ანექსირება განაპირობა. მათ შესანიშნავად გამოიყენეს თბილისის მიერ დამზებული ყველა შეცდომა და ზოგიერთი ქართველი ჩინოსნის მხრიდან, ლალატის ტოლფასი დაუდევრობა.

Abstract

Georgia is historically located at the crossroads of civilizations and empires; therefore, it has always been of geopolitical interest for large countries that trying to unify their "cultural area". Russia's appearance on the international scene and its expansionist policy soon found a reflection on Georgia, which, in his opinion, is the last step to Constantinople. From today's point of view, we can say unequivocally that Russia has been following the principle of "divide and rule" since its foundation. As in the 19th century, it is trying to absorb Georgia violently, or at least to weaken it to the point (by removing some parts from it) that in the near future it will "unify" with the slogan of protection, development and brotherhood.

The war in Abkhazia, in which Russian forces effectively took control of northwestern Georgia, is a conflict that is forgotten in the West, despite being the first imperialist act of the "new" Russia, which was repeated in a more aggressive and large-scale form in August 2008, and reached its climax on February 24, 2022 in Ukraine.

* სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. Ph.D. in Law, Professor, Deputy Dean of the Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University.

* საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი. Ph.D. in International Relations, Assistant Professor of the Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University.

According to authors, ethnic tension between Abkhazians and Georgians was not a sufficient reason for a large-scale conflict. Today it is already clear to the world community what Moscow plans was implementing against Georgia. They openly supplied the separatists with modern weapons, manpower and finances, which ultimately led to the annexation of the territories of Georgia. They made excellent use of all the mistakes made by Tbilisi and negligence on the part of some Georgian officials, amounting to treason.

შესავალი

სამწუხაროდ, 1990-იან წლებიდან დაწყებული დღემდე მოუგვარებელია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები. შედეგად, სახეზე გვაქვს მავთულხლართების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში მოწყვეტადობა. უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რაც მძლავრი რუსული გავლენის ქვეშ მოქცეულ დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ მართულ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს თბილისი ვეღარ აკონტროლებს. ნაკლებობა ყოველდღიური, ხშირი ურთიერთობების, პოლიტიკური დიალოგის თითქმის არარსებობა კიდევ უფრო აშორებს ერთი ეროვნების ხალხს ერთმანეთისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, 1990-იან წლებამდე არსებული მშვიდობიანი თანაცხოვრების მეხსიერება თანდათან უფერულდება და ქრება, რაც უარყოფითად აისახება ისედაც გამწვავებულ კონფლიქტზე, რადგან მხარეები საზოგადოებაში საჯარო დისკურსი კონფლიქტების ბუნებისა და „მეორე“ მხარის შესახებ, ურთიერთგამომრიცხავი და რადიკალური ნარატივებით იკვებებიან. ამავე დროს, თვალს ვადევნებთ რუსეთს, რომელიც გეგმაზომიერად და თანმიმდევრულად უწევს დახმარებას აფხაზეთში სეპარატისტულ ძალებს სტრატეგიულ თუ პოლიტიკურ -სამართლებრივ თვითდამკვიდრებაში.²⁹⁹

აფხაზეთში განვითარებულმა პროცესებმა დღეს, 30 წლის შემდეგ, გვიჩვენა ნათელი სურათი იმ პრობლემებისა, რომლებიც იქმნებოდა და ვითარდებოდა დაშვებული შეცდომების, დაუდევრობის, დანაშაულებრივი ქმედებების თუ უმოქმედობის შედეგად. საკმარისია პასუხი გაეცეს რამდენიმე კითხვას: პირველი და რაც მთავარია, გამოვიყენეთ თუ არა ყველა რესურსი იმისათვის, რომ აგვეცილებინა დატრიალებული უბედურება ორივე მხარისთვის? მეორე - გამოვიყენეთ თუ არა ტრაგედიის შედეგები საჭირო დასკვნებისთვის და ამ დასკვნების მსოფლიო თანამეგობრობისთვის წარსადგენად? მესამე - რამდენად ადეკვატური იყო და არის ჩვენი ხელისუფლების მოქმედება მოწინააღმდეგე მხარის მიმართ სხვადასხვა საერთაშორისო დონეზე?

უკანასკნელ წლებში არა ერთი სადისერტაციო ნაშრომი, მონოგრაფია, სტატია მიემდვნა აფხაზეთის კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს, მის მომზადებას აფხაზი სეპარატისტების მიერ, საქართველოს ხელისუფლების გატარებულ ღონისძიებებს კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად და იმ შეცდომებს, რომლებიც დაშვებული იქნა აფხაზეთთან მიმართებაში (რამაც ერთგვარად ხელ-ფეხი გაუხსნა იქ მყოფ სეპარატისტებს სიტუაციით ესარგებლათ და საქმე მიეყვანათ საომარ მოქმედებამდე). მართალია ამ საკითხებს გარკვეულწილად თითქოსდა მიეცა შეფასება მაგრამ რეალურად შედეგი არის ძალზე არასახარბიელო. აღნიშნულიდან

²⁹⁹ წოწონავა ა., აფხაზეთი - პრობლემა, მიზეზები, გზები.... გამომცემლობა ზენარი, თბილისი, 2011, 46-47

გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხაზგასმით შევებოთ რუსეთის აშკარა დესტრუქციულ, შეიძლება ითქვას გადამწყვეტ როლს კონფლიქტის გაჩაღებასა და მის შემდგომ განვითარებაში.

1. აგრესიული სეპარატიზმის გავლენა აფხაზეთზე

აგრესიული სეპარატიზმი აფხაზეთში ათეული წლის განმავლობაში იგეგმებოდა და ვითარდებოდა. ამ გაუმართლებელი ანტიხალხური მოძრაობის სათავეებთან უმთავრესად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი ხელმძღვანელი, პარტიული და საჯარო მუშაკი იდგა, რომლებსაც უშუალო კავშირი ჰქონდა რუსეთის იმპერიულ ძალებთან. ნიკიტა ხრუშჩოვის პარტიის თავმჯდომარეობის პერიოდში იმპერიული ცენტრი დაადგა აფხაზეთში ქართული და აფხაზურ-სეპარატისტული ინტერესების შეჯახებისა და მათი მედიატორული რეგულირების... მართვადი დამაბულობის სტრატეგიას.³⁰⁰ აფხაზური ეთნოკრატიისა და სეპარატისტული პოლიტიკური კონიუქტურის ფორმირების ყოველი სტადია წინასწარ იყო დაგეგმილი და ამათ იმპერიული ცენტრიდან ინსპირირებული აფხაზური გამოსვლების მიმართ გამოვლენილი „იძულებითი“ ოპერატიული რეაქციის ფორმა ჰქონდათ (საუბარია 1957, 1967, 1977 და 1988-1989 წლებზე, რაც ერთობლიობაში წარმოადგენდა აფხაზური სეპარატიზმის გენეზისის სტადიალურ ქრონოლოგიას). სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას მკვლევარი დ. ჯოჯუა, რომელსაც მიაჩნია, რომ საპროტესტო აქციები მიმართული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, რა დროსაც, აფხაზმა სეპარატისტებმა გამოხატეს თავისი პროიმპერიული და ანტიქართული თვითიდენტურობა.³⁰¹

ჯერ კიდევ სამოციანი წლებიდან აფხაზეთის ხელმძღვანელობისა და მმართველობის ორგანოების მაღალი თანამდებობის პირებისაგან ჩამოყალიბდა „ექსტრემისტ შეთქმულთა ორგანიზებული ჯგუფები“, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს სუვერენიტეტის შელახვას და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის ძალისმიერი გამოყოფის გზით.

ამ დანაშაულებრივი მიზნების განხორციელების გასაადვილებლად და საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად, ექსტრემისტები მეთოდურად ამახინჯებდნენ და განზრახ აყალბებდნენ ისტორიულ ფაქტებს, მიმართავდნენ პოლიტიკურ ინსინუაციებს, მოვლენების მიკერძოებულ ინტერპრეტაციას, თხზავდნენ ლეგენდებს ქართველთაგან აფხაზეთის ტერიტორიის დაპყრობის, აფხაზური ეთნოსის ჩაგვრისა და განადგურების მცდელობის შესახებ.

სეპარატისტები ათეული წლების განმავლობაში ქადაგებდნენ და ამტკიცებდნენ ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრების შეუძლებლობის (ჭეშმარიტად კაცთმოძულე დოქტრინას). საბოლოო გაუცხოების მისაღწევად კი, ისინი ორივე მხარეს ერთმანეთს უპირისპირებდნენ. სახელმწიფო პოლიტიკად იქცა „თვითგამორკვევის უფლება“, ხოლო რეალიზაციის ინსტრუმენტი - ძალადობრივი მეთოდები, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, დემოგრაფიული ვითარების შეცვლა ეთნიკური ჯგუფების განადგურებითა და განდევნით.

³⁰⁰ წოწონავა ა., აფხაზეთი-პრობლემატიკა, მიზეზები გზები... გამომცემლობა „ზენარი“, თბილისი, 2011, 26-27

³⁰¹ ფაჩულია ც., საბჭოთა რუსეთის როლი ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში. თბილისი, 2016, 169-176

საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის დანაშაულებრივი გზით გამოყოფისთვის სამართლებრივ არგუმენტების საფარველმ სეპარატისტებმა ფსევდო-სამართლებრივი არგუმენტები დაუდეს საფუძვლად, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ სეპარატიზმი აფხაზეთში სახელმწიფო პოლიტიკად გადაიქცა. უდაოდ მართებულია ის დასკვნა, რომ „1989-1992 წლების აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენები მომზადდა და განხორციელდა გარეშე ძალების მიერ, რომელთა მიზანი იყო დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის მებრძოლი საქართველოს დასუსტება, არჩეული კურსისა და ორიენტაციის შეცვლა.“³⁰²

ადგილობრივი სეპარატისტული დაჯგუფება, პირველ რიგში, იყო რუსეთის რეაქციული ძალების ინტერესის სფერო სამხრეთ კავკასიის კერძოდ, საქართველოსთან მიმართებით. 1964 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლეს სახელისუფლო ემელონებში და უშუალოდ ხრუმჩოვის უახლოესი გარემოცვის წრეში შეიქმნა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის და რსფსრ-ს შემადგენლობაში ავტონომიური სტატუსით ინკორპორაციის გეგმა.³⁰³ აღნიშნულ ცვლილებას უშუალოდ ხრუმჩოვი ლობირებდა, რასაც ადასტურებს საქართველოს კომპარტიის ცეკა-ს მდივანი იდეოლოგიის დარგში დ. სტურუა, რომელიც აღნიშნავს, რომ 1964 წლის აგვისტოში ვ. მჟავანაძის კაბინეტში აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან მ. ბლაჟბასთან შეხვედრაზე, უკანასკნელმა განაცხადა, რომ ის ხრუმჩოვმა მიიწვია ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკზე და უბრძანა დაეწერა შესაბამისი წერილი აფხაზეთის რსფსრ-ში შესვლის თხოვნით.³⁰⁴ აღნიშნულის შესახებ მ. ბლაჟბას მიერ ინფორმირებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. აფხაზეთის ლიდერი ჩამოსული იყო თბილისში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ არც ბლაჟბას უარს და არც საქართველოს პარტიულ-პოლიტიკური ელიტის ლოკალურ პროტესტს, შეეძლო ამისათვის ხელის შეშლა, რადგან საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას ნებისმიერ მომენტში შეეძლო სხვადასხვა რესურსების გამოყენებით, საპროტესტო მოძრაობის პარალიზება, თუმცა აფხაზეთის რუსეთთან შეერთების მზაკვრული გეგმის განხორციელება ჩაიშალა იმის გამო, რომ 1964 წლის ოქტომბრის თვეში ადგილი ჰქონდა კრემლის „სახალხო გადატრიალებას“ (საუბარია ხრუმჩოვის გადაყენებაზე).³⁰⁵

უკანასკნელ ათწლეულებში აფხაზეთის მოვლენათა განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ ფაქტორმა, რომ აფხაზეთის „აფეთქებისათვის“ შენიღბული მოქმედების ნაღმები ჯერ კიდევ ცარიზმის დროს ჩაიდო. აღნიშნული პოლიტიკა მეტ-ნაკლებად შენიღბულად გაგრძელდა კომუნისტურ ეპოქაშიც და უახლეს ისტორიაში ჩამოყალიბდა აგრესიული სეპარატიზმის იდეოლოგიად და პრაქტიკად.

პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური და სოციალური სიძნელეები, ძველი სახელმწიფო პოლიტიკური სხეულის რღვევა, ახლადფეხადგმული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შინაგანი სირთულეები, აგრეთვე საქართველოს ხელისუფლებაში ეროვნული მოძრაობიდან მოსული ენერგიული, მაგრამ გამოუცდელი კადრების ზედმეტი სიფრთხილე და

³⁰² აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, თბილისი, 2000. ნაწილი 1, 14

³⁰³ იზორია ლ., აფხაზეთი სეპარატისტული მოძრაობა (1945–1993 წწ.). სადისერტაციო ნაშრომი, 2015, 74 <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/lizoria.pdf> [01.08.2022]

³⁰⁴ Стурюа Д., Сепаратистское движение в Абхазии в шестидесятые и семидесятые годы нашего столетия. 1995, 3-4

³⁰⁵ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. თბილისი, 2007, 335

არათანმიმდევრულობა, სეპარატისტული ძალები ზურგსუკან მდგარმა გარეშე ძალებმა (პირველ რიგში რუსეთმა) კარგად გამოიყენეს აფხაზეთში თავიანთი მიზნების განსახორციელებლად, საიმედო პლაცდარმის შესაქმნელად.

ექსპერტთა აზრით, არასაკმარისი აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, თავიდან აეცილებინა მოვლენათა ტრაგიკული განვითარება და როგორც გარკვეულ პოლიტიკურ წრეებშია მიჩნეული, ეს შეუძლებელიც იყო, რადგან რუსეთის ხელისუფლების ინტერესებშიც შედიოდა კონფლიქტის გაჩაღება, აფხაზეთში მართვადი ქაოსის შექმნა, დემოგრაფიული ვითარების შეცვლა და საქართველოს დაყენება ურთულესი პრობლემის წინაშე.

მორიგი ანტიქართული საპროტესტო აქციის საბაზად სეპარატისტებმა გამოიყენეს მთელ საბჭოთა კავშირში კონსტიტუციური სისტემის ფორმალურ-იურიდიული შეცვლის პროცესი. 1977 წლის 10 დეკემბერს, აფხაზეთის ელიტის 130 წარმომადგენელმა სპეციალური წერილით მიმართა იმპერიის ცენტრალურ ინსტანციებს, რომელშიც ცენტრალური ადგილი ეჭირა სეპარატისტულ მოთხოვნას - მიმდინარე კონსტიტუციური ცვლილებების ფარგლებში აფხაზეთი გამიყოს საქართველოს შემადგენლობიდან და გადავიდეს რსფსრ-ს ტერიტორიულ-სამართლებრივ სივრცეში, კრასნოდარის მხარის შემადგენლობაში.³⁰⁶ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს რადიკალურად ანტისეპარატისტული აქტი არ მოეწონათ კრემლში. ადგილზე ვითარების შესასწავლად და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად, მიზანშეწონილად ჩაითვალა სპეციალური ჯგუფის აფხაზეთში ჩასვლა სკკპ ცენტრალური ცკ-ს მდივნის ი. კაპიტონოვის მეთაურობით.³⁰⁷ 1978 წლის 21 მაისს, აფხაზეთის პარტიულ-საბჭოთა აქტივის კრებაზე ი. კაპიტონოვმა ცალსახად დააფიქსირა იმპერიული ცენტრის პოზიცია: საპროტესტო მოძრაობის მოთხოვნები ანტიკონსტიტუციურია და აფხაზეთის გამოყოფა საქართველოდან ამ ეტაპზე გამორიცხულია. მან აღნიშნა „ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ უნივერსიტეტისა და ტელევიზიის საკითხი, მაგრამ აფხაზეთის გადასვლა რსფსრ-ს შემადგენლობაში გამორიცხულია. ასევე გამორიცხულია ახალ კონსტიტუციაში ასეთი გადასვლის უფლების შესახებ სპეციალური მუხლის დამატება.“³⁰⁸ იმ დროს იმპერიული ცენტრი ფაქტობრივად არ იყო დაინტერესებული არსებული ბალანსის დარღვევისა და აფხაზეთი ეთნოკრატიის ცენტრიდანული მოძრაობის სტიმულირებაში. საქართველოს პარტიულმა ნომენკლატურამ და პირადად ე. შევარდნაძემ გამოიჩინეს აბსოლუტური უპრინციპობა, რადგან აირჩიეს სეპარატისტების მიმართ ყოვლად გაუმართლებელი დათმობების ტაქტიკა. ხელისუფლების სათავეში „გორბაჩოვის გუნდის“ მოსვლამ, თავის მხრივ სტიმული მისცა რეჟიმის მიმართ ოპოზიციური მოძრაობების გააქტიურებას.³⁰⁹ რადიკალური, ანტიქართული შინაარსით გამოირჩეოდა ე.წ. „სამოცის წერილი“- აფხაზი მეცნიერებისა და კულტურის სამოცი თვალსაჩინო წარმომადგენლის 1988 წლის 17 იანვრის მიმართვა სკკპ XIX საკავშირო კონფერენციისადმი. აღნიშნული დოკუმენტის მთავარი იდეა იყო საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფის ანტიკონსტიტუციური მოთხოვნა.³¹⁰ წერილი არ გამხდარა მსჯელობის საკითხი,

³⁰⁶ Лежава Г., Абхазия: анатомия межнациональной напряженности, 1999, 151

³⁰⁷ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, 2007, 338

³⁰⁸ Лежава Г., Абхазия: анатомия межнациональной напряженности, 1999, 152

³⁰⁹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თბილისი, 2007, 339

³¹⁰ Бгажба О., Лакоба С., История Абхазии, 2006, 414

მაგრამ მისმა გამოქვეყნებამ მაინც დაძაბა საზოგადოებრივი ატმოსფერო ავტონომიურ რესპუბლიკაში, რისი ნათელი მაგალითია 1989 წლის 18 მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში აფხაზთა თავყრილობის მიერ მიღებული ე.წ. „ლიხნის დეკლარაცია“³¹¹ - მიმართვა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოებისადმი საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით შესვლის შესახებ. „ლიხნის დეკლარაციამ“ განსაკუთრებით გაამწვავა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში და სტიმული მისცა ფართომასშტაბიან დესტაბილიზაციას.³¹²

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამოქმედებულ კიდევ ერთ ნაღმზე. კერძოდ, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 3 აპრილის კანონზე, რომლის თანახმადაც მოკავშირე რესპუბლიკების მიერ 1922 წლის საკავშირო ხელშეკრულების დენონსაციისა და სსრკ-ს შემადგენლობიდან გასვლის შემთხვევაში, ავტონომიურ რესპუბლიკებს უფლება ჰქონდათ, რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, მიეღოთ გადაწყვეტილება დარჩენილიყვნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ცენტრთან ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების ბაზაზე.³¹³ ზემოთ მოყვანილი ინფორმაციიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ აღნიშნული კანონი ქმნიდა საბჭოთა იმპერიიდან გამოსვლის მსურველი ეროვნული რესპუბლიკების კონსტიტუციურ-სამართლებრივი სივრცისა და ტერიტორიული მთლიანობის დაშლის იურიდიულ მექანიზმს. ეს, თავის მხრივ, იყო ცენტრის სტრატეგიული გათვლა, რადგან მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები ამ მექანიზმის შესაძლო ამოქმედების შიშით უნდა დამდგარიყვნენ სრული დამოუკიდებლობის უარყოფის პლატფორმაზე, რადგანაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან მათი გასვლა ერთ სიბრტყეში იყო დაყენებული მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიზაციითა და მათი ეთნიკური ნომენკლატურის ლეგიტიმაციით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა მომხდარიყო მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შეკავება, ანუ 1990 წლის აპრილის კანონი მაკროფორმაციით იყო შექმნილი მთელი იმპერიის მასშტაბით. რაც შეეხება მიკროფორმატს, კონკრეტულად აფხაზეთის შემთხვევაში, 1990 წლის აპრილის კანონმა შექმნა საქართველოს იმდროინდელ პარტიულ-სახელმწიფო ელიტასა და აფხაზურ ეთნოკრატას შორის „კანონთა ომის“, ანუ კონსტიტუციურ-სამართლებრივი დისბალანსის ატმოსფერო.³¹⁴

აფხაზეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტიგენტის შესვლაზე, მის მიზან-ამოცანებზე ბევრია დაწერილი და აღარ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, ხოლო ხაზს გავუსვამთ იმას, რომ ეს ფაქტი მაშინათვე გამოიყენეს შინაურმა და განსაკუთრებით, გარეშე ძალებმა მდგომარეობის დასაძაბად. უმაღლეს, 20 აგვისტოს რუსეთის სამხრეთის რესპუბლიკებისა და მხარეების ხელმძღვანელებმა მიმართეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბორის ელცინს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე რეაგირებისა და

³¹¹ ლიხნის დეკლარაციის შესახებ, <https://apinazhi.ge/journal/132--.html> [01.08.2022]

³¹² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თბილისი, 2007, 340

³¹³ იზორია ლ., აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა (1945–1993 წწ.). სადოქტორო პროგრამა: საქართველოს ისტორია. სადისერტაციო ნაშრომი, 2015, 64 <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/lizoria.pdf> [01.08.2022]

³¹⁴ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. თბილისი, 2007, 341

საქართველოს ჯარების აფხაზეთიდან გაყვანის მოთხოვნით. საკითხავია, რატომ მაინცდამაინც რუსეთის და არა საერთაშორისო კომპეტენტურ ორგანიზაციას - გაეროს?

3 სექტემბერს მოსკოვში, რუსეთის პრეზიდენტის შუამდგომლობითა და გარანტიით ხელმოწერილი იქნა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, 1992 წლის 5 სექტემბერს 12:00 საათიდან კონფლიქტში მონაწილე ყველა შეიარაღებულ მონაწილეს უნდა შეეწყვიტა ძალის გამოყენება და თავი შეეკავებინა ნებისმიერი შეტევითი მოქმედებისაგან. ეს იყო საქართველოს ხალხისა და ხელისუფლების კეთილი ნების დემონსტრაცია, რომელიც მზად იყო ყოველგვარი დათმობის გზით ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისათვის.³¹⁵

ფაქტობრივად ცნობილია რაც მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა მხარემ შეასრულა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, დატოვა მის მიერ ადრე დაკავებული პოზიციები, აფხაზმა სეპარატისტებმა და ჩრდილო კავკასიელმა ბოევიკებმა აღნიშნული ხელშეკრულება დაარღვიეს და 1992 წლის 25 სექტემბერს დაიკავეს ქვემო ეშერა, უხემად ხელჰყვეს მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის დამსვენებელთა უფლებები და თავისუფლება - კერძოდ, ადგილი ჰქონდა ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას და გაუპატიურების ათეულობით ფაქტს.

საკითხავია, კონფლიქტის მოსაწყისრიგებლად აქტიურად რატომ არ ჩაერია რუსეთი და მისი მთავრობა? მეტსაც ვიტყვით, პირიქით, 24-25 სექტემბერს რუსეთის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულმა დადგენილებამ „აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის შესახებ“ კიდევ უფრო დაამძიმა კონფლიქტური სიტუაცია. მიღებული დოკუმენტი იყო საქართველოს საშინაო საქმეებში უხემად ჩარევის მაგალითი - სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის გამართლების მცდელობა.

ცნობილი ფაქტია, რომ 1-2 ოქტომბერს ჩრდილოეთ კავკასიელმა (იგივე რუსეთის) და აფხაზმა ბოევიკებმა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების აქტიური მხარდაჭერით აიღეს ქალაქი გაგრა, რასაც მოჰყვა ათასობით უდანაშაულო ადამიანის, ძირითადად ქართველთა მკვლელობა, განდევნა საკუთარი საცხოვრებლებიდან.

3 ოქტომბერს ქალაქ ნალჩიკში ჩატარდა მთიელ ხალხთა კონფედერაციის საგანგებო ყრილობა, რომელზედაც მას ეწოდა კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია (სახელის გამოცვლა საშუალებას იძლეოდა კონფედერაციაში სხვა ხალხების, კერძოდ კაზაკების ჩართულობისათვის). ყოველივე ეს ცხადია რუსეთის სპეცსამსახურების მზაკვრული ჩანაფიქრი იყო, რაც, ბუნებრივია, საერთოდ რუსეთის მიზნებიდან გამომდინარეობდა.

აფხაზეთში სამხედრო ოპერაციის ანალიზი, ფაქტები და მოვლენები ადასტურებენ სეპარატისტთა და ბოევიკთა მხარეზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალებისა და ტექნიკის, ავიაციის, სპეციალური დანიშნულების სამსახურების მზარდ, პირდაპირ თუ შენიღებულ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში. სისტემატურ ხასიათს ღებულობდა აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების დაბომბვა ჰაერიდან და ზღვიდან. რუსეთის მხრიდან

³¹⁵ დიასამიძე თ., მოსკოვის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტი, 132-133

ასეთი შეუწყნარებელი ჩარევის არა ერთი ფაქტის მოყვანა შეიძლება. საქართველოს მთავრობა, მისი პრეზიდენტი გზადაგზა რეაგირებდნენ ამ მტკივნეულ ფაქტებზე მაგრამ რაიმე ქმედითი შედეგი არ მოჰყვებოდა. პირიქით კი იყო, რუსეთის როლი, როგორც „შუამავლის“ კონფლიქტის დარეგულირების საქმეში კიდევ უფრო იზრდებოდა.

საკვირველია ის ფაქტი, რომ 1998 წლის 27 ივლისს კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა რუსეთის „შუამავლობით“ ხელი მოაწერეს შეთანხმებას „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ“. 20 აგვისტოს ქართულმა მხარემ მთლიანად შეასრულა შეთანხმება: რუსეთის სამხედრო სატრანსპორტო გემების საშუალებით, ფოთის მიმართულებით გაყვანილი იქნა მძიმე ტექნიკა და შეიარაღება, დაიწყო ბატალიონების დაშლა.³¹⁶

როგორც მოვლენებმა ცხადყო, ეს იყო საქართველოს სახელმწიფო მეთაურის და ჯარების მთავარსარდლის ეღუარდ შევარდნაძის შეცდომა და აშკარა წინდაუხედაობა, რამაც გამოუსწორებელი შედეგები მოუტანა საქართველოს.

1992 წლის 18 ივლისს სოჭში, „ბიჩროვ-რუჩკის“ სახელმწიფო აგარაკზე გაიმართა ბ. ელცინის არაოფიციალური, საიდუმლო შეხვედრა ვლ. არძინბასთან და აფხაზური ელიტის ზოგიერთ სხვა წარმომადგენლებთან.³¹⁷ როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, კონფიდენციალურ შეხვედრაზე სეპარატისტებმა მიიღეს ომის ინიცირების სანქცია, რაც დაკავშირებული იყო რუსეთის მხრიდან სამხედრო ჩარევის გარანტიებთან.

ამდენად, საბჭოთა ხელისუფლებათა მიდგომა დროის მიხედვით ქართულ-აფხაზური დაპირისპირების საქმეში განსხვავებულია. პირველ ეტაპზე აფხაზეთის დროებით „დამოუკიდებლობას“ რუსეთი იყენებდა საქართველოზე ზეწოლისათვის და აიძულებდა მას შეგუებოდა საბჭოთა წყობას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავდა „დროებით ჩამორთმეულ“ ტერიტორიებს.

24 აგვისტოს ვლ. არძინბა ჩავიდა მოსკოვში და შეხვდა ბ. ელცინს. განვითარებული მოვლენები აშკარად ნათელჰყოფდნენ ამ შეხვედრის მიზანსა და ამოცანებს. აფხაზეთის მხარის მიერ 27 ივლისის შეთანხმების ვერაგულმა დარღვევამ გამოიწვია სამხედრო მოქმედებების ესკალაცია ყველა მიმართულებით და იგი 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დამთავრდა.

რუსეთი, რომელიც აფხაზეთში კონფლიქტის აქტიური მონაწილე იყო, მაინც ერთვებოდა მისი მოგვარების სამშვიდობო მოლაპარაკებებში, რომელსაც საქართველოს მთავრობა და მისი მეთაური ნორმალურ მოვლენად მიიჩნევდა.

³¹⁶რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან (1991-2021 წწ.) ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი, ელჩი მიხეილ უკლება. თბილისი, 2021, 2
<https://di.gov.ge/wp-content/uploads/2021/05/ruseth-saqarthvelos-urthierthobebi-saqarthvelos-damoukideblobis-aghidgenis-dghidan-1991-2021-tsts.pdf> [01.08.2022]

³¹⁷ Лакоба С., Абхазия де Факто или Грузия де Юре? Хоккайдо, 2001

1993 წლის 3-4 თებერვალს საქართველოში იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბ. ელცინი, რომელმაც ხელი მოაწერა „რუსეთ-საქართველოს კეთილშეზობლობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულებას, ასევე დოკუმენტებს საქართველოში რუსეთის სამხარეო ბაზების შესახებ.

ქვეყანაში რუსეთის ბაზების ყოფნის პირობად განისაზღვრა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირება. ყოველივე მხოლოდ დაპირება აღმოჩნდა, ვინაიდან თებერვლის დასაწყისში აფხაზმა და დაქირავებულმა ბოევებმა გადაწვეს გალის რაიონი, დახოცეს ასობით ადამიანი, დევნილად აქციეს საკუთარ სახლებში დაბრუნებული მოსახლეობა. რუსეთი, მიუხედავად მისი ვერაგული ზრახვებისა, თითქოს კეთილი შუამავლის როლს იჩემებდა, საქართველოს მთავრობა კი ამ ფაქტს ნორმალურად ხვდებოდა - ამაზე გვეფიქრება მხოლოდ ის, რომ საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება ბრმა იყო და ნამდვილ ვითარებას უგულებელყოფდა. როცა რუსეთის ფედერაციის შუამავლობით ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა 1992 წლის 14 მაისს ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონაში დსთ-ს ეგიდით რუსეთის შეიარაღებული ძალების სამშვიდობო კონტიგენტის უსაფრთხოების ზონისა და შეზღუდული შეიარაღებული ზონის შექმნას. განისაზღვრა დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო მეთვალყურეთა მანდატი, მათი განლაგების პრინციპები.³¹⁸

ახლანდელი გადასახედიდან აშკარაა, თუ როგორ იყო გადაფასებული რუსეთის სამშვიდობო ძალების როლი ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში.

1996 წლის 17 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთში კონფლიქტების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც მიჩნეულია ფუნდამენტურ საბაზისო დოკუმენტად აფხაზეთის ტრაგედიის პოლიტიკური შეფასებისა და მისი ნეგატიური შედეგების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. დადგენილებით განისაზღვრა აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებაში მონაწილე ხუთი სუბიექტი: აფხაზური მხარე, ქართული მხარე, საქართველო, რომლის ტერიტორიაზეც ხდება კონფლიქტი, რუსეთის ფედერაცია-ხელშეკრულების მხარე, გაერო - შუამავალი. თუ რა შუაშია რუსეთი (რომელიც კონფლიქტის აქტიური გამღვივებელია) კვლავ გაუგებარია, მაშინ როდესაც საქმეში გაეროა ჩართული.³¹⁹

„აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დსთ-ს ეგიდით მყოფი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შემდგომი ყოფნის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 30 მაისის დადგენილებაში დაფიქსირდა, რომ არ შეინიშნება რაიმე პროგრესი, არც დევნილთა და ლტოლვილთა აფხაზეთში დაბრუნების საქმეში, არც აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის საქმეში. მიუხედავად დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა 1997 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებისა, კონფლიქტის ზონაში ვერ მოხერხდა სამშვიდობო ძალების

³¹⁸ The 1992 Sochi Agreement “on principles of settlement of the Georgian-Ossetian conflict” between The Republic of Georgia and the Russian Federation signed by Edward Shevardnadze and Boris Yeltsin on 24 June 1992. Newspaper “Svobodnya Gruzia” issue 82, 27 June 1992; informal English translation

³¹⁹ „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა“ ოქმის პროექტი. 18.06.1997

რეალური ამოქმედება. ისინი ფაქტობრივად სასაზღვრო ჯარების ფუნქციას ასრულებენ, რაც სეპარატისტთა მხარდაჭერას ნიშნავს, როგორც აფხაზეთში, ისე საქართველოში.

1998 წლის 24 ოქტომბერს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მიიღო დადგენილება სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმების ნორმალიზაციის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტმა 28 ივნისს მიღებულ განცხადებაში, აღნიშნული დადგენილება სავსებით მართებულად მიიჩნია საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად და ხაზი გაუსვა, რომ ამ დოკუმენტით ფაქტობრივად მხარდაჭერილია სეპარატიზმი, გამართლებულია მაისის ბოლოს აფხაზი ბოევიკების მიერ გალის რაიონში კაცობრიობისა და ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, რაც საეჭვოს ხდის რუსეთის ფედერაციის ერთგულებას საერთაშორისო სამართლის, გაეროსა და ეუთოს ფუძემდებლური პრინციპებისადმი.

კიდევ ერთი საგულისხმო და აღმაშფოთებელი ფაქტი. საერთაშორისო ორგანიზაციათა ძალისხმევით შემუშავებული იქნა ერთიან საქართველოში აფხაზეთის სტატუსის მოდელი, უშიშროების საბჭოს ეს დოკუმენტი განხილვისას ჩავარდა იმის გამო, რომ რუსეთმა თავი შეიკავა და ვეტოს უფლების წყალობით ეს დოკუმენტი არ იქნა მიღებული. აქ უკვე, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. კრემლის პოზიციაც აშკარაა, რუსეთი, რომლის ხელშიც არის აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გასაღები, ჩვეული ღვარძლით და ჯიუტად წარამარა შლის კონფლიქტის რეალურ მოგვარების მცდელობებს.

თავიდანვე საქართველოს შეიარაღებული ძალების დამარცხება აფხაზეთში განაპირობა შეიარაღებული ძალების მცირერიცხოვან კონტიგენტზე მემბოხე სეპარატისტების და მათი მხარდამჭერი საომარი მოქმედებების საწარმოებლად სპეციალურად გაწვრთნილი და კარგად შეიარაღებული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი ბოევიკების მიერ ორგანიზებულმა და მოულოდნელმა თავდასხმამ.

ჩვენი ღრმა რწმენით, დამარცხებები აფხაზეთის კონფლიქტში უმთავრესად განაპირობა ხელისუფლების პირველ პირთა (განსაკუთრებით მთავარსარდლის) დილეთანტობამ სამხედრო სტრატეგიაში. მათთვის მხოლოდ „სკამის“ მიხედვით მინიჭებული სამხედრო ტიტულები და უფლებები, ბუნებრივია, საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვების მისაღწევად. მით უფრო, აფხაზეთში შესული სამხედრო კონტიგენტი არ იყო რეგულარული არმიის დონეზე გაწვრთნილი და მასთან, ბევრი მათგანი ჯაბა იოსელიანის მხედრიონელთა (ავაზაკთა) ფსიქოლოგიისა და მოროდიორობის განსახიერება უფრო იყო, ვიდრე საქართველოს მთლიანობის დაცვისათვის მებრძოლი ქართველი პატრიოტი.

შემზარავია დღევანდელი პოლიტიკური და სამართლებრივი ვითარება აფხაზეთში - რუსეთის საოკუპაციო ძალების 2500 კაციანი კონტიგენტის ჩუმი თანხმობით, ხშირად ხელშეწყობითა და მონაწილეობით, საერთაშორისო სამხედრო და ჰუმანიტარული ინსტიტუტების 200 მეთვალყურის თვალწინ ცინიკურად ილახება იქ ჩარჩენილ არა აფხაზთა და საღად მოაზროვნე აფხაზთა პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა ადამიანური უფლებები. მეფობს სრული განუკითხაობა, ძალადობა და ტერორი.

2. ევროპის გავლენა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე

აფხაზური ელიტა მიდრეკილია იფიქროს, რომ ნაწილობრივი აღიარებითა და რეგიონში რუსული სამხედრო ყოფნის მზარდი არსებობით „საქართველოს ფაქტორმა“ ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა. თუ სრული საერთაშორისო აღიარება მიენიჭება, მას შეუძლია სრულიად ზურგი შეაქციოს საქართველოს და დაივიწყოს იგი. ეს არის ზუსტად ის, რისიც თბილისს ემინია და აფხაზეთის სამუდამოდ დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით, მას ურჩევნია მისი იზოლაციონისტური პოლიტიკის „შეკავება“. შესაბამისად, დასავლეთის პოლიტიკა - „ჩართულობა აღიარების გარეშე“, რომელიც ახლა განვითარების ეტაპზეა - უნდა მოიცავდეს პირობითობას აფხაზეთის დეიზოლაციის მასშტაბზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადრე ნახსენები აფხაზური ელიტის რწმენის გათვალისწინებით, აფხაზეთის „ჩართულობა“ დასავლურ სამყაროსთან უნდა იყოს ეტაპობრივი და თან ახლდეს ინიციატივებით, რომლებიც ხელს უწყობს სოხუმს დიალოგისა და თანამშრომლობისკენ თბილისთან.

აფხაზეთის საქართველოში რეინტეგრაციასთან ერთად, დასავლეთის ახალი სტრატეგიის მიზანი უნდა მოიცავდეს, აფხაზებისა და ქართველების შერიგებას კონფლიქტის ტრანსფორმაციის გზით. კონფლიქტის ფესვები იმდენად ღრმაა, რომ მისი გადაწყვეტა, ანუ აფხაზეთის სტატუსის საკითხის გადაწყვეტა ახლო მომავალში, სამწუხაროდ არარეალურია. ეს მიდგომა შეიძლება მოიცავდეს საწყის ეტაპზე დასავლური ინსტიტუტებისა და მთავრობების მიერ აფხაზეთის მოქალაქეებისთვის შენგენისა და აშშ-ის ვიზების გამარტივებული პროცედურის შემოღებას და საუნივერსიტეტო განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

დასავლეთთან კავშირების გაღრმავებისადმი სოხუმის ინტერესის მატებასთან ერთად, პარალელურად შეიძლება გადაწყდეს ისეთი საკითხები, როგორცაა აფხაზეთში დარჩენილი ლტოლვილებისა და დევნილთა საკუთრება, გალის რაიონის მცხოვრებთა ფიზიკური უსაფრთხოება. შემდგომ ეტაპებზე, როდესაც კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის ზოგადი ატმოსფერო დამყარდება, შესაძლებელი გახდება თბილისისა და სოხუმის ორმხრივი უსაფრთხოების ინსტიტუციონალიზებული გარანტიების კონსესუსის გზით მისაღები ფორმის მიღწევა. რუსეთ-უკრაინის ომამდე, დასავლელი და აგრეთვე არაერთი ქართველი ექსპერტის მიერ მიჩნეული იყო, რომ აღნიშნული შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების „გადატვირთვის“ შედეგად მიღწეული წარმატებით, რაც, თავის მხრივ, რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის წინაპირობას შექმნის და დაიწყება ორმხრივი მოლაპარაკებები საკითხის გადაწყვეტისთვის.³²⁰ მაგრამ, ამჟამინდელმა ომმა, ნათელჰყო, რომ დასავლეთისა და რუსეთს შორის „გადატვირთვა“ უახლოეს მომავალში არ მოხდება, ამიტომ, საქართველოსთვის ამჟამად კრიტიკულად მნიშვნელოვანია ომის შემდგომი სტრატეგიის შემუშავება - იქნება ეს დასუსტებულ (შეიძლება დაყოფილ) რუსეთთან ურთიერთობა და მოლაპარაკება უფრო ძლიერი პოზიციიდან, ან რეგიონში ძალაუფლებაშენარჩუნებულ კრემლთან მოლაპარაკება და აფხაზეთის საკითხის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში პრიორიტეტულად დასახვა. საქართველოს პოზიციას მხოლოდ

³²⁰Hinchliff S.P., The De-isolation of Abkhazia Understanding conflict, April 2011 <http://abkhazworld.com/aw/Pdf/1107Abkhazia.pdf> [01.08.2022]

ომის დასრულება გვიჩვენებს, მაგრამ, ამჟამად აუცილებელია სისტემური, სტრატეგიული გეგმა შემუშავდეს, რომ ყველა სცენარისთვის იყოს მზად საქართველო.

დასკვნა

მიგვაჩნია, რომ კონფლიქტების გამომწვევი მიზეზებისა და რუსეთთან ომის შესახებ არსებული რადიკალური ნარატივები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით წარმოდგენებს ამარტივებს და მათი დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობასა და ნებას უფლებებელყოფს, რაც თავის მხრივ, ყურადღების მიღმა ტოვებს რეალობას, რომ კონფლიქტური რეგიონები არა მხოლოდ საქართველოს დაშორდნენ, არამედ უკვე საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისგანაც.

შეუთავსებელი სტერეოტიპები და რადიკალიზებული ნარატივები, რომლებიც ფესვგადგმულია კონფლიქტით განადგურებულ საზოგადოებებში (აფხაზეთში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში და ენგურსაქეთ საქართველოში) არა მხოლოდ აზიანებს უფრო ფართო სამშვიდობო პროცესის პერსპექტივებს, არამედ ბუნდოვანს ხდის მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა წინაშეც დგას თემები კონფლიქტის ზონებში. მაგალითად, კონფლიქტის მეორე მხარეს მცხოვრები ეთნიკური ქართველების ყოველდღიური ბრძოლა დაჩრდილულია რუსეთის ოკუპაციასა და „ბორდერიზაციაზე“ გამახვილებული ძლიერი აქცენტით.

მრავალი ფაქტი არსებობს, რომ ეთნიკური ქართველები აფხაზეთში მოკლებულნი არიან ადამიანის ძირითად უფლებებს, როგორცაა პოლიტიკური მონაწილეობის, მიწის საკუთრების და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება, რაც საერთაშორისო საზოგადოებას არაერთხელ აქვს დაგმობილი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი პასუხისმგებელია სეპარატისტული ტერიტორიების ეფექტური კონტროლის დროს ჩადენილი ნებისმიერი სახის დარღვევაზე, სოხუმისა და ცხინვალის სააგენტოს შემცირება და მათთან დიალოგის წარუმატებლობა ზღუდავს ამ საკითხების არსებითად და კონსტრუქციულად გადაწყვეტის შესაძლებლობებს.

მართებული იქნება თუ დავასკვნით, რომ არძინბას, ბაღაფშის... სეპარატისტული რეჟიმი იყო და არის (რადგანაც, რეალურად, თ. ბჟანას პოლიტიკაც იდენტურია) რუსეთის იმპერიული ძალების გადაწყვეტილებათა ერთგული შემსრულებელი.

დოკუმენტური მასალები ცხადყოფენ რუსეთის ყოვლად გაუმართლებელ პოლიტიკას საქართველოს მიმართ. რუსეთის სხვადასხვა თანამდებობის პოლიტიკურ მოღვაწის, დიპლომატებისა და ძალოვანი სამინისტროების განცხადებებში, ბრძანებებში ჩანს უსაფუძვლო პრეტენზიები და აშკარად იკვეთება მზაკვრული გეგმები საქართველოს წინააღმდეგ. ამდენად, შეუძლებელია ისტორიული კანონზომიერებებისა და სამოქალაქო მშვიდობის აღდგენა აფხაზეთში მანამ, სანამ არ ითქმება სრული სიმართლე მომხდარის შესახებ, ვიდრე არ გაშიშვლდება ადგილობრივი სეპარატიზმი და გარეშე ოკუპაციაც, და მაინც, ჩვენის აზრით, ან რაში მდგომარეობს ისტორიული რეალობა და „სად მარხია ძაღლის თავი“.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ რუსეთის მხრიდან არსებულ „მზაკვრულ გეგმებზე“, ეს არ წარმოადგენს გადამეტებულ, ან დაუსაბუთებულ თეზას. რა თქმა უნდა, რუსეთის

ხელისუფლების მაღალჩინოსნების კაბინეტებში გამართული დიალოგები მიუწვდომელ წყაროებს წარმოადგენს და დაზუსტებით ვერ ვიტყვით თუ რა არაოფიციალურ ბრძანებებს გასცემდა მოსკოვი მაგრამ, გამომდინარე იქიდან თუ რა დოკუმენტური მასალა მოიპოვება, შეიძლება დაზუსტებით ვთქვათ, რომ საქართველოს საკითხი კრემლის კედლებში აქტიურად განიხილებოდა. ჩვენი აზრით, ამის ერთ-ერთი ყველაზე კარგი და თვალსაჩინო მასალაა „სახაროვის კონსტიტუციის პროექტი“ და მისივე ინტერპრეტაცია საბჭოთა კავშირის მომავალზე. 1989 წელს, როდესაც უკვე ნათელი გახდა საბჭოთა კავშირში ეროვნული მოძრაობის გავლენა და საბჭოთა იმპერიის მოსალოდნელი კრაზი, რუსმა აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა შექმნა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ახალი პროექტი, რომლის მიხედვითაც „თანაბარი უფლებები მიენიჭებოდა გაერთიანებულ და ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ რეგიონებსა და ეროვნულ ოლქებს“. შემდგომ, სახაროვმა ეს განმარტა შემდეგნაირად: „ჩვენ უნდა დავიწყოთ, ვიმეორებ, იმპერიული სტრუქტურის სრული დემონტაჟით. ეს ერთადერთი გზაა ეროვნული პრობლემის გადასაჭრელად მცირე იმპერიებში, რომლებიც, საკავშირო რესპუბლიკები არიან. მაგალითად, საქართველო, რომელიც მოიცავს აფხაზეთს, ოსეთს და სხვა ეროვნულ ერთეულებს“. შემდგომ სახაროვი არაორაზროვნად აკონკრეტებს: „საქართველო საბჭოთა კავშირის მსგავსად პატარა იმპერიაა და თუ ქართველ ხალხს აქვს იმპერიისგან განთავისუფლების უფლება, მაშინ სხვა ხალხებსაც, მიუხედავად მათი რიცხოვნებისა, აქვთ თავისუფლების უფლება“³²¹. აღნიშნული შეგვიძლია მივიჩნიოთ უკვე როგორც წმინდა შანტაჟი, რომელიც, პოლიტიკურ ენაზე რომ გადავიყვანოთ, ნიშნავს, რომ თუ საქართველო გამოეყოფა საბჭოთა კავშირს, მაშინ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი გამოეყოფა საქართველოს.

როგორც ვხედავთ, საქართველო აღნიშნულ შანტაჟს არ აყვა და, შესაბამისად, კრემლმა განახორციელა თავისი მუქარა - საკუთარი იმპერიის დაშლის მექანიზმი გამოიყენა ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგ.

ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, რომ ივანე მრისხანეს მეფობიდან მოყოლებული, თუ უფრო ადრე არა, რაც მან ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ფეხი მოიკიდა, მდინარე თერგისა და სუნჯის შესართავთან ციხე ააგო და მანდ ჯარი ჩააყენა, ამის შემდეგ რუსეთის ყველა მეფე თუ იმპერატორი კავკასიის ხელში ჩასაგდებად იბრძოდა და საბოლოოდ მიაღწიეს კიდევაც. ეს რუსეთს სჭირდებოდა თავისი პოზიციების გასამტკიცებლად, რომ ჯერ ერთი, დაცული ყოფილიყო ოსმალეთისგან, რომლებთანაც არაერთი ომი გადაიხადეს მანამდეც; და მეორეც, ამაში ჩადებული იყო რუსეთისა და რუსის დამპყრობელი ბუნება (ვლადივოსტოკ, ვლადიკავკაზ, ვლადიმირ...) და მოსკოვი - მესამე რომის მითოლოგიური იდეოლოგია. კავკასიის დაპყრობისათვის რუსეთმა ორ საუკუნეზე მეტი იბრძოლა. ახლა კი, საქართველოს საზოგადოებაში ხშირია თეზისი, რომ შეგვიძლია რუსეთს ჭკუა ვასწავლოთ, მოვათვინიეროთ და კეთილი გავხადოთ. ცხადია ეს ასე ადვილად არ გამოვა.

მამასადამე, ჩვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს? საჭიროა საკითხისადმი მიდგომის პოლიტიკური კურსი გადაისინჯოს, სტრატეგია და ტაქტიკა შეიცვალოს. ამ მხრივ, მისასაღმებელია ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლების ახლებური მიდგომები და პოლიტიკა. ის, რომ მათ

³²¹ Огонёк, 1989, №31, с. 27

ყოველდღიური ზრუნვის საგნად გაიხადეს და მთელი პატრიოტული გულწრფელობით ცდილობენ დადებითად გადაწყვიტონ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, ქართველი ერის საუკუნოვანი სატკივარი და პრობლემა.

ჩვენი, როგორც რიგითი ქართველის გულწრფელი პოზიციაა, რომ ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვეშვათ ძალის პოზიციებიდან რუსეთთან ურთიერთობების პრობლემების გადაწყვეტას. ახლა სამხედრო ბაზების გაყვანა იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი. ისინი დიდი ხნით აღრეც უნდა გასულიყვნენ, მაგრამ ცხადია ვითარებას კიდევ უფრო დაძაბავს. თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა ჩვენ, პატარა ქვეყანას, არაფრით არ გვაწყობს. აქ ერთადერთი მომგებიანი გამოსავალია დიპლომატიური, „ენატკბილი მოუბრობა“ და რაც მთავარია, საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენებით საკუთარი პოზიციების გეგმაზომიერი დაცვა. ისევ ისტორიულ წარსულს თუ მოვუხმობთ, ნათელი გახდება, როცა უჭირდა ჟორდანას დამოუკიდებელ საქართველოს, როგორ ბედის ანაბარა მიატოვეს დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ, იტალიამ და საერთოდ დასავლეთმა ეს უმწეო ქვეყანა. შეიძლება ითქვას, რომ 90-იან წლებში იგივე ისტორია გამეორდა - როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივად ყველაზე მეტად უჭირდა, როდესაც დასავლეთიდან ყველანაირი დახმარება კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო, აშშ, ნატო და მასში შემავალმა სხვა ქვეყნებმა დიდწილად სიტუაცია თვითდინებაზე მიუშვეს და საქართველო რუსეთის პოლიტიკის არეალში დატოვეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვფიქრობთ, რომ დასავლეთის პოლიტიკა საქართველოსადმი არ გამომდინარეობდა ბოროტი ზრახვით, უბრალოდ, მიგვაჩნია, რომ სათანადო ყურადღება არ მიექცა პოსტსაბჭოთა საქართველოს, ან, კიდევ უფრო დიდი შეცდომა დაუშვეს - ყველაფერს მშვენივრად აცნობიერებდნენ, უბრალოდ რუსეთის გარდაუვალი დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციის ილუზიებით შეპყრობილნი ჩაადენინეს კრემლს უამრავი საერთაშორისო დანაშაული.

ბუნებრივია, დასავლეთთან ურთიერთობა არ უნდა გავაფუჭოთ, არამედ კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ - უნდა დავუსაბუთოთ საქართველოს სტრატეგიული, გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური მნიშვნელობა. უნდა გავზარდოთ ჩვენი პარტნიორების თვალში საქართველოს როლი. უნდა მივიღოთ მონაწილეობა დასავლეთის ცხოვრებაში, როგორც პოლიტიკურად და ეკონომიკურად, აგრეთვე კულტურულად და ადამიანთაშორის ურთიერთობების მხრივაც. დასავლეთისთვის საქართველო არ უნდა იყოს შორეული - უცხო(!) ქვეყანა, რომელიც პოლიტიკური ვაჭრობის საგანია. შეიძლება ხმამაღალი ნათქვამი იყოს, მაგრამ, საჭიროა, რომ საქართველო იყოს დასავლეთის ქვეყნებისთვის ორგანული მთლიანობის ნაწილი - ევროპის ერთიანობა უნდა ასოცირდებოდეს საქართველოსთან.

აგრეთვე, აუცილებელია ყველასთან (ჩრდილოეთთანაც და დასავლეთთანაც, სამხრეთთანაც და აღმოსავლეთთანაც) კეთილმეზობლობა, მეგობრობა თუ არა, ნორმალური პარტნიორული ურთიერთობა, რათა ჩვენი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა თანმიმდევრულად განვამტკიცოთ და ქვეყნის სუვერენიტეტი შევინარჩუნოთ, და რაც მთავარია, დიდი სახელმწიფოებისთვის ვიყოთ არა პრობლემური სუბიექტი, არამედ პოტენციური სიკეთის მომტანი პოლიტიკური აქტორი. რუსეთთან კი გვმართებს ფრთხილი, თავშეკავებული და

წინდახედული პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, კეთილმეზობლურიც კი, ვინაიდან მასთან საიმედო-ნორმალური - პროგნოზირებადი(!) ურთიერთობის დამყარება იქნება აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნების ერთადერთი გარანტია.

კოსოვოს კონფლიქტი: თვითგამორკვევა, სეცესია, აღიარება
Kosovo Conflict: Self-determination, Secession, Recognition

რეზიუმე

კოსოვოს კონფლიქტმა და მისმა შედეგებმა, განსაკუთრებით 2008 წელს დასავლური სამყაროს მიერ კოსოვოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების ფაქტმა, მნიშვნელოვანი ძვრები შეიტანა საერთაშორისო პოლიტიკაში. მკვლევართა უმრავლესობამ მაშინვე გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ფაქტი სერიოზულ გავლენას იქონიებდა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე. საერთაშორისო საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო: ნაწილი ამტკიცებდა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება ნეგატიურ გავლენას მოახდენდა არსებულ საერთაშორისო წესრიგზე, ხოლო მეორე ნაწილი არ იზიარებდა ამ მოსაზრებას და ამას ერთადერთ შესაძლო და ეფექტურ გზად მიიჩნევდა კონფლიქტის გადაჭრისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის დასკვნით ნაწილში ავტორები შეეცადნენ გაეცათ პასუხი ძირითად კითხვაზე - არის თუ არა კოსოვოს საკითხის ასეთი გადაწყვეტა უნიკალური შემთხვევა, თუ ის გახდა ნეგატიური პრეცედენტი, რომელიც ქმნის დომინოს ეფექტის საფრთხეს საერთაშორისო მასშტაბით?

Abstract

The Kosovo conflict and its aftermath, especially the recognition of Kosovo as an independent state by the Western world in 2008, have made significant shifts in international politics. Most scholars immediately expressed the view that this fact would have a serious impact on modern international relations. The international community is divided into two parts: The first one argued that recognizing Kosovo's independence would have a negative impact on the existing international order, while the other part did not share this view and saw it as the only possible and effective way to resolve the conflict. In view of the above, in the concluding section of the paper, the authors attempt to provide an answer to the key question - is such a solution to the Kosovo issue a unique case, if it becomes a negative precedent that poses a threat of domino effect internationally?

შესავალი

1990-იან წლებში კოსოვოში განვითარებულმა მოვლენებმა, კონფლიქტის ესკალაციამ, მისმა შედეგებმა და 2008 წელს დასავლური სამყაროს მიერ კოსოვოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების ფაქტმა, მნიშვნელოვანი ძვრები შეიტანა საერთაშორისო პოლიტიკაში. პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს მკვლევართა უმრავლესობამ მაშინვე გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ფაქტი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე. საერთაშორისო საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო: ნაწილი ამტკიცებდა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება ნეგატიურ

* სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი. Ph.D. in Social Sciences, Professor of the Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University.

* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი. Ph.D. Student of Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University.

გავლენას მოახდენდა არსებულ საერთაშორისო წესრიგზე, ხოლო მეორე ნაწილი არ იზიარებდა ამ მოსაზრებას და ამას ერთადერთ შესაძლო და ეფექტურ გზად, გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნევდა კონფლიქტის გადაჭრისათვის. საკითხი დღესაც აქტუალურ პრობლემად განიხილება პოლიტიკური და საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით და ის მუდმივად მსჯელობის საგანია სამეცნიერო წრეებში. კოსოვოს დამოუკიდებლობის შესახებ მესამე სახელმწიფოების რეაქციების მრავალფეროვნება აჩენს რეალურ ეჭვს საერთაშორისო სამართლის ხარვეზებზე, რაც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების პრაქტიკაში პოლიტიკური თამაშის საშუალებას იძლევა.

1. კოსოვოს კონფლიქტის ისტორიული წანამდგრები

კოსოვოს კონფლიქტის სრულყოფილი გააზრებისათვის აუცილებლად მივიჩნევთ ისტორიული ექსკურსს, თუ რამ გამოიწვია კონფლიქტი, როგორი იყო მისი განვითარების დინამიკა.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ კოსოვოელი ალბანელები, ისევე როგორც ალბანეთის ალბანელები, თავს მიიჩნევენ ილირიელების პირდაპირ შთამომავლებად ანუ ბალკანეთის უძველეს ერად. თუმცა, მე-11 საუკუნეში ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორია, მათ შორის კოსოვო, უკვე სერბთა ხელშია, ხოლო ილირიული კი ალბანურ ენად მოიხსენიება.

კოსოვოს მნიშვნელოვანი ადგილი და როლი აქვს სერბეთის ისტორიაში. მისი ძლიერების ხანაში კოსოვო იყო სახელმწიფოსა და ეკლესიის ცენტრი. რაც მთავარია კოსოვოს ტერიტორია იყო პოლეს ბრძოლის ადგილი 1389 წელს, რაც ლეიტმოტივად გასდევს სერბთა ეროვნულ მითოლოგიას.

მე-19 საუკუნიდან ორივე ერს გაუჩნდა სურვილი და მისწრაფება ერთის მხრივ შეექმნათ დიდი ალბანეთი, ხოლო მეორეს მხრივ - დიდი სერბეთი ანუ, ფაქტობრივად, ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც გააერთიანებდნენ ყველა ალბანელს და ყველა სერბს. მას შემდეგ რაც კოსოვო შეყვანილ იქნა სერბეთის შემადგენლობაში, კოსოვოელ ალბანელებს ჰქონდათ მცდელობები შეერთებოდნენ ალბანეთს. თავის მხრივ კი ბელგრადი უარს აცხადებდა ალბანელების, როგორც ეროვნული უმცირესობების აღიარებაზე. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კოსოვოს მიენიჭა ავტონომიის სტატუსი სერბეთის შემადგენლობაში, ხოლო 1974 წელს იოსეფ ბროზ ტიტოს მიერ მიღებული კონსტიტუციის ფარგლებშიც კოსოვო დარჩა სერბეთის ავტონომიურ რეგიონად, თუმცა მიენიჭა უფრო ფართო ავტონომია ანუ ფედერალური ერთეულის სტატუსი³²².

აღნიშნული კონსტიტუციის მეორე მუხლში ვკითხულობთ, რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა შედგება: „სოციალისტური რესპუბლიკა ბოსნია და ჰერცეგოვინის, სოციალისტური რესპუბლიკა მაკედონიის, სოციალისტური რესპუბლიკა სერბიის, ასევე, სერბიის სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი სოციალისტური ავტონომიური მხარე ვოევოდინისა და სოციალისტური ავტონომიური მხარე კოსოვოსაგან, სოციალისტური რესპუბლიკა ხორვატიისა და სოციალისტური რესპუბლიკა

³²² Balcer A., Kosovo – the question of final status. CES Studies, 49. იხ. http://pdc.ceu.hu/archive/00001677/01/kosovo_fin_st.pdf [10.11.2022]

ჩერნოგორიისაგან“. როგორც ვხედავთ, ორივე ავტონომიური მხარე დასახელებულია რესპუბლიკების გვერდით და მოაზრებულ არიან არა მხოლოდ სერბეთის, არამედ ფედერაციის შემადგენელ ნაწილებად, რაც უშუალოდ მიუთითებს მათი რეალური უფლებამოსილების აშკარა გაფართოებაზე.³²³ აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის 1978 წლის კონსტიტუცია სოციალისტური ავტონომიური მხარის მქონე შემადგენელ სუბიექტს არ იცნობს. ეს იუგოსლავიის კონსტიტუციაში იმ დროისათვის ნოვაცია იყო, რა თქმა უნდა, მიმართული კოსოვოს პოლიტიკური უფლებების გაფართოებისაკენ.

ამავდროულად, ალბანელები, როგორც ეროვნება აღიარებულ იქნენ იუგოსლავიის სხვა ერების თანასწორად და ალბანური ენა ოფიციალურ ენად გამოცხადდა. ავტონომიები სარგებლობდნენ საკონსტიტუციო ვეტოს უფლებით, რაც გულისხმობდა იმას, რომ სერბეთის კონსტიტუციაში მათი თანხმობის გარეშე ცვლილებები ვერ შევიდოდა. ავტონომიურმა რეგიონებმა შექმნეს საკუთარი უზენაესი სასამართლო და ეროვნული ბანკი, ამასთანავე, მიიღეს ფინანსური ფონდების განკარგვის უფლებაც, რომელიც მანამდე ფედერალურ დაქვემდებარებაში იყო.

ამის პარალელურად, იზრდებოდა ალბანელთა შობადობის მაჩვენებელი და შეინიშნებოდა კოსოვოდან ეთნიკურად სერბთა გადინება.

თუმცა, იუგოსლავიის რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, კოსოვოს, სხვა ავტონომიური პროვინციების მსგავსად, არ ენიჭებოდა სეცესიის უფლება. ფაქტობრივად, კოსოვოს პოზიცია ფედერალურ სისტემაში სუსტი იყო სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. ალბანელების მთავარი მოთხოვნა კი სწორედ სხვა ერებთან გათანაბრება და რესპუბლიკის სტატუსის მოპოვება იყო. სერბები, თავის მხრივ, ეწინააღმდეგებოდნენ ამას 1974 წლის კონსტიტუციის თანახმად და აღიქვამდნენ აღნიშნულ მოთხოვნას, როგორც პირველ ნაბიჯს სეცესიისკენ.

მიუხედავად კოსოვოს ავტონომიური უფლებების მნიშვნელოვანი გაფართოებისა, 1974 წლის კონსტიტუციამ ალბანელებსა და სერბებს შორის უთანხმოება გააღრმავა, რაც გახდა კიდევ შეიარაღებული დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი.

1980-იან წლებში ადგილი ჰქონდა კოსოვოელი სტუდენტების საპროტესტო გამოსვლებს, თავდაპირველი მოთხოვნა იყო სწავლების ხარისხისა და პირობების გაუმჯობესება, რამაც მალევე ეთნიკური ნიშნები შეიძინა და გამოიხატა ლოზუნგებში, რომელიც მდგომარეობდა კოსოვოს, როგორც რესპუბლიკად აღიარების მოთხოვნაში. ამ პერიოდში უკვე აქტიურ საქმიანობას ეწეოდა კოსოვოელი ალბანელების მიერ შექმნილი ჯგუფი „კოსოვოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“. თავის მხრივ, სერბი აკადემიური წრის წარმომადგენლები ითხოვდნენ კოსოვოს ავტონომიის გაუქმებას, რაც ისტორიული სამართლიანობის აღდგენად მიაჩნდათ.

სერბეთის ხელისუფლებაში სლობოდან მილოშევიჩის მოსვლამ 1987 წელს და მის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ კოსოვოს მიმართ უკიდურესად გაამწვავა ვითარება. 1989 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ძალაში შესვლით კოსოვოს ავტონომიური უფლებები შეიზღუდა და დაიწყო ეთნიკური ალბანელების დევნა. ამ მოვლენას წინ უსწრებდა 1989 წლის 3

³²³ მალაშხია შ., კონფლიქტების ანატომია. თბილისი, 2011, 327.

მარტისთვის საგანგებო ზომების შემოღება, რითაც წესრიგის უზრუნველყოფა კოსოვოში ეკისრებოდა ფედერალურ სტრუქტურებს, რასაც შემდგომ პერიოდში სერიოზული პროტესტი და დაპირისპირება მოჰყვა დემონსტრანტებსა და ძალოვანებს შორის. 1990 წლის აპრილში იუგოსლავიის ფედერაციის პრეზიდენტმა გაიყვანა ფედერალური ძალები კოსოვოდან, თუმცა სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააწესა პირდაპირი კონტროლი კოსოვოს ტერიტორიაზე. 28 სექტემბერს კი სერბეთის ახალი კონსტიტუცია შევიდა ძალაში, რაც ითვალისწინებდა ავტონომიების გაუქმებას სერბეთის რესპუბლიკაში.³²⁴ ეს გადაწყვეტილება ძალიან ჰგავს 1990 წელს საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. ორივე აქტი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შეფასებულ იქნა წინდაუხედავ პოლიტიკურ გადაწყვეტილებად.

ბელგრადის ასეთ გადაწყვეტილებებს კოსოვოელმა ალბანელებმა სამოქალაქო პროტესტითა და დაუმორჩილებლობით უპასუხეს. 1992 წელს კი რეფერენდუმის საფუძველზე, გამოაცხადეს კოსოვოს დამოუკიდებლობა (ალიანა მხოლოდ ალბანეთმა).

1996 წელს ვითარება უკიდურესად დაიძაბა, რაც გამოიხატებოდა კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის მიერ სერბეთის პოლიციის დანაყოფებზე შეიარაღებულ თავდასხმებში. საპასუხოდ სერბული პოლიცია არბევდა კოსოვოელი სტუდენტების დემონსტრაციებს და აწყობდა რეიდებს, რაც კოსოვარების მხრიდან მსხვერპლით მთავრდებოდა.

2. საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობა კოსოვოს კონფლიქტში

1998 წელს კოსოვოს საკითხთან მიმართებაში განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს საერთაშორისო თანამეგობრობა. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულია რეზოლუცია 1160 (31.03.1998), სადაც გმობს სერბეთის პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებას მშვიდობიანი მოქალაქეებისა და დემონსტრანტების მიმართ კოსოვოში, ისევე როგორც გმობს კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ტერორისტულ აქტებს და ზოგადად გარეშე მხარდაჭერას ტერორისტული საქმიანობისათვის კოსოვოში.³²⁵

1998 წლის ივლისში ფუნქციონირებას იწყებს კოსოვოს დიპლომატიური სადამკვირვებლო მისია აშშ-სა და რუსეთის წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით, რეგიონში უსაფრთხო პირობების შექმნის მიზნით, თუმცა ეს ხდება ალბანელი კოსოვარების განდევნის მაჩვენებლის ზრდის პარალელურად.

1998 წლის 23 სექტემბერს გაეროს უშიშროების საბჭო იღებს კიდევ ერთ რეზოლუციას N1199, სადაც გამოთქვამს შეშფოთებას ლტოლვილთა მზარდი ნაკადების გამო, რომელთა რიცხვი 230 000 აჭარბებს და გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის შეფასებით 50 000 ადამიანი თავშესაფრის გარეშეა. ითხოვს მათ უსაფრთხო დაბრუნებას და ამაზე პასუხისმგებლობას აკისრებს იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკას.

³²⁴ მალაშხია შ., კონფლიქტების ანატომია. თბილისი, 2011, 330-331.

³²⁵ Resolution 1160 (1998) / adopted by the Security Council at its 3868th meeting, on 31 March 1998. <https://digitallibrary.un.org/record/252117>

მოუწოდებს მას კოსოვოს საკითხის მშვიდობიანად მოგვარებისკენ მისთვის ფართო ავტონომიური უფლებების მინიჭების გზით და ამასთანავე, აღიარებს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ითხოვს ეფექტური პირობების შექმნას კოსოვოში საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის განხორციელებისთვის. ხოლო რეზოლუციის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ კონკრეტული ზომების მიუღებლობის შემთხვევაში, გაეროს უშიშროების საბჭო განიხილავს იმ ღონისძიებებს, რაც რეგიონში მშვიდობის დამყარებისა და სტაბილურობის აღსადგენად იქნება აუცილებელი.³²⁶

მეორე დღესვე, 24 სექტემბერს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), კოსოვოს კრიზისთან დაკავშირებით, ამტკიცებს სამოქმედო გეგმას ორი მიმართულებით: 1. ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგი, საომარი მოქმედებების დასრულების შემთხვევაში და 2. კონფლიქტის გაგრძელებისას საჭაერო დარტყმები აუცილებლობის შემთხვევაში.³²⁷

თავის მხრივ, ეუთო იჩენდა სამშვიდობო ინიციატივას და ცდილობდა მედიატორის ფუნქციის შესრულებას. თუმცა, სამშვიდობო პროცესების მიუხედავად, კოსოვოში ძალადობრივი აქტები არ წყდებოდა და კულმინაციას წარმოადგენდა 1999 წლის 16 იანვარს კოსოვოს სოფელ რაცაკში აღმოჩენილი 45 ალბანელის ცხედარი (მათ შორის ქალები და ერთი ბავშვი). 20 მარტს იუგოსლავიის არმიის მასშტაბური შეტევა განხორციელდა, რასაც მოჰყვა დევნილი ალბანელების დიდი რაოდენობა და მსხვერპლი.

საბოლოოდ, ეს სისხლიანი დაპირისპირება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო ინტერვენციით დასრულდა, რაც მოიცავდა საჭაერო დარტყმებს როგორც იუგოსლავიის სამხედრო ობიექტებზე, ისე ბელგრადზე, სერბეთის დედაქალაქზე.

1999 წლის 10 ივნისს ავიადარტყმები შეწყდა, ეს მას შემდეგ რაც იუგოსლავიის ჯარებმა დაიწყეს კოსოვოდან გასვლა. 11 და 12 ივნისს კოსოვოში შევიდა რუსეთისა და ნატოს ჯარები. მალევე, ეტაპობრივად დაიწყო დევნილთა დაბრუნების პროცესი, რომელთა რიცხვიც 850 000-ზე მეტს შეადგენდა.

ნატოს ჩამბა ამ ომში განპირობებული იყო ჰუმანიტარული მიზნებით, კერძოდ, გენოციდისა და ეთნიკური წმენდის აღსაკვეთად. 850 ათასზე მეტმა კოსოვოელმა ალბანელმა დატოვა თავისი სახლი, ეს მართლაც არის აღშფოთების საფუძველი, მაგრამ რამდენად გამართლებული იყო საერთაშორისო სამართლით ნატოს ჩამბა ომში, ეს დღემდე საკამათო თემაა. თუმცა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ნატოს მიერ კოსოვოში ძალის გამოყენება, რადგან ის არ წარმოადგენდა არც თავდაცვისაკენ მიმართულ და არც უშიშროების საბჭოს მიერ სანქცირებულ ქმედებას, არღვევს გაეროს წესდებას.³²⁸

³²⁶ Resolution 1199 (1998) / adopted by the Security Council at its 3930th meeting, on 23 September 1998. <https://digitallibrary.un.org/record/260416>

³²⁷ მალაშხია შ., კონფლიქტების ანატომია, თბილისი, 2011, 334.

³²⁸ მიდელაშვილი ს., ტერიტორიული მთლიანობისა და სეპარატიზმის პრობლემები საქართველოში, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2014, 33.

ნატოს ინტერვენციის შემდეგ, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1244 (1999), რის საფუძველზეც გაერომ ნატოს საერთაშორისო ძალებს (KFOR) დააკისრა პასუხისმგებლობა უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე კოსოვოში და ყველა დევნილი პირისა და ლტოლვილის უსაფრთხო დაბრუნებაზე საკუთარ სახლებში. ამავე რეზოლუციით შეიქმნა საერთაშორისო სამოქალაქო წარმომადგენლობა ანუ დროებითი ადმინისტრაცია, რომელიც უზრუნველყოფდა კოსოვოს მოსახლეობისათვის იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებში ავტონომიით სარგებლობას და კოსოვოში ყველა მცხოვრების მშვიდობიანი და ნორმალური ცხოვრების პირობებს კოსოვოს საბოლოო სამართლებრივი და პოლიტიკური სტატუსის გადაწყვეტამდე.³²⁹ მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში გაერო მონაწილეობდა კოსოვოს ადმინისტრაციაში.

2007 წლის 2 თებერვალს გაეროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარტი აპტისაარმა წარადგინა პროექტი კოსოვოს მომავალი პოლიტიკური სტატუსის შესახებ (ე.წ. „აპტისაარის გეგმა“). წარმოდგენილი პროექტის პირველივე მუხლში ვკითხულობთ, რომ „კოსოვოში უნდა ჩამოყალიბდეს მრავალეთნიკური საზოგადოება, რომელიც უნდა იმართებოდეს დემოკრატიულად და კანონის უზენაესობის სრული პატივისცემით, მისი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ინსტიტუტების მიერ“. ასევე, ამავე მუხლის თანახმად „კოსოვოს ეძლევა საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის მოთხოვნის უფლება“. მე-9 მუხლში ვკითხულობთ, რომ კოსოვომ უნდა ჩამოყალიბოს საკუთარი საკანონმდებლო, უშიშროების, სასამართლო, საჯარო და სამოქალაქო ინსტიტუტები. ასევე უნდა განახორციელოს საკუთარი საზღვრის კონტროლი.³³⁰ მარტი აპტისაარის მიერ წარმოდგენილ იქნა კოსოვოს სამომავლო სტატუსის პროექტი, რაც ფაქტობრივად დამოუკიდებლობის მინიჭებას ითვალისწინებდა როგორც დე-ფაქტო, ისე დე-იურე უფლებით.

გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის მიერ უშიშროების საბჭოს პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც თარიღდება 2007 წლის 26 მარტით ვკითხულობთ, რომ „დამოუკიდებლობა ერთადერთი გზაა პოლიტიკურად სტაბილური და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი კოსოვოსთვის. მხოლოდ დამოუკიდებელ კოსოვოში იქნება მისი დემოკრატიული ინსტიტუტები სრულად პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი თავიანთ ქმედებებზე. ეს გადამწყვეტი იქნება კანონის უზენაესობის პატივისცემისა და უმცირესობების ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად. მუდმივი პოლიტიკური გაურკვევლობის პირობებში კოსოვოსა და რეგიონის მშვიდობა და სტაბილურობა კვლავ რისკის ქვეშ დადგება. ამ რისკის პრევენციისთვის დამოუკიდებლობა არის საუკეთესო საშუალება. ეს ასევე საუკეთესო შანსია კოსოვოსა და სერბეთს შორის მდგრადი გრძელვადიანი პარტნიორობისთვის“.³³¹

³²⁹ Resolution 1244 (1999) Adopted by the Security Council at its 4011th meeting, on 10 June 1999. <https://digitallibrary.un.org/record/274488?ln=en>

³³⁰ Comprehensive Proposal For the Kosovo Status Settlement 2 February 2007. ob. <http://pbosnia.kentlaw.edu/Comprehensive%20Proposal%20for%20the%20Kosovo%20Settlement.pdf> [10.11.2022]

³³¹ Letter dated 26 March 2007 from the Secretary-General addressed to the President of the Security Council. ob. <https://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/Kosovo%20S2007%20168.pdf> [10.11.2022]

უკიდურესად რთული იყო სერბულ-ალბანური პრობლემის მოგვარება კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის რადიკალურად განსხვავებული ინტერესების გამო. 2007 წელს ოთხთვიანი მოლაპარაკებები სერბეთის მთავრობასა და კოსოვოელ ალბანელებს შორის, რომელიც მიმდინარეობდა ევროკავშირის, რუსეთისა და აშშ-ის (ე.წ. „ტროიკა“) მონაწილეობით, უშედეგოდ დასრულდა. მხარეებმა ვერ შეძლეს კოსოვოს საბოლოო სტატუსზე მოლაპარაკება. გაკეთდა ოფიციალური განცხადება, რომ ვერ მოხერხდა კონსენსუსის მიღწევა, რადგან „არცერთი მხარე აღმოჩნდა მზად დაეთმო თავისი პოზიცია კოსოვოს სუვერენიტეტის ფუნდამენტურ საკითხზე“.³³²

2008 წლის 17 თებერვალს კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რის აღიარებაზეც სერბეთმა ბუნებრივია უარი განაცხადა. კოსოვო და სერბეთი ცალ-ცალკე ყველა ღონეს ხმარობდნენ მოეპოვებინათ მხარდაჭერა აღიარებაზე და პირიქით. კოსოვოს დამოუკიდებლობა აშშ-მა და ბევრმა სხვა ევროპულმა ქვეყანამ აღიარა. მათი რწმენით მილოშვიჩის რეჟიმის მიერ განხორციელებულმა ეთნიკურმა წმენდამ და ადამიანის უფლებების უხეშმა დარღვევამ კოსოვოს ალბანელების მიმართ შეუძლებელი გახდა კოსოვოს სერბეთის შემადგენლობაში დარჩენა. კოსოვოს დამოუკიდებლობის მომხრეები აცხადებენ, რომ კოსოვო ეს არის უნიკალური შემთხვევა, რომლის პრეცედენტად აღიარება დაუშვებელია. თუმცა, რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და სხვები, მათ შორის ევროკავშირისა და ნატოს ზოგიერთი წევრი სახელმწიფო, არ ცნობენ კოსოვოს დამოუკიდებლობას. ეს ქვეყნები ხაზს უსვამენ სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას. მათი მოსაზრებით, კოსოვოს საკითხისადმი ასეთი მიდგომა გავლენას იქონიებს და წახალისებს სეპარატისტებს სხვადასხვა ქვეყანაში.³³³

3. ერთა თვითგამორკვევის უფლება და კოსოვოს კონფლიქტი

კოსოვოს საკითხის შესახებ მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით თვითგამორკვევის უფლებას, რომელიც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. საერთაშორისო სამართალი ამ უფლებით ყველა ხალხს აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური სტატუსი და განახორციელოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება.

თვითგამორკვევის უფლების ირგვლივ ბევრი კითხვა ჩნდება, განსაკუთრებით გააქტიურებული სეპარატისტული მოძრაობების პერიოდში. თავდაპირველად თვითგამორკვევის უფლება მხოლოდ კოლონიურ კონტექსტში მოიხსენიებოდა, მაგრამ დღეს საერთაშორისო დოკუმენტებში მისი ზოგადი შინაარსი სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ არაერთი დოკუმენტი მიიღო, სადაც განმარტა თვითგამორკვევის უფლების არსი, ესენია: გაეროს წესდება; გაეროს ადამიანთა უფლების პაქტი; ჰელსინკის დასკვნითი აქტი, 1970 წლის დეკლარაცია მეგობრული

³³² Cismas I., Secession in Theory and Practice: the Case of Kosovo and Beyond. Goettingen Journal of International Law 2, 2010, 577.

³³³ Siroky D., Popovic M., Mirilovic M., Unilateral secession, international recognition, and great power contestation. Journal of Peace Research, Vol. 58(5), 2021, 1055.

ურთიერთობების შესახებ და სხვა. 1966 წელს მიიღეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, ასევე სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტები.

აღნიშნულ საერთაშორისო დოკუმენტებში განმარტებულია, რომ თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობს „ხალხი“, მაგრამ არ არის განსაზღვრული, თუ კონკრეტულად და ცალსახად ვის აქვს ამ პრინციპით სარგებლობის უფლება. მაგალითისთვის, 1960 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოსცა 1514(XV) რეზოლუცია, რომელიც ცნობილია კოლონიური ტერიტორიებისა და ხალხებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის სახელით, სადაც ნათქვამია, რომ „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება; ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად აწესებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას“.³³⁴ ბუნებრივია ჩნდება კითხვა: ვინ შეიძლება ჩაითვალოს ხალხად? ეს საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ საკამათოა, მის შინაარსში არ შეიძლება გაეროს ეგულისხმა ცალკეული ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფები, იგი ასეთ შემთხვევაში მთელ მსოფლიოს, მის სტაბილურობას შეუქმნიდა საფრთხეს. სამართლებრივად და პოლიტიკურად საჭირო იყო რეზოლუციის ავტორებს ეს განმარტება თავიდანვე გაეკეთებინათ.

პიტერ მალანჩუკი თავის წიგნში „აკეჰარტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“ აღნიშნავს, რომ გამოყოფის თვალსაზრისით თვითგამორკვევის უფლებით არ სარგებლობს სახელმწიფოში მცხოვრები უმცირესობები, ამასთანავე, არც კომპაქტურად თავმოყრილი ეთნიკური უმცირესობები. აღნიშნულს ადასტურებს მეგობრული ურთიერთობების დეკლარაცია, გაეროს 1992 წლის დეკლარაცია უმცირესობების შესახებ.³³⁵

ზოგადი მიდგომა, რომელიც თვითგამორკვევის უფლების განმარტებასთან დაკავშირებით არსებობს, ხშირად იძლევა აღნიშნული საკითხისადმი სასურველი ელფერის მიცემის საშუალებას, რაც წინააღმდეგობაში მოდის თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ძირითად პრინციპებთან.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის საშუალებად მოიაზრება გაფართოებული ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების, ფართო ავტონომიის მინიჭება ამა თუ იმ ტერიტორიის მიმართ, მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების სურვილის შემთხვევაში, ჩნდება სეცესიის პრობლემა, რომელიც წარმატებით და უმტკივნეულოდ ხორციელდება ძირითადად ფედერაციული სახელმწიფოების მაგალითზე, ხოლო უნიტარული ქვეყნებისთვის და ამ მხრივ საერთაშორისო სამართლისთვის პრობლემატური საკითხია.

4. სეცესიის უფლება და კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების ფაქტი

როგორც წესი, სეცესიის უფლება წარმოიშობა მხოლოდ კოლონიური მმართველობის ან ოკუპაციის შემთხვევაში. ასევე, თუ მოცემულ ქვეყანაში მცხოვრები ხალხთა ჯგუფი არის

³³⁴ Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples. General Assembly resolution 1514 (XV) of 14 December 1960. იხ. <https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/Independence.aspx> [10.11.2022]

³³⁵ მალანჩუკი პ., აკეჰარტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი, დიოგენე, 2005, 369.

დისკრიმინაციის, ჩაგვრის, ექსპლუატაციის ობიექტი. თუ დამოუკიდებლობაზე პრეტენზიის მქონე კულტურას გაქრობა ემუქრება, თანაც იმ პირობით თუ გამოყოფას არ მოჰყვება ადამიანის უფლებების ახალი დარღვევები.³³⁶ ასევე, თუ ხალხს არ აძლევენ საშინაო თვითგამორკვევის შესაძლებლობას ქვეყნის საზღვრებში, მაშინ მას აქვს ცალმხრივი სეცესიის უფლება. სხვა შემთხვევაში ხალხთა ჯგუფმა მოცემული ქვეყნის ფარგლებში უნდა ისარგებლოს საშინაო თვითგამორკვევის უფლებით.

ცალმხრივი სეცესიის სამართლებრივი თვალსაზრისით განხილვისას საინტერესოა კვებეკის პრეცედენტი, როდესაც კანადის ფედერალურმა მთავრობამ მიმართა ქვეყნის უზენაეს სასამართლოს კვებეკის ცალმხრივად გამოყოფის ლეგიტიმურობის განსასაზღვრად. სასამართლომ დაადგინა, რომ კანადის კანონმდებლობის მიხედვით, კვებეკს არ აქვს ცალმხრივად გამოყოფის უფლება და დაადასტურა, რომ უკანონო გზით განხორციელებული სეცესიის დაკანონება შეუძლებელია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, შემდგომი ცნობის შემწევობითაც, რადგან „ასეთი ცნობა ვერ გამოიწვევს სეცესიის აქტის რეტროაქტიულ გამართლებას კანადის კონსტიტუციის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით“.³³⁷

კოსოვოს საკითხის ისტორიულ-პოლიტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ კრიზისში ვერც მოლაპარაკებებმა, ვერც დაწესებულმა ემბარგომ და ვერც გაეროს მიერ მიღებულმა რეზოლუციამ შედეგი ვერ გამოიღო და ვერ შეაჩერა კონფლიქტი, რომელსაც მოჰყვა ათასობით ეროვნებით ალბანელის გენოციდი. ერთი სიტყვით, საქმე მივიდა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებამდე.

მიუხედავად ზემოაღნიშნული საერთაშორისო პრაქტიკისა და მიდგომებისა, კოსოვოს შემთხვევაში ცალმხრივ სეცესიაზე აქცენტირებისას მნიშვნელობა მიენიჭა რემედიული (თავდაცვითი) სეცესიის ფორმას. სეცესიის უფლებაზე ზოგადი შეთანხმების თანახმად, რემედიული სეცესიის განხორციელება შესაძლებელია, როდესაც:

(ა) არსებობს ხალხი, რომელიც წარმოადგენს რიცხობრივ უმცირესობას სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობასთან მიმართებაში, ხოლო უმრავლესობას ამ სახელმწიფოს ტერიტორიის კონკრეტულ ნაწილში.

(ბ) სახელმწიფო, საიდანაც ხალხს სურს გამოყოფა, მხილებულია:

- ამ ხალხის შიდა თვითგამორკვევის უფლების სერიოზულ დარღვევას ან მის უარყოფაში;
- ამ ხალხის მიმართ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სერიოზულ და ფართოდ გავრცელებულ დარღვევებში;
- შექმნილია მდგომარეობა, სადაც კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების რეალური და ეფექტური საშუალებები აღარ მოიძებნება.³³⁸

³³⁶ ცინცაძე პ., სადისერტაციო ნაშრომი „თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი საერთაშორისო სამართალსა და რეალურ პოლიტიკაში“, სტუ, 2011, 94.

³³⁷ მიდელაშვილი ს., ტერიტორიული მთლიანობისა და სეპარატიზმის პრობლემები საქართველოში. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2014, 12-22.

³³⁸ Dugard J., Raič D., The Role of recognition in the law and practice of secession. Book: Secession International Law Perspectives. Edited by Marcello G. Kohen. Cambridge University Press, 2006, 109.

კოსოვოს კრიზისის მოვლენათა ანალიზის საფუძველზე უნდა ვაღიაროთ, რომ კოსოვოს კონფლიქტი, თავისი მახასიათებლებით ფაქტობრივად აკმაყოფილებს რემედიული სეცესიის მოთხოვნათა პარამეტრებს, რომელიც ფაქტობრივად გახდა კიდევ კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების საფუძველი.

დასკვნა

რემედიული სეცესიის განხილვისას ფაქტობრივად მივედით იმ დასკვნამდე, რომ მოვლენათა განვითარების კვალდაკვალ შეიძლება გამართლებულ იქნეს დასავლეთის პოზიცია, რომ კოსოვოს ეკუთვნოდა საგარეო თვითგამორკვევა დამოუკიდებელი სახელმწიფოდ ჩამოყალიბების სასარგებლოდ, მაგრამ ამავედროულად გვერდს ვერ ავუვლით სერბეთის სახელმწიფოს სამართლიან პროტესტს მისი ტერიტორიული მთლიანობის რღვევის გამო.

სწორედ ამიტომ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის ირგვლივ არსებული არაერთგვაროვანი მიდგომები მოითხოვს კონკრეტიზაციას, რათა პირველ რიგში აღარ იყოს სეპარატისტული მიზნებისთვის მისით მანიპულირების საშუალება და აღარ მოხდეს თვითგამორკვევის უფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპითა ურთიერთდაპირისპირება.

რაც შეეხება დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარების პრაქტიკას ის არის როგორც საერთაშორისო სამართლებრივი, ასევე პოლიტიკური აქტი, და უნდა გაანალიზდეს მესამე სახელმწიფოების პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით.

სწორედ ამიტომ შეჯამებისთვის, მართებული იქნება ვუპასუხოთ იმ ძირითად შეკითხვას, რომელიც წარმოიშვა კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ: არის თუ არა კოსოვოს საკითხის ასეთი გადაწყვეტა უნიკალური შემთხვევა, თუ ის გახდა ნეგატიური პრეცედენტი, რომელიც ქმნის დომინოს ეფექტის საფრთხეს საერთაშორისო მასშტაბით?

ფაქტია, რომ დასავლური სამყაროს შეხედულება იმის შესახებ, რომ კოსოვოს შემთხვევა წარმოადგენს უნიკალურს დამაჯერებელი და შემაკავებელი ვერ აღმოჩნდა რუსეთის ფედერაციისათვის რაც გამოიხატა იმაში, რომ კოსოვოს აღიარებიდან სულ მალე რუსეთმა საპირწონედ ერთის მაგივრად ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო „შესთავაზა“ დასავლეთს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახით, რითაც შეიქმნა ახალი საერთაშორისო პოლიტიკური რეალობა. დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ დავინახოთ კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებამ სითამამე შემატა რუსეთს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში და გავლენა იქონია ჯერ საქართველოში, შემდეგ, სულ ახლახანს, უკრაინაში არსებულ ვითარებაზე (ვგულისხმობთ ლუგანსკის და დონეცკის რეგიონების აღიარებას), რასაც არც უარყოფს რუსეთის პოლიტიკური ესთაბლიშმენტი, პირიქით ამას საჯაროდ და ღიად კოსოვოს მოვლენებით ინსპირირებულად მიიჩნევენ. ჩვენი მოსაზრებით კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების ძიებისას, სადაც განსხვავებები ბევრად ჭარბია, მიგვაჩნია რომ კოსოვოს დამოუკიდებლობას არავითარი გავლენა არ უნდა მოეხდინა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების სტატუსზე, არ არსებობს ამის სამართლებრივი საფუძველი, მაგრამ ფაქტია რუსეთის შურისძიება პირველ

რიგში შეეხო საქართველოს, რომელსაც ამავედროულად კოსოვოს დამოუკიდებლობა არ უღიარებია. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადებამ გაართულა სამშვიდობო პროცესი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივამ კიდევ უფრო შორს გადაინაცვლა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება კიდევ უფრო გაართულდა.

რუსეთი, როგორც საერთაშორისო წესრიგის საფრთხე: პოსტ-საბჭოთა სივრცე და სამომავლო პერსპექტივები

Russia - the Threat for the International Order: the Post-Soviet Area and Future Prospects

რეზიუმე

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტია, რომელიც ორი ძირითადი მიმართულებით ვითარდება: ენერგეტიკული და მიგრაციის კრიზისი. მსოფლიო „ახალი ცივი ომის“ ფაზაში შევიდა. რუსეთი სულ უფრო პროვოკაციული ხდება და რეგიონის დესტაბილიზაციის გზით ემუქრება მსოფლიო უსაფრთხოებას. ისტორიული პრაქტიკა აჩვენებს, რომ „დათმობის პოლიტიკას“ შეუძლია მხოლოდ დროის დაზოგვა, რაც, თავის მხრივ, უფრო ხელს უწყობს აგრესორი სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნებს. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ ისტორიის ციკლურობას, ყოველ შემთხვევაში, დიდი აგრესიული სახელმწიფოების პოლიტიკის წარმართვის მეთოდები მეორდება და ერთნაირია. 2005 წელს რუსეთის პრეზიდენტმა 1991 წლის საბჭოთა დაცემას უწოდა „ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა“, რის შემდეგაც რუსეთმა დაიწყო ღია პოლიტიკა და ცდილობს შეინარჩუნოს თავისი გავლენა პოსტსაბჭოთა რეგიონში. რუსეთის ფედერაცია ამ მიზანს აღწევს არა მხოლოდ დიპლომატიური და რბილი ძალის მეშვეობით, არამედ პირდაპირი ძალადობრივი ანექსიითაც. თავის ოფიციალურ გამოსვლებში რუსეთის ლიდერები და პოლიტიკური ელიტა აცხადებენ, რომ ნატო მიუღებელია მათ საზღვრებთან, რაც ეწინააღმდეგება სუვერენული სახელმწიფოების დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკურ არჩევანს. მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, განსაკუთრებით რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიზნები და განხორციელების მექანიზმები, პირდაპირ ექვემდებარება საერთაშორისო ურთიერთობების რეალური პოლიტიკის პრინციპებს, ნაკარნახევი ნულოვანი ჯამის თამაშის ძალისმიერი პრინციპებით, სადაც ერთი მხარე იმარჯვებს და მეორე აგებს.

Abstract

One of the main challenges in the modern international relations is the Russia-Ukraine conflict, which is developing in two main directions: the energy crisis and the migrant crisis. The world has entered the phase of a "New Cold War". Russia is becoming more and more provocative and threatening world security by destabilizing the region. Historical practice shows that a "concession policy" can only save time, which, in turn, is more conducive to the strategic goals of the aggressor state. In the modern international political processes, we can observe the cyclicity of history, at least, the methods of conducting the policies of large aggressive states are repeated and same. In 2005, the Russian president called the 1991 Soviet fall the "Greatest geopolitical catastrophe", after which Russia started an open policy and tries to maintain its influence in the post-Soviet region. Russian Federation achieves this goal not only through diplomacy and the soft power but also, through the direct violent annexation. In their official speeches, Russian leaders and political elite, say that NATO is unacceptable near their borders, which contrasts with the independent foreign policy choices of sovereign states. The current

* პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. Ph.D in Political Science, Associate Professor of Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University.

* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის სტუდენტი. Ph.D. Student of Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University.

political processes, especially Russia's foreign policy goals and implementation mechanisms, are directly subject to the principles of the real policy of the international relations, dictated by the forceful principles of the zero-sum game, where one side wins and the other loses.

შესავალი

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, სერ უინსტონ ჩერჩილი თავის წერილებსა და მიმართებებში ხშირად ახსენებდა, რომ დიდ ბრიტანეთს მოუწევდა არჩევანის გაკეთება სირცხვილსა და ომს შორის³³⁹, რაც განპირობებული იქნებოდა გერმანიის პოლიტიკური და ტერიტორიული ამბიციებით. იმ დროინდელმა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ნევილ ჩემბერლენმა არჩია „დათმობის პოლიტიკა“, რითაც ჰიტლერს ავსტრიის ანშლუსის და სუდეტის ოლქის მიერთების საშუალება მისცა. სწორედ მაშინ წარმოთქვა თემთა პალატაში უინსტონ ჩერჩილმა, რომ „თქვენ გქონდათ არჩევანი ომსა და სირცხვილს შორის. თქვენ აირჩიეთ სირცხვილი, ამიტომ მიიღებთ ორივეს“³⁴⁰. აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის შეჭრა შეაფასა 1938 წელს ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქის გერმანიის მიერ მიტაცებას და რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი ადოლფ ჰიტლერს შეადარა³⁴¹. აღნიშნულ ორ ისტორიულ მოვლენას აშკარა საერთო მახასიათებლები გააჩნია, რის საფუძველზეც, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მიმდინარე პოლიტიკური დამაბულობის (რომელიც, როგორც ვხედავთ, სულ უფრო და უფრო გრძელვადიან სახეს იღებს) მსოფლიო შევიდა „ახალი ცივი ომის“ ფაზაში, რომელიც ძირითადად სამი მიმართულებით მიმდინარეობს: ენერგეტიკა, მიგრანტები და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი.

1. რუსეთის გეოპოლიტიკური ამბიციები

2005 წელს რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა საბჭოთა კავშირის დაშლას მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა უწოდა³⁴², ხოლო, უკვე ოფიციალურად 2007 წელს მიუნხენის კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ თანამედროვე ერთპოლუსიანი საერთაშორისო სიტემა უნდა დაინგრეს³⁴³. აღნიშნული მომენტიდან, მოსკოვი იწყებს ღია პოლიტიკას, რომ აღადგინოს პოსტ-საბჭოთა სივრცეზე კონტროლი, აღნიშნული მიზნის განხორციელებას იგი ახდენს სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის ანექსიითაც.

მოსკოვის ამბიციებს, რომ პოსტ-საბჭოთა სისტემაზე კონტროლი ჰქონდეს, რა თქმა უნდა, თავისი ისტორიული მიზეზები აქვს. მაგალითად, „დასავლელი“ მკვლევარები წერენ: „საბჭოთა კავშირის დაშლა ტრავმა იყო რუსი ხალხისთვის, 1990-იან წლებში მათ დასავლეთისაგან არაერთი დარტყმა მიიღეს, მაგალითად: NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოების სახით ან ბალკანეთის მოვლენებზე დასავლეთის რეაგირებით – იმის ნაცვლად, რომ სრულფასოვან

³³⁹ Nardelli A., Jacobs J., Wadhams N., U.S. Warning Europe That Russia May Invade Ukraine. 2021, 256 ob. <https://bloom.bg/3GaDz5d> [10.11.2022]

³⁴⁰ იქვე, 257

³⁴¹ As West Warns of Russian Attack, Ukraine Sends Different Message ob. <https://nyti.ms/3GB8KZ6> [10.11.2022]

³⁴² Hillary Clinton's Putin-Hitler comments draw rebukes as she wades into Ukraine conflict ob. <https://wapo.st/3IU7tQ> [10.11.2022]

³⁴³ Barnes E. J., Schmitt E., U.S. Warns Allies of Possible Russian Incursion as Troops Amass Near Ukraine. 2021. <https://www.nytimes.com/2021/11/19/us/politics/russia-ukraine-biden-administration.html> [10.11.2022]

პარტნიორებად ეგრძნოთ თავი. პუტინის ქმედება პასუხია იმ დამცირებაზე, რაც რუსმა ხალხმა 1990-იან წლებში იწვნია³⁴⁴. აქაც, შეგვიძლია პირდაპირი პარალელი ვიპოვოთ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის გერმანიაში მიმდინარე პროცესებზე - „პირველ მსოფლიო ომში დამარცხებით გერმანელმა ხალხმა უზარმაზარი ტრავმა მიიღო. ნაცვლად იმისა, რომ სრულფასოვან პარტნიორად ეგრძნოთ თავი, გერმანიას სრულფასოვანი ჯარის ყოლის უფლებაც კი წაერთვა. ჰიტლერის ქმედება პასუხია იმ დამცირებაზე, რაც გერმანელმა ხალხმა 1920-იან წლებში იწვნია“ - რაც ადასტურებს ჰილარი კლინტონის მკაცრ შედარებას ვლადიმერ პუტინის-ადოლფ ჰიტლერთან³⁴⁵.

2021 წლის ბოლოს დასავლეთის სახელმწიფოს ლიდერები აკრიტიკებენ რუსეთის მოქმედებებს უკრაინასთან მიმართებაში და უფრო მეტიც, უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში მზად არიან დაეხმარონ და თავიანთი კონტრიბუცია შეიტანონ უკრაინის მთლიანობისა და სუვერენიტეტის დასაცავად. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, ბორის ჯონსონი საკმაოდ მკაცრი შეფასებებით გამოიჩინა და აცხადებს, რომ „მალე დადგება არჩევანი რუსულ გაზსა და უკრაინის მხარდაჭერას შორის“³⁴⁶.

ბორის ჯონსონმა, მიმდინარე კრიზისულ ვითარებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ "აშკარაა, რომ ზოგიერთი ქვეყანა არ აპირებს განვითარებას დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის მიმართულებით და ჩვენ ამას თვალი უნდა გავუსწოროთ. უნდა შევეგუოთ და გავუმკლავდეთ ამას, უნდა გვქონდეს მათთან რაც შეიძლება მეგობრული და პრაგმატული ურთიერთობები. თუმცა, შედეგი უნდა იყოს, რომ ჩვენ ვითანამშრომლოთ მეტად მჭიდროდ მათთან, ვინც იზიარებს ჩვენს ღირებულებებსა და სამომავლო ხედვებს. შესაბამისად, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ მხარს ვუჭერთ უკრაინის სუვერენიტეტსა და მთლიანობას, ამას არ ვაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენ გვსურს რუსეთის მოწინააღმდეგედ ყოფნა, ან, თითქოს გვსურს რაიმე გზით სტრატეგიულად ალყაში მოვაქციოთ და დავაკნინოთ ეს დიდებული ქვეყანა. არასდროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსების დაღვრილმა სისხლმა მოგვცა ნაცისტების დამარცხების საშუალება. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ჩვენ გვაქვს ვალდებულება დემოკრატიისა და თავისუფლების წინაშე, რაც არის გაზიარებული ევროპის კონტინენტის დიდი ნაწილის მიერ. როდესაც ჩვენმა პოლონელმა მეგობრებმა დახმარება გვთხოვეს ბელარუსის საზღვართან შექმნილ კრიზისთან დაკავშირებით, ჩვენ გვქონდა სწრაფი რეაგირება. ვიმედოვნებ, რომ სხვა ევროპული ქვეყნები გააცნობიერებენ, რომ მალე იქნება არჩევანი გასაკეთებელი ახალ გიგანტურ მილსადენებში უფრო მეტ რუსულ ნახშირწყალბადსა და უკრაინის მხარდაჭერის, მშვიდობისა და სტაბილურობის პრინციპის დაცვას შორის" (PM speech to the Lord Mayor's Banquet, 2021³⁴⁷).

აგრეთვე, აღსანიშნია, რომ ბოლო დროს, დასავლურ გამოცემებში ხშირია გაფრთხილება, რომ რუსეთი უკრაინაში შეჭრას განიხილავს. მაგალითად, გამოცემა Bloomberg-ში საუბარია, რომ შტატები აფრთხილებს ევროკავშირსა და მოკავშირე ქვეყნებს, რომ რუსეთი, შესაძლოა, უკრაინაში შეჭრის გეგმას განიხილავდეს, მაშინ, როდესაც რუსეთსა და ევროპულ ბლოკს შორის დამაბულობა მიგრანტების კრიზისა და ენერჯო-რესურსების გარშემო იზრდება. პარალელურად

³⁴⁴ Langworth R., Churchill By Himself: The Definitive Collection of Quotations. N.Y.: Public Affairs

³⁴⁵ იქვე

³⁴⁶ Kachinski L., "The Guardian", 2018. ob. <https://bit.ly/3jNADnv> [10.11.2022]

³⁴⁷ იქვე

სახელმწიფო სადაზვერვო სააგენტოები აქვეყნებენ ცნობებს, რომ უკრაინის საზღვართან რუსეთი ჯარების რაოდენობას ზრდის. ამასთან დაკავშირებით, თეთრი სახლის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აშშ-ს აქვს კონსულტაციები მოკავშირეებთან, რუსული ჯარების უკრაინის საზღვართან მობილიზაციასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, რუსული მხარის პოზიციაა, რომ საკუთარ ტერიტორიაზე სამხედრო აქტიურობა ვიწროდ საშინაო საქმეა და უარყოფენ აგრესიული გეგმების არსებობასა და აშშ-ის პროვოკაციების მოწყობაში ადანაშაულებენ³⁴⁸.

რუსეთის ოფიციალური პირები აგრძელებენ აგრესიულ და მილიტარისტულ რიტორიკას უკრაინის მიმართ და აცხადებენ, რომ უკრაინა არღვევს მინსკის შეთანხმებას. მათი თქმით, შეთანხმების დარღვევა ეჭვებს ბადებს, რომ უკრაინას დონბასში პრობლემის სამხედრო გზით მოგვარება სურს, რასაც რუსეთი არ დაუშვებს, და მეტიც, ყველა არსებული გზით შეეცდება დაიცვას თავისი მოქალაქეები და რუსეთის ინტერესები დონბასში, მათ შორის, მზადაა სამხედრო გზითაც³⁴⁹.

2021 წლის ნოემბრის თვე საკმაოდ დამაბული აღმოჩნდა პოლიტიკური პროცესების მხრივ, აშშ-ს ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს (CIA) დირექტორი, უილიამ ბარნსი მოსკოვში ჩავიდა, სადაც ის შეხვდა თავის რუს კოლეგას, რის შემდეგაც სატელეფონო საუბარი გამართა რუსეთის პრეზიდენტთან³⁵⁰. აღნიშნულს, წინ უძღოდა, რუსეთის სატანკო, სადესანტო და საარტილერიო დანაყოფების მობილიზაცია უკრაინის საზღვრებთან, რომელიც, პენტაგონის განცხადებით, არასტანდარტული და საფრთხის შემცველი აქტივობაა. შესაბამისად, აშშ განაგრძობს რუსული ძალების გადაადგილების კონტროლს უკრაინის საზღვრებთან. ასევე, ამ დროს ვლადიმერ პუტინს ესაუბრა გერმანიის კანცლერის მოვალეობის შემსრულებელი, ანგელა მერკელი. საუბარი შედგა ბელარუსიის საზღვართან შექმნილი კრიზისის შესახებ, სადაც ანგელა მერკელმა სთხოვა ვლადიმერ პუტინს გამოეყენებინა ბელარუსზე გავლენა და კრიზისი განემუხტა, რაზეც რუსეთის პრეზიდენტისაგან უარი მიიღო. აქვე აღსანიშნავია, რომ ნატოს გენერალური მდივარი იენს სტოტენბერგი იმყოფებოდა გერმანიაში და შეხვდა გერმანიის კანცლერს, სადაც მათ ისაუბრეს ბერლინში უკრაინასა და ბელარუსიაში მიმდინარე პროცესებზე³⁵¹.

2021 წლის ნოემბრის თვიდან აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ფონზე, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დაგმო უკრაინის მიერ საბრძოლო დრონების გამოყენება და აშშ-ის გეგმების აქტიურობა შავ ზღვაში. აღნიშნულს, რუსეთის პრეზიდენტი, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევად მოიხსენიებს³⁵². რუსეთის პრეზიდენტის ამბობს: „მოსკოვი გამოხატავს აშშ-ს სამხედრო აქტივობას შავ ზღვაში, კერძოდ მეექვსე ფლოტის ფლაგმანი ხომალდისა და ნაღმოსნის შემოსვლას, ასევე შავი ზღვის თავზე დაუგეგმავ გადაფრენას აშშ-ს საჰაერო ძალების B1 ტიპის სტრატეგიული ბომბდამშენისა და სადაზვერვო

³⁴⁸ Official page of ABC news b. <https://abcn.ws/3WFeGWA> [10.11.2022]

³⁴⁹ Official Page of Carnegie Moscow Center: <https://carnegiemoscow.org/> [10.11.2022]

³⁵⁰ Official page of Germany's international broadcaster Deutsche Welle: <https://www.dw.com/en/top-stories/s-9097> [10.11.2022]

³⁵¹ Official Page of Radio Free Europe: <https://www.rferl.org/a/belarus-lukashenka-crimea-precedent/25306914.html> [10.11.2022]

³⁵² Official page of ABC news ob. <https://abcn.ws/3WGRfw1> [10.11.2022]

ტიპის თვითმფრინავების, რაც უკრაინისათვის წამახალისებელი ქმედებაა. აღნიშნული ფაქტები საფრთხის შემცველია რუსეთის ეროვნული უსაფრთხოებისა და ინტერესებისათვის³⁵³.

აშშ-ის ოფიციალური პოლიტიკური პირები, ხშირად ამბობენ, რომ რუსეთი რეგიონის დესტაბილიზაციას ცდილობს, რაც კიდევ ერთხელ დასტურდება ბელარუსია-უკრაინის საზღვარზე მიმდინარე პროცესებით - „მიგრანტთა კრიზისით“. აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე მიგრანტთა კრიზისს დასავლეთში რუსეთის მიერ ხელოვნურად შექმნილს უწოდებენ და შესაბამისად, საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ. მას შემდეგ, რაც უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი, დმიტრო კულება და აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, ენტონი ბლინკენი ერთმანეთს შეხვდნენ, მათ განიხილეს ბელარუსიის საზღვარზე არსებული ვითარება. არსებული ინფორმაციისა და ფაქტებზე დაყრდნობით, დმიტრო კულებამ ბელარუსს „პოტენციური ფრონტის ხაზი“ უწოდა. ამ ქმედებების ლაიტმოტივად, რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი ყოველთვის აღნიშნავს, რომ „ნატო-ს ნებისმიერი სამხედრო ინფრასტრუქტურის უკრაინაში განთავსება მოსკოვისათვის წითელი ხაზია“³⁵⁴.

აშშ-ის სადაზვერვო სამსახურის წარმომადგენლები ინტენსიურად აფრთხილებენ ევროპელ მოკავშირეებს, რომ უკრაინასთან რუსეთის შესაჩერებლად სულ ცოტა დრო რჩებათ. New York Times-ი წერს, რომ ასეთი მდგომარეობა ევროპის ქვეყნებს უბიძგებს ითანამშრომლონ აშშ-სთან - რუსეთის შესაჩერებლად. აქვე, აღნიშნულია, რომ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურების ცნობით, რუსეთის პრეზიდენტის სამხედრო ინტერვენციის გეგმა სულ უფრო უახლოვდება რეალობას - რუსეთს განზრახული აქვს უკრაინის ტერიტორიის უფრო დიდ ნაწილზე კონტროლის მოპოვება, ან დესტაბილიზაციის გზით ქვეყანაში პრორუსული მთავრობის მოსვლა³⁵⁵.

უკრაინის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ დაამტკიცა „საპასუხო ქმედებათა თავდაცვითი გეგმა, რუსეთის შემოჭრის შემთხვევაში, რომლის შესახებაც განაცხადა უკრაინის ვიცე-პრემიერმა ირინა ვერემჩუკმა. მისი თქმით, უკრაინა მზად არის ნებისმიერი რუსული სცენარისთვის - როგორც ქვეყნის შიგნით მზადყოფნით, ასევე, ქვეყნის გარედან დახმარების მისაღებად. საერთაშორისო დახმარებაში, ერთის მხრივ, მოიაზრება მკაცრი დასავლური სანქციები რუსეთის მიმართ და, მეორეს მხრივ, პირდაპირი სამხედრო-ტექნიკური მხარდაჭერა უკრაინისთვის³⁵⁶.

მიმდინარე პროცესების ფონზე, რუსეთი დამატებითი დესტაბილიზაციის შესაქმნელად ცდილობს გაამწვავოს მიგრანტთა კრიზისი აღმოსავლეთ ევროპაში, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პოლონეთ-ბელარუსიის საზღვარზე შექმნილი ვითარება. ბელარუსიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სიტყვით გამოსვლისას, ყირიმი რუსეთის ტერიტორიად მოიხსენია, რითაც კიდევ უფრო გაამწვავა არსებული ვითარება. ამავდროულად, ბელორუსის საგარეო საქმეთა მინისტრმა განმარტა, რომ ბელორუს-პოლონეთის საზღვართან NATO-ს ჯარების განლაგების

³⁵³ Official website of Foreign Intelligence Service of The Russian Federation: <http://svr.gov.ru> [10.11.2022]

³⁵⁴ Official website of The Central Intelligence Agency of The United States: <https://www.cia.gov> [10.11.2022]

³⁵⁵ Official website of The Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation: <https://www.mid.ru> [10.11.2022]

³⁵⁶ PM speech to the Lord Mayor's Banquet: 15 November 2021 ob. <https://bit.ly/3WNKNn6> [10.11.2022]

პარალელურად ბელორუსიას უფლება აქვს ანალოგიური ქმედების განხორციელება სთხოვოს რუსეთის სახელმწიფოს³⁵⁷.

დასკვნა

ამჟამად რუსეთი პოსტ-საბჭოთა რეგიონში დესტაბილიზაციას ახდენს 3 ძირითადი მიმართულებით, ესენია: ენერგოკრიზისი, უკრაინა და მიგრანტები. 2021 წლის დეკემბერში, რუსეთის პრეზიდენტმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მსოფლიოს მიმართეს, განსაკუთრებით დასავლეთის მიმართ იყო საუბარი, რომ მათ სჭირდებათ იურიდიული გარანტიები ნატო-ს აღმოსავლეთით არ გაფართოების შესახებ, რომელიც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას. რუსეთის ლიდერები ოფიციალურ გამოსვლებში აღნიშნავენ, რომ ნატო მათი საზღვრების სიახლოვეს მიუღებელია, რაც დაპირისპირებაში მოდის სუვერენულ სახელმწიფოთა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკურ არჩევანთან. „ახალი ცივი ომი“ ცვლის არსებულ სტატუს-კვოს. ძველი საერთაშორისო წესრიგის მოშლის შედეგად ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებას ემსახურება, რომლის პოლიტიკური პერსპექტივა, მეტწილად, დამოკიდებულია ძალთა ბალანსზე³⁵⁸.

რუსეთის პროვოკაციული სამხედრო-პოლიტიკური აქტივობები საფრთხეს უქმნის მსოფლიო უსაფრთხოებას. პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის სიტყვები კარგად განმარტავს არსებულ მდგომარეობას, რომელიც მან 2008 წელის 12 აგვისტოს თბილისში განაცხადა: „დღეს არის საქართველო, ხვალ უკრაინა, შემდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნები და შემდეგი იქნება პოლონეთი“³⁵⁹.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის აგრესიული ქმედებების საპასუხოდ დასავლეთის რბილმა და „დათმობითმა“ პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა რუსული ძალები კვლავაც აგრესიულ ფაზაში დარჩენილიყვნენ, ხოლო პოლიტიკის მხრივ, დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის ფედერაცია NATO-ს უყენებს ულტიმატუმებს და არღვევს სახელმწიფოების სუვერენიტეტს.

³⁵⁷ Chiaberashvili Z., Munich 1938- Peace with Dignity. Tbilisi 2014

³⁵⁸ Владимир Путин: "Распад СССР - крупнейшая геополитическая катастрофа века". <https://regnum.ru/news/444083.html> [10.11.2022]

³⁵⁹ Выступление Владимира Путина на Мюнхенской конференции 2007. <https://www.youtube.com/watch?v=VtLa--bUVSo> [10.11.2022]

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა მდგრადი განვითარების მიზნების კონტექსტში

Higher Education System of Georgia in the Context of Sustainable Development

რეზიუმე

დღეისათვის საქართველოს სახელმწიფოს ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რაც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციაში და რამდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტში. ამ კონტექსტში, განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა - მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი - მნიშვნელოვანი წინაპირობაა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების გასაძლიერებლად, რათა ქვეყანამ დაძლიოს თანამედროვე გლობალური გამოწვევები. ეს, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, გაზრდის საერთაშორისო თანამშრომლობის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის ხარისხს.

წამრთველში განხილული ოფიციალური დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გარკვეული გამოწვევების, საერთო სირთულის, რეგორმების საჭიროების მიუხედავად, შესაბამისი სტრუქტურები აქტიურად განიხილავენ თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ქართული საგანმანათლებლო სივრცის დაახლოებისა და ჩართულობის პირობების შექმნას. გამოვლინდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობები, რაც გამოიხატა ახალ პროექტებში საერთო მდგრადი განვითარების მიზნების პრობლემების მოსაგვარებლად, ადამიანის კეთილდღეობის, განვითარებისა და სოციალური ცვლილებებისათვის.

Abstract

At present, the integration of the Georgian state into the European space is an important challenge, which is enshrined in the Constitution of Georgia and several important documents, the involvement of the country in cooperation is supported by the UN and many different international agencies. In this context, promoting access to education - one of the most important goals of sustainable development - is an important precondition for strengthening the socio-political and cultural development of society for the country to overcome modern global challenges. This will naturally contribute to the formation of a democratic society, which in turn will increase the degree of harmonization with the standard of international cooperation.

The official documents discussed in the paper show that despite some challenges, general difficulty, the need for reform, the relevant structures are actively considering the creation of conditions for the rapprochement and involvement of the Georgian educational space per modern international standards. The capabilities of higher education institutions have been identified, which have developed and launched several projects - to address problems of common sustainable development goals, for human well-being, development and social change, broad activities - to fulfil the principle and priorities of the cooperation agreement.

შესავალი

თანამედროვე მრავალფეროვან და დემოკრატიულ საზოგადოებაში საყოველთაო მშვიდობისათვის, საერთაშორისო კეთილდღეობისთვის, სიღარიბის დაძლევა, ჯანდაცვისა და

* ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი. Ph.D. in History, Professor of Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University.

განათლების სისტემების გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, გარემოს დაცვა და ყველა დონეზე ანგარიშვალდებულება ყველაზე დიდი გლობალური გამოწვევებია, რომელიც მდგრადი განვითარების განხილვის და მოწესრიგების საგანია.

საქართველოში, ისტორიულად განათლებას სახელმწიფოებრიობის განვითარების საქმეში დიდი ყურადღება ეთმობოდა, ამჟამად კი, საქართველო, მრავალი დემოკრატიული ქვეყნის მსგავსად არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულების თანამონაწილეა, რომლებიც განათლების მაღალ სტანდარტებს აწესებენ.

გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიის ფარგლებში (2015 წ.) მიღებული მდგრადი განვითარების მიზნები,³⁶⁰ რომელიც გაეროს წევრი სახელმწიფოების ჩართულობით შემუშავდა, ქმნიან საყოველთაო და ამბიციურ განვითარების პროგრამას³⁶¹. სადაც განათლება, როგორც ძალა მდგრადი განვითარებისა და მშვიდობისათვის მნიშვნელოვანია, რადგან მხოლოდ ცოდნით შეუძლიათ ადამიანებს 2030 წლისათვის ყველა დასახული მიზნის მიღწევა, ბუნებრივია განვითარებად ქვეყნებში სტიპენდიების ხელმისაწვდომობაზე გაკეთებული აქცენტი საყურადღებოა, რათა სხვადასხვა პროგრამებზე ხელმისაწვდომი იყოს განათლების მიღება.

განათლების შესახებ მდგრადი განვითარების დასახული 17 მიზნიდან მე-4 მიზანშია აღნიშნული და გულისხმობს ინკლუზიური და თანაბარი ხარისხის განათლების უზრუნველყოფას და ყველასთვის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობების ხელშეწყობას, რაც ადვილი მისაღწევი არ არის, შესაბამისად, მნიშვნელოვანია სწორად შემუშავებული განათლების პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაში იქნება დასახულ მიზანთან. ამასთან, თანამშრომლობაში უმაღლესი განათლების მონაწილეობის გაფართოებით, უნივერსიტეტებმა შეიძინა უფრო დიდი პოტენციური საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანისთვის, სწორედ უნივერსიტეტებში ჩატარებული კვლევები (სხვადასხვა მიმართულებებით) გააუმჯობესებენ მომავალს³⁶².

მდგრადი განვითარება მიმართულია გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. კერძოდ განათლება კი, დღემდე მდგრადი განვითარების ძირითად სფეროებთან ინტეგრირებულია მრავალ გლობალურ ჩარჩოებსა და კონვენციებში და განათლების საკითხის, როგორც მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი გამოწვევის შესწავლა, როგორც საზოგადოების უკეთესი სოციალ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების წინაპირობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა, ეს ბუნებრივია ზრდის ნაშრომის აქტუალობას.

ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ და განვიხილოთ საქართველოში უმაღლესი განათლების როლი და ჩართულობა მდგრადი განვითარების ძირითადი მიმართულებებით, მისი

³⁶⁰ რეზოლუცია - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“

³⁶¹ General Assembly, 2015, Resolution adopted by the General Assembly on 25 September 2015, Transforming our world: the 2030 Agenda, 2022

³⁶² Chankseliani M., McCowan T., Higher education and the sustainable development goals, Springer Nature B.V. 2020

თავსებადობა დასავლეთის სივრცესთან წარმოდგენილი დოკუმენტების და მეორადი წყაროების საფუძველზე.

ნაშრომში გამოყენებულია აღწერილობითი, ლოგიკური ანალიზის, შედარებითი, ისტორიული მეთოდები. წარმოდგენილი ნაშრომი ჩვენი ქვეყნის რეალობასთან ერთად მის ურთიერთდამოკიდებულებას დასავლეთის პრაქტიკის, ფაქტების ანალიზთან ერთად განიხილავს.

1. საქართველო: უმაღლესი განათლება მდგრადი განვითარების მიზნების კონტექსტში

კაცობრიობის ისტორიაში საზოგადოების განვითარების ნებისმიერი ფორმაციის დროს ფაქტები მოწმობენ განათლებით მიღწეული წარმატებებზე. თანამედროვე ეტაპზე კი განათლება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და დადასტურებული საშუალებაა მდგრადი განვითარების ყველა მიმართულებით შედეგის მისაღწევად, თითქმის ყველა კონტექსტში, რადგან განათლებას საზოგადოების ფორმირების უმნიშვნელოვანესი მისია აქვს. ის რომ განათლების უფლება ყველას აქვს და მათ შორის უმაღლესი განათლება, რომ - ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის უნარის შესაბამისად, ამაზე საზოგადოება, საყოველთაო კეთილდღეობაზე და განვითარებაზე ზრუნვის მოტივით, ჯერ კიდევ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში აღნიშნავდა: „განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გაძლიერებისაკენ. განათლება ხელს უნდა უწყობდეს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი და რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობას, მეგობრობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად” („ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, 1948).³⁶³

საქართველოში გაეროს წარმომადგენლობამ საქართველოს მთავრობასთან, სხვადასხვა დონორებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და სამეცნიერო წრეებთან ერთად შეიმუშავა გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება (საქართველოს მთავრობა, საქართველოში გაეროს სააგენტო, 2020) 2021-2025 წლებისთვის, მდგრადი განვითარების მიზნების ყოვლისმომცველი პრინციპით - „არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა“.

მდგრადი განვითარების მეოთხე მიზნის - განათლების მთავარი აზრი საყოველთაოა და განათლების ყველა დონეს მოიცავს - ადრეული ასაკიდან უმაღლესი განათლების ჩათვლით. რაც გამოწვევაა მთელი მსოფლიოსათვის, განვითარებული ქვეყნებისთვისაც, სადაც საყოველთაო კეთილდღეობის მაჩვენებელი მაღალია. შესაბამისად, ჩვენი ტიპის ქვეყნისთვის „განათლება 2030“ სამოქმედო ჩარჩოს მიხედვით მნიშვნელოვანი საკითხია.³⁶⁴ შესაბამისად, საკითხის მოგვარება მოითხოვს საერთაშორისო დონის (ყველა ხელისუფლებისა და

³⁶³ საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით - „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ ძალაშია.

³⁶⁴ საკითხის მოგვარებას ხელს უწყობს იუნესკოს პასუხისმგებლობა საერთაშორისო თანამეგობრობის კოორდინაცია - მონიტორინგი.

საზოგადოების) პოლიტიკურ ნებას თანამშრომლობაზე რათა შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც არსებულ გამოწვევებს მოაგვარებს³⁶⁵.

მდგრადი განვითარების მიზნის - „ხარისხიანი განათლების ყველასათვის“ ათი მიმართულებიდან, სამიზნედან აღნიშნულია თანაბარ ხელმისაწვდომობაზე უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში, საყურადღებოა აღნიშვნა განვითარებადი ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომი სტიპენდიების რაოდენობის გაფართოებაზე³⁶⁶.

ბოლონიის პროცესთან საქართველოს მიერთებამ³⁶⁷ მნიშვნელოვნად შეცვალა უმაღლესი განათლების სისტემა, მოხდა ევროპულ სტანდარტებთან დაახლოვება. 2005 წლის მაისში ბერგენის სამიტზე (აქ მოხდა საქართველოს მიერთება) შუალედური შედეგების განხილვისა და ახალი, პრიორიტეტული მიზნების განსაზღვრისას ვალდებულებად დადასტურებულია ახალი მონაწილე ქვეყნებისადმი დახმარება ბოლონიის პროცესის მიზნების განხორციელებაში. საყურადღებოა, რომ აქაც ვალდებულება აღებულია და აღნიშნულია სოციალური განზომილების შესახებ და გულისხმობს: „უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასათვის, და ხაზს ვუსვამთ სტუდენტებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის საჭიროებას, რათა მათ სოციალური თუ ეკონომიკური მიზეზების გამო სწავლის დასრულების პრობლემები არ შეექმნათ. სოციალური განზომილება მოიცავს სტუდენტების (განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ჯგუფებიდან) დასახმარებლად მთავრობის მიერ გაწეულ ღონისძიებების ფინანსურ და ეკონომიკურ ასპექტებს და ასევე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მათი მითითებებითა და საკონსულტაციო მომსახურებით უზრუნველყოფას“³⁶⁸ (ბერგენის კომუნიკე, 2005).

ამასთან, აღსანიშნავია რომ 2019 წლის 27 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში (EQAR -The European Quality Assurance Register for Higher Education) დარეგისტრირდა, რაც ქვეყნისთვის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან მეტი თანამშრომლობის და კიდევ უფრო დაახლოვების საშუალებას იძლევა (ბატიაშვილი, 2019). კერძოდ, ყველა ის დიპლომი, რომელიც გაცემულია საქართველოში აკრედიტირებული პროგრამების ფარგლებში, ნიშნავს რომ აღიარებულია ევროპაში.

ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ჩართულობის, მდგრადი განვითარების მოთხოვნების, გამოწვევების, განხორციელების შესაბამისად ერთ-ერთი საინტერესო პროექტია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული (ბაკალავრიატის და მაგისტრატურის), გარკვეული კატეგორიის სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების სოციალური პროგრამების მუშაობა. სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვება

³⁶⁵ UNESCO, Leading SDG 4 - Education 2030, 2015, <https://en.unesco.org/themes/education2030-sdg4> [10.02.2022]

³⁶⁶ UNESCO, Ensure quality education for all: Sustainable Development Goal 4; ten targets, 2017 <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000259784> [12.02.2022]

³⁶⁷ 1999 წლის 19 ივნისს ხელი მოეწერა ბოლონიის დეკლარაციას. ამჟამად ევროპის 47 ქვეყანაა ჩართული.

³⁶⁸ კომუნიკე ბ., უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე - მიზნების მიღწევა, უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე 2005 <https://www.mes.gov.ge/uploads/Bologna/4%20bergen%20communique.pdf> [10.02. 2022]

შეუძლიათ სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტებს,³⁶⁹ ამასთან, 2013 წლიდან ხორციელდება უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხული, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები დაზარალებული სტუდენტების დაფინანსებაც.³⁷⁰

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე, ყველა დონეზე, გაცნობიერებულია, რომ განათლება წარმოადგენს მნიშვნელოვან პირობას მდგრადი განვითარებისათვის. შესაბამისად, მთავრობისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ამ სისტემამ რეფორმირებით მნიშვნელოვანი შედეგებიც დადო. ქვეყანაში გატარდა მთელი რიგი რეფორმები, რათა ქვეყნის განათლების სისტემა შესაბამისობაში მოსულიყო მსოფლიოს თანამედროვე მოთხოვნებთან, კონკურენტუნარიანი ყოფილიყო საერთაშორისო დონეზე. ამის მისაღწევად კი ბუნებრივია იყო და ამჟამადაც ბევრი გამოწვევა რჩება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანური კაპიტალის განვითარება და მისი ეფექტიანი ჩართულობა მოხდეს ქვეყნის განვითარების პროცესში, დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებაში.

საქართველო 2014 წლიდან პროექტში - „ევროსტუდენტი“³⁷¹(მე-5 ტალღაში) ჩაერთო, როგორც საპილოტე ქვეყანა. მიმდინარე ეტაპზე მეშვიდე ტალღის (რომელიც 2021 წელს დასრულდა) კვლევის შედეგებით შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მერვე ტალღა დაიწყო (2021წელი), რომელიც მოიცავს 2021-2024 წლებს,³⁷² რეკომენდაციები უმაღლესი სასწავლებლებისათვის ითვალისწინებს: დამსაქმებლებთან თანამშრომლობას (სტუდენტების ინტერესიდან გამომდინარე სასწავლო პროცესისა და სამსახურის ურთიერთშეთავსებისათვის); აკადემიური განათლებისა და შრომის ბაზრის კავშირის გაძლიერების საფუძველზე, უნივერსიტეტების ბაზაზე სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურების შექმნა/გაფართოვებას; შრომის ბაზრის თავისებურებების შესახებ, სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას; სტუდენტთა დაფინანსების წყაროების გაზრდაზე სახელმწიფოს ზრუნვას; ზრუნვას - სტუდენტთა დაინახოს კავშირი თავის საგანმანათლებლო პროგრამასა და დასაქმებას შორის; სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურული თუ ადმინისტრაციული უზრუნველყოფა; სტუდენტური საერთო საცხოვრებლების ინფრასტრუქტურის განვითარება/გაფართოება; სხვადასხვა მიმართულებით თანაბარი ხელმისაწვდომობის გაზრდა და გენდერული სტერეოტიპების შემცირება (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, 2019). აღნიშნული პროექტის ფარგლებში ბევრ საინტერესო საკითხთა შორის საჭიროდ მივიჩნიეთ (შემდგომში საერთაშორისო თანამშრომლობის, პირადი კონტაქტების შესაძლო საფუძვლის მიზნით), უცხოელი სტუდენტების საქართველოში ჩამოსვლის გადაწყვეტილების საფუძვლის,

³⁶⁹ მოიაზრებიან სტუდენტები, რომლებიც სწავლობდნენ და ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს: 1) „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხით“ დამტკიცებულ დასახლებაში; 2) ოკუპირებულ ტერიტორიაზე; 3) აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში; 4) სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში; 5) სტუდენტებს რომლებიც არიან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის გარდაცვლილთა შვილები და სხვა (თითოეული კატეგორიისთვის გამოყოფილი რაოდენობა მტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ).

³⁷⁰ აღნიშნული პროგრამით უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტები სრულად ფინანსდებიან.

³⁷¹ პროექტის მიზანია შეისწავლოს ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობა, მათი ცხოვრების პირობები.

³⁷² საკითხის შესწავლის მიზანი მიმდინარე სიტუაციის აღწერა და ერთიანი ევროპული განათლების სივრცის ფუნქციონირების პრობლემების და ბარიერების გამოვლენაა, რაც ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

ინფორმაციის მიღების წყაროს და სწავლის მიმართულების განსაზღვრის მიზნით ჩატარებული კვლევების გაცნობა. წლების მიხედვით ჩატარებული კვლევები საფუძველს იძლევა აღვნიშნოთ, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი საქართველოში ჩამოსვლის საფუძველად ასახელებენ სწავლის გადასახადის, საცხოვრებელი პირობების ხელმისაწვდომობას, საქართველოში მაღალი ხარისხის განათლების მიღების შესაძლებლობას, ასევე ადამიანური კეთილგანწყობის მომენტს. ინფორმაციის მიღების წყაროდ კი ასახელებდნენ: სტუდენტებს, რომლებიც საქართველოში სწავლობდნენ, განათლების საერთაშორისო ვებ-გვერდებს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდს, საერთაშორისო გამოფენებს და სხვა; საქართველოდან წასული სტუდენტები კი ძირითადად ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებში არიან ჩართულნი (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, 2019).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა უმაღლესი განათლების სისტემის სრულყოფისთვის და 2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის განხორციელებისას გატარებული რეფორმები მიმართული იყო სწორედ, განათლების რელევანტურობის უზრუნველყოფაზე, უმაღლესი განათლების, კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის ხარისხისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებაზე, კვლავ რჩება გამოწვევები, მათ შორის, ხარისხისა და თანასწორობის, მმართველობის, დაფინანსებისა და ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით. განათლებისა და მეცნიერების სექტორი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა კოვიდ-19-ის პანდემიის ვითარების გამოც. ამიტომ შეიქმნა 2022-2032 წლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების მხარდაჭერას, საყოველთაო და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობების უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის შემუშავებაში მთელი რიგი საერთაშორისო პროექტები მონაწილეობდნენ და სრულადაა გაზიარებული არსებული ვითარებით გამოწვეული სირთულეები.

საქართველოს სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისათვის“ განათლების რეფორმის სისტემურ და თანმიმდევრულ მიდგომას ადამიანური კაპიტალის განვითარებისათვის მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევს, უმაღლესი განათლების განვითარების მიზნით კი, მთელ რიგ ღონისძიებებს ითვალისწინებს, კერძოდ: უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსებას; საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრადი განვითარებისა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირების ხელშეწყობის მიზნით უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალ მოდელს; ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებას; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სადოქტორო პროგრამების შეფასების ერთიანი კონცეფციის შემუშავებას; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობას; „ვისწავლოთ საქართველოში“ პროგრამის გაგრძელებას; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთათვის სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამის და ასევე მსჯავრდადებულის მიერ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე განათლების მიღების ხელშეწყობი ღონისძიებების გაგრძელებას; საქართველოს მომზადებას Erasmus+ პროგრამულ ქვეყნად, რაც გზას გაუხსნის ქვეყანის წვდომას პროგრამის ყველა

კომპონენტზე; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად დაფინანსების გაგრძელებას. აღსანიშნავია, რომ იგივე დოკუმენტი ეხება ასევე გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების საკითხს, როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი განათლების სისტემაში გარემოსდაცვითი განათლების საკითხების ინტეგრირებას (საქართველოს მთავრობა, 2020)

საქართველოს მიერ აღიარებულია ევროპის უმაღლესი განათლების და ახალგაზრდობის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, როგორცაა „უმაღლესი განათლების სფეროში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარება და ინოვაციური სწავლების აღიარება კარიერული წინსვლისთვის, ასევე უმაღლეს განათლებაში სოციალური მიმართულების გაძლიერება და სწავლებისა და სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა. მოზრდილთა სწავლების განახლებული ევროპული დღის წესრიგის რეზოლუციის შესაბამისად კი, საქართველო ასევე ვალდებულია, მნიშვნელოვნად გაზარდოს ზრდასრულთა მონაწილეობა ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში და მიაღწიოს წიგნიერების, რაოდენობრივი წიგნიერებისა და ციფრული უნარების მინიმალურ დონეს ზრდასრულებში“ (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2021).

უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების, საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწის მიზნით, ბოლო დროს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონში გატარდა ცვლილებები, რომელიც კლასტერული აკრედიტაციის დანერგვას ეხება, რაც გულისხმობს, რომ ერთი წლის განმავლობაში აკრედიტაციის პროცესში შეფასდებიან სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით მხოლოდ კონკრეტული სფეროს პროგრამები, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები კონკრეტულ წელს წარმოადგენენ მხოლოდ კონკრეტული სფეროს პროგრამებს. ამით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშუალება ექნებათ დაინახონ თუ როგორ ვითარდება უმაღლესი განათლების კონკრეტული სფერო ან დარგი³⁷³ (საქართველოს პარლამენტი, 2022) .

დასკვნა

ნაშრომში განხილული ოფიციალური დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მიუხედავად არსებული მთელი რიგი გამოწვევებისა, ზოგადი რთული, რეფორმების საჭიროების ვითარებისა, შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან აქტიურად განიხილება თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობასთან ქართული საგანმანათლებლო სივრცის დაახლოვება და ჩართულობისთვის პირობების შექმნა. გამოვლინდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობები, რომლებმაც შეიმუშავეს და დაიწყეს განხორციელება მთელი რიგი პროექტებისა - საერთო მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე პრობლემების აღმოსაფხვრელად, ადამიანთა კეთილდღეობისათვის, განვითარებისა და სოციალური ცვლილებების მიღწევის მიზნით, ფართო საქმიანობა - თანამშრომლობის ხელშეკრულების პრინციპის, პრიორიტეტების შესასრულებლად.

³⁷³ ეს გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ცენტრს კონკრეტულ წელს გადაამზადოს მხოლოდ იმ სფეროს, დარგის ექსპერტები, რომელსაც მომავალ წელს უწევს აკრედიტაცია, ეს ხელს შეუწყობს ადამიანური და ფინანსური რესურსების დაზოგვასა და მობილიზებას.

რეკომენდაციები

საჭიროა მეტი თანამშრომლობა - უნივერსიტეტების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მთავრობის, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების, რომელთა ერთიანი ჩართულობით, ადგილობრივ დონეზე, შემუშავებული/განხორციელებული ინიციატივებით მიღებული შედეგები, გაადვილებს აღებულ ვალდებულებების შესრულებას, ამასთან, მიმზიდველს გახდის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს საერთაშორისო თანამშრომლობისთვის.

პროექტები განათლების შესახებ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში
(1918-1921)

Projects on education in the Democratic Republic of Georgia
(1918-1921)

რეზიუმე

1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგა, მაგრამ მრავალი სხვა პრობლემის გადაჭრასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი განათლების რეფორმამ დაიკავა. 117 წლის მანძილზე რუსეთის საგანმანათლებლო სისტემა უარყოფით გავლენას ახდენდა ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე და ამიტომ ამ მოვლენის ქართულ რეალობასთან ადაპტაცია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი იყო.

განათლების როლი საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა და ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე, დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. იმ პერიოდში, როდესაც ყურადღება ექცეოდა საგანმანათლებლო სივრცეს, გარდა საგანმანათლებლო მნიშვნელობისა, მან ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც შეიძინა. საქართველო ამ გამოწვევებს სხვა რეალობაში შეხვდა. რუსეთის სამთავრობო სისტემამ მაქსიმალურად გამოიყენა განათლება ქართველი ხალხის რუსიფიკაციისა და ტრანსფორმაციისთვის. ამიტომ სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ პოლიტიკურ თუ კულტურულ ელიტას ორმაგი პასუხისმგებლობის მისია დაეკისრა. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტით განათლების რეფორმა იქცა საკვანძო პუნქტად ქვეყანაში არსებული საგარეო თუ საშინაო პრობლემების მოგვარებისთვის.

Abstract

On 26th of May 1918, the state independence of Georgia was restored, but along with the solution of many other problems, one of the important places was occupied by the educational reform. For 117 years, the Russian educational system had a negative impact on Georgian national consciousness, and therefore, the adaptation of this occurrence to the Georgian reality was a matter of state importance.

The role and factor of education always occupied a special place in Georgia and had a great influence on the formation and development of public consciousness due to the challenges of the epoch. In that period, when attention was paid to the educational space which acquired besides the educational also the national and state importance. Georgia met those challenges in a different reality. The Russian governmental system maximally used education for the Russification and transform of the Georgian people. That is why the political or cultural elite that came to power after the restoration of state independence was given a dual mission of responsibility. With the resolution of issues of state importance, educational reform became the key point for the resolution of foreign or domestic problems in the country.

* ისტორიის დოქტორი, სტუ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

შესავალი

თანამედროვე პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების ფაქტორს საზოგადოების აზროვნების ფორმირებაში. განათლების შესწავლის საკითხი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცოდნის გავრცელების, არამედ ეროვნული ცნობიერების განვითარების და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

განათლების როლი და ფაქტორი საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა და ამა თუ იმ საუკუნეში ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე, საზოგადოების ცნობიერების ფორმირება-განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა. იმ პერიოდში, როდესაც საგანმანათლებლო სივრცეს ყურადღება მიექცა და სკოლას, უმაღლეს სასწავლებელს არა მხოლოდ განათლების მიცემის, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ფუნქცია მიენიჭა, საქართველო ამ ყოველივეს განსხვავებულ რეალობაში ხვდება. რუსული მმართველობის სისტემამ განათლება მაქსიმალურად გამოიყენა ქართველი ხალხის გარუსების და გარდაქმნისათვის. სწორედ ამიტომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ პოლიტიკურ თუ კულტურულ ელიტას ორმაგი საპასუხისმგებლო მისია დაეკისრა. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებასთან ერთად, საგარეო თუ საშინაო პრობლემების გადაჭრის ფონზე განათლების რეფორმა ქვეყნის ამოსავალი პრინციპი გახდა.

1. ეკონომიკის განვითარების და განათლების ურთიერთკავშირი

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მას, ერთი მხრივ, უნდა გადაეღებინა ფეოდალური სისტემის რღვევის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში დამკვიდრებულიყო და ჩამოყალიბებულიყო და, რაც მთავარია, განეგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის განსხვავებული გზით: შეიარაღებული გამოსვლების ნაცვლად განათლებით, ცოდნით, ორგანიზებულობით და მისი მოთხოვნა ეპოქის და საქართველოს ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი ყოფილიყო. მეორე მხრივ, ეს არის პერიოდი, როდესაც ქართული კულტურული ელიტის ნაწილი ცდილობს ნაციონალიზმის პროპაგანდას, ცოდნის ამაღლებას, ქვეყნის ისტორიის გაცნობას ფართო ფენებში, წარსულის იდეალიზაციას, ეროვნული ფასეულობების დაცვის შეგნების გაღვივებას. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდებიან ახალი სოციალური ფენები: პროლეტარიატი და ბურჟუაზია, საფუძველი ეყრება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას რომელთაც დამოუკიდებლობის მოპოვების და საქართველოს სამომავლო განვითარების საკუთარი ხედვები გააჩნდათ. ეს არის ეროვნული იდეის ჩამოყალიბებისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდი, რომელიც გახდა საფუძველი 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემის კვლევა აქტუალურია რადგან: 1. თანამედროვე პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების ფაქტორს საზოგადოების აზროვნების ფორმირებაში. განათლების შესწავლის საკითხი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცოდნის გავრცელების, არამედ ეროვნული ცნობიერების განვითარების და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. 2. დღეს, როდესაც ასეთი აქტუალურია ნაციონალიზმის საკითხი და შექმნილია სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობა და ზოგიერთი

თეორიული მიმართულება, მაგალითად მოდერნიზმი, თანამედროვე ერის ჩამოყალიბებაში განათლების გავრცელების ფაქტორს დიდ ყურადღებას ანიჭებს, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის 1918-1921 წლების შესწავლა საგანმანათლებლო სისტემის თვალსაზრისით. 3. პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა სიახლეს წარმოადგენს და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები საშუალებას მოგვცემს წარმოჩინდეს ეპოქის ახალი მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის საჭიროება არამარტო, როგორც მოსახლეობაში ცოდნის გავრცელების, არამედ მთლიანად ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების მთავარი საშუალება.

კაპიტალისტური წყობის დამკვიდრებამ ახალი სოციალური ფენების: პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ბატონყმობის გაუქმებამ მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემა. ახალ გარემოში ახალი მოთხოვნები და გამოწვევები გაჩნდა. არა მხოლოდ პროლეტარიატი და ბურჟუაზია, არამედ მთელი საზოგადოება ძირეულ გარდაქმნებს განიცდიდა. მით უმეტეს, რომ XIX საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ევროპაში საკმაოდ გაძლიერდა, რასაც შედეგად ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება მოჰყვა. საქართველო ამ ცვლილებებს განსხვავებულად ხვდება. ის, როგორც რუსეთის იმპერიის დაპყრობილი ნაწილი, ბუნებრივია აქ მიმდინარე მოვლენების ზეგავლენას განიცდის და მაშინ, როცა ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს, საქართველო თავისუფლებისთვის ბრძოლის ახალ გზებს ეძებს და ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ბრძოლის განსხვავებული მეთოდებით საზოგადოების ეროვნული ცნობიერების ამაღლების მეშვეობით საერთო ქართული სივრცის შექმნას და ყველა სოციალური ფენის თანაბრად ჩართვას ცდილობს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში. ეს პროცესი გრძელდება 1918-1921 წლებში.

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ქართველი ერის მთავარი ლოიალობის ობიექტი - მეფე აღარ არსებობდა, გაუქმდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, სასულიერო წოდების წარმომადგენლებს სერიოზული დაბრკოლებები შეექმნათ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული უფლებების რეალიზაციის-თვის. ხაზგასასმელია, რომ ხალხთან მთავარი დამაკავშირებელი და ეროვნული იდეების მატარებელი ყოველთვის იყო სამღვდელთა. ამ უფლების ჩამორთმევის შემდეგ, რუსეთმა მაინც ვერ შეძლო საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კავშირის სრული აღმოფხვრა ხალხსა და ეკლესიას შორის, საჭირო გახდა ახალი ორგანოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ხალხთან კავშირს და რაც მთავარია, ეროვნული იდეების ქადაგებას.

სკოლა გარდა იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება იყო, მას ახალი ეპოქა ახალ მოთხოვნებს უყენებდა. ამიტომ საჭიროა გამოირკვეს: 1. რა როლი ჰქონდა და რა მეთოდებით მოითხოვდა ქართული კულტურული ელიტა ქართულ ენაზე წარმოებულ განათლებას. 2. რა ფორმით უნდა მომხდარიყო სკოლების საშუა-ლებით ეკონომიკური, სამეურნეო განათლების და ეროვნული ცნობიერების ამაღლება და თავისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში ყველა სოციალური ფენის ჩართვა.

ბატონყმობის გაუქმებას შედეგად მოჰყვა კაპიტალისტური წყობის დამკვიდრება. ახალმა ეკონომიკურმა ფორმამ გარკვეული ცვლილებები გამოიწვია სოციალურ სისტემაში. ჩამოყალიბდა ახალ სოციალური ფენები: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ფაქტობრივად გაქრობის საფრთხე შეექმნა თავადაზნაურობას, რაც ეტაპობრივად ხორციელდებოდა. შეეზღუდა გლეხებს ფუნქციები, განსხვავებულ გარემოში თავის დამკვიდრება უჭირდა. არაქართველთაგან შემდგარი ბურჟუაზია, რომელიც მატერიალური თვალსაზრისით ძლიერ ძალას წარმოადგენდა ნაკლებად იყო დაინტერესებული ქართველი ერის მომავლით, პროლეტარიატი კი საწყის ეტაპზე კლასობრივი ცნობიერებით იყო შეპყრობილი. ეს ყოველივე უარყოფითად აისახებოდა ქართველთა ერთიანობაზე, ამიტომ საჭირო გახდა მტკიცედ ჩამოყალიბებული იდეოლოგია, რომლის ირგვლივ გაერთიანდებოდა ქართველობა.

1918 წლის 21 ივლისის საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას მაფევეი აღნიშნავდა: „გაიხსენებს რა გერმანიის, ამერიკის, იტალიის და რუსეთის მაგალითებს, ამტკიცებს, რომ სპეციალურ განათლების სათანადო ნიადაგზე დაყენებისათვის საჭიროა სპეციალური სასწავლებლები საზოგადოდ და კერძოდ, სამეურნეო სკოლებიც ცალკე სამინისტროს ხელში იყოს. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ სამეურნეო სკოლების ორგანიზაციისა და მართვა-გამგეობისათვის საჭიროა დაარსდეს ცენტრალური მუდმივი აგრონომიული კომიტეტი. დიმიტრი უზნაძის აზრით: ყველა ქვეყანაში დაიბადა ერთგვარი ტენდენცია სკოლის ერთ უწყებაში შეერთებისა, ორატორის აზრით, საერთო განათლება არის ერთადერთი ბაზა, რომელზედაც უნდა აღიზარდოს მუშაობის უნარით აღჭურვილი მოქალაქე. ამიტომ ორატორი წინააღმდეგია სწავლა-განათლების ვიწრო-პრაქტიკულ ნიადაგზე განვითარებისა.“³⁷⁴

თეოდორე კიკვიძის მოხსენება: „სამეურნეო სკოლების შესახებ. ევროპაში მცხოვრებთა 80% ცხოვრობს ქალაქში, დანარჩენი 20% კი სოფელში. ევროპის ხალხი მრეწველობას უფრო ეწევა, ვიდრე სასოფლო მეურნეობას. ჩვენში კი 20% სოფლად ცხოვრობს და მიწის დამუშავებას უფრო მისდევს, ვიდრე მრეწველობას. თუ სამეურნეო სწავლა-განათლება სათანადო საფეხურზე იქნება დაყენებული, ჩვენი ქვეყანა თანდათანობით გადაიქცევა სამრეწველო ქვეყნად. ჩვენ დღემდე არავითარი სამეურნეო სკოლები არ გვქონია: იყო მხოლოდ სამეურნეო განყოფილება დაბალი ტიპის სასწავლებლებთან და ბაღები, სადაც ბავშვებს ამუშავებდნენ. ჩვენი ეხლანდელი აგრონომები თეორიულად მომზადებულნი არიან, მაგრამ პრაქტიკულად ვერ ავრცელებენ თავიანთ ცოდნას ჩვენში. უნივერსიტეტთან არსებულმა სააგრონომო განყოფილებამ უნდა მოგვცეს მომზადებული კადრი აგრონომებისა, მაგრამ გარდა უნივერსიტეტისა დაბალმა და საშუალო სკოლამ უნდა მოამზადოს აგრონომები. ვისარგებლოთ დაწინაურებულ ქვეყნების მაგალითით, გავაკეთოთ ის, რაც ხალხისათვის საჭიროა: სისტემატიურად, მწყობრად, თანდათანობით მოვაგვაროთ სამეურნეო განათლების საქმე.

ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნება ისეთ პირობებს წარმოადგენს, რომ ერთსა და იმავე რაიონში მრავალგვარი დარგი მეურნეობისა ვარგობს და ხელსაყრელია ერთსა და იმავე სასწავლებელში. ყველაფრის სწავლება ძლიერ რთული და ძნელი მოსახერხებელია რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილას. რამდენიმე დაბალი ტიპის სამეურნეო სკოლა უნდა

³⁷⁴ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. #244, ფურც. 3

გაიხსნას. გადაისინჯოს და შესწორდეს დაბალი ტიპის სამეურნეო სკოლის პროგრამა. დაარსდეს ორი საშუალო სამეურნეო სკოლა: ერთი აღმოსავლეთ, ხოლო მეორე დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში მევენახეობა პირველხარისხოვან ადგილზე უნდა იქნეს დაყენებული და მეორეზე სხვა კულტურული მცენარეების მოშენება. უნდა ეთხოვოს მიწათმოქმედების სამინისტროს დაჩქარებით წარმოუდგინოს განათლების კომისიას თავისი გეგმა და განზრახვანი სამეურნეო სწავლის მოწყობის თაობაზე. სკოლების გახსნას თან უნდა სდევდეს სახელმძღვანელოების და ხელსაწყოების დამზადებაზე ზრუნვა, თუ გვინდა ავიციდნოთ ეკონომიური კრიზისი, ასე უნდა მოვაწყოთ სამეურნეო სკოლები“.³⁷⁵

რაც შეეხება საოსტატო სემინარიებს, ამ მხრივ აქ საქმე უფრო ადვილად წყდება: ხონის სემინარია უკვე მეორე წელია, რაც ფაქტიურად გაქართულებულია როგორც მოწაფეთა, ისე მასწავლებელთა მხრივ: შარშან არც ერთი რუსი მოწაფე არ შესულა სემინარიაში და ვინც იყო, ისიც გადავიდა რუსეთს. გორის სემინარიაში რამდენიმე განყოფილება არსებობს: ქართული, თათრული და რუსული. აგრეთვე სომხურიც. რუსული განყოფილება ზემოთ დასახელებულ მიზეზთა გამო ბუნებრივია დაიკეტება; თათრული განყოფილების არსებობას ეკარგება აზრი ამიერკავკასიის დანაწილების შემდგომ, მით უმეტეს, რომ მათთვის (თათრებისთვის) განჯაშია საკუთარი სემინარია გახსნილი, ხოლო სომეხთათვის ერე-ვანში.³⁷⁶ მხოლოდ სოხუმის სემინარიას ექნებოდა ორი განყოფილება: ქართული და აფხაზური. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო სახალხო სკოლები დასავლეთ საქართველოში, სადაც სახალხო მასწავლებლებს დაკისრებული აქვთ უმეტეს შემთხვევაში არა საშუალო სპეციალურ ცოდნით აღჭურვილ პირთ. ეს კი ხდება იმიტომ, რომ დასავლეთ საქართველოში არსებულ ერთადერთ სპეციალურ სასწავლებელს - ხონის საოსტატო სემინარიამ ვერ შეძლო მიეცა ამ მხარისათვის საკმარის რიცხვი მასწავლებლებისა, ამიტომაც დღეს ხონის საოსტატო სემინარიასთან დაარსება ორი პარალელური კლასისა - მოსამზადებლის და პირველისა, მეტად დროიანად აღძრული კითხვაა და საჭიროცაა იგი სახალხო განათლების ინტერესების მიხედვით გადაწყდეს, ე. ი. დაუყონებლივ გაიხსნას იქ ორი პარალელი.³⁷⁷ აგრეთვე დღის წესრიგში დადგა ქართული ენის სავალდებულოდ დაწესების შესახებ ყველა სკოლაში, მაგრამ გაითვალისწინეს რა ის გარემოება, რომ არა ქართველებმა არ იცოდნენ ქართული ენა და თვლიდნენ, რომ მათ ყოფნას საქართველოში დროებითი ხასიათი ჰქონდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ პირველ ოთხ კლასში ყოფილიყო სავალდებულო ქართული ენის სწავლება, ხოლო შემდგომ კლასებში სურვილის შესაბამისად. რაც შეეხება საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხს, ამ შემთხვევაში მიიღეს დებულება რუსულ ენაზე სწავლების არსებული გარემოების გათვალისწინებით.³⁷⁸

რაც შეეხება ბათუმის საკითხს: „ბათომში ქართველთა რიცხვი დღეს შედარებით მცირედ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ქალაქში არ არსებობს ქართული საშუალო სკოლა და მშობელნიც, რომელთაც შვილები სასკოლო ასაკის ყავთ იძულებულნი არიან დარჩნენ ბათუმის გარეთ და გარემოება კი საგრძნობლად აფერხებს ქალაქში ქართველების გაძლიერებას.

³⁷⁵ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. #302, ფურც. 1

³⁷⁶ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #453, ფურც. 4

³⁷⁷ იქვე, ფურც. 39

³⁷⁸ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #453, ფურც. 52

ადგილობრივ ქართველთა ეროვნულმა საბჭომ გაითვალისწინა ყველაფერი ეს და გადაწყვიტა გახსნას ქალაქ ბათომში შერეული /ქალ-ვაჟთა/ გიმნაზია, რაც შეიძლება სასწრაფოდ.“³⁷⁹

1918 წლის 13 სექტემბრის დადგენილებით, განათლების სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა: „გახსნას სახელმწიფო ხარჯით უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლები შემდეგ ადგილებში: 1. სოფელ საგარეჯოში /თბილისის მაზრა/, 2. ქვემო მაჩხაანსა და 3. გურჯაანში /სიღნაღის მაზრა/, 4. მცხეთაში /დუშეთის მაზრა/. 5. ბორჯომში /გორის მაზრა/. 6. ოსეთის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში /გორის მაზრა/ და 7. ნამძალაძეში, როგორც ტფილისის განაპირას და უსკოლოდ დარჩენილ ადგილში / აქ გადაკეთდეს არსებული რკინისგზის 2 კლასიანი სასწავლებელი უმაღლეს-დაწყებით სასწავლებლად/. ამას გარდა ხაზინამ მიიღო თავის ხარჯზე უკვე არსებული საზოგადოებათა უმაღლესდაწყებითი სასწავლებელი. 8. დუშეთისა. 9. ცხინვალის და 10. სიღნაღის ყოფილი სასწავლებლის ზედმეტი ხარჯები, რაც უმაღლეს დაწყებით სასწავლებლად გადაკეთებით არის გამოწვეული....“

... არსებული სასკოლო ბადის მიხედვით ისეთ ადგილებად, სადაც უნდა გახსნილიყო ხაზინის ხარჯით უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლები, ცნობილია: 1. ჩოხატაური /გურიაში/, 2. ხარაგაული და 3. ჩხარი /ზემო იმერეთში/, 4. ლაილაში /ლეჩხუმის მაზრა/ და 5. ხორგა /ზუგდიდის მაზრა/. ამასთანავე ხაზინამ უნდა მიიღოს თავის თავზე ბანძისა და ზუგდიდის ყოფილი მეორე კლასიანი სამასწავლებლო სკოლების და ხონის ქალთა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ის ზედმეტი ხარჯიც, რომელიც ამ სასწავლებელთა გადაკეთებით არის გამოწვეული“.³⁸⁰

შემუშავებულ იქნა სპეციალური პროექტი „სასოფლო-სამეურნეო განყოფილების დებულება“, რომლის მიხედვით: „ამგვარ სასწავლებლებში მიიღებიან მაღალი და დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებულნი ანდა შესაფერისად მომზადებულნი პირნი. ამ სასწავლებელში სწავლა გრძელდება 4 წელიწადი /რვა სემესტრი/, ორი უკანასკნელი სემესტრი /7-8/ განსაკუთრებით უნდა მოხმარდეს პრაქტიკულ მუშაობას სკოლის ანდა სხვა რაციონალურად მოწყობილ მეურნეობაში. პირველი წელიწადი დანიშნულია საბუნებისმეტყველო საგნების საფუძვლიანად შესწავ-ლისათვის და მხოლოდ მე-4 სემესტრიდან იწყება სპეციალობის შესწავლა“.³⁸¹ ასევე გათვალისწინებული იყო სასოფლო მეურნეობის პირველდაწყებითი და პრაქტიკული სკოლების დაარსება. „სასოფლო მეურნეობის დაბალ /ზოგადი/ სკოლების დაარსება სამინისტროს აზრით საჭიროა დაბალი აგრონომიული პერსონალი პირველდაწყებით სკოლებში პრაქტიკული სამეურნეო მეცადინეობისათვის ხელმძღვანელების მოსამზადებლად. ეს სკოლები მოამზადებენ აგრეთვე მუშაობის ხელმძღვანელებს პირველ დაწყების და პრაქტიკულ სამეურნეო სკოლებში. ამგვარ სკოლებში სწავლა უნდა გრძელდებოდეს 3 წელიწადი, ამასთანავე შეიძლება გაიხსნას მე-4 პედაგოგიური კლასი, პირველდაწყებითი და პრაქტიკული სამეურნეო სკოლებისათვის საჭირო მასწავლებლების მოსამზადებლად“.³⁸² ამასთან გათვალისწინებული იყო აღნიშნული სკოლების საშუალო სკოლებად გადაკეთება.

³⁷⁹ იქვე, ფურც. 62

³⁸⁰ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. #77, ფურც. 48

³⁸¹ იქვე, ფურც. 5-6

³⁸² სცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ. # 533, ფურც. 6

ამგვარი სკოლების დაარსება განზრახულია საქართველოს უმთავრეს სასოფლო მეურნეობის რაიონებში: სოხუმსა და ლანჩხუთში, სადაც უმთავრესად მისდევდნენ სუბტროპიკული კულტურების მოყვანას, გორის მაზრაში, სადაც გავრცელებული იყო მემინდვრეობა, მებალეობა და მებოსტნეობა, დუშეთის მაზრაში განზრახულია წინამძღვრიაანთ კარის სკოლის გადაკეთება ამ ტიპის სკოლად მემინდვრეობის და მებალეობის დარგში. ასევე, ამ ტიპის სკოლების გახსნა მანგლისის ახლო მდებარე სახელმწიფო მამულში, თბილისის მაზრის შუა ზონაში, სადაც სოფლის მეურნეობის უმთავრეს დარგს შეადგენდა საქონლის მოშენება და მემინდვრეობა. შემდეგში ეს სკოლაც უნდა გადაკეთებულიყო საშუალო სასწავლებლად.³⁸³ „სამოსწავლო გეგმის მიხედვით ამ სკოლებში მოწაფეები იმეორებენ სამშობლო ენას, არითმეტიკას, ეცნობიან ბუნებისმეტყველებას, მიწის ზომვას, ადგილობრივ მეურნეობას და უმთავრეს კანონებს. პრაქტიკული მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს გლეხურ ტიპზე მოწყობილ სამაგალითო მამულში. გარდა ამისა, მასწავლებლები თვალყურს ადევნებენ და ხელმძღვანელობენ მოწაფეების მუშაობას მათ საკუთარ ადგილ-მამულში. ამასთანავე პირველდაწყებითი სასოფლო-მეურნეობის სკოლების და საზოგადო სკოლების ერთმანეთთან დაკავშირება საშუალებას აძლევს მასწავლებლებს შეადგინონ ე. წ. ბავშვების მიწათმოქმედების საზოგადოება /კლუბი, რომელმაც დიდი სარგებლობა მოიტანა ჩრდილო ამერიკაში, რადგან მაგვარი კლუბი მოწაფეებს სოფლის მეურნეობის სიყვარულს ასწავლის.“³⁸⁴ აღნიშნულ სკოლებს აარსებენ ერობები თავის ხარჯით. ამგვარი სკოლები უვე არსებობდა საქარის სანერგესთან და 1919 წელს ზაფხულში ამგვარივე სკოლა გაიხსნა სკრის მამულში. 1920 წლისთვის იგეგმებოდა ხელახლა გახსნილიყო დროებით დახურული თბილისის ბოტანიკურ ბაღთან და სოხუმის საცდელ სადგურთან არსებული პრაქტიკული სკოლები. ასევე, გათვალისწინებული იყო აღნიშნული სკოლების დაარსება სახელმწიფო მამულებში, თბილისში მებოსტნეობის, წინანდალში, ნაფარულში, მუკუზანში, ჭიათურაში, მუხრანში, მანავში, ვარციხეში, ზედუბანში და სხვა.³⁸⁵

საშუალო სასკოლო მეურნეობის სასწავლებლები. „20. საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში სწავლის კურსი ოთხწლიანია და ამის მიხედვით იგი იყოფა 4 კლასად. ამათში პირველი მოსამზადებელია, 2-3 დანიშნულია სასოფლო მეურნეობის საგნების შესასწავლად სპეციალობების მიხედვით და მე-4 პრაქტიკული. მიწათმოქმედების მინისტრის ნებართვით შეიძლება ამ სასწავლებლებში გაიხსნას დამატებითი განყოფილება ან კლასი მოწაფეების რომელიმე სასოფლო მეურნეობის მოღვაწეობისათვის ანდა სასწავლებელში მისაღებად“.³⁸⁶

სასწავლებლებში გადიან შემდეგ საგნებს: მცენარეული სისტემატიკის მორფოლოგიას, ანატომიას და ფიზიოლოგიას, ზოოლოგიას ანტომოლოგიითურთ, ცხოველებთა ფიზიოლოგიას, არა ორგანულ, ორგანულ და ანალიტურ ქიმიას, ფიზიკას, მექანიკითურთ, მეტეოროლოგიას, მინერალოგიას და გეოლოგიას, გეოდეზიას, სასოფლო მეურნეობის ჰიდროვლიკას, სასოფლო მეურნეობის ეკონომიას და ანგარიშს და კანონით მეტყველებას და სხვა.³⁸⁷ აგრეთვე გათვალისწინებული იყო სოფლის მეურნეობის დაბალი სასწავლებლის

³⁸³ სცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ. #533, ფურც. 6

³⁸⁴ იქვე, ფურც. 7

³⁸⁵ სცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ.# 533, ფურც. 7

³⁸⁶ სცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ.# 533, ფურც. 11

³⁸⁷ იქვე, ფურც. 12

დაარსება, რომელიც სამ კლასად იქნებოდა გათვალისწინებული. აღნიშნულ სკოლებში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: ქართული ენა, არითმეტიკა, გეომეტრია, გეოგრაფია, ეთიკა, ისტორია, ხაზვა, მიწის ზომვა, ბოტანიკა, ზოოლოგია, ქიმია, ფიზიკა და მეტროლოგია, მცენარეთა მოვლა-გაშენება, მეზღვეობა, მეზოსტნეობა, მევენახეობა და მეღვინეობა, საქონლის მოშენება, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, სოფლის მეორნე-ობის ეკონომია, სოფლის მეურნეობის ანგარიში და „კანონმეტყველება“. დამატებით პედაგოგიურ კლასში - ბუნებისმეტყველება და სასოფლო მეურნეობის საგნების მეთოდისკას, ფსიქოლოგიას, ქართული ენა და არითმეტიკის მეთოდისკა. პირველდაწყებითი სასოფლო მეურნეობის სკოლები ოთხ წლიანია და განაწილებულია ორ კლასად. სკოლაში ასწავლიან: წერა-კითხვას და ანგარიშს, მოკლე ცნობას ბუნების მოვლენების შესახებ, იმართება კითხვა და ბაასი ადგილობრივ სოფლის მეურნეობის საკითხებზე, მიწის ზომვის მარტივ საშუალებებს, რესპუბლიკის ძირითად კანონებს და სოფლის მეურნეობის კანონებს³⁸⁸ პრაქტიკულ სასოფლო მეურნეობის სკოლები ერთიდან სამ წლიანია. სწავლებას საფუძვლად ედება პრაქტიკული მეცადინეობა, რომელიც შესდგება სასოფლო მეურნეობის და სახელოსნო მუშაობის წარმოებაში.³⁸⁹

2. მასწავლებელთა განათლების საკითხი

1918 წელსვე გათვალისწინებული იყო სპეციალური კურსები მასწავლებელთა მოსამზადებლად. „კურსები უნდა მოეწყოს 250 მსმენელისათვის, თითოეულ მსმენელს უნდა მიეცეს ხარჯებისათვის დახმარება 400 მანეთი თვიურად. ქართული სკოლებისათვის უნდა მომზადდეს 200 მასწავლებელი, ას-ასი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსთვის, ხოლო 25-25 მუსულმანურისა და ბერძნული სკოლებისათვის. კურსების მოსაწყობად და შესანახად საჭირო იქნება 334 000 მანეთი.³⁹⁰ 1918 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის 62-ე სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის აზრი საღვთო სჯულის შემოღებასთან დაკავშირებით: „ვინაიდან ამ ხმობით არავითარი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ინტერესი არ მოითხოვს ნაჩქარევად საღვთო სჯულის გაუქმებას საქართველოს სკოლებში და ვინაიდან ამ საკითხს შეუძლია ხალხში დიდი აშლილობა გამოიწვიოს, უკეთუ იგი გადაიჭრა ხალხის წინასწარ დაუკითხავად, ამიტომ ეს საკითხი ხალხის დასაკითხავად უნდა იქნას გატანილი მომავალ საარჩევნო კომპანიაში და მისი გადაჭრა მიენიჭოს დამფუძნებელ კრებას.“³⁹¹

განათლების სფეროს წარმომადგენლები მსჯელობდნენ შემდეგს: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველებისა და ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტთან ახლავე უნდა გაიხსნას 13პედაგოგიური ინსტიტუტი“, რომლის მიზანსაც ჩვენი საშუალო სკოლისა და ე.წ. უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლის მომზადება უნდა შეადგენდეს, „ინსტიტუტში“ უნდა ირიცხებოდეს ყველა სტუდენტი, რომელსაც მომავალში მასწავლებლობა აქვს განზრახული. ინსტიტუტი ორი საფეხურისაგან უნდა შედგებოდეს, თითოეული ორ-ორი წლის კურსით. პირველი საფეხურის გავლა მსმენელს უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის ხარისხს უნდა ანიჭებდეს, ხოლო ვინც ორსავე საფეხურს დაასრულებს, მას საშუალო სკოლის მასწავლებლობის უფლება ეძლეოდეს: ინსტიტუტში უნდა ისწავლებოდეს შემდეგი საგნები: 1.

³⁸⁸ სცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ.# 533, ფურც. 12

³⁸⁹ იქვე, ფურც. 13

³⁹⁰ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ.#263, ფურც. 2

³⁹¹ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ.# 261, ფურც. 8

ყველასათვის საერთოდ: ა. პედაგოგიური პსიქოლოგია, ბ. საშუალო ჰიგიენა გ. პათოლოგიური პედაგოგიკა დ. სკოლის ორგანიზაცია და სკოლის ისტორია. ხოლო სპეციალურად დარგების და მიხედვით - ისტორია და მეთოდოლოგია საშუალო საგნებისა - მეცნიერებათა ისტორიასთან დაკავშირებით: 1. ქართული ენისა და მწერლობის, 2. ისტორიის, 3. გეოგრაფიის, 4. მათემატიკის, 5. ბიოლოგიურ მეცნიერებათა, 6. ფიზიკისა და ქიმიის, 7. ხელოვნებათა - სიმღერა-გალობა, ხატვა, ძეგლწვა, ხელგარჯილობა, მუსიკა; 8. არანორმალურ ბავშვთა აღზრდა.³⁹²

„პედაგოგიურ ინსტიტუტს“ ნება უნდა ჰქონდეს თავის მსმენელს ამა თუ იმ პედაგოგიურის თვალსაზრისით საჭირო სამეცნიერო დარგის უნივერსიტეტის ფაკულტეტზე მოსმენა და შესწავლა დაავალოს, ასეთ დარგებად ახლავე შეიძლება შემდეგი საგნები ჩაითვალოს: 1. ანატომია, 2. ფიზიოლოგია, 3. ლიტერატურის ისტორია, 4. ხელოვნების ისტორია, 5. ფილოსოფიის ისტორია, 6. ფსიქოლოგია, 7. უფლების ენციკლოპედია. ამ დარგებიდან სავალდებულო მართო ორი უნდა ითვლებოდეს.³⁹³ სხვადასხვა კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით განათლების სფეროს წარმომადგენლების მსჯელობდნენ ევროპის მაგალითებზე. ერთ-ერთ დოკუმენტში განხილულია იტალიის მაგალითი. „უნივერსიტეტის ორ ფაკულტეტთან ფილოსოფიურსა და ფიზიკო-მათემატიკურთან - თითოეული scule di magistero არსებობს, სადაც სტუდენტს პირველსავე კურსიდან შეუძლია ჩაირიცხოს. უნივერსიტეტში იგი ჩვეულებრივი წესით მუშაობს, ხოლო ამ პედაგოგიურ-დიდაკტიური თვალსაზრისით სწავლობს იმ მეცნიერების დარგს, რომელსაც უნივერსიტეტში მეცნიერული მხრით ითვისებს, მაგრამ სანამ scule di magistero-ში ამა თუ იმ საგნის პედაგოგიურ შესწავლას შეუდგებოდეს, უნივერსიტეტში მას ამ საგანში უკვე ჩაბარებული უნდა ჰქონდეს გამოცდა. კურსი აქ ისე, როგორც ფაკულტეტზეც, ოთხ წელიწადს გრძელდება. ხოლო, ვისაც საშუალო სკოლის უმცროს კლასებში სურს მასწავლებლობა, მისთვის მართო ორი წლის კურსია საკმარისად მიჩნეული - ამ გზით სკოლის ორივე საფეხური მასწავლებელს ამზადებს: დაბალი საფეხურისას და საშუალო სკოლისას.³⁹⁴ „პედაგოგიური ინსტიტუტის“ ხარჯთაღრიცხვა: 1. დირექტორის თანამდებობა - 9000, 2. ლექციების - 50 საათი, თითოეულს - 900, სულ: 45 000. კაბინეტების ხელმძღვანელთ - 8, თითოეულს 2400, სულ: 19000. 4. ბიბლიოთეკის გამგეს - 2 400. 5. საბჭოს მდივანს - 2 400. 6. საქმის მწარმოებელს - 6000. 7. შენობის მოვლა - 21 000. 8. დარაჯებს - 6, 4 200, სულ 25 200. სულ ჯამი: 129 000.³⁹⁵

„...ფართო მასაში კულტურის განვითარების მხრით თითქმის არაფერია გაკეთებული. მე აქ არ ვეხები სახალხო უნივერსიტეტებს, რომელშიც ითვლება მოქმედად თითქმის ყველა დაბა-ქალაქებში ან სხვა სახალხო-საკულტურო დაწესებულებებს, სადაც აგრეთვე ვერ არის სავსებით კარგად დაყენებული მშრომელ მასაში კულტურულად მუშაობის საქმე, რადგანაც ბარათის პირდაპირ მიზანს შეადგენს მეორე და არა ნაკლებ უმნიშვნელოვანესი საფუძველი - მუშათა კლუბების - მუშათა კულტურული ოჯახები. საქართველოში მუშათა კლუბი მოიპოვება მხოლოდ თბილისში და აქაც მათი ცხოვრება არა ნორმალურ და შესაბრალის მდგომარეობას წარმოადგენს. თბილისის მუშათა კლუბები ეხლა მხოლოდ ცუდი და უხეიროდ დადგმული

³⁹² სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #700, ფურც. 4

³⁹³ იქვე, ფურც. 4

³⁹⁴ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #700, ფურც. 3-4

³⁹⁵ იქვე, ფურც. 7

პიესებით ცხოვრობენ. მსახიობები უმთავრესად განუვითარებელი სცენის მოყვარულნი არიან, თამაშობენ ისე, რომ ხელოვნებისას ვერაფერს იპოვის ადამიანი, საქმის ასეთი დაყენებით კლუბები უმთავრესად ხალხში კულტურის დახშობას ემსახურებიან და არა ამალღებას. მუშათა ცენტრალურ კლუბშიაც საქმე ბევრად უკეთ ვერ არის. ჯერჯერობით ამ კლუბს აქვს მხოლოდ პროექტები. პროექტების შესრულება კი შეუძლებელია უსახსრობის გამო. კლუბთან განზრახულია ცენტრალური დრამატული სტუდია, სადაც ის დიდი სამსახიობო მასალა, რომელიც მოიპოვება თბილისის მუშათა კლუბების სცენისმოყვარეთა შორის მომზადებული იქნება საპასუხისმგებლო ნამდვილი პროლეტარულ-კულტურული სცენის სამსახურისათვის. ამ სტუდიასთან განზრახულია სასცენო საინსტრუქტორო სკოლა, რომელიც ყოველივე კულტურულ დასაწყისს და გამოცდილებას გადაიტანს. რაიონებში განზრახულია მთელი რიგი სხვადასხვა საინსტრუქტორო სკოლების მოზარდ თაობაში კულტურულ მუშაობის საწარმოებლად. პროლეტარი ბავშვთათვის და მოზრდილთათვის გონიერ გასართობების მოსაწყობად, სტუდია ხელოვნების ისტორიისა და თეორიის გასაცნობად, მერწვის, ხატვის და მუსიკის როგორც საერთაშორისო, ისე ქართულის შესასწავლად. აქვე განზრახულია საგუნდო სიმღერების და მუშათა ორკესტრების მოწყობა. სასურველია აგრეთვე სტუდია სიტყვიერების სახელოსნო, ე. ი. შესწავლა მხატვრულ შემოქმედების მიმოხვრისა. ამ მუშაობაში განზრახულია ჩავაბათ საქართველოს და სხვა საუკეთესო სამხატვრო სამეცნიერო ძალები“.³⁹⁶

დასკვნა

ამდენად, როგორც წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები და არა მხოლოდ, აქტიურად მსჯელობდნენ განათლების სფეროს გაძლიერებისთვის. აქტიური ბრძოლა მიმდინარეობდა რუსიფიკაციის მავნე გადმონაშთების გაუქმებისკენ და ცდილობდნენ ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შექმნას, რომელიც ქართულ რეალობას მოერგებოდა და ქვეყნის განვითარებას შეუწყობდა ხელს.

1918-1921 წლებში განხორციელდა არაერთი რეფორმა, რომელსაც შედეგად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და რელიგიური გარდაქმნები უნდა მოყოლოდა. განათლების საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

მართალია, 1918 წელს 26 მაისს აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, თუმცა სხვა მრავალი პრობლემის მოგვარებასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა განათლების რეფორმას. 117 წლის მანძილზე რუსული განათლების სისტემამ უარყოფითი კვალი დააჩნია ქართულ ეროვნულ ცნობიერებას და ამიტომ აღნიშნული მოვლენის ქართულ რეალობაზე მორგება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა.

განათლების როლი და ფაქტორი საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა და ამათუიმ საუკუნეში ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე საზოგადოების ცნობიერების ფორმირება-განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა. იმ პერიოდში, როდესაც

³⁹⁶ სცსა, ფ. 1830, აღწ. 1, საქ. #9, ფურც. 158

საგანმანათლებლო სივრცეს ყურადღება მიექცა და სკოლას, უმაღლეს სასწავლებელს არა მხოლოდ განათლების მიცემის, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ფუნქცია მიენიჭა, საქართველო ამ ყოველივეს განსხვავებულ რეალობაში ხვდება. რუსული მმართველობის სისტემამ განათლება მაქსიმალურად გამოიყენა ქართველი ხალხის გარუსების და გარდაქმნისათვის. სწორედ ამიტომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ პოლიტიკურ თუ კულტურულ ელიტას ორმაგი საპასუხისმგებლო მისია დაეკისრა. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებასთან ერთად, საგარეო თუ საშინაო პრობლემების გადაჭრის ფონზე განათლების რეფორმა ქვეყნის ამოსავალი პრინციპი გახდა.

ბუნებრივია, განათლების პრობლემით დაინტერესება მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობისთვის არ ყოფილა დამახასიათებელი და ამ ყოველივეს გარკვეული წინაპირობები გააჩნდა. დავიწყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში იწყება სრულიად ახალი ეტაპი, რაც გულისხმობდა განათლების მასშტაბის განსაკუთრებულ გაზრდას და რაც მთავარია მის ხელმისაწვდომობას ყველა სოციალური ფენისათვის. განათლების გავრცელების საშუალებებს და მეთოდებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისი მასობრიობის საკითხი იყო. სწორედ აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება საგანმანათლებლო ცენტრების რაოდენობის გაზრდა, განათლების ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა, მისი დაკავშირება ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ წინსვლასთან, ეროვნული ცნობიერების ამაღლებასთან.

როგორც უკვე აღვნიშნე, რუსული მმართველობის პირობებში შეზღუდული იყო საგანმანათლებლო სისტემის გააქტიურებაზე ზრუნვის აფიშირება და ქართული საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მიზანმიმართულად ზრუნავდა ამ პრობლემის მოგვარება-განვითარებაზე უფლებაშეკვეცილი იყო. 1918 წლიდან ამ მიმართულებით სრულიად ახალი ეტაპი იწყება.

საზოგადოებას აქვს უფლება იცოდეს³⁹⁷

პენტაგონის ქაღალდების³⁹⁸ ბოლოდროინდელ პუბლიკაციაში, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი აშშ-ს (ამერიკის შეერთებული შტატები) ვიეტნამში მონაწილეობა და კოლუმბიის სამაუწყებლო სისტემის პროგრამის რედაქტირების შესახებ დავა, სადაც „პენტაგონის გაყიდვა“-მ ეროვნული ყურადღება გაამახვილა დემოკრატიის გარდაუვალ კონფლიქტზე: მთავრობის მხრიდან აუცილებელია საიდუმლოების დაცვა ეროვნული ინტერესების დასაცავად, საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს მისი ხელისუფლების მუშაობის შესახებ და მედიას აქვს პასუხისმგებლობა ახალი ამბების გაშუქებისას.

ჩვენი მმართველობის ფორმა ემყარება მოქალაქეთა ინფორმირებულობას, რომლებიც მონაწილეობს იღებენ გადაწყვეტილებების მიღებაში. ამ პრინციპით ივარაუდება, რომ ხალხს უნდა ჰქონდეს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, რათა გონივრული არჩევანი გააკეთოს. ამასთან, ხელისუფლების მხრიდან უდავოა, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებისათვის უცნობი იქნება, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაცია უპირატესი იქნება მტრულად განწყობილი ერებისათვის ან სერიოზულ ზიანს მიაყენებს ეროვნულ ინტერესს. მედიას აქვს ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რომ საზოგადოებას სამართლიანი და ზუსტი ინფორმაცია მიაწოდოს მთავრობის მუშაობის შესახებ.

პასუხისმგებლობისა და საზოგადოების წინაშე არსებული ვალდებულებების ხასიათიდან გამომდინარე, ასევე, დემოკრატიის გზაზე მყოფი მთავრობისა და მედიის გათვალისწინებით, კონფლიქტები გარდაუვალია, რომლის უახლეს მაგალითებს - „Pentagon Papers“-ის და „CBS-ის პროგრამა“-ს მიერ გაცხადებული „პენტაგონის გაყიდვა“ წარმოადგენს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საგარეო ოპერაციებისა და მთავრობის ინფორმირების ქვეკომიტეტის წევრმა, რომლის წევრიც მე ვარ, მოსმენა გამართა „საზოგადოების ცოდნის უფლების“ შესახებ. სწორედ ამ უფლების დაცვის მიზნით, 1955 წელს შეიქმნა ქვეკომიტეტი, რომელსაც პირდაპირ განეკუთვნება, რომ გამოიძიოს და დაიცვას მითითებული უფლება.

მრავალი წლის განმავლობაში, ქვეკომიტეტში ჩემი მოღვაწეობისა და იმის გათვალისწინებით, რომ „საზოგადოების ცოდნის უფლების“ საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი დემოკრატიის გადარჩენისთვის, მე მოვახდინე ამ სფეროს ძირითადი შესწავლა, რის შესახებაც ჩავატარე არაერთი კვლევა, რომლის შესახებ დასკვნებიც მოყვანილია წინამდებარე სტატიაში.

* შეერთებული შტატების წარმომადგენელი ნიუ იორკის 36-ე კონგრესის ოლქში, მთავრობაში, მცირე ბიზნესის და კოლუმბიის ოლქის პალატაში.

* სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. PhD in Law, Associate Professor of the faculty of Law and International Relations at Georgian Technical University.

³⁹⁷ გადაბეჭდილია გამომცემლობა „საქმე და კომენტარი“-ს სპეციალური ნებართვით, 1972 წლის იანვარი-თებერვლის გამოცემიდან, ტომი 77, მე-11 გამოცემა. საავტორო უფლებები 1972 წელს, „The Lawyers Cooperative Publishing Company“ და „Bancroft-Whitney Company“.

³⁹⁸ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის გასაიდუმლოებული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია.

ჩრდილოეთ კაროლინის სამართლის ცენტრალური ჟურნალი

წინამდებარე სტატია მიმოიხილავს უსაფრთხოების და დაცულობის კლასიფიკაციას, ასევე, სამთავრობო ინფორმაციის გასაიდუმლოების მთელ რიგ საკითხებს. აღნიშნული მოიცავს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემული N10501 ბრძანების ანალიზს, რომელიც ასახავს იმ პირობებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ინფორმაციის გასაიდუმლოება და გამჟღავნება, ისევე, როგორც აღმასრულებელი პრივილეგია, რომელიც განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლების იმ მონაცემებს, რომლებიც შეიძლება უარყოფილ იქნას კონგრესის მიერ.

1966 წელს მიღებული და 1967 წელს ამოქმედებული კანონი „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“, მიზნად ისახავდა საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობასა და წვდომას საჯარო ინფორმაციაზე, რათა შემდგომში თავიდან ყოფილიყო აცილებული სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან ინფორმაციის არაჯეროვნად და დაუსაბუთებლად დაფარვა, რაც სრულიად გაუმართლებლად იქნა მიჩნეული. ინფორმაციის თავისუფლება ასევე, განიხილება როგორც საზოგადოების უფლება, რომ იცოდეს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ, ეს უფლება კი ინფორმირებული საზოგადოების მნიშვნელოვანი ელემენტია.

მედია საშუალებების მიერ გაშუქებული ინფორმაციის ნამდვილობაზე ასევე გამახვილებულ იქნა ყურადღება. მედია საშუალებები დაცულია კონგრესის შეზღუდვებისაგან ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორების შესაბამისად, რომელიც ამბობს, რომ: „კონგრესი არ მიიღებს კანონს სიტყვის ან პრესის თავისუფლების შესახებ“.

აღმასრულებელი ხელისუფლების ბრძანება N10501 - უფლებამოსილება ფედერალური საიდუმლოების შესახებ

პრეზიდენტის N10501 ბრძანება ადგენს რეგულაციებს, რომლის შესაბამისად, სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებს აქვთ უფლებამოსილება, რომ გარკვეული სახის ინფორმაციას მიანიჭონ საიდუმლო კლასიფიკაცია, ასევე, თუ რომელი პირები არიან უფლებამოსილი მოახდინონ ინფორმაციის გასაიდუმლოება შემდგომში საზოგადოების ხელმიუწვდომლობის თვალსაზრისით, აგრეთვე, რა ვადით უნდა იქნეს გასაიდუმლოებული კონკრეტული მასალები და რა პროცედურები უნდა იქნეს გამოყენებული ინფორმაციის დეკლასიფიკაციის (გასაჯაროების) თვალსაზრისით მაშინ, როდესაც ინფორმაცია აღარ წარმოადგენს სენსიტიურს და შესაძლებელია საზოგადოებისათვის გახდეს ხელმისაწვდომი.

პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანება, რომელიც ფართო პერსპექტივებზე იყო გათვლილი, მიღებულ იქნა 1953 წლის ნოემბერში, რომელშიც სულ მცირე ექვსი შესწორება იქნა შეტანილი. ბრძანების სახელწოდებაა „ოფიციალური ინფორმაციის დაცვა შეერთებული შტატების თავდაცვის ინტერესების გათვალისწინებით“.

როგორც დღესდღეობით ხდება ცნობილი, აღნიშნული ბრძანება აძლევდა 34 (ოცდაათხუთმეტ) სხვადასხვა ფედერალურ სააგენტოს, დეპარტამენტს, კომისიასა და ოფისის ხელმძღვანელებს უფლებამოსილებას, რომ ქვეშევრდომებისათვის მოეხდინათ თავიანთი უფლებამოსილების დელეგირება, შემდგომში მასალების კლასიფიკაციის მიზნით, თუმცა ეს უკანასკნელები არ იყვნენ უფლებამოსილი, განეხორციელებინათ უფლებამოსილების დელეგირება მათ

დაქვემდებარებაში არსებული პირებისათვის. პრეზიდენტის N10501 ბრძანება, რომელიც შედგება 14 (თოთხმეტი) ბეჭდური გვერდისაგან, იწყება შემდეგნაირად:

ვინაიდან აუცილებელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები იყვნენ ინფორმირებული თავიანთი მთავრობის საქმიანობის შესახებ და იქ, სადაც ეროვნული თავდაცვის ინტერესები მოითხოვს, რომ შეერთებულმა შტატებმა დაიცვას თავი ყოველგვარი მტრული ან დესტრუქციული ქმედებისაგან, ფარული ან გამჟღავნებული საშუალებებით, მათ შორის ჯაშუშობის ჩათვლით, ასევე, სამხედრო მოქმედებებით და იქ, სადაც აუცილებელია, რომ გარკვეული ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც გავლენას ახდენს ეროვნულ თავდაცვაზე, ერთნაირად უნდა იყოს დაცული არაუფლებამოსილი გამჟღავნებისგან, კონსტიტუციითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისად, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ჩემზედ მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც მივიჩნევ, რომ ამგვარი ქმედება აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების საუკეთესო ინტერესებისათვის, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით...

პრეზიდენტის ბრძანებაში დეტალურადაა გაწერილი თუ რა სახის ინფორმაცია შესაძლოა მიეცეს კლასიფიკაციას და პროცედურების გამოყენება უნდა მოხდეს ამ მასალების განაწილების, დაცვისა და გამჟღავნებისათვის (დეკლასიფიკაცია).

მაგალითად, სრულიად საიდუმლო მასალების კლასიფიკაციის სათანადო წესების გამოყენების მიზნით, ბრძანებაში ნათქვამია:

...სრულიად საიდუმლო კლასიფიკაცია შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმ ინფორმაციას ან დოკუმენტაციას, რომელიც უმთავრესი დაცვის ასპექტია და რომლის გამჟღავნებამაც შესაძლოა გამოიწვიოს ერისათვის განსაკუთრებული ზიანი, მაგალითად, დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს შეერთებული შტატების თავდაცვაზე, შეიარაღებული თავდასხმა შეერთებული შტატების ან მისი მოკავშირეების წინააღმდეგ, ომი, ან სამხედრო ან თავდაცვის გეგმის კომპრომეტირება, ან სადაზვერვო ოპერაციები, ან სამეცნიერო ან ტექნოლოგიური მოვლენები, რომლებიც მნიშვნელოვანია ეროვნული თავდაცვისთვის.

ბრძანება გაჯერებულია წესებითა და გაფრთხილებებით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ინფორმაციის ზედმეტად დაფარვა, ამასთან, აღნიშნული ბრძანება შეიცავს კიდევ უფრო დეტალურ აუცილებლობას, რომ თავიდან იქნეს აცილებული დაუკვალიფიცირებელი ინფორმაცია, განსაკუთრებულად მატერიალური სახით, რომელსაც მანამ სანამ არ მიენიჭება განსაკუთრებულად საიდუმლო ინფორმაციის კლასიფიკაცია, ან რომელიც თავისთავად არ შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას, მაინც დაკავშირებულია ინფორმაციასთან ან მასალასთან, რომელიც ლეგიტიმურად არის ან განსაკუთრებით საიდუმლო ან საიდუმლო ინფორმაცია.

ამასთან, ბრძანებაში დეტალურადაა აღწერილი ის პროცედურა, თუ როგორ უნდა იმოქმედოს თითოეულმა სააგენტომ, ისევე, როგორც რამდენიმე სააგენტომ ურთიერთმიმართებით, რომ მოხდეს დაფარული ინფორმაციის გამჟღავნება. თუმცა, ამკარაა, რომ ინფორმაციის გამჟღავნების უფლებამოსილება უფრო შეზღუდულია, ინფორმაციის გასაიდუმლოებასთან მიმართებით.

ბალანსის დადგენის მიზნით, პრეზიდენტის N10501 ბრძანებაში არსებითი ყურადღება ეთმობა საიდუმლო მასალების დაცვას, იმ ინფორმაციის გამჟღავნებასთან მიმართებით, რომელიც აღარ წარმოადგენს სენსიტიურს. აღნიშნულმა კი გამოიწვია ინფორმაციის გადატვირთვა და არსებითი ჩამორჩენა მილიონობით დოკუმენტაციის ნუმერიზაციის მხრივ, რომლებიც მართალია თავდაპირველად შეიცავდა სენსიტიურ მონაცემებს და უნდა ყოფილიყო დაფარული, თუმცა წლების განმავლობაში უნდა მომხდარიყო მათი დეკლასიფიკაცია, გამჟღავნება.

20 მილიონი საიდუმლო

მთავარი მიზანი, რაც საგარეო ოპერაციების დაქვემდებარების შესახებ ქვეკომიტეტის მოსმენებიდან გამოიკვამ, არის ის, რომ პენტაგონის ფურცლებზე და ზ/აღნიშნული ბრძანების პრაქტიკაში აღსრულების შედეგად, ფედერალურ სტრუქტურებში დაახლოებით 20 მილიონი დაშიფრული (კლასიფიცირებული) დოკუმენტი იყო.

ქვეკომიტეტის ერთ-ერთი წევრი, უილიამ გ. ფლორენცი, რომელიც საჰაერო ძალების სამოქალაქო უსაფრთხოების კლასიფიკაციის ოფიციალური პირი იყო, განმარტა, რომ 20 მილიონი დოკუმენტიდან 99 ½ % უნდა გასაჯაროვდეს, ეროვნული თავდაცვის კომპრომისის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები არ ეთანხმებიან მითითებულ ოდენობას, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ განსაკუთრებით საიდუმლო, საიდუმლო და სენსიტიური მონაცემების მინიმუმ 2/3 უნდა გამოქვეყნებულიყო დიდი ხნის წინ, რადგან მათი სენსიტიურობა ეროვნული უსაფრთხოების შესახებ უკვე ამოიწურა. აღნიშნული დოკუმენტების ნომენკლატურის კლასიფიკაცია როგორც საიდუმლო მონაცემებად წარმოადგენს აბსურდულს, გაზეთებში უკვე გამოქვეყნებულ სტატიებთან მიმართებით, სადაც ასახულია „ტოპ საიდუმლოების“ შემცველი ინფორმაცია, ჯარის განლაგების ამჟამინდელი გეგმების შესახებ.

მიუხედავად 1953 წელს გამოცემულ ბრძანებაში განხორციელებული რამდენიმე ცვლილებისა, რომელთა მიზანია ინფორმაციის ზედმეტი კლასიფიკაციის თავიდან აცილება, არსებული მდგომარეობა კვლავ მძიმეა, ხოლო საზოგადოების ცოდნის უფლება უფლებბელყოფილია ხშირ შემთხვევებში. ერთ-ერთმა ცვლილებამ არსებითად შეამცირა ფედერალური სააგენტოების რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაშიც შედიოდა მასალების კლასიფიკაცია.

1961 წლის იანვრამდე, ისეთ სააგენტოებს, როგორებიცაა გადამფრენი ფრინველების კონსერვაციის კომისია და ინდოეთის ხელოვნებისა და რეწვის საბჭო, ჰქონდათ უფლებამოსილება მოეხდინათ დოკუმენტაციის საიდუმლოდ კლასიფიცირება. სხვა ცვლილებებმა კი, შეამცირა კატეგორიების რაოდენობა ოთხიდან სამამდე და დადგინდა ვადები, საიდუმლო მასალების კლასიფიკაციის მიზნით, მოხდა ინფორმაციის ე.წ. „დაქვეითება“ - „განსაკუთრებით საიდუმლო“ ინფორმაციიდან „საიდუმლო“ ინფორმაციამდე, შემდგომ „კონფიდენციალურ“ ინფორმაციამდე და ბოლოს „საჯარო ინფორმაცია“-მდე.

მიუხედავად რიგი მცდელობებისა, ინფორმაციის კლასიფიკაციის სისტემა კვლავ შეიცავს დაუხარისხებელ მასალებს. მოწმეებმა კომიტეტის სხდომამდე აღნიშნეს, რომ პრობლემა მდგომარეობს მთავრობაში არსებული ხალხის განუსაზღვრელ ოდენობაში, რომელთაც უშუალოდ აქვთ ინფორმაციის გასაიდუმლოების უფლებამოსილება, თუმცა ნაკლებად

პრიორიტეტს წარმოადგენს და ნაკლები ოდენობის თანამშრომელია გამოყოფილი იმისათვის, რომ მოახდინონ მოძველებული ინფორმაციის დეკლასიფიკაცია, გაშიფვრა.

გარკვეულწილად ეს გასაგებიცაა. შეზღუდული პერსონალით და რესურსით, სააგენტო უპირატესობას ანიჭებს ამჟამინდელ მასალას, რომელიც ნამდვილად სენსიტიურია, ვიდრე იმ ფაილებში ძიება და გასაჯაროება, რომელიც საზოგადოებისათვის მოძველებულია, როგორცაა მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის ან კორეის ომის ჯარების გეგმები.

პრეზიდენტის ბრძანების მთავარი არსი და მკაცრი ჯარიმები ჯაშუშობის აქტით გათვალისწინებული საიდუმლო მასალების გამჟღავნებისათვის, ემსახურება იმას, რომ აღკვეთილ იქნეს საიდუმლო მასალების უსაფუძვლო გამჟღავნება.

თუმცა, აღნიშნული ფაქტორები ასევე ხელს უშლის არასენსიტიური დოკუმენტაციის ლეგიტიმურ დეკლასიფიკაციას (გამჟღავნებას).

სამთავრობო მუშაკები, რომლებსაც, სულ მცირეოდენი ეჭვი მაინც გააჩნიათ ინფორმაციის გასაიდუმლოებასთან ან გადაკვალიფიცირებასთან დაკავშირებით, არ იღებენ პასუხისმგებლობას ისეთი ინფორმაციის დეპერსონალიზაციაზე, რომელზეც სულ მცირედი ეჭვი მაინც აქვთ.

პრეზიდენტმა ნიქსონმა სთხოვა კონგრესს, რომ ამ უკანასკნელს მოემია 100 დამატებითი ადამიანი, რომლებსაც დაევალებოდათ II მსოფლიო ომის დროინდელი ათასობით დოკუმენტაციის გაშიფვრა, რომლებიც დღემდე მიჩნეულია როგორც საიდუმლო ინფორმაცია, მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ვიღაცას არ სურდა დამატებითი დროის ან თანხის დახარჯვა.

ეს მნიშვნელოვანი წინადადებული ნაბიჯია და ეს არის პირველი შემთხვევა მრავალი წლის განმავლობაში, როდესაც საზოგადოების ცოდნის უფლებამ ადგილი ჰპოვა პრეზიდენტის პრიორიტეტთა სიაში. თუმცა, დამატებითი ასი ადამიანით არ წყდება საერთო პრობლემა.

იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების ცოდნის უფლება და იმისათვის, რომ საიდუმლო ინფორმაცია განთავსდეს ვებგვერდზე, რომელიც შეიქმნა აღმასრულებელი ხელისუფლების N10501 ბრძანების საფუძველზე, მე ვთავაზობ რამდენიმე ნაბიჯს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გარანტია, რომ ხალხსა და კონგრესს ჰქონდეთ ისეთი ინფორმაცია, რაც ნამდვილად არ არის სენსიტიური.

საიდუმლო ინფორმაციის გასაჯაროების წინადადებები

ჩემი ანალიზის მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ადგილი არ ჰქონია მთავრობის მხრიდან საზოგადოების მოტყუებას ან შეცდომაში შეყვანას. უფრო მეტიც, მოძველებული დოკუმენტაციის გაშიფვრისთვის ყურადღების დათმობა, მათ შორის პენტაგონის გაზეთის მიერ გამოქვეყნებული მასალების ჩათვლით, არის შედეგი დაბალი პრიორიტეტული ან საერთოდ პრიორიტეტის გარეშე მყოფი დამღლევი სამუშაო, რომელიც მოიცავს თითოეული დოკუმენტის დამუშავებას, განხილვასა და გასუფთავებას შემდგომში გასაჯაროების მიზნით.

კონფიდენციალურობის ქსელის გამოყენების მიზნით, მე ვთავაზობთ რამდენიმე ნაბიჯს, რომ საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაციაზე წვდომის გარანტია იმ მომენტიდან, როგორც კი

გონივრული და შესაძლებელი იქნება მისი გამჟღავნება, რომლითაც ქვეყნის უსაფრთხოება იქნება უპირობოდ დაცული.

გთავაზობთ რამდენიმე ცვლილებას როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემულ N10501 ბრძანების მოქმედების არეალში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ:

1. თითოეულმა სააგენტომ, რომელიც ვალდებულია დაემორჩილოს N10501 ბრძანებულებით დადგენილ წესებს და უნდა მოახდინოს ინფორმაციის კლასიფიკაცია, თხოვნით მიმართოს კონგრესს და მოითხოვოს ბიუჯეტის ზრდა 1973 წლის ფისკალური სახსრებისათვის, საკმარისი და სათანადო პერსონალის დამატებით, როგორც სათაო ოფისში, ასევე, ინფორმაციის დეკლასიფიკაციის (გამიფვრამ გამჟღავნება) განმახორციელებელ სააგენტოში. ეს პერსონალი უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ შეასრულოს მათზე დაკისრებული ვალდებულება და მოახდინოს უკვე კლასიფიცირებულ საიდუმლო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, მოძველებული დოკუმენტაციის ისე განაწილება, რომ დეკლასიფიკაციის პროცესი სრულად განახლდეს 1974 ფისკალური წლის დასასრულის მდგომარეობით. რასაკვირველია, პირველ რიგში უნდა მოხდეს საჯარო ინტერესის მქონე, პრიორიტეტული და არასენსიტიური ინფორმაციის გამჟღავნება, რაც გულისხმობს ამ ორწლიანი პერიოდის რუტინული დოკუმენტაციის დამუშავებას. თითოეულ დეპარტამენტში ინფორმაციის დეკლასიფიკაციის ოფისები საკმარისად უნდა იყოს დაკომპლექტებული 1974 წლის 1 ივლისის შემდეგ, რათა მოხდეს მიმდინარე დეკლასიფიკაციის პროგრამის შენარჩუნება. ზოგიერთ სააგენტოს შეიძლება დაჭირდეს მხოლოდ ერთი ან ორი ადამიანი ამ დავალების შესასრულებლად, ხოლო სააგენტოებმა, რომლებსაც აქვთ მასალების ფართო კლასიფიკაცია, შესაძლოა მოითხოვონ მნიშვნელოვნად მეტი პერსონალის დამატება. მენეჯმენტი და საბიუჯეტო დანახარჯები პრეზიდენტის მითითებებს უნდა დაექვემდებაროს, რომ მოხდეს პრიორიტეტთა სწორი გადაანაწილება სააგენტოებს შორის, შემდგომში სააგენტოების ბიუჯეტის ყოველწლიური მიმოხილვის დროს.
2. აღმასრულებელი ხელისუფლების 10501 ბრძანებაში უნდა შევიდეს შესწორებები იმ პირობით, რომ თითოეულ კლასიფიცირებულ დოკუმენტს, გარდა იმისა, რომ უნდა დაესვას შესაბამისი შტამპი საიდუმლოების სათანადო ხარისხიდან გამომდინარე, ასევე უნდა იყოს აღინიშნოს შემდეგი:
 - ა. ოფისი და დოკუმენტაციის კლასიფიცირებაზე პასუხისმგებელი პირი;
 - ბ. ყველაზე ადრეული პერიოდი, თუ როდის იქნება დოკუმენტში მითითებული ინფორმაცია დაშვებული გამიფვრისათვის, ანუ როდის მიაღწევს საიდუმლოების ნაკლებ დონეს, და
 - გ. ოფისები ან უფლებამოსილი პირები, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება, რომ გადახედონ დოკუმენტაციის კლასიფიკაციას და მოახდინონ მათი დეკლასიფიკაცია (გამჟღავნება).
3. თითოეულმა სააგენტომ ყოველწლიურად უნდა წარუდგინონ ინფორმაცია პალატასა და სენატს განხორციელებული საქმიანობის შესახებ, რომელთა მოხსენებები უნდა შეიცავდეს:

ა. ფედერალურ სააგენტოში ამჟამად არსებული დოკუმენტაციის რაოდენობა, რომელიც კლასიფიცირებულ იქნა როგორც სრულიად საიდუმლო, საიდუმლო და კონფიდენციალური;

ბ. ნუმერაციასა და ზოგადი აღწერილობას; უკანასკნელი თორმეტი თვის განმავლობაში დეკლასიფიცირებული ან საიდუმლო ხარისხ შემცირებული ინფორმაციის შესახებ;

გ. სავარაუდო მონაცემები სააგენტოში დაგროვილი საქმეების შესახებ, ანუ კლასიფიცირებული დოკუმენტაციის რაოდენობა, რომელთა განხილვა არ განხორციელდა დეკლასიფიკაციის მიზნით, თუმცა გასულია დეკლასიფიკაციისათვის დადგენილი თარიღი.

დ. აღრიცხვა იმ მონაცემების, თუ რა ნაბიჯების გადადგმა შესაძლოა გახდეს საჭირო სააგენტოებისათვის, რომ მოახდინონ თარიღის მიხედვით, დეკლასიფიკაციისათვის განკუთვნილი დოკუმენტაციის გამჟღავნება (გაშიფვრა).

მიმაჩნია, რომ ეს შემოთავაზებული გზები, რომელიც წარვუდგინე როგორც პრეზიდენტს, ასევე, მთავრობის საოპერაციო კომიტეტებს, უზრუნველყოფს, რომ საზოგადოების უფლება, რომ ჰქონდეს წვდომა სამთავრობო ინფორმაციაზე, განზრახ (მიზანმიმართულად) ან გაუფრთხილებლობით არ გახდება ბოლო პრიორიტეტი, (როგორც ეს მოხდა პრეზიდენტის N10501 ბრძანებით), ფედერალური მთავრობის მცდელობით, რომ დაიცვას ინფორმაცია, რომელიც დანამდვილებით სენსიტიურია ეროვნული უსაფრთხოებისათვის.

აღმასრულებელი პრივილეგია

უდავოა, რომ არსებობს ნდობისა და ინფორმაციის კრიზისი, რომელიც ამერიკული საზოგადოების თანმდევი მოვლენაა. შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ამერიკის შეერთებული შტატები დგას „სანდოობის ხარისხი“-ს მიჯნაზე. უპირველეს ყოვლისა, ასეთი სანდოობის ხარვეზები არის ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის.

„პირდაპირ და სწორ ამბავს ვაშინგტონიდან?“ „ყველაფერი, რაც უნდა იცოდე არის საიდუმლო!“ ეს არის ამერიკელი მოქალაქეების ტიპიური კომენტარები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ მთავრობის სანდოობასა და ქმედითობას. გარდა ინფორმაციისადმი ნდობის დაბალი ხარისხისა, ასევე, არსებობს სხვა სანდოობის ხარვეზებიც.

ნაკლებად გავრცელებული, თუმცა ძალიან სერიოზული ინფორმაციული უფსკრული განვითარდა თვით ფედერალურ მთავრობაში, კონგრესსა და პრეზიდენტს შორის ძალიან დელიკატურ, მაგრამ მნიშვნელოვან ურთიერთობაში.

უფლებამოსილების გამიჯვნის დოქტრინის თანახმად, ფედერალური მთავრობის სამ ფილიალს შორის, პრეზიდენტი არ არის კონგრესის მაკონტროლებელი და კონგრესი არ არის პასუხისმგებელი პრეზიდენტის წინაშე. ორივე თანაბარმნიშვნელოვან ხელისუფლების შტოს წარმოადგენს. ამასთან, იმისათვის, რომ მთავრობა სრულყოფილად ფუნქციონირებდეს, აუცილებელია, რომ შეიქმნას მაღალი ხარისხით ნდობა და ურთიერთთანამშრომლობა კონგრესსა და პრეზიდენტს შორის, ასევე, აუცილებელია, რომ არც ერთმა ფილიალის მუშაობამ ხელი არ შეუშალოს სხვის სრულყოფილად ფუნქციონირებას.

ახლახანს, კონგრესსა და პრეზიდენტს შორის ინფორმაციის უფსკრულმა მიაღწია მცირე საზოგადოებრივი კრიზისის პროპორციას. აღნიშნულმა თავი იჩინა განსაკუთრებით მაშინ,

როდესაც გავრცელდა, რომ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა, რომელსაც ჩვეულებრივ აქვს სრული წვდომა საიდუმლო მასალებზე, ადმინისტრაციას სამჯერ მიმართა „პენტაგონის გაზეთის“ ასლის მოთხოვნის მიზნით, ხოლო ყოველ ჯერზე ადმინისტრაციამ, აღმასრულებელ პრივილეგიაზე მითითებით, უარი განუცხადა ინფორმაციის გაცემაზე. ინფორმაცია საბოლოოდ იქნა გაცემული, ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათი ნაწილი პრესაში გამოქვეყნდა.

ტერმინი „აღმასრულებელი პრივილეგია“ ყველაზე ხშირად გამოიყენება იმ სიტუაციის სამართავად, როდესაც მთავრობის აღმასრულებელი ფილიალი უარს ამბობს კონგრესის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე. დანარჩენები, მათ შორის სენატორი სემ ჯ. ერვინი, სენატის სასამართლო ხელისუფლების ქვედანაყოფის თავმჯდომარე უფლებამოსილებათა განაწილების კუთხით, იყენებს ამ ტერმინს, შემდეგი მნიშვნელობით, რომ „აღკვეთის ნებისმიერი სახის ინფორმაციის აღრიცხვა აღმასრულებელი ფილიალის მხრიდან ნებისმიერი პირისგან, იქნებინ ისინი კონგრესის წევრები, თუ სხვ. გადასახადის გადამხდელი საზოგადოება.“

აღმასრულებელი პრივილეგიის ამ მხრივ განხილვა და მისი გამოყენება კონგრესისა და ხალხისგან ინფორმაციის დასაფარად, ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპებს წარმოადგენს. პირველი არის პრეზიდენტის უფლებამოსილება, რომ შეინარჩუნოს ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც მისი შეხედულებისამებრ შეაფერხებს მისი კონსტიტუციური ვალდებულებების შესრულებას. მეორე არის საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილება, მოიპოვოს ინფორმაცია, იმ მიზნით, რომ მოახდინოს გონივრული და ეფექტური კანონმდებლობის შემუშავება და მიღება; და მესამე არის გადასახადის გადამხდელი საზოგადოების ძირითადი უფლება იცოდეს რას აკეთებს მისი მთავრობა.

დავა აღმასრულებელი პრივილეგიის გამოყენებასთან დაკავშირებით არის მთავრობაში მიმდინარე დებატების მხოლოდ ერთი ასპექტი, რომელიც აღინიშნება აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძალაუფლების კონცენტრაციაზე და კონგრესის ძალაუფლების შემცირების მიზნით. საგარეო პოლიტიკაზე, მე წარვადგინე კონგრესის პრობლემა, რომელიც შეეხება კონსტიტუციურ უფლებებს ომისა და მშვიდობის საკითხზე აღმასრულებლად - მანამდე, სანამ კონგრესს გააჩნია ამის უფლებამოსილება, თუმცა ამ უკანასკნელმა არსებითად დაკარგა თავისი როლი ომის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, ან ამერიკული ჯარების საზღვარგარეთ გაყვანაზე. საკანონმდებლო ხელისუფლების რღვევის ნაწილი პირდაპირი შედეგია იმისა, რომ აღმასრულებელ რგოლს აქვს მეტი ინფორმაცია თავის განკარგულებაში, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოს.

როდესაც კონგრესი არ არის ინფორმირებული, მოსალოდნელია, რომ ვერ იმოქმედებს დროულად და საპასუხოდ. როდესაც გარკვეული სახის ინფორმაცია ინახება ექსკლუზიურად აღმასრულებლის მიერ, ხელისუფლების ეს შტო იკავებს ძლიერ პოზიციას, რომ განსაზღვროს საკუთარი მოქმედებები თუ როგორ იქნება გამოყენებული ესა თუ ის ინფორმაცია. სწორედ ამიტომ აღმასრულებელ პრივილეგიას და მისი ბოროტად გამოყენების საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მთავრობის ეფექტური და კონსტიტუციური მოქმედებისათვის.

კონგრესს აქვს უფლება რომ იცოდეს

პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონის ადმინისტრაციიდან მოყოლებული, მისმა სურვილმა, რომ დაეფარა გარკვეული ინფორმაცია კონგრესისგან, რადგან ის გრძნობდა, რომ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად აისახებოდა მის საქმიანობასა და პასუხისმგებლობაზე, ხოლო კონგრესის სურვილი, რომ ყველასათვის ეცნობებინა ინფორმაცია, შედეგად კონფლიქტი მოჰყვა. როდესაც წარმომადგენელთა პალატამ სთხოვა ადმინისტრაციას, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია სენტ-კლერის ექსპედიციის შესახებ, პრეზიდენტმა ვაშინგტონმა უპასუხა:

...პალატას ...შეუძლია ზოგადად გამოითხოვოს დოკუმენტაცია ...ადმასრულებელმა შეიძლება დაუკავშიროს ისეთ დოკუმენტებს, რაც ნებადართულია საზოგადოებრივი სიკეთისთვის და უარი თქვას იმაზე, რაც საზოგადოებისათვის შესაძლოა ზიანის მომტანი გახდეს... არც კომიტეტს და არც პალატას არ ჰქონდათ უფლებამოსილება რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია დეპარტამენტის ხელმძღვანელზე, რომელთა და ვისი დოკუმენტაციაც, მხოლოდ პრეზიდენტს ექვემდებარება; თუმცა, კომიტეტებმა უნდა დაავალონ თავიანთ ხელმძღვანელობას, რომ პალატამ გადაამისამართოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია პრეზიდენტს.

ჯორჯ ვაშინგტონის მიერ ზემოთ მოყვანილი მოსაზრების მიუხედავად, ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი მოგვიანებით გადაეცა კონგრესს. თუმცა, მისი სიტყვები იყო წინაპირობა იმისა, რომ პრეზიდენტს აქვს ინფორმაციის დაყოვნების (შეკავების, არ გაცემის) უფლებამოსილება, თუ მის დისკრეციაში კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს იქნება საფუძველი იმ პასუხისმგებლობისა, რომ „კანონები პირნათლად შესრულებულია.“

იმის გამო, რომ სასამართლოებმა დაადგინეს, რომ „პრეზიდენტს დამოუკიდებლად და გარე დახმარების გარეშე ვერ შეუძლია კანონთა აღსრულება,“ მოითხოვს „დაქვემდებარებულთა დახმარების“ სავარაუდო უფლებამოსილებას, რომ ხელი შეუშალოს ინფორმაციის გავრცელებას ან გამოიყენოს საკუთარი „ადმასრულებელი პრივილეგია“, რომელიც გავრცელდება სრულად ადმასრულებელ ხელისუფლებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში არ არის გამოხატვის თავისუფლება, რომელიც საფუძველს წარმოადგენს ადმასრულებელი პრივილეგიისა, მისი განვითარება ნაწილობრივ დასრულდა იმის გამო, რომ კონგრესმა ვერ შეძლო საკუთარი უფლებამოსილების დაცვა პრეზიდენტისადმი პრეტენზიების გათვალისწინებით, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდეს ინფორმაციის დაცვის უფლებამოსილება.

ამასთან, ყველა წარმატებულმა პრეზიდენტმა დაადგინა წესები თავისი ადმინისტრაციისათვის კონგრესზე მითითებებით, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ადმასრულებელი პრივილეგიის დოქტრინის განმარტება და დაცვა, ნაცვლად იმისა, რაც კონგრესის მიერ იყო განხორციელებული, კერძოდ, დაწესებული გარკვეული მითითებები თუ როგორ უნდა ყოფილიყო გარკვეული მომღვრება გამოყენებული, ან საერთოდ იყო თუ არა ეს უკანასკნელი საჭირო.

პრეზიდენტი კენედი პირველი პრეზიდენტი იყო, რომელიც ცდილობდა დაესრულებინა ადმასრულებელი პრივილეგიის სხვა თანამდებობის პირთათვის დელეგირების პრაქტიკა, მისი ადმინისტრაციის შიგნით. ყოველი მომდევნო პრეზიდენტი, თავისი საპრეზიდენტო ვადის დაწყებისას, წერილობით მიმართავდა ადმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო ოპერაციების კომიტეტის ინფორმაციის ქვეკომიტეტის თავმჯდომარეს, რომელშიც ასახული

იყო მისი პოლიტიკა აღმასრულებელი პრივილეგიის მიმართ. პრეზიდენტ კენედის წერილში აღნიშნულია:

...ამ ადმინისტრაციამ დიდი ცვლილება განიცადა კონგრესთან საბოლოო შეთანხმების მისაღწევად, მისთვის საჭირო დოკუმენტაციის, კორესპონდენციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, შემდგომში მათი მიღების მიზნით. ეს არის ადმინისტრაციის ძირითადი პოლიტიკა, რომელიც გაგრძელდება მუდამ. აღმასრულებელი პრივილეგია მხოლოდ პრეზიდენტის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს და მას არ გამოიყენებენ პრეზიდენტის სპეციალური დამტკიცების გარეშე.

ამრიგად, კენედის ადმინისტრაციაში ვერცერთი მთავრობის წარმომადგენელი ან სხვა სახელმწიფო თანამდებობის პირი ვერ შეუშლიდა ხელს პრეზიდენტის პერსონალურ მოსაზრებასა და გამოხატვის უფლებას ამ ინფორმაციის შესახებ. პრეზიდენტმა ჯონსონმა და პრეზიდენტმა ნიქსონმა დაიცვეს ეს ღირსეული პრეცედენტი.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა ნიქსონმა ჩამოაყალიბა რთული პროცედურა, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა შეესრულებინათ, სანამ დოქტრინის გამოყენებას შეძლებდნენ. სააგენტოს ან განყოფილების ხელმძღვანელმა უნდა გაიაროს კონსულტაცია გენერალურ პროკურორთან დაკავშირებით, თუ რამდენად სურს მისი შეკავება კონგრესს. ორგანიზაციას ან დაწესებულებას ხელმძღვანელებს უნდა გაეცლოთ კონსულტაცია გენერალურ პროკურორთან, იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სურს ინფორმაციის კონგრესისათვის მიწოდების დაყოვნება. იმ შემთხვევაში, თუ გენერალური პროკურორი უარს იტყვოდა, ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ყოფილიყო მიწოდებული. თუ გენერალური პროკურორი გამოთქვამდა თანხმობას, საბჭო კონსულტაციას გაუწევდა პრეზიდენტს რის შემდეგაც პრეზიდენტი იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას, თუ რამდენად უნდა ყოფილიყო გამოყენებული აღმასრულებელი პრივილეგია.

დოქტრინის გამოყენების ამ შეზღუდვების მიუხედავად, ბევრი ფიქრობს, რომ ინფორმაციის გაცემაზე უარი არ მოდის შესაბამისობაში 1966 წელს მიღებულ ინფორმაციის თავისუფლების აქტთან, რაც კრძალავს აღმასრულებელი ორგანოს მიერ კონგრესისგან რაიმე ინფორმაციის დაფარვას. საგარეო პოლიტიკის საკითხებზე მიმდინარე დაპირისპირებებმა წამოჭრა წინადადებები, რომლის თანახმადაც, კონგრესმა საბოლოოდ მიიღო ეს ინიციატივა და წესდებით ნათლად განსაზღვრა, თუ როგორ შეიძლება ან არ შეიძლება გამოყენებულ იქნას აღმასრულებელი პრივილეგია.

გეგმები სამხედრო დახმარების თაობაზე

წლების განმავლობაში, პრეზიდენტები საჭიროდ მიიჩნევდნენ, რომ დაეცვათ „პერსონალის მონაცემები“ და შიდა ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყო საჯარო და კონგრესის მიერ გულდასმით შესწავლილი. მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ აღმასრულებელი ორგანო, სანამ გადაწყვეტილებებს მიიღებს, უნდა მოახდინოს მისი დასაბუთება და შემდგომში დაცვა და კონგრესმა არ უნდა განიხილოს აღმასრულებელი ორგანოს შესაძლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული. როგორც გარკვეული საშიშროება, რაც შეიძლება შემდგომში მოხდეს, მაშინ, როდესაც განსხვავებული აზრი არსებობს და შეთანხმება მიღწეულია.

ამ მოსაზრების თანახმად და ისტორიას თუ დავეყრდნობით, პრეზიდენტებმა, საკუთარი პერსონალის წევრების მოთხოვნით, უარი განაცხადეს კონგრესის წინაშე გამოცხადებაზე, შემდგომი ჩვენების მიცემის მიზნით, იმ დასაბუთებით, რომ ეს უკანასკნელი იქნება არაორდინალური ჩარევა პრეზიდენტის შიდა სამხარეულოში და მისი პერსონალის მუშაობაში. მე არ ვეთანხმები პოლიტიკის შემუშავების პროცესის დაცვის აუცილებლობას და პერსონალის დისკუსიებსა და მემორანდუმებს, რომლებიც ამ პროცესს ქმნიან. ამასთან, საზოგადოება შემფოთებულია, რომ ხელისუფლების ამდენი ძალა კონცენტრირდება აღმასრულებელ და განსაკუთრებით თეთრი სახლის პერსონალურებში, რომ კონგრესზე უფრო მეტი მოთხოვნილებაა ინფორმაციის ჭრილში იმ თანამდებობის პირთა დამოკიდებულებებისა და თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებების თაობაზე, რომლებიც ახლოს არიან პრეზიდენტთან.

საზოგადოების შემფოთება განსაკუთრებით ძლიერია საგარეო საქმეთა სფეროში. ამ ადმინისტრაციის პირობებში და ბოლო რამდენიმე პერიოდის განმავლობაში, სახელმწიფო დეპარტამენტის გარდა, თეთრ სახლს საგარეო პოლიტიკის საკმაოდ დიდი ნაწილი აქვს შეთავსებული. მიუხედავად ჰენრი კისინჯერის და მისი თანამშრომლების საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში დიდი გავლენისა, ამასთან, კონგრესს და მის კომიტეტებს უარი ეთქვათ დოქტორ კისინჯერის დაკითხვის უფლებაზე დახურულ სხდომებზეც კი, რადგან ის არის თეთრი სახლის თანამშრომელი, წევრი.

ბოლო დროის დაპირისპირების ძირითადი არსი იყო, რომ აღმოფხვრილიყო გარკვეულ ინფორმაციებზე კონგრესისთვის წვდომის უარის თქმა, როდესაც სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი იმუქრებოდა, რომ საგარეო სამხედრო დახმარების პროგრამებისთვის ვერ გამოყოფდა თანხებს, თუ თავდაცვის დეპარტამენტი არ წარმოადგენდა თავის საცდელ ხუთწლიან გეგმას სამხედრო დახმარების საზღვარგარეთის ქვეყნებისთვის გაწევის თაობაზე. ან, ალტერნატივად, თუ თავად პრეზიდენტმა არ დაადასტურა აღმასრულებელი პრივილეგიის უფლება ამ ინფორმაციის შესახებ. კომიტეტის პრეტენზიის მთავარი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ არ შეიძლებოდა მოსალოდნელი კანონმდებლობის კანონპროექტირება, თუ მას მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში არ შეეძლებოდა წვდომა ადმინისტრაციის გეგმებზე, რომლებიც უშუალოდ ამ პროექტს შეეხებოდა.

კრიზისი თავიდან იქნა აცილებული მაშინ, როდესაც პრეზიდენტი, პირველად თავის ადმინისტრაციაში, ოფიციალურად ამტკიცებდა აღმასრულებელი პრივილეგიის უფლებას და აღნიშნავდა, რომ კომიტეტისთვის ამ ინფორმაციის გავრცელება შელახავს აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებების სწორად განხორციელებას. სამხედრო დახმარების პოლიტიკის მნიშვნელობის გამო, განსაკუთრებით ვიეტნამის გამოცდილების გათვალისწინებით, სადაც სამხედრო დახმარების პროგრამა გადაიზარდა დიდ, დეკლარაციულ ომში, მტკიცედ ვგრძნობ, რომ კონგრესს უნდა ჰქონდეს ინფორმაციაზე წვდომა, რაც ასახავს ადმინისტრაციის საუკეთესო განსჯას და სამომავლო გეგმებს, შემდგომში შესაბამისი დახმარების გაწევის თაობაზე. ამ ტიპის ინფორმაციის გარეშე, კონგრესს არ შეუძლია გამოიტანოს დასაბუთებული დასკვნა და თუ კონგრესს არ ექნება ამის შესაძლებლობა, ჩვენ გადავდგამთ კიდევ ერთ ნაბიჯს, რომელიც ითვალისწინებს კონგრესისთვის ომის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების გადაცემას.

სამართლებრივი ნაბიჯები აღმასრულებელი პრივილეგიის შეზღუდვასთან დაკავშირებით

არაერთი წინადადება გაკეთდა აღმასრულებელი პრივილეგიის საკითხთან დაკავშირებით, მუდმივი კანონმდებლობის შემუშავებისათვის. უძლიერესი კანონპროექტი შემოთავაზებულ იქნა სენატორ ფულბრაიტის მიერ. მისი კრიტერიუმი, S-1125, მოითხოვს, რომ ადმინისტრაციულ თანამდებობის პირს, რომელიც გამოძახებულ იქნებოდა კონგრესის კომიტეტის წინაშე წარსადგენად, უნდა გამოცხადებულიყო ფაქტობრივად, პირადად, მაშინაც კი, თუ ის აპირებს იმის მტკიცებას, რომ ამ კომიტეტის მიერ მოძიებული ინფორმაცია დაფარულია აღმასრულებელი პრივილეგიით. თუ მოწმე მიუთითებს აღმასრულებელ პრივილეგიაზე მისგან მოძიებულ ინფორმაციასთან მიმართებით სრულად ან ნაწილობრივ, მას, S-1125 მიხედვით, მოეთხოვება პრეზიდენტის მიერ პირადად ხელმოწერილი წერილის წარდგენა, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის შეკავების პრივილეგიას.

არიან სხვებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ აღმასრულებელი პრივილეგია, რადგან იგი კონკრეტულად არ არის რეგლამენტირებული როგორც კანონით, ასევე, არც კონსტიტუციით, არ უნდა იყოს გამჟღავნებული და აღმასრულებელს არასოდეს არ უნდა მიეცეს უფლება, რომ დაფაროს ინფორმაცია კონგრესისაგან, მიუხედავად იმისა, რომ მოძიებულმა დოკუმენტებმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანონ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საზოგადოების აქვს უფლება, რომ იცოდეს, ვფიქრობ, ამგვარი მკვეთრი ნაბიჯის გადადგამდე, კონგრესს უნდა ეჩვენებინა პასუხისმგებლობა იმ ინფორმაციის დაცვაში, რომელიც საჯაროდ თუ გამჟღავნდებოდა, შესაძლოა სერიოზული საფრთხე შეექმნა როგორც ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის, ასევე, თავდაცვისათვის.

ჩემი აზრით, უფლებამოსილებათა გამიჯვნა და კონგრესსა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობა ამართლებს აღმასრულებელი პრივილეგიის ძალიან ფრთხილად შეზღუდულ მოძღვრებას. წარსულში, გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდეს და მოხდეს დოქტრინის ინტერპრეტაცია, წარმოადგენს თითოეული პრეზიდენტის უფლებამოსილებას. მიმაჩნია, რომ ამჟამინდელი პრაქტიკა აღმასრულებელი პრივილეგიის მხოლოდ პრეზიდენტისათვის შეზღუდვის შესახებ და აღმასრულებელი ხელისუფლების დაბალი რგოლის წარმომადგენლების შეზღუდვა (აკრძალვა), პრეზიდენტის სპეციალური დასტურის გარეშე, უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი.

ასევე, მიმაჩნია, რომ მას შემდეგ, რაც ბოლო ადმინისტრაციების პერიოდში, უფრო მეტი და მეტი ძალაუფლება თეთრი სახლის პერსონალზე გადავიდა, აღმასრულებელი პრივილეგია ავტომატურად არ უნდა იქნას გამოყენებული კონგრესის ყველა თხოვნისთვის, პრეზიდენტის აპარატის წევრების დაკითხვაზე. კონგრესს, როგორც არჩეულ წარმომადგენლებს, უნდა ჰქონდეს წვდომა აღმასრულებლის ყველა იმ ინფორმაციასთან, რომელსაც აქვს ნამდვილი და პირდაპირი გავლენა კონგრესის შესაძლებლობებზე გონივრულად და სრულად განახორციელოს თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილებები.

ამრიგად, მე მხარს ვუჭერ კანონმდებლობას, რომ შეზღუდოს კანონით აღმასრულებელი პრივილეგია, განახორციელოს საზოგადოების ცოდნის უფლების ეს გარანტიები, და კონგრესის უფლებას, სრულყოფილად იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რას აკეთებს და ფიქრობს აღმასრულებელი.

ინფორმაციის თავისუფლების აქტი

1966 წლის 4 ივლისს პრეზიდენტმა ლინდონ ბ. ჯონსონმა, ხელი მოაწერა საზოგადოებრივ კანონს N89-487, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ აქტს. ეს ახალი კანონი, რომელიც შეიმუშავა საგარეო ოპერაციებისა და სამთავრობო ინფორმაციის პალატის ქვეკომიტეტმა თორმეტწლიანი მუშაობის შემდეგ, მიღებულ იქნა იმისთვის, რომ საზოგადოებას შესძლებოდა რაც შეიძლება სრულყოფილი წვდომა ჰქონოდა საჯარო ჩანაწერებსა და სამართალწარმოებებზე და აღეკვეთა სამთავრობო უწყებების მიერ დაუსაბუთებლად დაცული ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ აღმასრულებელი ბრძანება N10501, რომელიც განიხილებოდა ადრე, ეხება ინფორმაციის დაცვას, რომელიც კლასიფიცირდება ან არის აუცილებელი ეროვნული უსაფრთხოებისთვის, ინფორმაციის თავისუფლება აქტი შეეხება არა საიდუმლო (საჯარო) ინფორმაციას, რომელიც სამართლიანად უნდა იყოს ღია საზოგადოებრივი შემოწმებისთვის. აქტი მოიცავს სააგენტოს გადაწყვეტილებებს და პროცესებს, ჩანაწერებს, პერსონალის სახელმძღვანელოებს, შინაგანაწესს და დოკუმენტებს, რომლებიც იწვევს წესებისა და სხვადასხვა რეგულაციების მიღებას.

ინფორმაციის თავისუფლების აქტი მიღებულ იქნა 1946 წელს, რათა გადახედოდა ყოფილიყო და გაუმჯობესებულიყო 1946 წლის ადმინისტრაციული საპროცესო აქტი, საჯარო ინფორმაციის ნაწილში (ნაწილი 3). აღმოჩნდა, რომ სამთავრობო უწყებები იყენებდნენ კანონის ამ ნაწილს, რომ არ გაეცათ მათ დაქვემდებარებაში არსებული ინფორმაცია.

ახალი კანონის მიზანია, რომ ინფორმაციის გამჟღავნება (გაცემა) იყოს წესი და არა გამონაკლისი; რომ ყველა პირს აქვს უფლება ჰქონდეს მთავრობის ინფორმაციაზე წვდომა; რომ ტვირთი ეკისრება სამთავრობო უწყებას, რათა აჩვენოს, თუ რატომ უნდა მოხდეს მისი გამჟღავნება. ძველმა პროცედურამ, როგორც ეს განსაზღვრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 ნაწილით, მსჯავრი დაადო უფრო მეტად საზოგადოებას, ვიდრე მთავრობას.

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის ძალზე მნიშვნელოვანი დებულება აძლევს ფიზიკურ პირებს უფლებას, რომელთაც უარი ეთქვათ ინფორმაციის მიწოდებაზე, თხოვნით მიმართონ ფედერალურ სასამართლოებს სანქციების შემსუბუქების თაობაზე.

კანონი ითვალისწინებს ცხრა გამონაკლისს, ავტომატური გამჟღავნების შემთხვევაში. გამონაკლისის პირობებში შედის ის დოკუმენტები, რომლებიც აღმასრულებელი ბრძანებით არის საჭირო, რომ დაცული იყოს ეროვნული თავდაცვის ან საგარეო პოლიტიკის ინტერესებში. დამატებითი გამონაკლისი არის: საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მხოლოდ სააგენტოს შინაგან საქმეთა წესებთან და პრაქტიკასთან; უწყებათაშორის მემორანდუმებთან ან წერილებთან, რომლებიც კანონით არ იქნებოდა ხელმისაწვდომი მხარისათვის, გარდა სააგენტოს მიერ საქმის განხილვისა; პერსონალი და სამედიცინო ფაილები და მსგავსი ფაილები, რომელთა გამჟღავნება შეიძლება წარმოადგენდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის აშკარად დაუსაბუთებელ შეჭრას; საგამომიებო ფაილები, რომლებიც შედგენილია სამართალდამცავი მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც სააგენტოში არ არის ხელმისაწვდომი პარტიისთვის; ანგარიშები ფედერალური მთავრობის მიერ რეგულირებული ან ზედამხედველობით ფინანსური ინსტიტუტების შესახებ; ჭაბურღილების გეოგრაფიული და გეოფიზიკური მონაცემები, მათ შორის რუკები.

კონგრესისა და მედიის მიერ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ აქტის პერიოდული მიმოხილვებით დადგინდა, რომ სანამ კანონი თავის წინამორბედზე უკეთ მუშაობს, კვლავ

არსებობს სერიოზული ხარვეზები, რომლებიც არსებობდა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის მე-3 ნაწილით.

აქტი არ არის საკუთარი თავის მავალელები. მას სჭირდება ძლიერი აღმასრულებელი მხარდაჭერა და ინიციატივა, რომ განახორციელოს საკუთარი მიზანი (განზრახვა), რაც მოითხოვს მედიისა და საზოგადოების მზაობასა და შესაძლებლობას, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილებები ინფორმაციის თავისუფლების აღკვეთის მიზნით კონკრეტულ შემთხვევებში.

პრობლემები ახალი კანონის შესაბამისად

ამა წლის 20 ივლისს, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის ამოქმედებიდან ოთხი წლის შემდეგ, ვაშინგტონ ფოსტმა გამოაქვეყნა მორტონ მინტის სტატია, რომელშიც მითითებულია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ აქტის ძალიან სერიოზული პრობლემები, პრობლემები, რომელთა საშუალებითაც საზოგადოება ვერ ხედავს მისი მთავრობის საქმიანობას.

Mintz-ის სტატიის თანახმად, კურსდამთავრებულმა სტუდენტმა თავის სენატორს (ლი მეტკლავ მონტანას) უჩივლა: „ეროვნულ არქივში მირჩიეს, რომ ვერ გამოვიყენებ ვერცერთ დოკუმენტს, რომელსაც „გამომიების ბიურო“-ს ბეჭედი აქვს დასმული.“ სტუდენტი, რომელიც მუშაობდა ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე გამოთქვა, რომ იგი დაინტერესებული იყო მეოცე საუკუნის პირველი ათწლეულის შესახებ ინფორმაციის გაშუქებით და რომ იგი „სასაცილოდ მიიჩნევდა, რომ ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა შეიძლება საფრთხის წინაშე დადგეს სამოცდაათი წლის წინანდელი ინფორმაციისგან, მაგრამ აშკარად ვიღაცა ამას აკეთებს.“ ფაილები, რომლის მოპოვებაც სურდა ამ პიროვნებას, დაკავშირებული იყო შეერთებულ შტატებში 1900-იანი წლების დასაწყისში ბუნებრივ დაბინძურებასთან.

Mintz ასევე აღნიშნავდა სახელისუფლებლო ინფორმაციის დამაიმედებელ მხარეებსაც. სასამართლო სხდომაზე, როდესაც შრომის დეპარტამენტმა მოიხსენია ინფორმაციის თავისუფლების აქტი, როგორც უფლებამოსილი აქტი, რათა მოხდეს საიდუმლო ინფორმაციის შენახვა სამუშაო უსაფრთხოების ინსპექციისა და დარღვევების შესახებ, ფედერალური ოლქის მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მდივანმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას.

ანალოგიურ შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი რუტინულად ხელს უშლიდა საზოგადოების წვდომას იმ ინფორმაციაზე, რომელიც ასახავდა ხორცისა და ფრინველის შესახებ მონაცემებს, რომელზეც მას გააჩნდა ეჭვი, რომ პროდუქტი არის ან ფალსიფიცირებული ან არაჯანსაღი. იგი ციტირებს ინფორმაციის თავისუფლების აქტს, როგორც სრული მონაცემების ამონარიდის საჯაროდ გამჟღავნებას, ასევე, როგორც „საგამომიებო საქმეს“. ორივე სასამართლო ორგანომ, ფედერალურმა საოლქო სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ განაჩენი გამოიტანეს დეპარტამენტის წინააღმდეგ და მიიღეს გადაწყვეტილება ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის შესახებ.

ეს არის ორი მნიშვნელოვანი მაგალითი, როდესაც 1967 წლის კანონი ეფექტური იყო საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომელიც

მთავრობამ დაიცვა, მანამ სანამ კონგრესმა ინდივიდუალურ მოქალაქეებს მისცა სასამართლოებში ფედერალური სააგენტოს საიდუმლოების გასაჩივრების უფლება.

ამასთან, არსებობს სხვა მაგალითებიც, რომლებიც ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონში არსებულ სერიოზულ ხარვეზებზე მიუთითებენ. სურსათისა და წამლის ადმინისტრაციამ ხშირ შემთხვევებში უარი განაცხადა ხელნაწერთა ან საზოგადოებრივი სხვა წვდომის შესახებ: იმ სამართალწარმოებისას, სადაც ფირმებს ეუბნებიან, მოახდინონ დასაბუთება იმის დასადგენად, თუ რატომ არ უნდა დევნონ ისინი სურსათისა და წამლების შესახებ კანონის დარღვევაში. ფედერალურ მრჩეველთა კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო ასევე ცდილობდნენ, რომ მათი შეხვედრები და განხილვები დახურული ყოფილიყო საზოგადოებისათვის.

კანონს ასევე აქვს სხვადასხვა ხარვეზები. ზოგიერთი გამონაკლისი, რომელიც გათვალისწინებულია კანონით, ძალიან ვიწრო და ძალიან ორაზროვანია, ასევე, არის რეგულაციები, რომლებიც ძალიან ფართოა. ერთი ყველასათვის ცნობილი მაგალითია არაადეკვატური დაცვა პირის კონფიდენციალურობის უფლების დაკანონებისათვის.

შარშან მე შევიტყვე მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 1968 წელს მიღებული „იარაღის კონტროლის შესახებ“ აქტის თანახმად, გარკვეული პირთა წრე ვალდებული იყო დარეგისტრირებულიყო ხაზინის დეპარტამენტში, როგორც იარაღის შემგროვებელი, იმისათვის, რომ როგორც მისი, ასევე, 140,000 სხვა პირთა სახელები გაყიდულიყო როგორც იარაღის კოლექციონერთა სახელი. დილერებთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებების წარმოება. ხაზინის მიერ კომპიუტერულ საფოსტო გზავნილებს იყენებდნენ კომერციული ფირმები, რომლებიც ცდილობდნენ ცეცხლსასროლი იარაღის გაყიდვას იქ ჩამოთვლილ პირებზე, პოლიტიკურ კანდიდატებზე, რომლებიც თხოვნით მიმართავდნენ თავიანთი საკანონმდებლო პოზიციების შესახებ, იარაღის კონტროლის წინააღმდეგ და ყველასათვის, ვისაც შეეძლო \$ 140.00 ან აღნიშნულის ერთი მეათედი პროცენტის გადახდა თითო სახელით, რომ შეესყიდათ სია. მე გამოვკითხე 50-ზე მეტი ფედერალური აგენტი, რომ გამეგო, თუ რა პოლიტიკას მისდევდნენ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის თანახმად, რომელიც საფოსტო ჩამონათვალს ეხებოდა.

შედეგები გასაოცარი იყო. ზოგიერთმა თქვა, რომ კანონი მათ აიძულებს, რომ ყველა საფოსტო სია ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის; სხვები ციტირებდნენ იმავე კანონის დებულებებს, რომლებიც მათ განმარტეს, როგორც საფოსტო სიების განაწილების აკრძალვა. სხვებს კი, საერთოდ არ ჰქონდათ არანაირი პოლიტიკა. ჩემი გამოკითხვის შედეგად და აქტის მიღების დროს არსებული დაბნეულობიდან გამომდინარე, მე წარვადგინე კანონპროექტი, H.R. 8903, ინდივიდუალური კონფიდენციალურობის დასაცავად ფედერალური საფოსტო სიების განაწილებისგან. ჩემი კანონპროექტი 65-ზე მეტმა პირმა დააფინანსა, რომლებიც მოხსენიებულია როგორც საგარეო ოპერაციებისა და მთავრობის ინფორმაციის ქვეკომიტეტი, რომელსაც მე ვემსახურები. ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ დამარწმუნა, რომ ჩატარდება საფუძვლიანი მოსმენები. იმედია, რომ აქტის ამ ასპექტის დაზუსტება და პირადი უფლებების დაცვა იქნება შესაძლებელი.

კონგრესი, ვინაიდან არის ეროვნული საკანონმდებლო ორგანო, არ ექვემდებარება ინფორმაციის თავისუფლების აქტს. ვერცერთი ფედერალური სააგენტო ვერ იქნება მოხსენიებული აქტის

დებულებებში, როგორც გამართლება კონგრესის მხრიდან რაიმე ინფორმაციის არარსებობის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ კონგრესს ჰქონდეს სრული თავისუფლება, წვდომა ფედერალურის ხელთ არსებულ ინფორმაციებზე, გარდა იმ შემთხვევისა, რაც დაცულია აღმასრულებელი პრივილეგიის მიერ საგულდაგულოდ განსაზღვრული და გამოყენებული დოქტრინით.

ახლახანს, კონგრესის მიმართ განხორციელდა მცდელობა, რომ ამ კონვენციის გამონაკლისი ქმედება დამახინჯებულიყო მითითებებით, რომ ეს გამონაკლისი გადაეღოთ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ახალ სააგენტოზე, რომელიც შეიქმნებოდა იმ კანონპროექტის თანახმად, რომელიც მიიღო წარმომადგენელთა პალატამ. მე და კონგრესმენმა ჩეთ ჰოლიფილდმა, სამთავრობო ოპერაციების კომიტეტის თავმჯდომარემ, მოვახდინეთ მომხმარებელთა უფლებების დაცვის აქტის შემუშავება, H.R. 10835, პალატისათვის. მე და თავმჯდომარე წინააღმდეგნი ვიყავით იმ ცვლილების, რომელიც ახალ სააგენტოს საშუალებას მისცემდა წვდომა ჰქონოდა სხვა ფედერალური სააგენტოების ფაილებში, რომლებიც შეიცავს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონით გათვალისწინებულ მონაცემებს. წინადადება, რომელიც ცნობილია როგორც Moorhead-ის შესწორება, მიზნად ისახავდა აღნიშნულის განხორციელებას ახალი სააგენტოს ხელმძღვანელობით, გამოძიების ჩასატარებლად, კონგრესისთვის შედეგების წარდგენის მიზნით. იმის გამო, რომ ინფორმაცია არ იქნება კლასიფიცირებული, გახდება საჯაროდ, ყველასთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტი. ამ კენჭისყრით გამოქვეყნდება კანონიერი სავაჭრო საიდუმლოებები და აქტით დაცული სხვა ინფორმაცია. ინიცირება აშკარად ჩავარდა 160 – დან 218 – მდე, მაგრამ ეს წარმოადგენს ინფორმაციის თავისუფლების აქტის კონცეფციის დაცვის აუცილებლობის ილუსტრაციას, როგორც საზოგადოების მხრიდან, ასევე მათი მხრიდან, ვინც ცდილობს აღმოფხვრას ყველა ინფორმაციული კონტროლი, თუნდაც ის, რაც იცავს ინფორმაციის უსაფრთხოებას, ინდივიდუალურ კონფიდენციალურობას, სავაჭრო საიდუმლოებას, ასევე, მას, ვინც შეეცდება აღმოფხვრას ნებისმიერი და ყველა ინფორმაციული კონტროლი, თუნდაც ის, რაც იცავს უსაფრთხოებას, ინფორმაციას, ინდივიდუალურ კონფიდენციალურობას, კერძო ინდუსტრიის სავაჭრო საიდუმლოებებს და სხვ.

სასწრაფო ცვლილებებია საჭირო

აშკარაა, რომ საჭიროა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის გადახედვა და მისი ახლებურად, დეტალური ცვლილება, ამ ახალი კანონის ოთხ წლიანი მუშაობის (პრაქტიკაში განხორციელების) ფონზე.

ინფორმაციის თავისუფლების კანონი არის კონგრესის ძირითადი მცდელობა, შექმნას საზოგადოებისთვის აღმასრულებელი უფლება, რომ ნახონ სახელმწიფო უწყებების ჩანაწერები. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მიზნისკენ, მაგრამ აქტის თანახმად, გამოცდილებამ აჩვენა, რომ დღევანდელი მდგომარეობით არ ხორციელდება მთავრობის მუშაობის შესახებ საჯარო ინფორმაციის სრული ხელმისაწვდომობა.

აქტის ძირითადი მიდგომა ძალიან გონივრულია. იგი ყველა ჩანაწერს, სავარაუდოდ, ხელმისაწვდომს ხდის საზოგადოებრივი შემოწმებისთვის, ფედერალურ სააგენტოებს კი ინფორმაციის დაცვის სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ეს, რა თქმა უნდა, უკეთესია, ვიდრე აიძულებდეს ინდივიდს განსაკუთრებული სიდუხჭირის გამოვლენას, საიდუმლოების

ან მიუწვდომლობის კანონიერი პრეზუმფციის საპირისპიროდ. აქტი ქმნის ინფორმაციის თავისუფლების ცხრა სპეციფიკურ სფეროს. ეს არის საუკეთესო გზა, რათა მოხდეს გარკვეული ინფორმაციის საიდუმლოების შენარჩუნების აუცილებლობისათვის გამკლავება, ვიდრე მცდელობა, რომ უზრუნველყოს ისეთი დამცავი ფენები, სადაც საიდუმლოება გამართლებულია.

მიუხედავად ამისა, ამ კანონის ადმინისტრაციულმა და სასამართლო გამოცდილებამ აჩვენა, რომ მისი ცხრა დებულება, რომელიც გამორიცხავს გარკვეული სახის ინფორმაციის გამჟღავნებას, საჭიროებს მნიშვნელოვან გადამუშავებას და გაუმჯობესებას. იმისათვის, რომ ინფორმაციის თავისუფლების აქტმა აზრი გამოხატოს, გამონაკლისები ძალიან მკვეთრად უნდა იქნას მიღებული. ამჟამინდელი ცხრა გამონაკლისი არის გაუმჯობესება იმ ორის მიმართ, რაც 1967 წლამდე იყო გათვალისწინებული კანონში, მაგრამ ისინი მაინც ძალიან ბუნდოვანია ნებისმიერი რეალური „ცოდნის უფლებისათვის“.

მაგალითად, აქტში ასახულია ისეთი ზოგად ტერმინები, როგორცაა „კონფიდენციალური“ და არ არის მცდელობა მათ განსაზღვრის. ის შეიცავს კონფიდენციალურობის დაცვის ორ დებულებას, ორივეს შორის ურთიერთმიმართების არარსებობის პირობებში. გამონაკლისი, რომელიც მოიცავს „სავაჭრო საიდუმლოებას და ფინანსურ ინფორმაციას“, ცუდად არის გაწერილი და ამ უკანასკნელთა ინტერპრეტაცია შეიძლება გაცილებით ფართოდ. კანონში ბოლო ორი გამონაკლისი გარკვეულწილად ზედმეტია, რადგან მათი თემატიკა სხვა გამონაკლისების საფუძველზე არის დაფარული.

ცხადია, ახალი წესდების გარკვეული ბუნდოვანება გასაგებია, და სავარაუდოა, რომ ოთხი წლის წინ ბევრი პრობლემა იყო, რაც საფუძველს წარმოადგენს ამ კანონის შექმნის და მათი გათვალისწინება არ იყო შესაძლებელი. ახლა კი, პრობლემები მკვეთრად არის ფოკუსირებული, ოთხი წლის გამოცდილების საფუძველზე.

წესდების ნაწილის ბუნდოვანებამ ბევრ უწყებას საშუალება მისცა გამოეცათ რეგულაციები, რომლებიც ფარავს საიდუმლოებას, რომლებიც მთელ რიგ სერიოზულ ხარვეზებს ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ კანონის ისტორიაში ხშირად არსებობს დასაბუთება, რომ ხელი შეუწყოს ამ დაძაბულ ინტერპრეტაციებს, ამ სააგენტოების ზოგიერთი რეგულაცია აშკარად ეწინააღმდეგება კანონის სულისკვეთებას - პრეზუმფციას საზოგადოების გამჟღავნების სასარგებლოდ და მთავრობაში საიდუმლოების საწინააღმდეგოდ.

მართალია, ზოგიერთი სააგენტოს რეგულაცია, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცვას, ასახელებს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის არასწორ გამონაკლისებს და ინფორმაციას, რომ მინიმუმ ზოგიერთ ინფორმაციას მართებულად შეეძლო დაეფარა სხვა გამონაკლისები, მაგრამ ზოგი სააგენტო ამ ტექნიკას იყენებს, ამ ცხრა გამონაკლისის პირობებში.

რა თქმა უნდა, მე მხარს ვუჭერ კანონპროექტის ნაწილების გადაკეთებას, მისი ცხრა გამონაკლისის ენის გამკაცრებას, რათა მოხდეს მათი რეალობასთან ახლოს ასახვა გამჟღავნების და საიდუმლოების ნაწილში, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ამ კანონის ოთხი წლის გამოცდილების პირობებში.

მე ასევე ვიმუშავე, კანონით გათვალისწინებული, ლეგიტიმური ინდივიდუალური კონფიდენციალურობის უფრო მნიშვნელოვანი შინაარსის უზრუნველსაყოფად,

იმავდროულად, ჩვენ ვცდილობთ ახალი სიცოცხლისა და ახალი მნიშვნელობის შთაჰბერვას, რათა დავიცვათ საზოგადოების უფლება, „უფლება იცოდეს“.

ახალი ამბები (მედია)

რაც არ უნდა წარმატებული ვიყოთ ზედმეტი სამთავრობო საიდუმლოებების აღმოფხვრაში და ოფიციალური განცხადებების არასწორად გაჟღერებასა ან შეცდომაში შეყვანაში, საბოლოო ჯამში, საზოგადოება უნდა იყოს დამოკიდებული ვრცელ საინფორმაციო საშუალებებზე, როგორც ყველა ინფორმაციის ერთადერთ წყაროზე, იმის გასარკვევად თუ რა ხდება როგორც მთავრობაში, ისე მის გარეთ.

ახალი ამბების მედიის, მათ შორის გაზეთების, ჟურნალების, რადიოს, ტელევიზიის და სხვა ახალი ამბების წყაროების შესახებ ნებისმიერი მსჯელობა უნდა დაიწყოს პრესის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიის ძალიან მტკიცებით. ხშირად მაცდური და დასაბუთებულია კრიტიკა მათთვის, ვინც აჟღერებს სიახლეებს.

უზუსტესი და მიკერძოებული რეპორტიორების ბრალდება სავალალოა და, იმის გათვალისწინებით, რომ გაზეთების უმეტესობა და სამაუწყებლო სიახლეების საათები, რომლებიც ყოველდღე წარუდგენენ ახალ ამბებს ამერიკულ საზოგადოებას, ბრალდება გარდაუვალია. თუმცა, ძალზე საშიში იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ამერიკაში ახალი ამბების გამოქვეყნების გაუმჯობესების გზა არის მედიის საზოგადოებრივ ან მთავრობის რეგულირებაზე დაქვემდებარება.

მე უარყოფდი უკლებლივ ყველა შემოთავაზებას, რომ ფედერალური მთავრობა ცდილობს ახალი ამბების სიზუსტის გაუმჯობესებას ან გარკვეული მედიის მიკერძოებულობის აღმოფხვრას, მათ რეგულირების წესებსა და პოლიტიკაში მოთავსების გზით. ნებისმიერი ასეთი რეგულაცია, ალბათ, იქნება ცვლილების პირველი შესწორების დარღვევა.

როდესაც დადგება თავისუფალი და მიუკერძოებელი პრესის შენარჩუნების აუცილებლობა, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ მედია იყოს თავისუფალი და მის მიერ გაჟღერებულ ნიუსზე პასუხისმგებელი. ამ წლის დასაწყისში, კონგრესის კომიტეტმა მოუწოდა CBS სატელევიზიო ქსელს კონგრესის უპატივცემულობის გამო, უარი ეთქვა რედაქტირებულ ფილმებსა და ინტერვიუებზე, რომლებიც გამოყენებულია არსებითად სადავო დოკუმენტურის მომზადებაში, სახელწოდებით - „პენტაგონის გაყიდვა“.

არსებობს ბრალდება, რომ ქსელმა, ან პროდუქციის წარმოებაზე პასუხისმგებელმა პირმა, განზრახ არ განუცხადა ფაქტების შესახებ, რამაც ლეგიტიმური ეჭვი წარმოშვა სამაუწყებლო პროცესში მიღებულ დასკვნებს. არასწორი და არასრული რეპორტების მსგავსი ბრალდება დაისვა სხვა დოკუმენტური ფილმის მიმართ, რომელიც შეეხებოდა პოლარული დათვების და სხვა არქტიკული ძუძუმწოვრების მკვლელობის შესახებ.

მე დავეთანხმე CBS-ის გამოყენებას კონგრესისადმი უპატივცემულობის გამო, რადგან ვფიქრობდი, რომ ეს შექმნიდა მთავრობის პრეტენზიების საშიშ პრეცედენტს თავისუფალი პრესის წინააღმდეგ.

ცხადია, გაზეთები და ჟურნალები და სხვა ბეჭდვითი მედია არ ექვემდებარება ფედერალურ რეგულაციას, გარდა გადასახადებისა, შრომითი სტანდარტების, საფოსტო გზავნილებისა და ფედერალური სხვა კანონებისა, რომლებიც არ იმოქმედებენ ამ გამოცემების შინაარსზე ან პოლიტიკაზე. სამაუწყებლო მედია, სანამ ის კომუნიკაციების ფედერალური კომისიის მიერ ექვემდებარება ლიცენზიის საჭირო მაგისტრალების ათვისებისთვის, რომლებიც საზოგადოებრივ დომენში შედის, არ ექვემდებარება ცენზურას ან სხვა რეგულაციას, რომელიც ახალი ამბების გადაცემებსა და რედაქტორებს ექვემდებარება ნებისმიერი ფედერალური კონტროლის ქვეშ. იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში მედია არასოდეს უნდა დაექვემდებაროს ცენზურის ან პრეზენტაციის შინაარსის მკაცრ რეგულირებას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მედიამ მიიღოს პასუხისმგებლობა, რომელიც თან ახლავს გამოხატვის თავისუფლებას.

ახალი ამბების მედიამ უდიდესი და არსებითი გავლენა მოახდინა ამერიკაში საზოგადოებრივ აზრზე. ეს ბიძგს აძლევს გაზეთებს, რადიოს, სატელევიზიო სადგურებსა და ქსელებს თავიანთი აზრი გამოხატონ მთავარ სამთავრობოს გადაწყვეტილებებზე და ოპერაციებზე. თუ მათი საქმიანობა პასუხისმგებლობით იქნება განხორციელებული, აღნიშნულს შეუძლია უზრუნველყოს ხალხისთვისა და დემოკრატიისათვის ძალიან აუცილებელი და სასარგებლო გარანტიების შექმნა. თუ ფაქტები, რომელსაც ისინი ამერიკელ ხალხს წარუდგენენ, იქნება ზუსტი და სრულყოფილი და სამართლებრივად გამართული, შედეგად იქნება კარგად ინფორმირებული საზოგადოებრიობა, რომელიც აღჭურვილია სწორი არჩევანის გაკეთებისა და ინტელექტუალური მოსაზრებების ჩამოყალიბებაში მთავრობის გადაწყვეტილებებისა და მთავრობის ლიდერების შესახებ.

თუ, მეორეს მხრივ, მედია გამოიყენებს ამ უზარმაზარ ძალას საზოგადოებრივ აზრზე უპასუხისმგებლო გზით, შედეგები შეიძლება დამანგრეველი იყოს. თუ ახალი ამბების რეპრეზენტაცია არასრული ან არასწორია, ან თუ ისინი მუდმივად არის წარმოდგენილი ისე, რომ აშკარად მიკერძოებული მოსაზრება ურევია, საზოგადოება არა მხოლოდ ცუდად იქნება ინფორმირებული, არამედ შეცდომაში იქნება შეყვანილი. დეზინფორმაციულ საზოგადოებას ან საზოგადოებას, რომელიც ზედმეტი დეზინფორმაციით არის გაჯერებული. დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს აცდენილია - სადაც ხალხის განსჯა უნდა იყოს პოლიტიკური ძალაუფლების საბოლოო რეზერვუარი. თუ გადაწყვეტილება დეზინფორმაციაზე დაფუძნებულია, წარმოადგენს ცუდ გადაწყვეტილებას, რა დროსაც დემოკრატია ირევა.

კონგრესის წევრის აზრით, მარტივი მაგალითი შეიძლება იყოს სასარგებლო ამ თვალსაზრისის ასახსნელად. ხშირად, სატელევიზიო ქსელები წარმოადგენენ დოკუმენტურ ფილმებს საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ. დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც სატელევიზიო არხი ან ჟურნალი გამოაქვეყნებს იმ დიდ პრობლემას, როგორცაა შიმშილი, სამხედრო საშიშროება, ცხოველებისადმი არაადამიანური მოპყრობა ან სხვა ემოციურად დატვირთული სუბიექტების მოხსენიება, კონგრესმენის საფოსტო ყუთი ივსება ამომრჩეველთა წერილებით და ტელეგრამებით, სადაც საზოგადოება მოითხოვს ფედერალური მოქმედებების ან კანონმდებლობის საჭიროების შესახებ პრობლემის გამოსწორებას. ასეთია წარმომადგენლობის დემოკრატიის მუშაობის გზა. თუ მედია პროგრამა ან სტატია შეიცავს უზუსტობას ან დაკიდებულ ინფორმაციას ან დაბნეულ, არამყარ მოსაზრებას, ფაქტობრივად, უნებლიედ ან განზრახ, დეზინფორმაციის ზიანის გამოსწორება პრაქტიკულად არ არსებობს. ხელისუფლებისთვის ან ნებისმიერი კონკრეტული პირისათვის შეუძლებელია კონკურენცია გაუწიოს მედიას, საზოგადოებაში ფაქტების მისაღწევად. რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი

მედიასთან კონკურენცია, თუ ისინი ასრულებენ თავიანთ საქმეს და ყველა სუბიექტზე გასცემენ ინფორმაციის დასაბუთებულ და სანდო წყაროს.

იმისათვის, რომ მედიამ საკუთარ თავზე აიღოს ამხელა პასუხისმგებლობა, მან თავად უნდა მოახდინოს წესრიგის დაცვა, გარკვეული ჩარჩოების დადგენა. მან უნდა დააწესოს შიდა პოლიტიკა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა შესაძლო ძალისხმევას ახორციელებს ამერიკელი საზოგადოებისთვის ჭეშმარიტების - მთელი სიმართლის წარდგენისთვის. საჭიროებისამებრ, მან უნდა დაიხიოს უკან, რათა დარწმუნდეს, რომ მოსმენით, ნახვითა და წაკითხვით, საზოგადოებას შეუძლია განასხვავოს მიმდინარე მოვლენების შესახებ გავრცელებული ფაქტები და დაადგინოს რეპორტიორებისა და მაუწყებლების პირადი შეხედულებები.

ზოგიერთი კონგრესმენის მიერ შემოთავაზებულ იქნა კანონპროექტი, რომელიც მოითხოვს, რომ სამაუწყებლო მედიამ ნათლად შეაფასოს ახალი ამბების პროგრამების და დოკუმენტური ფილმების ის ნაწილი, რომლებიც ნამდვილად არის კომენტარი ან მხატვრული ლიტერატურა, ასე რომ, ისინი უფრო მარტივად შეიძლება განასხვავონ ფაქტობრივი ფაქტებისგან.

ჩემი შეხედულებით აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგება ფედერალურ კანონმდებლობას, მაგრამ რჩევა იქნება, რომ მედია ორგანიზაციები დავარწმუნოთ, რომ უფრო მეტ ყურადღება გამოიჩინონ, რადგან ყველა ახალი ამბების პრეზენტაცია არის საპასუხისმგებლო, ზუსტი, სამართლიანი და სრული ანგარიში საზოგადოებისთვის ჩვენს რთულ სამყაროში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე.

ჩვენმა დამფუძნებელმა მამებმა აღიარეს, რომ საჭიროა თავისუფალი და უცენზურო პრესა, პრესა, რომელსაც ექნება შესაძლებლობა, თავისუფლად ჰქონდეს კომუნიკაცია ხელისუფლების შტოებთან და რომელიც თავისუფლად გააკეთებს კომენტარებს ხელისუფლების საქმიანობაზე. მათ ამ პრინციპში შეიტანეს პირველი შესწორება, როდესაც ისინი წერდნენ: „კონგრესი არ მიიღებს კანონს პრესის თავისუფლების შესახებ ...“

აუცილებელია, რომ მთავრობამ, პრესამ და საზოგადოებამ შეინარჩუნონ ეს ცვლილება და შეინარჩუნონ ინფორმაციის თავისუფალი ნაკადი, რადგან ეს არის საფუძველი ჩვენი დემოკრატიული მმართველობის ფორმისა.

კრიტიკა, რომელიც ჩემს მიერ იქნა წარმოჩენილი 10501 აღმასრულებელი ბრძანების მიმართ, რომელიც არეგულირებს ოფიციალურ საიდუმლოებას, ახლანდელი აღმასრულებელი პრივილეგიის დოქტრინაზე, 1966 წლის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ აქტსა და მედიაში რეპორტირების შესახებ, დიდი სულისკვეთებითაა შემოთავაზებული. სამართლებრივი საზოგადოების მხარდაჭერა იმ წინადადებებისთვის, რომლებიც ჩემს მიერ იქნა ხალხისათვის მიღებული ინფორმაციის ნაკადის ყველა ასპექტის გასაუმჯობესებლად, დიდ წვლილს შეიტანს ამ საკითხების საზოგადოებრივი შეშფოთების სტიმულირებაში, რაც აშკარად უნდა იყოს კონგრესისათვის და აღმასრულებლისათვის, ხოლო მედია გადაადგამს აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყოს საზოგადოების დაცვა რომ მათ ჰქონდეთ „ცოდნის უფლება“.